# კვირის პალიტრა

საჩუქარი ჩვენი პატარა მკითხველისათვის — კვირის პალიტრა

№ 38 (499) ◆ 20 – 26 სექტემბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## გაკვეთილების ცხრილი



**გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას**

ჩვენი პატარა მკითხველისათვის გაზეთში საჩუქარია

## როგორ შეიძლება გაყინული პროდუქტიდან საცივი მოითხოვო?!

„კობა დავითაშვილის, ზვიად ძიძიგურისა და რესპუბლიკელების ჩვენგან წასვლის მიზეზი მხოლოდ რაღაცით უკმაყოფილება არ ყოფილა. მათი წასვლის მიზეზი სხვა პოლიტიკოსის მიმართ სიძულვილი იყო. ქვანიას ვერატანის ფაქტორმა განსაზღვრა მათი პოლიტიკური ვექტორი და ტყუილად ნუ ლაპარაკობენ რაღაც შეცდომებზე.“ გვ.7

*მაია ნადირაძე*

## ხალხმა დაინახა, რომ პარლამენტი მკვდარი ცეკა არ არის

„პარლამენტში მყოფი დემოკრატიული ძალების წინაშე დგას ამოცანა — საკონსტიტუციო უმრავლესობა (ერთმანეთზე გადაბმული ხელების ერთი გრძელი შლაგბაუმი) წაართვას სააკაშვილის აღმასრულებელ ხელისუფლებას.“

გვ.7 *დავით ბერძენიშვილი*

## „არშემდგარი თავდასხმა“ საქართველოს პრეზიდენტზე(?!)



### ფე-ეს-ბემ ტერაქტი გამოიგონა!..

შინ მხოლოდ მე და ჩემი პატარა შვილიშვილი ვიყავით. ღამის თორმეტ საათზე, ის იყო, დასაძინებლად მოვემზადეთ, რომ კარზე კაკუნი გაისმა. გავაღე და ავტომატებით შეიარაღებული ოთხი მილიციელი შემოვარდა. ხელები აგვაწევინეს და კედელზე აგვაყუდეს. გვ.5

72 წლის კაცი ვარ და რომელი კაცის მკვლელი მე მნახეთ და მით უმეტეს, ჩვენს პრეზიდენტზე თავდამსხმელი-მეთქი...

### ექსკლუზიური ინტერვიუ ეჭვმიტანილთან:

ქართველმა ქართველს მოსკოვში სასამართლო პროცესამდე როგორ უნდა მიუყვანოს საქმე? ისედაც ამრეზით გვიყურებენ რუსები და რატომ უნდა ვათქმევინოთ, ქართველები ერთმანეთს ჭამენო.

თქვენმა საელჩომ თხოვნით მიმართა ფე-ეს-ბეს და თქვენი იზოლაცია მოითხოვაო... გაოგნებული დავრჩი. რატომ? რისთვის?

**პროვოკაცია თუ არაპროფესიონალიზმი?!**

## ბავშვის ჯანმრთელობის ხარჯზე საათების გაზრდას არ დავუშვებთ...

**თუ სკოლა ჩათვლის, რომ რელიგიის სწავლება აუცილებელია, ასწავლონ!..**



ამ რეფორმით სკოლას, პედაგოგებსა და მშობლებს უპრეცედენტო ნდობას ვუცხადებთ. პედაგოგებმა მითხრეს, — არ დაგანებებთ, რომ რეფორმა ბოლომდე არ მიიყვანოთო... გვ.11,27

მასწავლებლის ანაზღაურება დამოკიდებული იქნება 3 კომპონენტზე — გაკვეთილზე, მასწავლებლის მიერ თვითგანვითარებისთვის დახარჯულ დროსა და მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობაზე.

**„მასწავლებლის მინიმალური ხელფასი 115 ლარს ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდეს“**

## 500 ლარი 2000-დოლარიან ბრილიანტში?!

**თუ ოქრო არ შემოდის, საიდან გაჩნდა ამდენი საიუველირო მაღაზია?**



ოქროს ნაკეთობის მყიდველ კაცს ორი რამისა უნდა ეშინოდეს: შეიძლება მას ოქროს წყალში ამოვლებული უბრალო ლითონი შეაპარონ, ან ოქროს ნაკეთობაზე ამოტვიფრული სინჯი სინამდვილეში ყალბი იყოს, რაც ასევე აუფასურებს ნაკეთობას და მყიდველს ძვირფასი ნივთის ნაცვლად, ხელთ რამდენიმე გრამი ჯართი რჩება. გვ.6

**ქაოსი ოქროს ბიზნესში და თაღლითების პირისპირ დარჩენილი მომხმარებელი**

## „ბავშვობაში სვანეთის უბანში სვანებს ვეძებდი“



ადამიანს არავინ ეკითხება ორ უმთავრეს რამეს – დაბადებასა და სიკვდილს!

რაც უფრო სულელია კაცი, მით უფრო მეტი აქვს სადავო ღმერთთან...

სუსტი კაცი ყველაფერს კადრულობს, ძლიერი და ღირსეული — არა. ქეთელაურმა ხომ არ იკადრა და ხელი არ მოსჭრა მუცალს! გვ.16

ბაბუაჩემის უფროსი ძმა რომ გარდაიცვალა, ჩრდილოეთ კავკასიიდან ცხენებით ჩამოვიდნენ მოხუცი კაცები: ჩერქეზები, ბალყარელები. ერთმა თქვა, — 40 წელი იქნება, ეს ბილიკები არ გადმომივლიაო. რაღაცნაირი მაგარი მოხუცები იყვნენ...

## მაინც „მოვახერხე“ ახლობლებისა და მეგობრების განაწყენება...

გვ.13,27



**„ბეჭემოთი დავადე და გამიმართლა...“**

კონტროლის პალატის თავმჯდომარე წინამორბედის გემოვნებით შერჩეული ნახატების გარემოცვაში

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## სამთავრობო მოგზაურობა

19 სექტემბერს საქართველოდან დიდი სამთავრობო მოგზაურობა დაიწყო. გამთენიისას საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ში გაემგზავრა. მანამდე კი მიხეილ სააკაშვილი ტელეფონით ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტს, პუტინს ტერორიზმთან ბრძოლის გააქტიურებისა და ორი ქვეყნის ურთიერთობის სხვა ასპექტების შესახებ. პრეზიდენტს თან ახლავს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე გელა ბეჟუაშვილი და დელეგაციის სხვა წევრები, რომლებთან ერთადაც სააკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიის დებატებში მიიღებს მონაწილეობას.

პირველ ოფიციალურ ვიზიტს პრეზიდენტი ჯორჯ სოროსის რეზიდენციაში გამართავს. ინტერვიუებს მისცემს ელექტრონულ და ბეჭდვით მედიას. ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში სააკაშვილი კომპანია „ედელმანისა“ და ჯეიმს თაუნის ფონდის ხელმძღვანელებსაც შეხვდება და მოლაპარაკებებს გამართავს სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან. ვიზიტის დასრულებამდე ერთი დღით ადრე პრეზიდენტი სიტყვით გამოვა გენერალურ ასამბლეაზე, სადაც ისაუბრებს კონფლიქტურ ზონებში გაეროს როლის დიდ მნიშვნელობაზე. იგი ასევე დააყენებს საკითხს გაეროში საქართველოსთვის ხმის უფლების აღდგენის თაობაზე.

ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების, „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ შემდგომი გაგრძელებისა და NATO-ში საქართველოს ინტეგრაციისთვის საჭირო რეფორმების განხორციელებაზე მსჯელობის მიზნით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე 20 სექტემბერს ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. გიორგი ბარამიძე ვაშინგტონსა და ატლანტაში გამართავს შეხვედრებს ამერიკის თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდთან, ეროვნული გვარდიის სარდალთან, გენერალ დევიდ პოიტრესსთან, სენატორ ლუგარსა და თავდაცვის მდივნის მოადგილის თანაშემწესთან, ჯიმ მაკდუგალთან.

## პრეზიდენტის ნაცვლად პრემიერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია 20 სექტემბერს ბაქოს ეწვევა და „საუკუნის კონტრაქტის“ ხელმოწერის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. საზეიმო ღონისძიებას დაესწრებიან აგრეთვე უდიდესი ნავთობკომპანიების ხელმძღვანელები, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტს ახორციელებენ. ხელმოწერის ცერემონიალზე მიწვეული არიან სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები. თუმცა საქართველოდან ღონისძიებას მხოლოდ პრემიერ-მინისტრი დაესწრება, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი იმ დროისათვის ამერიკაში გაემგზავრება.

## სტრატეგიულ თანამშრომლობას გვთავაზობენ

საქართველოში სტუმრად მყოფი ევროკომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა. მასთან შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ბრძანა, რომ საქართველოს აქვს შანსი ორ-სამ წელიწადში ევროკავშირის წევრი გახდეს(!).

რომანო პროდი აცხადებს, რომ ევროკომისია მზადაა, საქართველოს მოსახლეობას კონფლიქტების შედეგად მიყენებული ზარალის შემსუბუქებაში დაეხმაროს. იგი საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებისკენ მოუწოდებს და განმარტავს, რომ ევროკომისია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებაში მედიატორის როლს ვერ შეასრულებს და მათ საქართველოსთვის მხოლოდ სტრატეგიული თანამშრომლობის შეთავაზება შეუძლიათ. პროდის განცხადებით, ევროკომისია მზად არის, როგორც საქართველოს, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანს ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება შესთავაზოს. „თანამშრომლობა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში განხორციელდება, თუმცა იმისათვის, რომ საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდეს, მას განსაზღვრული პირობების შესრულება მოუწევს“, — აღნიშნა სტუმარმა და განმარტა, რომ ევროკომისია საქართველოს უპირველესად რეფორმების დაჩქარებას ურჩევს.

გარდა ამისა, რომანო პროდი საქართველო-რუსეთის დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობებსაც შეეხო და მხარეებს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობებისკენ მოუწოდა.

რომანო პროდის ევროკომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნოემბრიდან პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი ხოსე ბროსო შეცვლის.

## ჟვანია კოკოითს შეხვდება?

მას შემდეგ, რაც ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შეხვედრა შესაძლოა სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში გაიმართოს. ოსური მხარე გამოთქვამს მზადყოფნას კონფლიქტის ზონაში ეუთოს დამკვირვებელთა რაოდენობის 6-დან 10 კაცამდე გაზრდის შესახებ. ე. წ. სამხრეთ ოსეთი ასევე არ ეწინააღმდეგება შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მაღალ დონეზე შეხვედრის ჩატარებას, რომელიც ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სოლომონ პასის წინადადებით სოფიაში გაიმართება.

„მაღალი დონის შეხვედრის გამართვას ოსური მხარე იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ საქართველო შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მიღწეულ შეთანხმებებს შეასრულებს“, — აცხადებს ოსური მხარე, რომელსაც დღემდე პრაქტიკულად შეთანხმების არც ერთი პირობა არ შეუსრულებია კონფლიქტის ზონაში.

## ცხინვალი აგრესიას აგრძელებს

სეპარატისტები თავისას არ იშლიან და შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ისევ არღვევენ — 18 სექტემბერს, ღამით, მათ ცხინვალიდან დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით გახსნეს ცეცხლი. სეპარატისტები ქართველების კონტროლირებად ტერიტორიას მსხვილკალიბრიანი იარაღით ესროდნენ. მნიშვნელოვნად დაზიანდა ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, სადაც ამჟამად სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

მოსახლეობის ვარაუდით, სეპარატისტებმა ცეცხლი პროვოკაციისა და დაშინების მიზნით გახსნეს. მათთვის ცნობილი იყო, რომ 19 სექტემბერს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ეწვეოდა. სეპარატისტების გამოხდომების მიუხედავად, პარლამენტის თავმჯდომარე კონფლიქტის ზონაში ჩავიდა, სადაც უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნა მიღებული.

## ლარსი გაიხსნება?

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს წარმომადგენლები ყაზბეგში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის ყაზბეგი-ლარსის მონაკვეთზე დაცვას გააძლიერებენ. ამ შეთანხმების შემდეგ საქართველოს სახელისუფლებო კულუარებში იმედოვნებენ, რომ რუსეთი ლარსში საკონტროლო-გამშვებ პუნქტს უახლოეს მომავალში გახსნის.

რუსების განცხადებით, ეს მონაკვეთი საიმედოდ უნდა იქნეს დაცული, რათა მოისპოს ჩეჩენი ბოევიკების გადაადგილების საშიშროება. ამ მიზნით ჩატარდა ლარსი-ყაზბეგის მონაკვეთის ერთობლივი საჰაერო დათვალიერება. მონაკვეთი ძირითადი გადასასვლელების მიხედვით ექვს მიმართულებად დაიყო, დაზუსტდა მიმართულებათა დაცვის თანამიმდევრობა და წესი.

იტარ-ტასის ინფორმაციით, რუსეთმა საქართველოსთან საზღვრის პატრულირება უკვე გააძლიერა და ახლა დაკვირვება ვერტმფრენებიდანაც მიმდინარეობს.

## ლეიბორისტები იმუქრებიან

მას შემდეგ, რაც საქართველოს „მშრომელებმა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კურსი დაგმეს და პარლამენტის წინ ქართული განათლების დასამარებაც გამოიგლოვეს, საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია 20 სექტემბრიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესის პარალიზებით იმუქრება.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენციაც კი მიუძღვნა და განაცხადა, რომ სანამ განათლების სამინისტრო ახალგაზრდების ნორმალური განვითარებისათვის საჭირო სასწავლო გეგმას არ შეიმუშავებს, პარტია სკოლებში სასწავლო პროცესის ჩასაშლელად ფართომასშტაბიან საპროტესტო მოძრაობას გააგრძელებს.

## ზოდელავა ასანიძეს არ უპირისპირდება

თბილისის ყოფილმა მერმა ვანო ზოდელავამ შესაძლოა უარი თქვას საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობაზე. კულუარული ინფორმაციით, ზოდელავამ კრწანისის რაიონში თავისი კანდიდატურა მოხსნა, რისი მიზეზიც თითქოსდა ნაციონალური მოძრაობის მიერ ოლიმპიური ჩემპიონის, გიორგი ასანიძის კანდიდატურის წამოყენება გახდა. თუმცა, ცესკოში ასანიძეს ჯერ რეგისტრაცია არ გაუვლია. როგორც ჩანს, ქალაქის ყოფილი მერი ოლიმპიურ ჩემპიონსა და თან სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელთან ბრძოლას არ აპირებს. მაჟორიტარულ არჩევნებში, სავარაუდოდ, კენჭს იყრის კოკო გამსახურდიაც, რომელიც ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს.

შუალედური მაჟორიტარული არჩევნები 24 ოქტომბერს გორში, ზესტაფონსა და თბილისის რაიონებში: კრწანისში, დიდუბესა და ჩუღურეთში ჩატარდება.

## ვემზადებით ომისათვის, გვსურს მშვიდობა

ხცისის პოლიგონზე ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა ბატალიონის მომზადების პირველი ეტაპი დაიწყო. რეზერვისტთა ბატალიონში 350-მდე რიგითი მსახურობს, მათ შორის — 10 პარლამენტარი: ირაკლი ქავთარაძე, კობა ბექაური, ალექსანდრე შალამბერიძე, გოგა ხაჩიძე, გივი თარგამაძე, გოჩა კუპრავა და სხვები.

„დაიწყო რეზერვისტთა მომზადების მნიშვნელოვანი პროცესი, რომელსაც ნებაყოფლობით და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პატრიოტები უერთდებიან. ჩვენ ვემზადებით ომისათვის იმიტომ, რომ გვსურს მშვიდობა. საქართველოს თითოეული მოქალაქე, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილების შესაბამისად, იქნება ჭეშმარიტი მებრძოლი საქართველოს ინტერესების დასაცავად. სახელმწიფო უზრუნველყოფს მებრძოლებს მხოლოდ იმით, რაც საჭიროა წვრთნისათვის, ჯარისკაცებისა და ოფიცრების აღჭურვისათვის. დანარჩენი ყველა ჩვენგანზეა დამოკიდებული“, — აღნიშნა მისასალმებელ სიტყვაში თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

რეზერვისტთა რიგებში 20-დან 45 წლამდე ასაკის მამაკაცები მსახურობენ. სექტემბრის ბოლოსათვის ხცისის პოლიგონზე ორი სრულყოფილი ბატალიონის ჩამოყალიბება იგეგმება.

## გმირები და მოღალატეები

სოფელ ოზურგეთის სკოლას სამაჩაბლოში ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავების დროს გმირულად დაღუპული რიგითის, ზაზა დამენიას სახელი ეწოდა. საზეიმო ცერემონიალს დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ეროვნულ გმირად შერაცხული ზაზა დამენია სანგარში მტრის ჩამოგდებულ ხელყუმბარას გადაეფარა და რამდენიმე თანამებრძოლის სიცოცხლე იხსნა. ოზურგეთელები პრეზიდენტთან მიახლოებასა და გასაუბრებას ცდილობდნენ. „პრეზიდენტმა რაიონში არსებული სიტუაციის შესახებ ბევრი რამ არ იცის. მართალია, გაყინული პენსიები დაგვირიგეს, მაგრამ ამ თვისა მხოლოდ 5-5 ლარი მოგვცეს. გვითხრეს, იმიტომ გიქვითავთ, რომ ძველი პენსიები სრულად დაგვერიგებინაო(?!). სააკაშვილმა უნდა იცოდეს რა ხდება ოზურგეთში“, — აცხადებენ პენსიონერები. თუ ეს სიმართლეა, მაშინ რა უნდა ეწოდოს მათ, ვინც პენსიონერებს ისედაც უმცირეს პენსიას ჰპარავს — ალბათ, მოღალატეები.

## ტრაგიკული სექტემბერი

შემაძრწუნებელი ტრაგედია დატრიალდა ზუგდიდის რაიონის სოფელ სინწარში. მაჭავარიანების ოჯახმა, რომელსაც 1993 წლის 25 სექტემბერს სოხუმის აეროპორტთან სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქების დროს ორი ვაჟი დაეღუპა, 2004 წლის 17 სექტემბერს კიდევ ერთი ვაჟი, 7 წლის რეზო მაჭავარიანი დაკარგა. ბავშვის სიცოცხლე საცხოვრებელი სახლის ეზოში ადიდებული მდინარისგან შემოტანილ თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობას შეეწირა. იგი, სავარაუდოდ, ხელში აუფეთქდა რეზო მაჭავარიანს, რომლის გადარჩენაც საავადმყოფოში გადაყვანის მიუხედავად ვერ მოხერხდა. სინწარის მკვიდრთა განცხადებით, მათ არაერთხელ აღმოუჩენიათ მდინარე სინწის ნაპირზე გამორიყული ნაღმები, რის შესახებაც რეგულარულად ატყობინებდნენ გამნაღმველთა საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰელუტრანსის“ რეგიონში მოქმედ მისიას. საერთაშორისო და ადგილობრივი გამნაღმავი ორგანიზაციების განცხადებით, უბედურებისგან თავდაცვის ერთადერთ შანსად რჩება მოსახლეობის მაქსიმალური სიფრთხილე.

## თავდასხმა ახალციხეში

ნაციონალთა რიგები შესაძლოა ერთი კაცით შემცირდეს. ახალციხის ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა გოჩა კურტანიძემ რესტორან „ტბასთან“ მაკაროვის სისტემის პისტოლეტით ერთი გასროლით სახის არეში დაჭრა ადგილობრივი ბიზნესმენი ჭიჭიკო გელაშვილი. იგი ამჟამად რაიონულ საავადმყოფოშია და ექიმების თქმით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. გოჩა კურტანიძე დროებითი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული. მას ბრალი განზრახ მკვლელობის მცდელობაში ედება და 15-წლიანი პატიმრობა ელის.

## „ეტალონის“ პრეზენტაცია მერიაში

16 სექტემბერს მერიაში ტელეკომპანია „მზისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივი პროექტის, „ეტალონის“ პრეზენტაცია შედგა. პროექტის მხარდაჭერა ოფიციალურად გამოხატეს მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა. „ყველა ბავშვმა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პროექტში, მინდა გააცნობიეროს, რომ ცხოვრებაში ყველანაირი წარმატება წიგნზეა დამოკიდებული“, — განაცხადა თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. განათლების მინისტრის მოადგილის, გიგი თევზაძის თქმით, მოსწავლეებს, რომლებიც კარგად სწავლობენ, „ეტალონი“ სტიმულს მისცემს. „ალბათ ყველას აქვს იმის სურვილი, რომ წლის განმავლობაში ყოველთვიურად 50 ლარი მიიღოს საჩუქრად“, — განაცხადა თევზაძემ. პროექტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით განხორციელდება. პროექტის მხარდაჭერის გამოსახატავად პრეზენტაციას მამა გიორგი ზვიადაძე და მეუფე თეოდორე დაესწრნენ. „ეტალონი“ „მზის“ ეთერში ყოველ კვირა დღეს გავა.

## თბილისის მთავრობა შეივსო

თბილისის მთავრობაში ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ გათავისუფლებული ვაკანტური ადგილების შევსება დაიწყო. ქალაქის ადმინისტრაციაში ახალი კადრები წარმოადგინეს. ქალაქის ვიცე-პრემიერის თანამდებობას, რომელიც უკვე 2 თვეა, ვაკანტურია, განათლების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი თოდუა დაიკავებს. როგორც ამბობენ, იგი პრემიერ-მინისტრ ჟვანიას კადრი და ქალაქის მთავრობისთვის მისაღები კანდიდატურაა. განათლების საქალაქო სამსახურს კი განათლების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო ჩაჩავა უხელმძღვანელებს.

დანარჩენი სამსახურების ხელმძღვანელების ადგილები ასე გადანაწილდება: ქონების მართვის საქალაქო სამსახურს — ლევან ალაფიძე, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს — უჩა გელაშვილი, ადმინისტრაციულ ინსპექციას — ბესო ჯებაშვილი, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს კი ზაზა გოროზია უხელმძღვანელებენ.

## დაჯილდოება გრძელდება

ათენის ოლიმპიადის საქართველოს ოქროსმედალოსნები სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ჯილდოების მიღებას განაგრძობენ. ამჯერად კომპანია „ყაზბეგის“ პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გიორგი ასანიძე და ზვიად ზვიადაური 2004 წლის გამოშვების ავტომანქანებით — „მიცუბიში პაჯეროებით“ დააჯილდოვა. გიორგი ასანიძის თქმით, „ყაზბეგის“ წვლილი ქართული სპორტის წინსვლაში უდიდესია და მისგან არც საჩუქრებია მოულოდნელი.

მისი თქმით, ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, მოემზადება თუ არა იგი პეკინის 2008 წლის ოლიმპიადისთვის. „დღეს ვერ გადავწყვეტ, მოვემზადები თუ არა პეკინის ოლიმპიადისთვის, ეს მომავალზეა დამოკიდებული და დრო მჭირდება, რადგან ტრავმები ჯერ კიდევ მაწუხებს“, — განაცხადა ასანიძემ, რომელიც მომავალი ტურნირების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოსთვის მიიღებს.

## „ფრენსისსა“ და „აივანს“ „ჟანა“ დაემატა




აშშ-ის სანაპიროებთან დამანგრეველი ქარიშხლების, „ფრენსისისა“ და „აივანის“ შემდეგ ამერიკას ტროპიკული შტორმი „ჟანა“ უახლოვდება, რომელმაც დომინიკელთა რესპუბლიკაში უკვე შეიწირა შვიდი მოქალაქის სიცოცხლე. აშშ-ში „აივანის“ მსხვერპლთა რიცხვი კი 40 კაცამდე გაიზარდა. დაღუპულთა უმრავლესობა ფლორიდელია. „აივანის“ დარტყმა პირველად ამ შტატმა იწვნია. ფლორიდაში ორ მილიონზე მეტი კაცი კვლავაც უშუქოდ ცხოვრობს. უბედურების ზონაში ბევრ რაიონს ბუნებრივი აირი და წყალი არ მიეწოდება. ბევრი ხიდი და გზა დანგრეულია. მაშველები ცალკეულ რაიონში მისვლას მხოლოდ ვერტმფრენებით ახერხებენ. ქარიშხლისაგან მიყენებულმა ზარალმა წინასწარი გაანგარიშებით შეიძლება 25 მილიარდი დოლარი შეადგინოს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კონგრესს დაზარალებული რაიონების აღსადგენად დამატებითი თანხების გამოყოფის თხოვნით მიმართა.

## მოსკოვში ფაშიზმი ბობოქრობს

მოსკოვში ფაშიზმის აშკარა გამოვლინებას აქვს ადგილი. კავკასიელებისთვის უკვე ქუჩაში გავლაც კი უკიდურესად საშიში გახდა.

სულ ახლახან მეტროს ერთ-ერთ სადგურში სომხებსა და აზერბაიჯანელებს დაესხნენ თავს და სასტიკად სცემეს. მეტროსადგურში დამონტაჟებულ ვიდეოკამერას თითქმის ზედმიწევნით აქვს დაფიქსირებული თავგადაპარსული 30-ზე მეტი სკინჰედის სისასტიკე. დაზარალებულებს დანით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებათ. მედიკოსების თქმით, ერთ-ერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. როგორც ირკვევა, ისინი კავკასიელებს მოსკოვსა და ჩრდილო კავკასიაში განხორციელებული ტერაქტების გამო დაუპირისპირდნენ — ესეც თქვენ ტერორის გამო, ყვიროდნენ თურმე თავდამსხმელები.

მოსკოველმა სამართალდამცველებმა ჯერაც ვერ მიაკვლიეს დამნაშავეებს!

# „ჩვენი მტერი სულსწრაფობაა“



**მისი გარემოცვა, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ საქმეს აკეთებს, უარეს შემთხვევაში კი — მის სახელს იყენებს. ვერ ვიტყვი, რომ ისინი პრეზიდენტის ერთგულები არიან, ვიცი, ზურგს უკან დასცინიან კიდეც. გული მწყდება, რომ სააკაშვილი უფრო ფართო ფენებს არ ეყრდნობა.**

**სააკაშვილისთვის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ არა აქვს გრძელი სათადარიგო სკამი**

სააკაშვილს საკუთარი კი არა, საქვეყნო საქმის ერთგული ადამიანები უნდა ამოუდგნენ გვერდში. გასულ კვირას პარლამენტში განვითარებულ მოვლენებში საგულისხმო რამ დავინახე: როდესაც გიორგი არველაძემ ივლიანე ხაინდრავას უთხრა,— მრცხვენია პარლამენტში შენთან ერთად ყოფნაო, ველოდი, რომ ნაციონალებიდან გააპროტესტებდა ვინმე მის ნათქვამს. როდესაც ელდარ შენგელაიაც კი გაჩუმდა, მივხვდი, სახელისუფლებო გუნდში ისეთი მკაცრი სამხედრო დისციპლინა ყოფილა, არველაძესაც ვერ უბედავენ შეპასუხებას-მეთქი.

ერთი შეხედვით არაფრის მომტანი დსთ-ის სამიტი არც ისეთი უსახური გამოდგა, როგორც ელოდნენ. „ყველაზე ახალგაზრდა“ და „ყველაზე ერთი თავით მაღალმა“ საქართველოს პრეზიდენტმა სამიტის შაბლონური ჩარჩოები დაარღვია და ამგვარი შეხვედრებისათვის უკვე ტრადიციად ქცეული ტონი (რუსეთის მიმართ მაამებლური და მოკრძალებული) შეცვალა. პუტინთან გამართული „პოლიტიკური პინგ-პონგი“ სამიტის ნამდვილი მოულოდნელობა იყო, რამაც ზოგიერთი ძველებურად მოაზროვნე გააღიზიანა, ზოგიც კი — სააკაშვილის მიმართ კეთილად განაწყო.

რუსეთის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის არგუმენტებს ურცხვად გაექცა და უხერხულ კითხვებზე პასუხს ერთი თვის შემდეგ დაჰპირდა. ამ შემთხვევაში პუტინისათვის დახანება და დროის გაჭიანურება ერთობ მომგებიანი იყო, რადგან ოქტომბრის დასაწყისში, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, შავი ზღვის აუზში ძალთა ახალი განლაგების პერსპექტივა ჩნდება და პუტინი ამას უცდის. მომავალი თვის ბოლოს მას უკვე ეცოდინება, როგორ ელაპარაკოს საქართველოს პრეზიდენტს...

იმ დროს, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი პუტინს ეპაექრებოდა, გაეროში საქართველოსთვის ხმის ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღეს(!). იქ პრეზიდენტს კიდევ ერთხელ მოუწევს ქართველი ჩინოსნების (რომელთაც დროულად ვერ გადაიხადეს საწევრო) შეცდომის გამოსწორება...

ამას წინათ უკვე მონატრებული საპარლამენტო დებატების მოწმენიც გავხდით, რამაც სააკაშვილის მორჩილი პარლამენტის მითი წარსულს ჩააბარა. რაკი ეს მოხდა, კარგია, ე.ი. წინ ნელა, მაგრამ მაინც მივდივართო, — ამბობენ ექსპერტები... ქართული პოლიტიკის საშინაო და საგარეო ასპექტებსა და გასული კვირის სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს** ვესაუბრეთ:

— ასტანის სამიტმა დაადასტურა აქტუალურობა კითხვებისა: საჭიროა თუ არა ჩვენი ყოფნა დსთ-ში და რას გვაძლევს ის ჩვენ? ვინც თვალყურს ადევნებდა სამიტის მუშაობას, უთუოდ გაიფიქრებდა, სააკაშვილი პენსიონერთა კლუბში ან ძველ პოლიტბიუროში მოხვედრილაო. გული დამწყდა და შემეცოდა პრეზიდენტი, რომელიც ცდილობდა, ამ გარემოში თავაზიანი და ღირსეული დარჩენილიყო. აქ ცხადად გამოჩნდა, რომ საქართველოსა და დსთ-ის დანარჩენ ქვეყნებს სხვადასხვა ვექტორი აქვთ. ასტანის სამიტმა კიდევ ერთხელ მაფიქრებინა — რა გვინდა აქ ჩვენ-მეთქი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დსთ-ის კარი გამოვიჯახუნოთ და წამოვიდეთ. საჭიროა გეგმაზომიერი სტრატეგია იქიდან გამოსასვლელად. ეს არის თავკომბალა ორგანიზაცია, რომლის თავი არის რუსეთი, დანარჩენები კი კუდში არიან მოქცეული და რუსეთიც, საითაც უნდა, იქით იქნევს ამ კუდს.

ასტანის სამიტმა კვლავ დაადასტურა, რომ აფხაზეთის საკითხს საქართველო და რუსეთი სხვადასხვანაირად უყურებენ.

საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო სააკაშვილისა და პუტინის პაექრობა პრესკონფერენციაზე. მან ქართულ-რუსული ურთიერთობების სახე დაგვანახვა და დაგვარწმუნა, რომ რუსეთი არ შეცვლილა.

რუსეთთან ურთიერთობა დსთ-ის გარეშე უნდა გვქონდეს, იმიტომ, რომ ის ვერასოდეს ივარგებს ჩვენ შორის შუამავლად და კრიტიკულ მომენტში ყოველთვის რუსეთს ამოუდგება გვერდში. მიუხედავად იმისა, რომ დიალოგი რუსულ ენაზე მიდიოდა, სააკაშვილი და პუტინი მაინც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. გამაღიზიანებელი იყო პუტინის ცინიკური განცხადება — რკინიგზა კანონიერად აღდგაო.

რუსეთში დღეს ავტორიტარული რეჟიმი ყალიბდება, პუტინი არც კი ფიქრობს ჩეჩნეთთან ურთიერთობის გადაფასებას და აშკარა ზეწოლის პოლიტიკას აგრძელებს. რუსეთი არც საქართველოს მიმართ შეცვლის დამოკიდებულებას — ასტანები და ყაზანები უსასრულოდ გაგრძელდება, რომელსაც რეალური შედეგები არ მოჰყვება. რუსეთს ძალიან ეშინია დემოკრატიული პროცესებისა. ასეთი ფართო ფორმატის შეხვედრა რომ არ ყოფილიყო, პუტინი გაცილებით რბილი იქნებოდა სააკაშვილთან საუბრისას. სხვების დასანახად დაგვტუქსა — ნახეთ, რა მაგარი ბიჭი ვარო. კარგია, რომ სააკაშვილმა უკან არ დაიხია და შეეპასუხა. თუმცა შეიძლებოდა უფრო პრინციპულიც ყოფილიყო. პუტინმა დსთ-ის სხვა ქვეყნების პრეზიდენტებს აჩვენა, მერე რა, რომ სააკაშვილმა რევოლუცია მოახდინა. ის მაინც ჩემს ხელშია და მე ვკარნახობ პირობებსო. ქართული ანდაზისა არ იყოს, მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონეო — პუტინი საქართველოს ტუქსავდა და უკრაინასაც გულისხმობდა, სადაც ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ეს საქართველოსთვისაც უმნიშვნელოვანესი, სტრატეგიული არჩევნებია. კუჩმას წასვლის შემდეგ ხელისუფლებაში ან პროდასავლური ძალები მოვლენ ვიქტორ იუშჩენკოს სახით ან პრორუსული. თუ დასავლურ-დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვეს, ეს რუსეთისათვის სიგნალი იქნება — დსთ-ში ძვრები დაიწყო და მას მხარი უნდა ავუბაო და იძულებული გახდება, სტრატეგია შეცვალოს. საქართველოსთან ერთად უკრაინის დემოკრატიზაციას მთელი შავი ზღვის ნატოს ზღვად ქცევა მოჰყვება (რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი ნატოს წევრები არიან) და კავკასიის დაკარგვის საფრთხე გაჩნდება. ასეთი ვითარება რუსეთს აიძულებს, უფრო დემოკრატიული პოლიტიკა წარმართოს — საქართველოსა და უკრაინას მათრახით და ბატონივით კი არა, პარტნიორივით ელაპარაკოს. ხოლო თუ უკრაინაში პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს, საქართველო მარტო აღმოჩნდება რუსეთის პირისპირ. რუსეთი უკრაინის სახით მოკავშირეს გაინაღდებს და დსთ-ის დანარჩენ ქვეყნებს ეტყვის — ჩემს ხელში ხართ, საქართველოს კი როგორმე გავუსწორდებიო. ამის შემდეგ უკვე მოსალოდნელია საქართველოზე ეკონომიკური, პოლიტიკური ზეწოლა და სეპარატისტული რეგიონების — სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გააქტიურება. ასე რომ, ოქტომბრის პირველ ნახევარში ბევრი რამ გაირკვევა.

ბოლო ხანებში საქართველო რომანტიკული ეტაპიდან თანდათან რეალისტურზე გადადის. სააკაშვილს თაფლობის თვე უკვე გასდის და აწი აუცილებელია ხელი გამოიღოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ამოგვიდგებიან გვერდში ევროპა და ამერიკა, თუ არა და, რუსეთის ხახაში აღმოვჩნდებით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს არა ჩვენს ურთიერთობებს რუსეთთან, ამერიკასა და ევროპასთან, არამედ იმას, თუ როგორი ურთიერთობები გვექნება ქვეყნის შიგნით და რამდენად დემოკრატიულ ქვეყანაში ვიცხოვრებთ.

**— ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რუსეთი ყველანაირად ეცდება საკუთარ ტერიტორიაზე მოსალოდნელი დაპირისპირებების (თუნდაც ოსებსა და ინგუშებს შორის) ვექტორი სამხრეთისაკენ მიმართოს და კავკასიაში დაგროვებული დაძაბულობის მუხტი საქართველოს დაატეხოს თავსო.**

— არ გამოვრიცხავ, ეს აზრი ზოგიერთს თავში უტრიალებდეს, მაგრამ მას არანაირი საფუძველი არ გააჩნია. რუსეთისაგან ჩვენ კავკასიის ქედი გვიცავს და შეუძლებელია რუსეთმა ქედის ორივე მხარეს გააჩაღოს საომარი მოქმედებები. უნდა ვიცოდეთ, თუ კონფლიქტი რუსეთში დაიწყება, იქვე დარჩება, აქ დაწყებული კი — ჩვენთან. უახლოესი 5 წლის განმავლობაში არ ველოდები რაიმე სერიოზულ საომარ კამპანიას ამ რეგიონში. თუმცა რუსეთი აუცილებლად ეცდება, რომ ჩაგვითრიოს ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენსავე ხალხთან ბრძოლაში და ამით საშვილიშვილოდ დაგვაზარალოს. ეს უკვე მოინდომა ცხინვალში. საბედნიეროდ, გვეყო გონიერება და გამოვასწორეთ შეცდომა. ცხინვალიდან ჯარის გამოყვანა ბრძნული ნაბიჯი იყო. ჩვენ სერიოზული ავანტიურა ავიცილეთ და ამით გაღიზიანებულმა რუსეთმა უაზრო ბრალდებები წამოგვიყენა. რუსეთი ამასვე შეეცდება აფხაზეთში. რკინიგზის გახსნაც ამ ჩანაფიქრის ნაწილი იყო, უნდოდა ჩვენთვის ნერვები მოეშალა, თორემ მატარებელი სოხუმიდან ადლერამდე აქამდეც დადიოდა. ეს იყო დიდი დანაშაული — ირღვეოდა სახელმწიფო საზღვარი. ახლა რუსეთის ერთი ქალაქიდან მარშრუტი მეორე ქალაქამდე გაგრძელდა. ამ პოლიტიკური აქტით, არჩევნების წინ პუტინმა აფხაზებს უთხრა, — მოსკოვის გზა გაგიხსენითო. ამან მათ აფიქრებინა — რუსეთი გვიპატრონებსო. სამაგიეროდ, ქართველები გაღიზიანდნენ. მოსკოვი ცდილობს, საქართველოს დააშვებინოს შეცდომები და თავისი პოლიტიკა ამ შეცდომებზე ააგოს.

**— გასულ კვირას ერთი შეხედვით უცნაური განცხადება გააკეთა ამერიკის ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა. ჯერ თქვა, პანკისის ხეობაში ტერორისტები არიანო, მერე კი ნათქვამი უკან წაიღო. როგორც წესი, ასეთი „შეცდომები“ დიპლომატებს არ მოსდით, სინამდვილეში რა მოხდა?**

— ეს მაილსის შეცდომა კი არა, სავსებით გონივრული, დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ჩემი აზრით, მაილსს ჰქონდა რაღაც ინფორმაცია და მან ჩვენ, ქართველები დაგვიცვა. თავის დროზე პანკისიდან კი წავიდნენ ტერორისტები, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული ჯგუფები ან კონკრეტული პირები ისევ გადმოვიდნენ, ეს გაგებული ჰქონდათ რუსებს. ამ თემის აგორება დაიწყეს ივანოვმა და სხვებმა — საქართველოში ტერორისტები არიანო. არ გამოვრიცხავ, რომ მაილსმა ეს ინფორმაცია მიაწოდა რომელიმე ჩვენს ხელმძღვანელ პირს და ვინაიდან ამას რეაგირება არ მოჰყვა, მაილსი იძულებული გახდა, ეს ეთქვა. ამის შემდეგ ამერიკის ელჩი დაიბარა ჟვანიამ. შესაძლოა, მაილსს თავიდან სწორედ ჟვანიასთვის ეთქვა ეს ამბავი. ალბათ ჟვანია დაჰპირდა კიდეც რეაგირებას, მაგრამ, რადგან მას დიდი გავლენა არ აქვს ხელისუფლებაში და ყოველთვის არ შეუძლია პროცესებზე ზემოქმედება, ელჩი იძულებული გახდა, თავად შეეფუცხუნებინა ქართველი პოლიტიკოსები. ამ შემთხვევაში მაილსი კეთილშობილურად მოგვექცა — პანკისში რაღაცები ხდება და ფრთხილად იყავით, თორემ დაგბომბავენო. ამერიკისთვის მთავარი იყო ინფორმაციის გაჟონვა. ეს გაკეთდა. შემდეგ ამერიკელებმა თავადვე იზრუნეს ვითარების განმუხტვაზე.

**— ბესლანის ტრაგედიის შემდეგ ოსები აღიქმებიან, როგორც „ხალხი — მსხვერპლი“. დღეს მათდამი მსოფლიო საზოგადოება თანაგრძნობით არის გამსჭვალული. ასეთ ვითარებაში, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად რაიმე ოპერაციის წამოწყება საქართველოს ხელისუფლების ავტორიტეტს დააზარალებს. აქედან გამომდინარე, ხომ არ გადაიწია ცხინვალის დაბრუნების ვადამ...**

— სამაჩაბლოში ოსი მოსახლეობა მზად იყო ჩვენს მხარეს გადმოსასვლელად. ხალხმა ხელისუფლების ჩარევის გარეშე მოახერხა ერთმანეთთან ნდობის აღდგენა. სამწუხაროდ, იქ საომარი მოქმედებების განახლების შემდეგ ნდობა დაიკარგა. ცხინვალის ბაზარში ლარით ვვაჭრობდით, დღეს კი იქაურებს ქართული ფულის დანახვაც არ უნდათ. ჯარების შეყვანას, აჯობებდა, სააკაშვილს ოსებისთვის ეთქვა, — ჩვენ შორის სამარცხვინო ომი მოხდა, შეცდომა აღარ გავიმეოროთ და ოსობის გამო სამსახურიდან დათხოვნილები ისევ დაუბრუნდებით სამუშაოს, სახლებიდან გამოძევებულები — თქვენს სახლებსო — და ეს უნდა გაეკეთებინა კიდეც. ამასობაში, ბესლანის ტრაგედიაც მოხდებოდა და ისევ იტყოდა პრეზიდენტი, — აი, რა არის რუსეთი, როგორ გექცევიანო. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამ გზით არ წავიდა, სამაჩაბლოში ტანკების შეყვანით ოსებმა იფიქრეს — ქართველები არ შეცვლილანო. საჭიროა ამღვრეული წყლის დაწმენდას დაველოდოთ, დაახლოებით ერთი წელი მაინც არ უნდა შეეხოს ხელისუფლება სამაჩაბლოს, რათა ხალხმა ისევ გამონახოს საერთო ენა და მერე ვაღიაროთ — არც შევარდნაძე მოიქცა კარგად, ჩვენც შევცდით და ამის შემდეგ მაინც ვიცხოვროთ მეგობრულადო.

დღეს სამაჩაბლოში ქართულ მოსახლეობას იტაცებენ, ფიზიკურად უსწორდებიან... პროცესის კრიმინალიზაციას ჩვენც შევუწყვეთ ხელი. იქ ამჟამად ის ხდება, რაც აფხაზეთში მოხდა. შეცდომის აღიარება კი არ დაგვაკნინებს, პირიქით, უფრო ღირსეულად წარმოგვაჩენს; ამით ნდობას გავუჩენთ მეორე მხარეს — რაკი შეცდომას მიხვდნენ, მეტად აღარ დაუშვებენო. ახლა მთავარია, არ ვიჩქაროთ, ჩვენი მტერი — სულსწრაფობაა. სწორ გზაზე ვდგავართ და ჯობს გონივრული ნაბიჯები გადავდგათ.

**— სწორ და გააზრებულ ნაბიჯებს ერთიანი და საქვეყნო მიზნის მსახური ხელისუფლება დგამს. რამდენად ერთიანი და ერთსულოვანია ჩვენი ხელისუფლება?**

— ამჟამად საქართველოში მიმდინარე პროცესები რუსეთს უფრო ახარებს, ვიდრე დასავლეთს. დღეს გვაქვს კულუარული, გაუმჭვირვალე მართვის სისტემა, პარლამენტი არანაირად არ ერევა ქვეყნის მართვაში, რადგან მისი როლი და კომპეტენცია დაამდაბლეს. ყველაფერი პრეზიდენტის კაბინეტში წყდება. ქვეყანას, ფაქტობრივად, 4-5 კაცი მართავს, რაც, ჩემი აზრით, სარისკოა, რამდენადაც ეს მმართველობა არალეგიტიმურია, კანონმდებლობით ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი პარლამენტი უნდა იყოს.

სააკაშვილისთვის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ არ აქვს გრძელი სათადარიგო სკამი. პრეზიდენტი უნდა ეცადოს, უფრო დემოკრატიული გახადოს საკუთარი მმართველობა და ხალხს დაეყრდნოს. სამწუხაროდ, აჭარის მაგალითზე დავინახეთ, რომ ხელისუფლება არ ენდო აბაშიძის გამგდებ ხალხს და პრემიერი დაუნიშნა. სააკაშვილს ხალხი ასე აღარასოდეს ენდობა. 97%-იანი რეიტინგი ისეთი ნდობის გამოცხადებაა, რომ მტერს არ ვუსურვებ. ეს ნდობა კი არა, გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხის მოთხოვნაა — ხვალვე მანახვე გაკეთებული საქმე, წყალი და პური მოგვეციო. დღეს პრესა ძველებურად კრიტიკული აღარ არის, გაჩუმდა. ადამიანები აღარ ამბობენ იმას, რასაც ხედავენ, ტელევიზიით ნაკლებად გვესმის ექსპერტთა აზრი (თუმცა პრესაზე ამას ნაკლებად იტყვი). შემაშფოთებელი ტენდენციებია სხვა მხრივაც — შესაძლოა ძალიან ღირსეული ადამიანია კოტე კემულარია, მაგრამ არ შეიძლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელისუფალმა საკუთარი გუნდიდან დანიშნოს. ხშირად გაიგონებთ — რა დროს დემოკრატიაა, ქვეყანაა გადასარჩენიო. ეს ავტორიტარიზმის საფრთხეს ქმნის.

საერთოდ, ხელისუფლება ცეცხლს ჰგავს — მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ თუ ნებაზე მიუშვი, დაგწვავს. ამიტომ ღუმელით უნდა „მოთოკო“. ასეა ხელისუფლებაც — ის დემოკრატიული საზოგადოებით (პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები, სასამართლოები, მედია) უნდა მოთოკო. პრეზიდენტზე ვერ ვიტყვი, არადემოკრატიულია-მეთქი, მაგრამ ვხედავ, ქვეყნის გადასარჩენად სააკაშვილი ამ „ღუმელს“ ანგრევს. თავს პრეზიდენტის წრის წევრად ვთვლი და მინდა მან ყურადღება მიაქციოს ამ შემაშფოთებელ სიმპტომს. ვამჩნევ, რომ პრეზიდენტს კრიტიკისა ეშინია. კრიტიკა, ოპოზიციური აზრი მისთვის აუცილებელია. საჭიროა მიუთითონ, დაანახვონ სუსტი მხარეები და ქება-დიდებისგან თავი შეიკავონ. შევარდნაძის დროინდელი პატრონყმური ურთიერთობები (პრეზიდენტი იგივე ბატონია, რომელიც ყოველთვის მართალია) ისევ გრძელდება, რაც ქვემო ქართლის მაგალითზე გამოჩნდა. შევარდნაძის დროს ეს რეგიონი სახელისუფლებო ხმების ბასტიონი იყო. ამ ბასტიონის დასანგრევად არჩევნების დროს სააკაშვილი სამჯერ ჩავიდა იქ, მაგრამ ვერ დაანგრია. აიღო და, სამწუხაროდ, კი არ გაანადგურა, თავისად აქცია. მოეწონა ჭა, საიდანაც რამდენ ხმასაც უნდა, იმდენს ამოქაჩავს. ცუდია, რომ პრეზიდენტი არც ერთხელ არ ყოფილა ახალქალაქში, სადაც სერიოზული პრობლემებია და უკვე სამჯერ იყო უკრაინაში. ვფიქრობ, უსათუოდ უნდა გადახედოს პრიორიტეტებს. სააკაშვილი სათანადოდ ვერ გრძნობს ქვეყნის მდგომარეობას და მეშინია, ამან ერთპიროვნულ მმართველობამდე არ მიიყვანოს. მისი გარემოცვა, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ საქმეს აკეთებს, უარეს შემთხვევაში კი — მის სახელს იყენებს. ვერ ვიტყვი, რომ ისინი პრეზიდენტის ერთგული არიან, ვიცი, ზურგს უკან დასცინიან კიდეც. გული მწყდება, რომ სააკაშვილი უფრო ფართო ფენებს არ ეყრდნობა.

**— რაკი კადრების დეფიციტი აქვს, ხომ არ არის გამოსავალი, რომ სააკაშვილმა ხელისუფლებაში პარტიული კუთვნილების კი არა, კვალიფიკაციისა და პროფესიონალობის ნიშნით მოიყვანოს ხალხი?**

— ჯერჯერობით, სააკაშვილი უფრთხის დამოუკიდებელ და ნიჭიერ ადამიანებს, ჩანს, ერთგულები უფრო სჭირდება. არადა, დღეს ძალიან ბევრია ჩასაფრებული. თავის დროს უცდიან შევარდნაძის მომხრეები, იგორ გიორგაძეც, ხომ ხედავთ, გატრუნულია იმიტომ, რომ დღეს სააკაშვილის ლანძღვა მომგებიანი არ არის, თუმცა როგორც კი ხალხს იმედი გაუცრუვდება (იმას ვერ მიიღებს, რასაც ელოდა), რუსეთი უმალ აამოქმედებს რეზერვს გიორგაძის სახით. დღეს ახალქალაქში უკვე ლაპარაკობენ, ხომ არ სჯობდა, იგორ გიორგაძე აგვერჩია პრეზიდენტადო. ალბათ სააკაშვილმა იცის ეს და ასეთ ვითარებაში გონიერი ხალხი უნდა შემოიკრიბოს და არა — პირმოთნენი. ამ გონიერმა ხალხმა უნდა უთხრას სააკაშვილს — ასე კი არა, ისე მოიქეციო. პრეზიდენტს კრიტიკა თავის აპარატში, საკუთარ კაბინეტში სჭირდება, რათა არ მოდუნდეს და არ მოითაფლოს. სააკაშვილს საკუთარი კი არა, საქვეყნო საქმის ერთგული ადამიანები უნდა ამოუდგნენ გვერდში. გასულ კვირას პარლამენტში განვითარებულ მოვლენებში საგულისხმო რამ დავინახე: როდესაც გიორგი არველაძემ ივლიანე ხაინდრავას უთხრა, — მრცხვენია პარლამენტში შენთან ერთად ყოფნაო, ველოდი, რომ ნაციონალებიდან გააპროტესტებდა ვინმე მის ნათქვამს. როდესაც ელდარ შენგელაიაც კი გაჩუმდა, მივხვდი, სახელისუფლებო გუნდში ისეთი მკაცრი სამხედრო დისციპლინა ყოფილა, არველაძესაც ვერ უბედავენ შეპასუხებას-მეთქი. ქართველები ასეთ დისციპლინას ვერასდროს ეგუებიან. ხალხი, ვისაც დღეს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, უთუოდ „ამოხეთქავს“ და ამიტომ პრეზიდენტს მეტი დემოკრატიულობა მართებს. თუ საქართველო დემოკრატიულ ღირებულებებზე გადავა, ვერც რუსეთი დაგვჯაბნის და ამერიკაც და ევროპაც უფრო თამამად დაიცავენ ჩვენს ღირებულებებს.

***დაჩი გრძელიშვილი***
***იზო რეკაძე***



## 21 სექტემბერი — შობა ქრისტიანთა მფარველის დედა ღვთისმშობლისა. ღვთისმშობლის მადლი ჰფარავდეს მის წილხვედრ საქართველოს.

# სკოლის დროც მოვიდა!

ზაფხული გაილია, თბილისი ისევ უსაშველოდ გადატვირთული ქუჩებით შეეგება ახალ სასწავლო წელს. ბაზრობების მიმდებარე ქუჩებზე უამრავი ხალხი ირეოდა. ბავშვები და მშობლები სკოლისთვის ემზადებოდნენ. წელს ფასები ერთიორად იყო გაზრდილი — ბავშვის ქურთუკი, რომელიც ცოტა ხნის წინ 30 ლარი ეღირებოდა, ახლა 60 ლარი ღირდა, ზოგიერთ სასკოლო ბაზრობაზე კი რამდენიმეთეთრიან უბრალო კალამს ლარად ან ორ ლარად ყიდდნენ.

ბევრს ჯერ სასკოლო ბაზრობაზე არც შეუვლია — ჯერ მასწავლებლებმა უნდა გამოუცხადონ მოწაფეებს, რა წიგნებით აპირებენ სწავლებას. ამიტომაც სწავლის დაწყების შემდეგაც არ მოაკლდებათ სასკოლო ბაზრობებს მყიდველები.

მოქმედების ეპიცენტრი ტანსაცმლის ბაზრობა იყო. პატარა ბიჭს ახალი ფეხსაცმელი გულში ჩაეკრა და მშობლებთან ერთად მიიკვლევდა გზას ხალხში.

— მომეცი, ფეხსაცმელს ჩანთაში ჩავიდებ, — ეუბნებოდა დედა. ბიჭი ჯიუტად აქნევდა თავს უარის ნიშნად.

— მოგწონს? — ვკითხე პატარას.

— სკოლისთვის მინდა, — მომიგო სერიოზულად და ამაყად დახედა შენაძენს, — ეს რა არის, ჯერ მოსავალი აიღოს პაპამ, ფულს გამომიგზავნის და...

ყველა სიძვირეზე წუწუნებდა. გოგონები დაკვირვებით ირჩევდნენ ჩანთებს, ტანსაცმელს... უცებ მოხუცმა ქალმა წაიფორხილა, ხელი შეაშველეს.

— მაპატიეთ, ბებია გენაცვალოთ, დავბერდი, — ჩაილაპარაკა მორიდებით და ქუჩის განაპირას შეჩერდა სულის მოსათქმელად, — როგორ მიყვარდა პირველი სექტემბერი. სამ შვილს ვუშვებდი სკოლაში. თეთრ პერანგებსა და თეთრ წინსაფრებს რომ გავფენდი ეზოში, იფიქრებდით, თოვლი მოვიდაო. ვერაფრით შევეჩვიე ამ ჭრელჭრულებს...

ჭრელჭრულებით გახარებული ბავშვები პაჭუა ცხვირებს ხან ერთ ვიტრინას მიაჭყლეტდნენ, ხან მეორეს. ისმოდა გაუთავებელი „ეს მიყიდე, ის მომწონს“.

— მაგისი ფული არ მაქვს, — თითქოს დარცხვენილი ეუბნებოდა ჭაღარა მამაკაცი 11-12 წლის გოგონას და შუბლიდან სიმწრის ოფლს იწმენდდა...

— ძვირია... 80 ლარი ჩემი ერთი თვის ხელფასია, წიგნებისთვისაც ხომ უნდა გადავინახოთ ფული... — ჩუმად ეუბნება ახალგაზრდა ქალი ბავშვებს...

— წიგნებისთვის 10 ლარს მომცემენ, ხომ თქვეს...

— არ გვეყოფა, შენი წიგნები 64 ლარი ჯდება...

— მე ეს შარვალი მომწონს! — ჯიუტობდა ბიჭი...

სწავლის დაწყება განსაკუთრებით პირველკლასელებს უხაროდათ. ჩვენი ჩანთები და წიგნები უკვე სკოლაშია, პრეზიდენტმა გვაჩუქაო...

თბილისი ჩვეულ რიტმს უბრუნდება. სკოლების გასწვრივ სპეციალური ბარიერები გაკეთდა, რომ მანქანებმა სვლა შეანელონ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ხომ შეიძლება რომელიმე ცელქი ბიჭი გადმოხტეს სამანქანო გზაზე, მძღოლმა დამუხრუჭება უნდა მოასწროს... „ფრთხილად, ბავშვები!“ — მხოლოდ საგზაო ნიშანი როდია, მას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს. ....

**ლელა ჯიყაშვილი**




# სად ქრება თავსახურები

ამას წინათ რედაქციაში აღშფოთებული და სასოწარკვეთილი მოქალაქე მოვიდა. მისი ახლობელი ზოოპარკის წინ საკომუნიკაციო, ანუ სანიაღვრე ჭაში ჩავარდნილა. ხელ-ფეხი დამტვრევია, ოჯახს კი სამკურნალო ფული არ ჰქონია... ამ ამბავმა თავი უსუსურ ადამიანად მაგრძნობინა, — როდემდე შეიძლება საკუთარ სახელმწიფოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე საფრთხეს ელოდე?

როგორც წესი, მოპარული ლიუკები ჯართის ჩამბარებელ პუნქტებში შედის და გამორიცხული არ არის, აქ მომუშავე ხალხიც აღმოჩნდეს პირდაღებული ჭების მსხვერპლი, მაგრამ ეს ხომ ჯერ არ მომხდარა (საბედნიეროდ)! თანაც არც მოქალაქეობრივი და არც ადამიანური მოვალეობა არ უშლით ხელს სხვისი უბედურების ხარჯზე მოპოვებული გროშები ოჯახებში შეიტანონ. დახელოვნებული მაძებარიც რომ იყო, ჯართების ჩამბარებელ პუნქტებში ლიუკებს ვერ მიაგნებ, მაგრამ სიტუაციაში გასარკვევად ერთ-ერთ ასეთ შპს-ში მაინც წავედი. საბურთალოზე, ტროლეიბუსების ცენტრალურ სადგომში დახვავებული ჯართის რაოდენობამ გამაოგნა. სიმართლე გითხრათ, ამდენი ძვირფასი ნედლეულის არსებობას ქალაქის ერთი რაიონში კი არა, მთელ თბილისშიც არ მოველოდი. კითხვაზე, თუ სად მიდის ქალაქიდან ქვეყნისთვის ჰაერივით საჭირო პროდუქცია, ხსენებულ შპს-ში ასეთი პასუხი გამცეს:

— ჯერ ვაგონებში, ვაგონებით — ფოთში, იქიდან კი კაცმა არ იცის, სად.

— *თქვენი აზრით, საქართველოში შეგროვილი ჯართი მეტალურგიული ქარხნის ერთ საამქროს აამუშავებს?*

— ერთს კი არა, მთელ ქარხანას აამუშავებს. ხალხიც დასაქმდება, მაგრამ მაგაზე ვინ ფიქრობს, თვითონ ქარხანაც გაძარცვეს და ჯართად გაყიდეს.

— *სანიაღვრე და საკომუნიკაციო ჭებიდან მოპარული ლიუკების ჩაბარება ნებისმიერ ჯართის ჩამბარებელ პუნქტში შეიძლება?*

— კი, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე ლიუკებს არ ვიღებ. თუ არ გჯერათ, დაიარეთ აქაურობა და თუ სადმე ერთ ლიუკს ნახავთ, სადაც გინდათ მიჩივლეთ.

— *აქ ათობით ტონა რკინაა, ამ მასაში ლიუკებს როგორ ვიპოვი?..*

— ჩემს სიტყვას უნდა ენდოთ. ლიუკების მოპარვა და ჯართად ჩაბარება დანაშაულია. ყველა მომსვლელს პირადობის საბუთს ვთხოვთ. ამასთან, უბნის პოლიციის ინსპექტორიც ხშირად გვამოწმებს.

— *არც უბნის ინსპექტორისთვის იქნება ადვილი ამ საქმეში გარკვევა. მით უმეტეს, ლიუკის დაჭრას რამდენიმე წუთში მოახერხებთ...*

— ამ დანაშაულში გამოჭერა პოლიციისთვის იოლია. თუ მოინდომეს, ლიუკს კი არა, ჟანგიან ნემსს იპოვიან.

— *ქალაქში ასობით ლიუკია მოპარული, ფაქტია, რომ ვიღაც იღებს. მაინც რამდენი კილოგრამია, რას უხდიან ლიუკებში?*

— ასე 60 კილოგრამამდე იქნება. კილოგრამი 10 თეთრი ღირს(?!).

რა თქმა უნდა, ამ თემაზე უბნის ინსპექტორის აზრითაც დავინტერესდი. სხვათა შორის, ჯართის მიმღებმა ხალისით მაჩვენა ახლო მდებარე შინაგან საქმეთა სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მეორე განყოფილება, სადაც ჩემსა და პოლიციელებს შორის სიტყვასიტყვით ასეთი საუბარი შედგა:

— *სად შეიძლება უბნის ინსპექტორის ნახვა?*

— არ არის, მოგვიანებით იქნება! რა გაინტერესებთ?

— *მითხრეს, რომ უბნის ჯართის ჩამბარებელ შპს-ებს აკონტროლებს. მაინტერესებს, ხშირია თუ არა ქუჩებიდან მოპარული ლიუკების ჩაბარების შემთხვევები.*

— უბნის ინსპექტორს ჯართის შემოწმება არ ეხება.

— *აბა, საკუთარი ინიციატივით დადის პუნქტებში?*

— არავინაც არაფერს არ ამოწმებს, ტყუილი უთქვამთ, რა პოლიციის საქმეა, ამოწმოს რამდენი ქუჩაა გადათხრილი?!

— *ქუჩების გადათხრაზე კი არა, ქურდობაზე გელაპარაკებით, ეს პოლიციის საქმეა!*

— რა იცით, რომ ქურდობაა? ეგებ ლიუკები თავისით დაიმტვრა და ცვლიან, ახლა იმას გვავალებთ, წავიდეთ და გავიგოთ, სად რამდენი საკანალიზაციო ჭაა თავახდილი? საჩივრის შემოტანის გარეშე, ეგ ამბავი ჩვენ არ გვეხება! მისამართი შეგეშალათ! — ქალაქის მერიის საგზაო სამსახურებში უნდა მიხვიდეთ...

საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა — „განცხადების გარეშე პოლიცია უფლებამოსილი არ არის“ და არც დასახიჩრებული ადამიანების ბედი აინტერესებს — კანონი ასეთი ყოფილა(?!). მეც შევეცადე მათგან მოხსენიებული გაურკვეველი დანიშნულების საგზაო სამსახურები მეპოვა ქალაქის მერიაში და მხოლოდ ის დავადგინე, რომ ეს სამსახურები ქალაქის სხვადასხვა ადგილზეა განლაგებული და რახან ლიუკები სხვადასხვა დანიშნულებისაა (საკანალიზაციო, სანიაღვრე, საკომუნიკაციო), მათზე პასუხისმგებლობაც სხვადასხვა ორგანიზაციას ევალება.

> სხვათა შორის, მოსახლეობას შემჩნეული ჰყავს „რაფის“ ტიპის ავტომანქანა, რომელსაც ჩანს, იატაკი აქვს ამოჭრილი. დადგება ნებისმიერი ჭის ზემოთ და რამდენიმე წუთში მისი სახურავი ქრება. მხოლოდ ქალაქის მარჯვენა სანაპირო ზოლში 150 სანიაღვრე ცხაურია მოპარული. საერთოდ, ქალაქში კი 1000-ზე მეტი.



როგორც იქნა, ვიპოვე სანიაღვრე ლიუკების მაკონტროლებლები. საბედნიეროდ, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარ ინჟინერთან, ბატონ **მერაბ შავლაძესთან** საუბარში ვიგრძენი, რომ ეს პრობლემა საგანგაშოდ მხოლოდ მე არ მომჩვენებია.

— *ბატონო მერაბ, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით თქვენს სამსახურს თუ ევალება, რომ პოლიციას მიმართოს?*

— არა მარტო ჩვენ, არამედ ყველას, ვინც ქუჩებში ჭებს აკონტროლებს. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ პოლიციას. ერთხელ დიდუბის რაიონში გასაყიდად გატანილი 18 ცალი ასფალტის ცხაური აღმოვაჩინეთ. რა თქმა უნდა, მაშინვე შევატყობინეთ პოლიციას. შედეგი, თავადაც ხედავთ, როგორია.... არ ვიცი, ვერ იჭერენ ამ ხალხს თუ სხვა რამეშია საქმე. არადა, ერთი კაცი მაინც რომ დაესაჯათ, სხვა ველარ გაბედავდა ქურდობას. სხვათა შორის, მოსახლეობას შემჩნეული ჰყავს „რაფის“ ტიპის ავტომანქანა, რომელსაც ჩანს, იატაკი აქვს ამოჭრილი. დადგება ნებისმიერი ჭის ზემოთ და რამდენიმე წუთში მისი სახურავი ქრება. მხოლოდ ქალაქის მარჯვენა სანაპირო ზოლში 150 სანიაღვრე ცხაურია მოპარული. საერთოდ, ქალაქში კი 1000-ზე მეტი. ეს მხოლოდ სანიაღვრე ჭებია, ანუ ის, რაც ჩვენი სამსახურის კომპეტენციაში შედის. ახლა ამას დაუმატეთ საკანალიზაციო და საკომუნიკაციო ცხაურები! საკანალიზაციო ლიუკების ქურდობა უფრო საშიშია, ისინი ქუჩის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული და თავლია ჭების გამო მოქალაქეთა დაშავების შემთხვევები მომრავლდა... ახლახან თურქეთში ვიყავი, სადაც ჩასაკეტი ცხაურები შემოგვთავაზეს — თითო 300 დოლარი ჯდება(!). ალბათ მაისიდან დავიწყებთ შემოტანას, სხვა გზა არ არის. ჯერჯერობით კი ცხაურებს წყალსადენის სარემონტო ქარხანაში გვიკეთებენ და რაშიც ჯართის მიმღები პუნქტები ჩამბარებლებს 6 ლარს უხდიან, ჩვენ 200 ლარს ვიხდით. აი, ასეა საქმე!

**ეთერ ერაძე**

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „პიჯაკის სარჩულში „გამოკერებული“ კაცობა...“ — 89 ხმა
2. **ზვიად სეხნიაშვილი** — „1795 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიამ ათიათასობით ქართველი შეიწირა“ — 42
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „კაცი თავის სამშობლოში უნდა ცხოვრობდეს“ — 33

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ვაჟა გავაშელს**; მეორე პრემია — 20 ლარი — **ზვიად სეხნიაშვილს,** ხოლო მესამე — 15 ლარი — **ლელა ჯიყაშვილს.**

***მკითხველის პრემიის მფლობელები 329 რესპონდენტმა გამოავლინა***

# საქართველოს პრეზიდენტზე „არშემდგარი თავდასხმა“ მოსკოვში(?!)

## ფე-ეს-ბემ სააკაშვილის დასაცავად „თავი გამოიდო“



აფხაზეთიდან ლტოლვილი ვასილ ახალაშვილი მოსკოვში ფე-ეს-ბეს მითითებით დააკავეს. სამოცდათორმეტი წლის ახალაშვილის (რუსი სამართალდამცავების მხრიდან ანგარიშსწორების შიშით, მისი თხოვნით გვარს ვცვლით. — დ.დ.) დაკითხვა მისსავე ბინაში მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბრალდება სერიოზული იყო — რუსული თემიდა ახალაშვილს არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის მოწყობის განზრახვას სდებდა ბრალად. ბინის საგულდაგულოდ გაჩხრეკისა და სათანადო ოქმების შედგენის შემდეგ მილიციამ ახალაშვილის დაპატიმრება მიზანშეწონილად არ ცნო. თუმცა, კატეგორიულად გააფრთხილეს — მოსკოვში ვიზიტად მყოფ პრეზიდენტ სააკაშვილის ესკორტს ახლოს არ გაჰკარებოდა, თორემ ციხიდან მამაზეციერიც ვერ დაიხსნიდა.

ცოტა ხნის წინ ვასილ ახალაშვილმა მოსკოვიდან ძმა ჩამოასვენა. ძმის სიკვდილითა და დაუმსახურებელი ბრალდებით დამწუხრებული კაცი კარდიოლოგიურ კლინიკაში გულის შეტევით მოხვდა. საავადმყოფოდან გამოსული **ვასილ ახალაშვილი** „კვირის პალიტრაში“ გვეწვია და მომხდარი გვიამბო:

— მოსკოვში აფხაზეთიდან დევნილთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ვარ. ამა წლის 4 თებერვალს გავიგეთ, რომ ჩვენი პრეზიდენტი აპირებდა მოსკოვში ჩამოსვლას. იმავე დღეს გამოვგზავნეთ საგარეო საქმეთა სამინისტროში დეპეშა თხოვნით, თუ მოხერხდებოდა, დღის წესრიგში პრეზიდენტთან ჩვენი შეხვედრაც ჩაერთოთ, რათა ახალი პრეზიდენტისთვის ჩვენი გულისტკივილი გაგვენდო.

**— საგარეო საქმეთა სამინისტრომ რა გიპასუხათ?**

— პასუხი არ მიგვილია. 10 თებერვალს შევიტყვეთ, რომ პრეზიდენტი ჩამოდიოდა. იმავე დღეს ჩვენს საელჩოს ტელეფონით დავუკავშირდით. ელჩის მოვალეობას მაშინ თემურ გამცემლიძე ასრულებდა. მის მდივანს ავუხსენი, რაც გვინდოდა. მდივანი დამპირდა, ვეცდებით დაგეხმაროთო, მაგრამ აღარავინ დაგვკავშირებია. ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. საღამოს შვიდ საათზე ერთმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა — „ეხო მოსკვიში“ პრეზიდენტი სიტყვით გამოდის და მოუსმინე, ხვალ კი ქართულ ეკლესიაში ხვდება მოსკოველ ქართველებს, მაგრამ იქ მოხვედრა მხოლოდ მოსაწვევი ბარათით შეიძლება და რა გვეშველება, პრეზიდენტს როგორ შევხვდეთო. ვუთხარი, მივალ და ვნახავ, ვინ არ მიმიშვებს პრეზიდენტთან-მეთქი. შინ მხოლოდ მე და ჩემი პატარა შვილიშვილი ვიყავით. ღამის თორმეტ საათზე, ის იყო, დასაძინებლად მოვემზადეთ, რომ კარზე კაკუნი გაისმა. გავაღე და ავტომატებით შეიარაღებული ოთხი მილიციელი შემოვარდა. ხელები აგვაწევინეს და კედელზე აგვაყუდეს. სანამ მთელი ბინა არ გადაჩხრიკეს, ასე ვიდექით. შემდეგ მაგიდასთან დამსვეს და დაკითხვა დამიწყეს. ვეკითხები, რაშია საქმე-მეთქი. დღეს სად დარეკეო? — მკითხეს. ვუპასუხე, რომ მოსკოვში, ჩვენს საელჩოში დავრეკე და პრეზიდენტთან შესახვედრად საჭირო მოსაწვევი ვთხოვე. პირდაპირ მომახალეს: პრეზიდენტზე თავდასხმა გაქვთ განზრახული და იზოლაცია უნდა გაგიკეთოთო.

დაკითხვა დილის 4 საათამდე გაგრძელდა. ყველა საბუთი ვაჩვენე. 72 წლის კაცი ვარ და რომელი კაცის მკვლელი მე მნახეთ და მით უმეტეს ჩვენს პრეზიდენტზე თავდამსხმელი-მეთქი.

**— მილიციელები ფორმით იყვნენ?**

— დიახ, ოთხივე ფორმაში იყო. ბოლოს ოქმი შეადგინეს და მითხრეს, ცუდი კაცი არ ჩანხარ და ამჯერად არ აგიყვანთ, ოღონდ საელჩოში მეორედ აღარ დარეკო, თორემ ვეღარ გადარჩებიო. თქვენმა საელჩომ თხოვნით მიმართა ფე-ეს-ბეს და თქვენი იზოლაცია მოითხოვა, ფე-ეს-ბემ კი ჩვენ დაგვავალა ეს საქმეო.

გაოგნებული დავრჩი. რატომ? რისთვის? რომელი ბინ ლადენი და ტერორისტი მე მნახა ჩვენმა საელჩომ? მეორე დღეს 11 საათზე მივედი ეკლესიაში. უსიტყვოდ შემიშვეს. პრეზიდენტიც იქ იყო. ხელი ჩამომართვა. ხომ არ ვაკადრებდი, ასე და ასე გამიკეთეს-მეთქი. შორიახლოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე ესაუბრებოდა თენგიზ კიტოვანს. ბოდიში მოვუხადე, მათ საუბარში ჩავერიე და ბატონ თედოს ვკითხე, ისეთი რა დავაშავე, რომ ქართველი კაცი რუს მილიციელებს მიმაგდეთ-მეთქი, მით უმეტეს, არჩევნების დროს კბილებით ვიბრძოდით, რომ შევარდნაძის მომხრეებს მოსკოვში არჩევნები არ გაეყალბებინათ და მიხეილ სააკაშვილს გაემარჯვა-მეთქი. იქვე იდგა თემურ გამცემლიძე. ჯაფარიძემ დაავალა — ამ კაცს მოუსმინეო. გამცემლიძემ მითხრა, რომ ამ თემაზე სალაპარაკო ადგილი ეკლესიაში არ იყო და სამი-ოთხი დღის შემდეგ, როცა პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნდებოდა, მაშინ დავკავშირებოდი.

**— სამი დღის შემდეგ შეხვდით?**

— თხუთმეტი დღე ვცდილობდი გამცემლიძესთან დაკავშირებას. როგორც იქნა, ერთხელ აიღო ყურმილი. მიყვირა: რა რეკვა აგიტყდა, საშველს არ გვაძლევ და არ გვასვენებო. კიდევ ხომ არ მოგინდა მილიციელებიო(?!). ყველა მოღალატეები ხართ, ვინც საქართველოდან მოსკოვში გამოიქეცით და ახლა მოგინდათ პრეზიდენტიო? არადა, პრეზიდენტმა იმ დღეს ეკლესიაში იცით, რა თქვა? საქართველოს დასაკარგი შვილები არ ჰყავს. როგორც საკუთარ სახლში, ისე უნდა მიხვიდეთ ჩვენს საელჩოში და იქ უნდა ეძიოთ თავშესაფარიო. აი, როგორი თავშესაფარი მაპოვნინეს. მაინცდამაინც ცნობილი მომღერალი და მოქანდაკე უნდა იყო, მოსკოვში საკუთარ პრეზიდენტს რომ შეხვდე?

**— თქვენი ისტორია როგორ დამთავრდა?**

— კანონის ძალით უფლება მქონდა სასამართლოში სარჩელი აღმეძრა გამცემლიძის წინააღმდეგ, მაგრამ არ ვიკადრე. ქართველმა ქართველს მოსკოვში სასამართლო პროცესამდე როგორ უნდა მიუყვანოს საქმე? ისედაც ამრეზით გვიყურებენ რუსები და რატომ უნდა ვათქმევინოთ, ქართველები ერთმანეთს ჭამენო. ამასობაში, ძმა გარდამეცვალა და თბილისში ჩამოვასვენე. გადავწყვიტე, სამართალი აქ მაინც მეპოვა. ხუთჯერ მივმართე საგარეო საქმეთა სამინისტროს და ერთხელ მივიღე პასუხი, ისეთი, კაცი რომ მოკვდება და სამძიმარს გამოუცხადებენ: ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას, მაგრამ რუსეთის ფუნქციებში ჩვენ არ ვერევითო. რა შუაშია რუსეთის ფუნქციებში ჩარევა?

**— მოსკოვში თქვენი ტელეფონი ხომ არ ისმინება? იქნებ საელჩოდან არც დაურეკავთ ფე-ეს-ბეში?**

— იქნებ ისმინება კიდეც, მაგრამ არავის საწინააღმდეგო მე არაფერი მითქვამს და რატომ შემომიცვივდნენ შინ, გაუგებარია.

**— იქნებ იმიტომ, რომ ფე-ეს-ბეს თავი მოეწონებინა და ეთქვა, აი, საქართველოს პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე როგორ ვზრუნავთო. მერე რომ გნახეს ხანში შესული იყავით, თავი დაგანებეს; ანუ ეს რომ უბრალოდ პროვოკაცია იყო, ამაზე არ გიფიქრიათ?**

— გასაგებია, მაგრამ თუკი საელჩოს არ დაურეკავს ფე-ეს-ბეში და არაფერ შუაშია, მაშინ რატომ არ გაარკვიეს, რაც მოხდა. ხომ უნდა დაინტერესებულიყვნენ? საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში მითხრეს, მინისტრის თანაშემწე გიორგი თუმანიშვილი ჩაიბარებს თქვენს განცხადებას და ყველაფერი გაირკვევაო. პასუხი დღემდე არ მიმიღია და არაფერიც არ გარკვეულა...

ასეთია მოსკოვში მცხოვრები ერთი რიგითი ქართველის რამდენიმედღიანი თავგადასავალი. ვალერი ახალაშვილი მართლაც რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დადგმული სპექტაკლის მსხვერპლია თუ ჩვენმა საელჩომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მისი პრეზიდენტთან შეხვედრა, ძნელი სათქმელია. მაგრამ მას აქვს უფლება, იცოდეს რატომ ან ვინ შეიტანა მის პიროვნებაში ეჭვი. ამის გასარკვევად მოსკოვში საქართველოს საელჩოს დავუკავშირდით, სადაც კომენტარზე კატეგორიული უარი განგვიცხადეს და გვირჩიეს, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიგვემართა. ამომწურავი პასუხი ვერც ამ უწყებაში მივიღეთ, გარდა იმისა, რომ ფე-ეს-ბეში საქართველოს საელჩოდან დარეკვა კატეგორიულად უარყვეს.

P.S. იმედია, ვალერი ახალაშვილი სამართლიანობის აღდგენას მაინც შეძლებს. თუმცა აქ კიდევ ერთი გარემოებაა დასაფიქრებელი. წინა ხელისუფლების დროს სხვადასხვა ქვეყანაში განთავსებულ საელჩოებს ხშირად სდებდნენ ბრალს, რომ ეს უწყებები ხშირად „სხვა საქმეებით“ იყვნენ დაკავებულნი და საქართველოს მოქალაქეების ბედ-იღბალი ნაკლებად აღელვებდათ. იმედია, ამგვარი გულგრილობა და უსამართლობა სამუდამოდ ჩაჰბარდება ისტორიას და უცხოეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეებისთვის ჩვენი საელჩოები მართლაც თავშესაფარი იქნება.

***დავით დევდარიანი***

# მოგზაურობა პანკისში... ტერორისტების საძებრად

## ჩაბნელებულ სოფელში მოგიზგიზე კოცონი შორიდანაც კარგად მოჩანს(!)

მოსკოვის მორიგმა მუქარამ — პრევენციულ დარტყმებს მივაყენებთ იმ ქვეყნებს, სადაც ტერორისტთა ბანაკებიაო — ძალაუნებურად შეაშფოთა საქართველო და განსაკუთრებით პანკისის ხეობა.

მართალია, საქართველოში და კერძოდ, პანკისში არ დარჩენილა ტერორისტთა ბანაკები, მაგრამ რუსეთს ძალიან უნდა მიჰბაძოს ამერიკას და ერაყის მაგალითი ჩვენშიც გაიმეოროს(!).

ორი დღის განმავლობაში საკუთარი მანქანით კიდით კიდემდე მოვიარე პანკისის ხეობა, მაგრამ ჩემმა მოგზაურობამ ვერავითარი შედეგი „ვერ გამოიღო“ — იქ ტერორისტების და, მით უმეტეს, მათი ბანაკის ნიშანწყალსაც ვერ მივაგენი.

სულ ორიოდე წლის წინ კი ხეობაში უამრავი უნომრო მანქანა ირეოდა, რომლებიდანაც ავტომატიანი, წვეროსანი ჯიგიტები დაჟინებით გაკვირდებოდნენ, ხოლო ზოგიერთ სოფელში შესვლა ნამდვილად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

დუისისა და წინუბნის გამგებლის, ჯარაფ ხანგოშვილის თქმით, დღეს ხეობაში სიმშვიდეა და მოსახლეობა ძირითადად მოსავლის აღებაზე ფიქრობს, რადგანაც პანკისში ერთ კომბაინსაც წამლად ვერ იპოვით.

მოსახლეობას ელექტროენერგია მხოლოდ ღამით მიეწოდება, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ მოესმინათ ჯერ რუსეთის მუქარა და შემდეგ საქართველოში აშშ-ის სრულუფლებიანი ელჩის კომენტარი. ყოველივე ამან კი დაბომბვების შიში გააძლიერა.

რასაც აქ ჩამოსული კაცი აუცილებლად შეამჩნევს, ხეობის ბოლოში ხადორჰესის მშვენიერი, თანამედროვე ჰიდროელექტროსადგურია, რომელსაც მაქსიმუმი — 24 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია, რაც არათუ პანკისის ხეობას, არამედ კახეთის ნახევარსაც ეყოფა. მაგრამ იმის გამო, რომ ხადორჰესის ჩინელი ინვესტორები და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო დღემდე ვერ შეთანხმდნენ გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურზე, ჰიდროელექტროსადგური გაჩერებულია, ხოლო პანკისის ხეობა — წყვდიადში ჩაძირული(!).




ხეობაში კვლავ ფუნქციონირებს შინაგანი ჯარების რამდენიმე საგუშაგო, მაგრამ ღამღამობით ორლობეებში სამხედროების ჯავშანტექნიკა აღარ მორიგეობს. გარკვეულწილად, ესეც იმაზე მეტყველებს, რომ საგანგაშო მდგომარეობა აღარ არის და იქაურობას რამდენიმე კრიმინალური ელემენტის გარდა, არანაირი მსხვილი შეიარაღებული დაჯგუფება არ აფარებს თავს.

ტერორისტების ძებნაში გართულები სოფელ დუისში გადავეყარეთ მძიმედ დატვირთულ ორთვალას, რომელსაც სახედარი მიათრევდა. ოღონდ ორთვალაში ტერორისტების „კალაშნიკოვები“ კი არ ეწყო, არამედ პურის ფქვილით სავსე ტომრები. მათზე დიდი ასოებით USA ეწერა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 8)***

მოისმინეთ ამერიკის ხმის
VOA >
www.voanews.com

# 500 ლარი 2000-დოლარიან ბრილიანტში?!

## თუ ოქრო არ შემოდის, საიდან გაჩნდა ამდენი საიუველირო მაღაზია?

ნათქვამია, რაც ბრჭყვიალებს, ყველაფერი ოქრო არ არისო. ეს რომ ასეა, ამ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ერთი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შემხვდა. შევატყვე, უგუნებოდ იყო. მიზეზი რომ ვკითხე, ასეთი რამ მიამბო:

— ორი კვირის წინ ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა. ვიფიქრე, რძალს კარგ საჩუქარს ვუყიდი-მეთქი, ჰოდა, რუსთაველზე ერთ-ერთი მაღაზიის საიუველირო განყოფილებაში სამასლარიანი ოქროს ძეწკვი ვიყიდე. არც დავეჭვებულვარ, დღისით, მზისით მაღაზიაში ხომ არ მომატყუებენ-მეთქი... არც ჩეკი მომითხოვია, არც რამე საბუთი. ორი დღეც არ უტარებია ჩემს რძალს ჩემი საჩუქარი, დამირეკა და მთხოვა, შენს საჩუქარს ოქრომჭედელს წავუღებ, გადავადნობ და შენგან სახსოვრად ერთ კარგ ბეჭედს გავაკეთებინებ, ასეთი ძეწკვები ისედაც მაქვსო. ვიფიქრე, წავყვები და დავეხმარები-მეთქი. ნაცნობ ოქრომჭედელს რომ ვანახვე, მითხრა: ოქროს წყალში ამოვლებული რკინა გიყიდიაო. იმ მაღაზიაში გავვარდი, იქ კი აქეთ მომდეს შარი: ვიღაც ინტრიგანი ხარ, ჩვენნაირი სერიოზული მაღაზია ასეთ რამეებს არ ყიდისო(?!). ასე დავკარგე ჩემი სამასი ლარი და რძალთანაც შევრცხვი. იმ მაღაზიის მეპატრონეებთან ლაპარაკს რომ შევყოლოდი, შევატყვე, უფრო სერიოზულ შარში გავეხვეოდი და გაჩუმება ვამჯობინე... ალბათ ჩემნაირი რამდენია...

როგორც ჟურნალისტი, ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი. დაწვრილებით გამოვკითხე, სად და რომელ მაღაზიაში შეიძინა ოქროს „ნაკეთობა". გადავწყვიტე, მაღაზიის ადგილმდებარეობა და მისი მეპატრონეთა ვინაობა საჯაროდ გამომემზეურებინა, სხვებიც რომ არ შემცდარიყვნენ, მაგრამ როგორც შევიტყვე, ფალსიფიცირებული ნაკეთობებით გაჯერებული ყოფილა თბილისის ოქროს ბაზარი. როგორც სპეციალისტებმა აგვიხსნეს, ოქროს ნაკეთობის მყიდველ კაცს ორი რამისა უნდა ეშინოდეს: შეიძლება მას ოქროს წყალში ამოვლებული უბრალო ლითონი შეაპარონ, ან ოქროს ნაკეთობაზე ამოტვიფრული სინჯი სინამდვილეში ყალბი იყოს, რაც ასევე აუფასურებს ნაკეთობას და მყიდველს ძვირფასი ნივთის ნაცვლად, ხელთ რამდენიმე გრამი ჯართი რჩება.

რატომ არის ოქროს ბაზარზე ასეთი განუკითხაობა და რა გამოსავალი არსებობს შექმნილი ვითარებიდან, ამ თემაზე „კვირის პალიტრას" „ძვირფასი ლითონებისა და ქვების სამოქალაქო ზედამხედველობის საზოგადოების" ხელმძღვანელი **მიშა ბეგიაშვილი** ესაუბრება:

— ოქროს ნაკეთობათა ფალსიფიცირებისგან განვითარებული ქვეყნებიც კი არ არიან დაზღვეული. თავად შევიქენი ამის მოწმე ჩეხეთში, — თითბრის ნაკეთობას ოქროდ ასაღებდნენ და ყიდდნენ. თუკი ასეთი რამ ისეთ ქვეყნებში ხდება, როგორიც ჩეხეთი ან ამერიკაა, ცხადია, საქართველოც ვერ იქნება დაცული.

— **მაგრამ ლაპარაკია არა ერთეულ შემთხვევაზე, არამედ მთლიანი ოქროს ბაზრის მდგომარეობაზე. საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა მყიდველს ხელთ ყალბი ნაკეთობა შერჩენია.**

— დღეს საქართველოში ძვირფას ლითონებზე რეალური ფასი არ არის დადგენილი. მსოფლიო ბაზარზე ერთი გრამი სუფთა ოქრო 12 დოლარი ღირს. იგივე ფასი დომინირებს ჩვენშიც. დავუშვათ, ჩვენმა იუველირმა იყიდა ოქრო 12 დოლარად. ამასთან, ნაკეთობის დამზადებისას რაღაც ხარჯებიც გასწია. მაგრამ იძულებულია, ნაკეთობა თითქმის თვითღირებულებით გაყიდოს — ძვირი რომ დააფასოს, აღარავინ იყიდის.

— **ანუ იძულებულია, უხარისხო გააკეთოს?**

— უხარისხობა იუველირის ბრალი არ არის — უხარისხო თავად ის ნედლეულია, რომელსაც იყენებს. არ არსებობს სტანდარტები, რომლითაც შემსყიდველმა მასალა უნდა იყიდოს — ვთქვათ, ოქრო 585 სინჯის უნდა იყოს, მაგრამ არ არის დადგენილი, რა პარამეტრებში უნდა იყოს ამ ოქროს სხვა შენადნობები — რამდენი უნდა იყოს ვერცხლი, სპილენძი და ა.შ. თუ დიდი შემცველობით არის რკინა, იგი ოქროს მოდიფიკაციას უკარგავს და მსხვრევადს ხდის. ძეწკვი რომ ხშირად წყდება და იმსხვრევა, ჭარბი რკინის შემცველობის გამო ხდება — ოქრო სირბილეს კარგავს და მყიფდება.

— **ჩვენს ოქროს მყიდველი არ აკლია. ამიტომ რაღაც გამოსავალი უნდა მოიძებნოს. როგორ გაარჩიოს მყიდველმა ყალბი ნამდვილისგან?**

— ვერ გაარჩევს(!). ლატარიასავითაა — ნაყიდი ოქროს ნაკეთობა ან გამოგადგება, ან — არა...

როგორც ხედავთ, ჩვენს ოქროს ბაზარზე სავალალო მდგომარეობაა, ანუ მყიდველს ეს „ლატარია" შეიძლება რამდენიმე ასეული ლარი დაუჯდეს და ხელთ მდარე ხარისხის ნივთი შერჩეს.

შპს „ბრილიანტის" ხელმძღვანელმა **ამირან მარიამიძემ** დაგვიდასტურა, რომ ოქროს სინჯი ზოგჯერ არ ემთხვევა ნაკეთობაზე აღნიშნულ დამღას:

— პრობლემების თავიდან ასაცილებლად შემძენებს შეუძლიათ ოქროს ხარისხი ექსპერტებთან შეამოწმონ, რომლებიც იმავე დარბაზში სხედან, სადაც ოქრო იყიდება.

თუ ექსპერტის დასკვნა არასწორი იქნება, მას პასუხისგება მოუწევს.

— **ძირითადად, მაინც რა სახის ფალსიფიკაცია გვხვდება?**

— ყველაზე ხშირად სინჯი არ ემთხვევა. აწერია 585 და სინამდვილეში კი ხუთასია. ეს უკვე სერიოზული წუნია და ასეთ შემთხვევაში გამყიდველს ვაიძულებთ, ნაკეთობა ქსელიდან ამოიღოს...

ერთი სიტყვით, ასეთი ინსტრუქციების შემდეგ, წესით და რიგით, ყველაფერი კარგად უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ირკვევა, არც ექსპერტთა შემოწმება ყოფილა საკმარისი. ეს საქართველოს ეროვნულ ზარაფხანაში გვითხრეს. ვიდრე ზარაფხანის გენერალურ დირექტორს შევხვდებოდით, ზარაფხანის თანამშრომლებმა გაგვესაუბრეს, რომლებიც ასევე ადასტურებენ, რომ ფალსიფიკაცია ქართული ოქროს ბაზრის სერიოზული პრობლემაა. — ნედლეულში ხშირად სინჯია დაბალი, — გვითხრა ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქალბატონმა, — გარდა ამისა, არც ექსპერტები არიან სანდო. არსებობს სპეციალური ხსნარი — თუ მისი დასხმისას ოქრომ ფერი არ შეიცვალა, ე. ი. ნამდვილია. მაგრამ არის ისეთი ლითონებიც, ფერს რომ არ იცვლიან და ექსპერტებიც ცდებიან. ასეთი შემთხვევა ბევრია...

ზარაფხანის დირექტორი **დათო ლორთქიფანიძე:** — ამ ქაოსის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ბოლო წლების განმავლობაში ოქროს იმპორტი თითქმის არ არის დაფიქსირებული (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე საფირმო საიუველირო მაღაზიას, რაც ზღვაში წვეთია), — ეს პარადოქსია. გადახედეთ ჩვენს ოქროს ბაზარს, რამდენი ოქროა შემოტანილი. მხოლოდ თბილისში ოქროს ბიზნესში დღეს ათასზე მეტი კაცია ჩაბმული. კანონით, ეს ხალხი აღრიცხვაზე უნდა იყოს აყვანილი სასინჯი ზედამხედველობის დეპარტამენტში და თითოეულს სახელობითი დამღაც უნდა ჰქონდეს. როგორ ფიქრობთ, რამდენს ექნება დამღა? მხოლოდ სამოცდაათს აქვს ათასი კაციდან. დანარჩენი არალეგალურად მუშაობს. გამჭვირვალე ბიზნესის წილი ჩვენს ბაზარზე უმნიშვნელოა.

ჩემი მონაცემებით, ქვეყანაში თვეში დაახლოებით 10 მილიონი ლარის ოქრო ბრუნავს. ე. ი. ჩვენი ფინანსები უკონტროლოდ მიედინება იმ ქვეყნებში, საიდანაც საეჭვო ხარისხის ოქრო შემოდის. ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი კილოგრამი ოქროს შემოტანა დაფიქსირდა. თუ ოქრო არ შემოდის, საიდან გაჩნდა ამდენი საიუველირო მაღაზია?

ყოფილა შემთხვევა, შეგვიმოწმებია ჩვენს ლაბორატორიაში რომელიმე ნაკეთობა და სინჯი განსხვავდება ნაკეთობაზე მითითებულისგან. ბაჯაღლო, რომელსაც 958 სინჯი ადევს, სინამდვილეში 700 სინჯის აღმოჩენილა. ყველაზე „მუშა" სინჯი ჩვენს ბაზარზე — 585-ია, სინამდვილეში კი ოთხასს ძლივს აღწევს. ამით მწარმოებელი დიდად ხეირობს. სამაგიეროდ, იყიდი ასეთ ოქროს და ცოტა ხანში ფერს შეიცვლის. ასეთ თაღლითობასაც მიმართავენ — წვრილი რკინის მავთული გასანთლულია(?!) და მერე ამოვლებულია ოქროს წყალში. ასეთი „ბეჭდებიც" არის ჩვენს ბაზარზე.

ანალოგიური მდგომარეობაა ძვირფას თვლებთან დაკავშირებითაც. ერთმა ქალბატონმა ბრილიანტი მოუტანა ჩვენს ცნობილ სპეციალისტს, ბადრი კოშკელს. ქალს ეშმაკურად უკითხავს, გაყიდვა მინდა და რამდენი დავაფასოო. ბადრის უთქვამს — დიდი-დიდი 500 ლარი თუ აილე, ჩათვალე, რომ კარგად გაგიყიდიაო. მერელა გვითხრა იმ ქალბატონმა, რომ ბრილიანტში (თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში) 2 ათასი დოლარი გადაუხდია...

როგორც ხედავთ, სანუგეშო ვერც ზარაფხანის დირექტორმა გვითხრა რამე. არადა, ეს ის შემთხვევაა, როცა დუმილი ნამდვილად არ არის ოქრო. ადამიანები არც ისე ხშირად, მაგრამ ერთხელ მაინც ყიდულობენ ძვირფას ნივთს, რომელიც დროთა განმავლობაში ოჯახურ რელიკვიად იქცევა ხოლმე. და რაოდენ სამწუხაროა, როცა ერთ დღეს აღმოაჩენ, რომ წლების წინ ნაყიდი სანუკვარი ნივთი სულაც არ ყოფილა ძვირფასი ლითონი და მხოლოდ და მხოლოდ ფალსიფიცირებული ნაკეთობაა.

P.S. სულ მალე პარლამენტში შევა კანონპროექტი, რომელიც ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების დეპარტამენტის გაუქმებას ითვალისწინებს. ამ კანონპროექტით გაუქმდება სახელობითი დამღის მექანიზმიც. ძვირფასი ლითონების კონტროლს საქსტანდარტის მიერ აკრედიტებული კერძო ლაბორატორიები გასწევენ(?!). სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამ პროექტს პარლამენტი დაამტკიცებს. ზოგი ამბობს, დეპარტამენტი მუშაობს და ასეთი ქაოსია და უმისოდ რაღა იქნებაო. ოპონენტები კი ამბობენ, ქაოსიც სწორედ იმიტომ არის, რომ დეპარტამენტი ვერაფერს აკეთებსო. რომელი მხარე გაიმარჯვებს, მომავალში გაირკვევა, მაგრამ მთავარი ის არის, მდგომარეობა გამოსწორდეს და ჩვენი მოქალაქეები ფალსიფიცირებულ ოქროს გამყიდველთა თაღლითური ქსელის მსხვერპლად არ იქცნენ. აფერისტებს კი არც ჩვენი სამართალდამცველების ყურადღება აწყენდათ.



ოქროს ნაკეთობის მყიდველ კაცს ორი რამისა უნდა ეშინოდეს: შეიძლება მას ოქროს წყალში ამოვლებული უბრალო ლითონი შეაპარონ, ან ოქროს ნაკეთობაზე ამოტვიფრული სინჯი სინამდვილეში ყალბი იყოს, რაც ასევე აუფასურებს ნაკეთობას და მყიდველს ძვირფასი ნივთის ნაცვლად, ხელთ რამდენიმე გრამი ჯართი რჩება.



# ტექდათვალიერებას არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი აღარ გაივლის?!



დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა, როცა „მარშრუტკა" ბორდიურზე ახტა და ტროტუარზე ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. როცა ასეთი მანქანა შემოწმდა, აღმოჩნდა, რომ მუხრუჭები წესრიგში არ ჰქონდა და მძღოლი სიჩქარეების გადამრთველი ბერკეტით არეგულირებდა სიჩქარეს. ამიტომ კარგი იქნებოდა, „მარშრუტკების" ტექდათვალიერება სავალდებულო ყოფილიყო.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქართველ მძღოლებს კარგი საჩუქარი გაუკეთა — პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებით მანქანების ტექდათვალიერება 2007 წლამდე შეჩერდება. მძღოლები ზედმეტი გადასახადებისგან დახსნას სიხარულით შეხვდნენ. წელიწადში ერთხელ რიგში დგომა და ორმოცდაათიოდე ლარის გადახდა საჭირო აღარ იქნება.

„ფულის სტანოკის" — როგორც ჩვენში ტექდათვალიერებას უწოდებდნენ — გაუქმებას საზოგადოებაში ორგვარი გამოხმაურება მოჰყვა. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყანაში შემოყვანილი ისედაც ძველი და უხარისხო მანქანების ავტოპარკს ტექდათვალიერების გაუქმება კიდევ უფრო დაამძიმებს და ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. მეორე, უფრო დიდი ნაწილის აზრით კი, ტექდათვალიერების პროცესი მაინც ფორმალურად მიმდინარეობდა და განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ ტექდათვალიერების აღმნიშვნელ ფირნიშს ისეთი მანქანებიც იღებდნენ, წესით და რიგით, ჯართში რომ უნდა ყოფილიყო გადაგდებული.

ტექდათვალიერების აუცილებლობა ყველა სახის მანქანებზე გაუქმდა. თუმცა, საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, კარგი იქნებოდა, ახალი ბრძანება მხოლოდ მსუბუქ მანქანებს შეხებოდათ; ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის — „მარშრუტკებისა" და ავტობუსებისთვის კანონი ძალაში დარჩენილიყო.

— ქვეყანაში არსებული „მარშრუტკების" უმრავლესობა ტექნიკურ ნორმებს საგრძნობლად ჩამორჩება, — ამბობს ჩვენთან საუბრისას საგზაო მოძრაობის ექსპერტი **ჯიმშერ რამიშვილი**, — ეს კი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მგზავრებისთვის. თბილისის ქუჩებში ავტოსაგზაო შემთხვევათა ლომის წილი სწორედ „მარშრუტკებზე" მოდის და ეს იმიტომ, რომ ამ მანქანათა უმრავლესობა გაუმართავია. ზოგს მუხრუჭები არ აქვს სათანადო დონეზე, ზოგს — ელექტრომოწყობილობა. ეს ფეხით მოსიარულეებსაც სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს — დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა, როცა „მარშრუტკა" ბორდიურზე ახტა და ტროტუარზე ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. როცა ასეთი მანქანა შემოწმდა, აღმოჩნდა, რომ მუხრუჭები წესრიგში არ ჰქონდა და მძღოლი სიჩქარეების გადამრთველი ბერკეტით არეგულირებდა სიჩქარეს. ამიტომ კარგი იქნებოდა, „მარშრუტკების" ტექდათვალიერება სავალდებულო ყოფილიყო.

— **რა მნიშვნელობა აქვს ტექდათვალიერებას. ის შემთხვევები ხომ მაშინ მოხდა, როცა იგი გაუქმებული არ იყო.**

— ეს უკვე სხვა საკითხია. გასაგებია, რომ ხშირად ისე იღებდნენ ტექდათვალიერების საჭდეს, რომ არავინ ამოწმებდა მანქანას. ტექდათვალიერება სრულყოფილად უნდა ჩატარდეს. ის ხალხი რომ სათანადოდ დასჯილიყო, რომლებმაც გაუმართავ ავტომანქანებზე ტექდათვალიერების მოწმობა გასცეს, მსგავს შემთხვევათა რაოდენობა მნიშვნელოვნად დაიკლებდა.

— **მაგრამ ტექდათვალიერების დროს შეიძლება მანქანა მწყობრში ყოფილიყო და მერე გაჰფუჭებოდა სამუხრუჭე სისტემა.**

— ასე არ ხდება. მანქანაში ყველაფერი ერთბაშად არ გამოდის მწყობრიდან. პატარა რაღაც რომ გაფუჭდება, პატრონი მაშინვე აკეთებინებს, მაგრამ როცა მთელი ავტომობილი ჯაბახანად არის ქცეული, ეს ნიშნავს, რომ ექსპლუატაციის ვადა ამოწურული აქვს და მიმოსვლის უფლება არ უნდა მისცენ. ასე ხდება მთელ ევროპაში და კარგი იქნებოდა, ჩვენც თუ გადმოვიღებდით ამ გამოცდილებას.

— **გამოდის, რომ თქვენ ტექდათვალიერების გაუქმების წინააღმდეგი ხართ?**

— წინააღმდეგი არ ვარ. მიმაჩნია, რომ კარგი საქმე გაკეთდა, რადგან სახელმწიფოსთვის ის ფული, მძღოლები რომ იხდიდნენ, დაკარგული იყო. მე უფრო საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხი მაფიქრებს.

*გვერდი მოამზადა*
*დავით დევიძემ*

# როგორ შეიძლება გაყინული პროდუქტიდან საცივი მოითხოვო?!



**ჯერ კიდევ მცირერიცხოვანმა ოპოზიციამ საკანონმდებლო ორგანოში ხმაურის ატეხა მოახერხა. ცხადია, როგორც საჭიროა, ჯერ ისე ვერ ოპოზიციონერობს, მაგრამ უმრავლესობისთვის ნერვების მოშლა რომ შეძლო, ფაქტია. გასულ კვირას პარლამენტში ხელისუფლებას „უხერხული კითხვებიც“ დაუსვეს და პრეტენზიებიც წაუყენეს. თუმც, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, მაია ნადირაძეს ოპოზიციის კითხვებზე პასუხი მზად აქვს:**

**მაია ნადირაძე**: — არაფერია საგანგაშო იმაში, რომ ოპოზიციას ხელისუფლებასთან რაღაც კითხვები გაუჩნდა, მაგრამ სხვა საქმეა, რა ფორმით და რამდენად კვალიფიციურად დაისვა კითხვები. როდესაც პოლიტიკოსი ჯერ კიდევ მიმდინარე, დაუმთავრებელ პროცესზე აცხადებს — საქმე ცუდად მიდისო, — ეს თავად მის პოლიტიკურ უმწიფრობაზე მეტყველებს. პოლიტიკოსმა, რომელიც საქართველოში ცხოვრობს (სადაც სულ არის აქტუალური და გაყინული კონფლიქტები), ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ ენციკლოპედიაში ამოიკითხოს, რას ნიშნავს სიტყვა „კონფლიქტი“. კონფლიქტს აქვს აღმავალი და დაღმავალი, გამწვავების, მომწიფებისა და გადაწყვეტის ეტაპები და თუ ყველა ეს ეტაპი არ გაიარა, მისი დასრულება წარმოუდგენელია. ცხინვალის კონფლიქტზე სულ ვამბობდით — 10 წლის მანძილზე გაყინული კონფლიქტიაო და ასე უცებ როგორ შეიძლება მისი გადაწყვეტა. როგორ შეიძლება გაყინული პროდუქტის საცივი მოითხოვო? ჯერ უნდა გაადნო მაინც, რომ საცივის მომზადება დაიწყო.

ოპოზიციის ქმედებებისა და განცხადებების შემხედვარეს ისეთი განცდა გამიჩნდა, რომ რაღაცაზე გულნატკენი არიან და აქვთ აბსოლუტურად უსაფუძვლო პრეტენზია — ყველაფერში ჩაგვახედეთო. ხედავენ, რომ ქვეყანაში ბევრი რამ იცვლება, მათ კი არავინ არაფერს ეკითხება, არ აბარებს ანგარიშებს და ამის გამო გაღიზიანებულნი არიან. მათი გადაჭარბებული პრეტენზიულობის მიზეზი ისაა, ჰგონიათ, იმდენად „დიადები“ ვართ, აზრი უთუოდ უნდა გვკითხონო. დათო გამყრელიძემ იმის თქმაც კი იკადრა — სამაჩაბლოში წასვლა მინდოდა და ამის გამო ბიუროზე სასამართლო მომიწყვესო. მაშინ ძალზე დაძაბული ვითარება იყო სამაჩაბლოში, ჩვენი ხელისუფლება ძნელად აკონტროლებდა იქ ვითარებას და უთხრეს, — ის ხალხი ნუ წავა, რომელთაც დაცვა დასჭირდებათო. ხომ ცხადია, რომ მაშინ იქ ჩასვლა მხოლოდ და მხოლოდ თვითრეკლამა იქნებოდა. ასეთი გაყინული კონფლიქტის შემდეგ არ შეიძლება ხელისუფლებას მოსთხოვო, ცხინვალში ყველაფერი გააკონტროლეო, ისიც დიდი მიღწევაა, რაც ამ მოკლე დროში შეძლო. უკვე არის ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის პერსპექტივა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, არადა, აქამდე ეს მირაჟი იყო. მახსოვს, აჭარის პრობლემის მოგვარების შემდეგ მეუბნებოდნენ — მიშამ ეს შეძლო, მაგრამ სამაჩაბლოს ვერ დაიბრუნებსო. დღეს კი უკვე მეკითხებიან — შემოდგომა გავიდა და რას შვრებით, გაზაფხულამდე გადადებთ ამ საკითხის მოგვარებასო? ხომ ხედავთ, ხალხს რწმენა გაუჩნდა, რომ ეს საკითხი მოგვარდება.

**— ოპოზიცია შეურაცხყოფილი დარჩა, როდესაც ქვეყნის მტრები და „არაპატრიოტები“ უწოდეს, არ ფიქრობთ, რომ სახელისუფლებო გუნდი ზედმეტად კატეგორიული იყო მათ მიმართ?**

— დავით გამყრელიძეს მხოლოდ და მხოლოდ ის ვუთხარი, არ მიფიქრია, პატრიოტი რომ არ ხარ, მაგრამ შენი განცხადების შემდეგ უფლებას ვიტოვებ ჩემი შეხედულების კორექტირება მოვახდინო-მეთქი. მისთვის „მტერი“ და „მოღალატე“ ნამდვილად არ მიწოდებია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლაპარაკი სწორედ რუსების წისქვილზე ასხამდა წყალს.

ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ და ნამდვილად ვერ მივაქცევ ყურადღებას ჩასაფრებული ადამიანების ლაპარაკს.

**— ამბობენ, ოპოზიციური ბანაკი თანდათან იზრდება, მალე სახელისუფლებო გუნდს სერიოზული ოპონენტები გამოუჩნდებიან პარლამენტშიო.**

— პოლიტიკოსი, რაგინდ დიდი წარმოდგენაც უნდა ჰქონდეს თავზე, უნდა შეეგუოს თანამებრძოლის თუნდაც ნაკლებინტელექტუალურ აზრს. გონიერ ადამიანს მართებს, მოისმინოს მდაბიური აზრიც და ეს იქნება მისი არისტოკრატიზმის ყველაზე უტყუარი დასტური. როდესაც პოლიტიკოსი ამბობს — ჩემთან როგორ ბედავთ შეკამათებასო — ეს ყველაზე დიდი ამპარტავნებაა. კობა დავითაშვილის, ზვიად ძიძიგურისა და რესპუბლიკელების ჩვენგან წასვლის მიზეზი მხოლოდ რაღაცით უკმაყოფილება არ ყოფილა. მათი წასვლის მიზეზი სხვა პოლიტიკოსის მიმართ სიძულვილი იყო. ჟვანიას ვერატანის ფაქტორმა განსაზღვრა მათი პოლიტიკური ვექტორი და ტყუილად ნუ ლაპარაკობენ რაღაც შეცდომებზე.

**— თქვენი გუნდიდან წასულები ირწმუნებიან — სააკაშვილის ქმედებებში ავტორიტარიზმის ნიშნები გაჩნდა, ნაკლებად უწევს სხვის აზრს ანგარიშს და გვერდითაც ისინი დაიტოვა, ვინც უფრო თვინიერები არიანო.**

— ეს არგუმენტი თავის გამართლების საშუალებაა, მეტი არაფერი. დაგიდასტურებთ, რომ სააკაშვილი მართლაც არავის ჭკუაზე არ დადის, მაგრამ ის ყველას აზრს ისმენს. თუ ვიღაცას ეჩვენება, რომ პრეზიდენტი ავტორიტარულია, ეს იმიტომ, რომ ადამიანები (ოპონენტებიც და მხარდამჭერებიც) მისგან ელიან გადამწყვეტ სიტყვას და ისიც იძულებულია, მიიღოს გადაწყვეტილებები და უნდა თუ არა, ის ხდება ავტორიტეტული და არა — ავტორიტარული.

**ოპოზიციის ქმედებებისა და განცხადებების შემხედვარეს ისეთი განცდა გამიჩნდა, რომ რაღაცაზე გულნატკენი არიან და აქვთ აბსოლუტურად უსაფუძვლო პრეტენზია – ყველაფერში ჩაგვახედეთო. ხედავენ, რომ ქვეყანაში ბევრი რამ იცვლება, მათ კი არავინ არაფერს ეკითხება, არ აბარებს ანგარიშებს და ამის გამო გაღიზიანებულნი არიან. მათი გადაჭარბებული პრეტენზიულობის მიზეზი ისაა, ჰგონიათ, იმდენად „დიადები“ ვართ, აზრი უთუოდ უნდა გვკითხონო.**

როდესაც საპარლამენტო დებატების დროს ოპონენტების აზრს ვისმენდი, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ „ახლების“ პოზიცია უცოდინრობით იყო ნაკარნახევი, რესპუბლიკელები კი უბრალოდ გაბრაზებულები იყვნენ.

ზოგიერთმა პოლიტიკოსმა პროგნოზების გაკეთებისაგან თავი უნდა შეიკავოს. მახსოვს, ჩვენი ოპონენტები 2 მაისსაც საგანგაშო პროგნოზებს აკეთებდნენ, აჭარას დავკარგავთ, ხალხი დაიღუპებაო, მაგრამ ხომ ნახეთ, ასე არ მოხდა. როდესაც მართალი ხარ, გჯერა სიმართლის და გამბედაობაც გყოფნის, უთუოდ გაიმარჯვებ.

**— მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ოპონირება უკადრებლის კადრებას არ ნიშნავს, არველაძეს ივლიანე ხაინდრავასთვის მკვახე სიტყვები არ უნდა ეკადრებინა.**

— შესაძლოა, ვიღაცისთვის არველაძის ტონი მიუღებელი იყო, მაგრამ მას აქვს უფლება, თავისი ლექსიკა და საუბრის მანერა ჰქონდეს. თუ ის „პატარა ბავშვი“ და გამოუცდელია, გამოცდილმა და ინტელექტუალურმა ივლიანე ხაინდრავამ როგორ მისცა თავს უფლება, გაემეორებინა ბაბურინის სიტყვები. როდესაც ის დღისა და ღამის ხელისუფლებაზე ლაპარაკობდა. ფაქტობრივად, ეს ხომ ბაბურინის სიტყვების გამეორება იყო — ქართველები დღისით მოლაპარაკებებს გვთავაზობენ, ღამით კი საკუთარ ტერიტორიას ბომბავენო. ჩემი აზრით, გონიერს და ბრძენს მეტი მოეკითხება, ვიდრე „პატარასა“ და „გამოუცდელს“.

**— საინტერესოა, როგორია პრეზიდენტის განწყობა ასტანის სამიტის შემდეგ?**

— ეტყობა, პუტინს ეგონა, რომ სამიტზე საქართველოს წარმომადგენლობა შეშინებული ჩავიდოდა, იქნებ როგორმე ხელი წაგვაშველოთო. თუ ვინმე პუტინს ატყუებდა, ამ პოლიტიკით საქართველოს ხელისუფლებას შევაშინებთო, როგორც ნახეს, სააკაშვილი სულაც არ ყოფილა შეშინებული. პრეზიდენტი მეტისმეტად ფრთხილია, მას უნდა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები მინიმალური დანაკარგით მოგვარდეს. ნახავთ, სულ მალე მოგვარდება სამაჩაბლოს პრობლემა. ეს ერთადერთი საკითხია, რომელზეც ჩვენ სულ ვკამათობთ ხოლმე, ოღონდ ჩემს პოზიციას ამ ეტაპზე არ გაგიმხელთ.

# „სულაც არ მიხარია, რომ ხელისუფლება ამ პრობლემებს ვერ ხედავს“

## ხალხმა დაინახა, რომ პარლამენტი მკვდარი ცეკა არ არის

ვარაუდი, რომ ახალარჩეულ პარლამენტში იდეალური სიმშვიდე იქნებოდა და ხელისუფლებას ოპონენტები არ გამოუჩნდებოდა, არ გამართლდა. „მემარჯვენე ოპოზიციის“ წამოწყებულ დებატებს საკანონმდებლო ორგანოში ისეთი შეხლა-შემოხლა და გესლიანი რეპლიკები მოჰყვა, რომ თვით მრავლისმნახველი ჟურნალისტებიც კი გავოგნდით. გასულ კვირას ნათელი შეიქნა, რომ სახელისუფლებო გუნდი სულაც არ არის შენიშვნების მოსასმენად განწყობილი, ოპოზიციას კი უკვე სათქმელი ბლომად დაუგროვდა. დებატებისას კიდევ ერთი მოულოდნელობის მოწმე გავხდით — „ახლების“ ფლანგი რესპუბლიკელებმა გაამყარეს და ყოფილ თანამებრძოლებს ისეთი შემართებით შეუტიეს, მემარჯვენეებსაც აჯობეს. დებატების ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდი სწორედ რესპუბლიკელებისა და ნაციონალების პაექრობა იყო. ხელისუფლების ბანაკის შეცდომებსა და გასული კვირის დებატების შესახებ რესპუბ-



ლიკელ **დავით ბერძენიშვილს** ვესაუბრეთ:

— აჭარაში მოპოვებულმა წარმატებამ საქართველოს ხელისუფლებას აფიქრებინა, ქართულ-ოსური პრობლემა მოწესრიგდება, თუ ოსურ მოსახლეობაში პროდუქტს შევიტანთ და თან თითსაც დავუქნევთ — რაკი ერგნეთის ბაზრობა დავკეტეთ, ახლა ჩაგვბარდითო. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას იქაური მოსახლეობისთვის ერგნეთის ბაზრობის აკრძალვის პარალელურად, ალტერნატიული რამ უნდა შეეთავაზებინა. ჩვენ ვთავაზობდით, მინიმუმამდე დაეყვანა ან სავსებით მოეხსნა საბაჟო გადასახადი იმ პროდუქტებზე, რაც ერგნეთის ბაზრობიდან შემოდიოდა. ამ გზით ქართულ-ოსური ფირმების თანამშრომლობა ლეგალური გახდებოდა და ამასთან, გადავუკეტავდით, გზას რუსული სამშვიდობო ძალებისა და კოკოითის კონტრაბანდასაც. იმავდროულად, აუცილებელი იყო მუშაობა ოსურ დემოკრატიულ ინსტიტუტთან. სამწუხაროდ, სამხედრო ესკალაციის შემდეგ ეს რესურსი მოისპო. საქართველოს ხელისუფლებამ იჩქარა — მას არ უნდა წამოეწყო ჰუმანიტარული შტურმი ოსეთში. საქართველოს ხელისუფლებას დააკლდა კვალიფიკაცია და ვერ გათვალა საპასუხო სვლები რუსეთის მხრიდან.

დღეს პუტინის ხელისუფლებისთვის ჩეჩნური ფაქტორი პოლიტიკური პოზიტივის მომტანი აღარ არის — რაკი ჩეჩნურ პრობლემას ვერ მოერია, მისი ხელისუფლების მიმართ გაღიზიანება გაიზარდა. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის პუტინს ახალი მტრის ხატი სჭირდება, თან მას არ აძლევს ხელს ინგუშურ-ოსური კონფლიქტის საომარ მოქმედებებში გადასვლა. ამიტომაც მას სურს ეს ნეგატიური ენერგია საქართველოს ტერიტორიაზე გადმოიტანოს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ამ ტაქტიკურ სახელისუფლებო ინტერესს წამოეგო.

მაისის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს აღმასრულებელი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება ჩამოყალიბდა, ნელ-ნელა გამოჩნდა ხელისუფლების შეცდომებიც. თანდათან მიმდინარეობს ხელისუფლების პრეზიდენტის ხელში მოქცევის პროცესი. ეტყობა, სააკაშვილს გულწრფელად სჯერა, ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ხელისუფლების ცენტრალიზაცია სჭირდება და მერე დავიწყებ დეცენტრალიზაციასო. პრეზიდენტი შიშით ფიქრობს ისეთ დროზე, როდესაც შესაძლოა მისი რეიტინგი შემცირდეს. არადა, ასეთი ნდობის გამოცხადების შემდეგ მას არც უნდა აღელვებდეს რეიტინგი.

**— ბატონო დავით, რას ფიქრობთ საპარლამენტო დებატებზე, რომლის მომსწრეც გასულ კვირას შევიქენით?**

— ეტყობა, პრეზიდენტს მოსწონს, რომ გიორგი არველაძე და მისნაირები ჰყავს პარლამენტში მაჩხუბარა ძაღლების ფუნქციით. თუკი რამეს გაუბედავს ივლიანე ხაინდრავას, არველაძე არაფერს კარგავს (მას რეიტინგი არ აქვს), მაგრამ სამაგიეროდ იტყვიან, პოლიტიკური ზნეობისა და ინტელექტის ეტალონ ოპოზიციონერებს დახეთ, რა უხამსად ელაპარაკება „პიონერი“ არველაძეო. სახელისუფლებო გუნდი, ფაქტობრივად, არის ერთმანეთზე გადაბმული ხელების ერთი გრძელი შლაგბაუმი, რომელთაც მხოლოდ ის იციან, ხელი როდის ასწიონ. ამ ხალხის უმრავლესობა საპარლამენტო საქმიანობისთვის სრულიად მოუმზადებელია (თუმცა, არიან იქ განათლებული და წარსულში დამსახურებების მქონე ხალხიც). შედარებით მოაზროვნე უმრავლესობის წევრთა ნაწილი დღეს სერიოზულ დისკომფორტს განიცდის, ნაწილი კი ცდილობს თავი დაირწმუნოს — ახლა ასეა საჭიროო. რესპუბლიკელები არ ვაპირებთ კომფორტულ მდგომარეობაში ვამყოფოთ ის ადამიანები, რომლებიც თან წესიერ ადამიანებად ითვლებიან, თან შავრაზმულ გადაწყვეტილებებს აძლევენ ხმას. დღეს ძალიან ბევრს ვითმენთ პარლამენტში.

**— ხომ არ ელით პარლამენტში ოპოზიციური ფლანგის სერიოზულ გაძლიერებას?**

— დააკვირდით, ვინ შერჩა ნაციონალურ მოძრაობას. იქ აღარ არიან ის ფიგურები, რომლებითაც ძალიან ამაყობდა სააკაშვილი, როდესაც გაოპოზიციონერდა. სააკაშვილს სურს შექმნას მორიგი სახელისუფლებო პარტია. ეს არ გამოუვიდა გამსახურდიას და ის „მრგვალი მაგიდის“ ნანგრევებში მოექცა (ამას ნიშნისმოგებით არ ვამბობ), ეს არ გამოუვიდა შევარდნაძეს და როგორც კი „მოქალაქეთა კავშირი“ დაინგრა, ნანგრევებში ჩაიყოლა შევარდნაძე, ასევე დაემართა ასლან აბაშიძეს თავის „აღორძინებასთან“ ერთად. არ ვუსურვებ სააკაშვილს, რომ მისი ნაციონალური მოძრაობა პოსტსაბჭოთა საქართველოს კომუნისტურ პარტიად იქცეს.

როდესაც სააკაშვილთან ერთად ოპოზიციურ დიდ გაერთიანებას ვქმნიდი, ვფიქრობდი, რომ სააკაშვილის პოზიტივი იყო ბრძოლა შევარდნაძისა და აბაშიძის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, თუ სააკაშვილს აღმოაჩნდებოდა უნარი, თავსებადი ყოფილიყო პოლიტიკურ პლურალიზმთან, გავაგრძელებდი მათთან თანამშრომლობას, არა და ის ჩვენთვის დროებითი მოკავშირე იქნებოდა და მის გარეშე გავაგრძელებდით ბრძოლას ქვეყანაში დემოკრატიული სივრცის გასავრცელებლად. გასულ კვირას გამართული დებატების პოზიტივი ის არის, რომ ქართველმა ხალხმა დაინახა, მიუხედავად ასეთი უმსგავსობისა, საქართველოს პარლამენტი არ არის მკვდარი ცეკაო. პარლამენტი ის ორგანოა, რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს არჩევნები, იქ უთუოდ გაჩნდება განშრევებები, შეივსება მემარჯვენე და მემარცხენე ფლანგიც. ამ პარლამენტის პირველ სხდომაზე გაირკვა, რომ მხოლოდ ერთი კაცი — კობა დავითაშვილი იყო ოპოზიციაში, მერე გამოჩნდა ორი — ძიძიგური და კუკავა, მათ მივყევით ოთხი რესპუბლიკელი... ეს პროცესი უთუოდ გაგრძელდება პარლამენტში. აქ მყოფი დემოკრატიული ძალების წინაშე დგას ამოცანა — საკონსტიტუციო უმრავლესობა წაართვას სააკაშვილის აღმასრულებელ ხელისუფლებას.

როდესაც ჩემს დღევანდელ პარტნიორებს ოპოზიციაში, პარლამენტში წამოაძახებენ ხოლმე — სად იყავით რევოლუციის დროსო, მინდა ისინი დავიცვა. ზოგიერთებს გაცილებით მძიმე პოლიტიკური წარმომავლობა აქვთ. უმრავლესობის ფრაქციის ლიდერი რომელიც (ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ ბოლო დროს თავისი გამოსვლებით თავის მოადგილეებს, კირკიტაძესა და ბექაურს ემსგავსება) პარლამენტში ასლან აბაშიძის სიით შევიდა, ხელს არ უნდა იშვერდეს გამყრელიძისა და მისი ფრაქციის მისამართით. ისინი, ვინც პოლიტიკური კარიერა და ფინანსური მდგრადობა „მოქალაქეთა კავშირში“ მოიპოვეს, დღეს ცოტა უნდა წითლდებოდნენ. როდესაც არველაძე ეუბნება ხაინდრავას, ბაბურინს და ჟირინოვსკის მაგონებო, ეთქმის რამე? მამამისი 1992-95 წლების პარლამენტის წევრი იყო შევარდნაძესთან და პოლიტიკური თვალსაზრისით, დასაკვეხნი არაფერი აქვს, ის თბილისის ვიცე-მერიც იყო. მილიონერი ჩინოვნიკი არ არის თავსებადი წესიერებასთან, მაგრამ რაკი არველაძეს ეს ტვირთი აქვს, ამიტომაც უკადრებელს კადრულობს.

დღეს ვხედავთ, რომ სასამართლო აკმაყოფილებს პროკურატურის მოთხოვნას წინასწარ პატიმრობაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პროკურატურის ნაწილია და მისი დამოუკიდებლობის საკითხი საეჭვოა. აი, ეს პრობლემებია დღეს საქართველოში და მე სულაც არ მიხარია, რომ ხელისუფლება ამ პრობლემებს ვერ ხედავს.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რიკაძემ*

# მოგზაურობა პანკისში... ტერორისტების საძებრად

## ჩაბნელებულ სოფელში მოგიზგიზე კოცონი შორიდანაც კარგად მოჩანს(!)



პანკისის ხეობაში ტერორისტებისთვის გზა ჩაკეტილია



პანკისურ ვირს ამერიკული ფქვილი ჩეჩენი ლტოლვილებისთვის მიაქვს



ხადორჰესის ორივე აგრეგატი დღესვე მზად არის 24 მეგავატი ენერგიის გამოსამუშავებლად...

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

პანკისური ჩოჩორი ამერიკულ ჰუმანიტარულ დახმარებას ზლაზვნით ეზიდებოდა, მის უკან კი დატვირთვის მოლოდინში სხვა ორთვალებში შებმული ცხენები მოუსვენრად იქნევდნენ კუდს, ეტყობა ისინიც ღელავდნენ — ყველას შეხვდებოდა თუ არა შორეული ამერიკიდან გამოგზავნილი ფქვილი.

ეს ჩეჩენი ლტოლვილებისთვის განკუთვნილი გაეროს წარმომადგენელთა მორიგი ჰუმანიტარული დახმარების პარტია აღმოჩნდა. ადრე აქ 7 ათას ლტოლვილზე მეტი იყო, ახლა 2 ათას კაცამდეა დარჩენილი. მათაც დაგვიდასტურეს, რომ ხეობაში შეიარაღებული ჯგუფები არ არიან.

— მე დღესაც მეშინია დაბომბვის, რადგან ჩეჩნეთში სწორედ კომსომოლსკოეში ვცხოვრობდი, საიდანაც რუსლან გელაევი იყო. ეს სოფელი რუსულმა ავიაციამ და არტილერიამ მიწასთან გაასწორა. რომ არა საქართველო, რომელმაც შეგვიფარა, ჩვენც დავიღუპებოდით. ლტოლვილებიდან ვინც ფული იშოვა, საზღვარგარეთ წავიდა, ზოგმა რუსეთში იპოვა თავშესაფარი, ხოლო ის მამაკაცები, რომლებმაც კრემლის მოწოდებას დაუჯერეს და ჩეჩნეთში დაბრუნდნენ, მალე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. რუსებმა საკუთარი ბავშვები არ დაინდეს და ჩვენ დაგვინდობენ?! — გვითხრა ლტოლვილმა მანდილოსანმა.

ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაში აქტიურად მონაწილეობენ ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ფოტოაპარატის ობიექტივს თვალს არიდებენ. როგორც ადგილობრივი ქისტი გვეუბნება, ჩეჩენმა ლტოლვილმა ბავშვებმა ისე კარგად აითვისეს ქართული ენა, რომ მშობლებს ერთგვარ თარჯიმნებადაც ევლინებიან ახმეტისა თუ თელავის ბაზრებში.

დუისის გამგებელს გადაწყვეტილი აქვს, კვირაში სამი დღე ჩეჩენ ლტოლვილებს ქართული ენის გაკვეთილები ჩაუტაროს, რისთვისაც უკვე მოიძებნა მასწავლებელიც. სწავლება საკრებულოს შენობაში წარიმართება.

სანამ ჩვენ გაფაციცებით ვეძებდით ხეობაში ტერორისტებს, ჩვენი მეგზური ქისტი ჯალა ულვაშებში იცინოდა — რას იპოვით, რაც არ არის. ტყუილად ბენზინის ხარჯვასა და მანქანის გაფუჭებას ამ დანგრეულ გზებზე, გირჩევნიათ ხაშლამა და კარგი კახური ღვინო გასინჯოთო.

ისე, ტერორისტების მაძიებელ ჟურნალისტებსაც სჭირდებათ ხანდახან დანაყრება და ჩაბნელებულ პანკისში, ეზოში გაჩაღებულ ცეცხლზე შემომდგარ ქვაბში ჩაყრილი ცხვრის ხორცის მოხარშვის მოლოდინში არანაკლებ ბევრ საინტერესოს იგებ, ოღონდ ეგაა, რომ ჩაბნელებულ სოფელში მოგიზგიზე კოცონი შორიდანაც კარგად მოჩანს და სულაც არ გინდა ვინმე რუსი პილოტის სამიზნედ გახდე. თანაც ალაგ-ალაგ მოგრუხუნე „დვიჟოკების" ხმაში ვერც გაიგებ სწრაფად მოახლოებული ბომბდამშენის ხმას.

მიუხედავად დიდი მონდომებისა, როგორც გითხარით, პანკისში ტერორისტების კვალს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ მოსკოვს ამ ხეობაში კიდევ არ მოელანდება საერთაშორისო ტერორისტების ბანაკები?!

# სეპარატიზმი ადამიანების გატაცებით გვემუქრება

„არის საშიშროება, რომ ერგნეთის კონტრაბანდის გზის გადაკეტვის შემდეგ სწორედ ადამიანთა გატაცებები იქცეს მავანთათვის შემოსავლის წყაროდ" — ეს გახლავთ ამონარიდი შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ინტერვიუდან, რომელიც „კვირის პალიტრის" წინა ნომერში დაიბეჭდა.

სამწუხაროდ, სულ რამდენიმე დღეში გამართლდა მისი სიტყვები: — 17 სექტემბრის საღამოს, შეიარაღებულმა სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს ტყეში შეშის საჭრელად წასული სოფელ ფლავისმანის 16 მცხოვრები. 8 ქართველმა მაშინვე მოახერხა გამოქცევა და ეს ამბავი სამართალდამცავებს შეატყობინა. მეორე დილით დანარჩენი მძევლებიც გაათავისუფლეს. ყველა მათგანი სასტიკად არის ნაცემი. ერთ-ერთი მძევლის დედა ნერვიულობის ნიადაგზე გარდაიცვალა(!).

ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ კვლავ გრძელდება პატარ-პატარა პროვოკაციები ქართული მხარის გასაღიზიანებლად და გამოსაწვევად. ეს სეპარატისტების ცნობილი ტაქტიკაა — 1992 წლის 13 აგვისტოს კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების შეყვანიდან ერთ თვეში სეპარატისტებმა დაიჭირეს და დახვრიტეს რამდენიმე ქართველი „ცისფერჩაფხუტიანი", თუმცა დამნაშავეები დაუსჯელნი დარჩნენ.

„გაყინული" შეიარაღებული კონფლიქტის ზონებში ადამიანის გატაცება, ცემა და მოკვლაც კი, არცთუ იშვიათია. შორს რომ არ წავიდეთ, სწორედ ასეთი მეთოდებით მოქმედებენ გალის რაიონში აფხაზი სეპარატისტები და უკვე მერამდენე წელია, აწიოკებენ ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ ქართველებს.

ყველა სოფლელს იარაღიან დამცველს ვერ დაუყენებ და ვერც იარაღს დაურიგებ ყველა მსურველს — კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველების დაცვა ორგანიზებულად და ჭკუით უნდა მოხდეს. სასურველია, თუკი ყველა სოფელში შეიქმნება ერთგვარი თავდაცვის შტაბები, რომელიც ადგილობრივ სამართალდამცავებთან ერთად, ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს ამა თუ იმ ინციდენტზე.

ტყეში შეშისთვის თუ სოკოს საკრეფად მიმავლებმა საქმის კურსში უნდა ჩააყენონ სოფლის თავდაცვის შტაბი. სოფლის განაპირა მცხოვრებლებთან შტაბს მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეს, რათა გამოირიცხოს სოფელზე მოულოდნელი თავდასხმა.

ადამიანების გატაცება ან ამის მცდელობა კონფლიქტის ზონაში კვლავ გაგრძელდება, საძოვრებისა თუ ტყეების გადანაწილების მოტივითა თუ გამოსასყიდის აღების მიზნით, რადგან სეპარატისტების მთავარი შემოსავლის წყარო — ერგნეთის ბაზრობა — აღარ არსებობს.


AXIS

# აქსისი

ახალი მშენებარე კომპლექსი ყაზბეგის გამზირზე

(მეტრო „დელისთან")



არაყიშვილის ქ.№14 ტელ: 25 34 34; 91 25 34

# ოსური „გეპარდი“ — ქართული ხუთჯვრიანი დროშის ქვეშ

12 სექტემბერს, ქარელის რაიონის ტერიტორიაზე, შინაგანი ჯარების მე-13 წლისთავის აღსანიშნავ სამხედრო აღლუმზე, ჯავშანმანქანებს შორის განსაკუთრებით ერთი იქცევდა ყურადღებას ჯავშანზე გამოსახული თეთრი გეპარდით და ხუთჯვრიანი ქართული დროშით.

ეს სწორედ ის ოსური ქვეითთა საბრძოლო მანქანა გახლდათ, რომელიც შინაგანი ჯარის მებრძოლებმა 19 აგვისტოს თლიაყანასთან ჩაიგდეს ხელში.

მაშინ „კვირის პალიტრა“ ამ მნიშვნელოვანი ნაალაფარის გამო წერდა. თუმცა, ბუნებრივია, არ მიგვითითებია, რომ ოსებისთვის წართმეული БМП-2 ქართველმა სამხედროებმა ჯერ თამარაშენში ჩაიყვანეს, ხოლო შემდეგ, შემოვლითი გზით — ცხინვალის რეგიონიდან გამოიყვანეს.

სეპარატისტები გამწარებული ეძებდნენ წართმეულ საბრძოლო მანქანას — მათ დავალებული ჰქონდათ, აუცილებლად გაენადგურებინათ იგი. მაგრამ ხელი მოეცარათ და სწორედ კოშკურაზე თეთრად მოკიაფე გეპარდითა (რომელიც შინაგანი ჯარის წარმომადგენლებმა სპეციალურად არ წაშალეს) და ხუთჯვრიანი ქართული დროშით წარუძღვა ნაალაფარი ჯავშანმანქანა აღლუმზე შინაგანი ჯარების ქვეითთა საბრძოლო მანქანებს. მისი დათვალიერებისას გაირკვა, რომ მთლად სახარბიელოდ არც სეპარატისტების საბრძოლო ტექნიკა გამოიყურება — გასარემონტებელი გახდა არა მარტო ძრავა, არამედ მუხლუხოებიც და სხვა ნაწილებიც.



ეს კიდევ არაფერი, თურმე ოსებს ის რუსებიც ატყუებენ, რომლებიც იარაღითა და ტყვია-წამლით ამარაგებენ — დახუფულ თუთიის ყუთებში, რომლებშიც, წარწერის მიხედვით, ჯავშანგამტანი ჭურვები უნდა ყოფილიყო, მსხვრევად-ფუგასური აღმოჩნდა, ანუ თუ ამ БМП-2-დან სეპარატისტები ჯავშანგამტანი ჭურვებით ეცდებოდნენ ქართული ჯავშანტექნიკის დაზიანებას, არაფერი გამოუვიდოდათ.

***სწორედ ეს საბრძოლო მანქანა წაართვეს ქართველმა მებრძოლებმა ოს სეპარატისტებს***

# შინაგან ჯარს 13 წლამდე აცალეს...

## შინაგანი ჯარების სახმელეთო ჯარებთან შერწყმას დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგებიც ექნება

შინაგანი ჯარების თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარებთან შერწყმის შესაძლებლობაზე ინფორმაცია ადრეც გვქონდა, მაგრამ არ დავასწარით მოვლენებს, რადგან ამ სტრუქტურული ცვლილებების აღქმა ერთმნიშვნელოვნად ძნელია.

საერთოდ, შინაგანი ჯარების ბედზე, ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად მსჯელობდნენ — თავდაცვის სამინისტროს მესვეურნი მის ეროვნულ გვარდიასთან შეერთებაზეც ფიქრობდნენ,



***შინაგანმა ჯარმა გაუქმებამდე თავდაცვის სამინისტროსგან ჯართში ჩასაბარებელი 7 ტანკი (ქვემოთ) მიიღო და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა (ზემოთ), მაგრამ 1-ლი ნოემბრიდან მთელი შინაგანი ჯარი თავის ტანკებიანად თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარებს შეერწყმება***

თუმცა პირველი პოლიციელი კახა თარგამაძე ასე ადვილად არ აპირებდა დავით თევზაძისთვის მის დათმობას. თარგამაძისგან განსხვავებით, ოქრუაშვილი შედარებით ადვილად შეელია „საკუთრებას“, რაც, ძალაუნებურად ბადებს ეჭვს, რომ დღევანდელი შს მინისტრი მალე შეიძლება თავად აღმოჩნდეს იმ სამინისტროს სათავეში, ვინც დღეს შინაგან ჯარებს „იფარებს“.

შერწყმის მომხრეები ერთხმად აცხადებენ, რომ ამ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებით გაიოლდება ჯარების მართვა და დიდი თანხაც დაიზოგება.

ამ მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი — ცხინვალის აგვისტოს მოვლენებმა საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას ნათლად დაანახვა ჯარების მართვასა და სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურის კოორდინირებულ მოქმედებაში არსებული სერიოზული ხარვეზები. ერთიანი სამხედრო სტრუქტურების მართვა მართლაც გაიოლდება; ამასთან ბრიგადებში შეიქმნება ერთნაირი NATO-ს სტანდარტის საშტატო განაკვეთები. ადრინდებურად აღარ იქნება, როცა ერთი და იმავე წოდებისა და ნამსახურობის ოფიცერს თავდაცვის სამინისტროში სხვა ანაზღაურება ჰქონდა, შინაგან ჯარში — სხვა.

თანაც ერთად მოიყრის თავს საქართველოს მთელი არტილერია, მძიმე ჯავშანტექნიკა და ავიაციის (შვეულმფრენების) ნაწილი.

თუმცა შინაგანი ჯარების საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარებში გაერთიანებას უარყოფითი შედეგებიც ექნება.

უპირველესად, ეს ეხება მასობრივ არეულობებსა თუ სტიქიური უბედურებების დროს მაროდიორობის საშიშროებას. სახელმწიფოს, როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს, თავისი წეს-წყობილების შესანარჩუნებლად ზოგჯერ მაინც სჭირდება ქვებითა და კეტებით შეიარაღებული უკმაყოფილო მოქალაქეების დაშოშმინება. დღეს პოლიციას არ გააჩნია ამის ძალა, ხოლო



დემონსტრაციის დასაშოშმინებლად თავდაცვის სამინისტროს რეგულარული საბრძოლო დანაყოფების გამოყვანა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან სახმელეთო ჯარების მოსამსახურეები ამისთვის მზად არ არიან.

არამიზანშეწონილია თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო დანაყოფებით სტრატეგიული მნიშვნელობის, განსაკუთრებით კი დიდი ფართობის მქონე ობიექტების — აეროდრომების, აეროპორტების, სარკინიგზო ხაზების, გვირაბებისა და ხიდების დაცვა.

საბრძოლო დანაყოფების მიერ მოწინააღმდეგის პოზიციების აღებისა და იერიშის გაგრძელების შემდეგ დაკავებულ რაიონს აუცილებლად სჭირდება კონტროლზე აყვანა, რათა იქ მტრის დივერსიულმა ჯგუფებმა არ იმოქმედონ; საამისოდ კი კვლავ შეიარაღებული ძალების საბრძოლო რაზმების მოცდენა არ არის გამართლებული.

ასევე ძნელად თუ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ შინაგანი ჯარების სახმელეთოში ინტეგრაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს უზრუნველყოფის დანაყოფებს — 8-ათასიან შინაგან ჯარს თითქმის იმდენივე მომსახურე სჭირდება დამოუკიდებლად, რამდენიც სხვასთან შერწყმის შემდეგ და, საერთო ჯამში, 30-50 საშტატო ერთეულის შემცირება ვერაფერი შეღავათი იქნება.

ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს ისე ეშინოდა გადატრიალებებისა, რომ თავდაცვის მინისტრ თევზაძეს და მის უწყებას თარგამაძის შსს-თი ანეიტრალებდა. საბედნიეროდ, პრეზიდენტ სააკაშვილს ალბათ ამის შიში არა აქვს, რადგანაც შინაგანი ჯარები თავდაცვის სამინისტროში შეჰყავს.

ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი მთელ მსოფლიოში საქართველოს შიდატერიტორიულ პრობლემადაა მიჩნეული და ამიტომაც აჯობებდა, მის მოგვარებაში პოლიციას და პარამილიტარულ (ნახევრად გასამხედროებულ) ძალებს მიეღოთ მონაწილეობა და არა შეიარაღებულ ძალებს.

შინაგანი ჯარების თავდაცვისაში შერწყმას ზოგიერთი პოლიტიკოსი ასე ხსნის, — ეს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის გადმონაშთია და თუ NATO-ში გაერთიანება გვსურს, იგი თავიდან უნდა მოვიშოროთ.

ეს არგუმენტი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — თურქეთი თუ იტალია დიდი ხანია NATO-ს წევრები არიან, მაგრამ მათ არავინ უშლით ჰყავდეთ მრავალრიცხოვანი ჟანდარმერია თუ კარაბინერები.

შინაგანი ჯარები იმ სახით, როგორითაც 13 წლის განმავლობაში არსებობდა, რა თქმა უნდა, არ შეესაბამებოდა ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ ვინ გვიშლიდა ხელს, შინაგანი ჯარების ბაზაზე შეგვექმნა ჟანდარმერია (შეიძლება „ჟანდარმერიის“ შესაბამისი ქართული ტერმინიც მოგვეძებნა), რომელსაც არც ტანკები ექნებოდა და არც ჰაუბიცები, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვეყანაში შეასრულებდა იმ „შავ“ სამუშაოს, რისთვისაც შეიარაღებული ძალების გამოყენება დაუშვებელია.

# იარაღი — ფეხბურთის ბილეთების სანაცვლოდ

## მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში დიდი რაოდენობით უკანონო იარაღი ინახება

ცოტა ხნის წინ აფრიკაში, კონგოს რესპუბლიკაში, ისტორიული ფეხბურთის მატჩი ჩატარდა, რომელზეც ადგილობრივ ნაკრებს თვით მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები შეხვდა.

ადვილი წარმოსადგენია, მრავალწლიან სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში ჩაბმულ კონგოელებს როგორ უნდოდათ ამ ამხანაგურ მატჩზე დასწრება, მაგრამ მათ სტადიონზე შესასვლელად ბილეთის სანაცვლოდ ფულს კი არ სთხოვდნენ, არამედ... „კალაშნიკოვის“ ავტომატისა თუ ტყვიამფრქვევის ჩაბარებას!

საფეხბურთო მატჩით კმაყოფილი დარჩა მაყურებელიც და ადგილობრივი პოლიციაც, რომელმაც სტადიონის ახლოს უამრავი ცეცხლსასროლი იარაღი დააგროვა.



***სარდაფებში გადამალული უკანონო იარაღი ადრე თუ გვიან გაისვრის, ამიტომაც სჯობს სახელმწიფომ ის მოსახლეობისგან გამოისყიდოს...***

ძნელი სათქმელია, ჩვენც უნდა მოვიწვიოთ თუ არა ბრაზილიელი ფეხბურთელები, რომ საქართველოს მოსახლეობიდან ის უკანონო იარაღი ამოვიღოთ, რომელიც ნებისმიერ ჩვენგანს ემუქრება.

ამ მხრივ, განსაკუთრებით შემაშფოთებელი მდგომარეობა მარნეულისა და ბოლნისის რაიონებშია, სადაც ადგილობრივი, აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში გულმოდგინედ იარაღდებოდა. ანგარიშგასაწევია სვანეთიდან ქვემო ქართლში ჩამოსახლებული ოჯახებიც — მათ ბარში, ტრადიციულად, პირველ რიგში თან მთის აუცილებელი ატრიბუტიკა — იარაღი წამოიღეს.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონი იარაღის შესახებ ნებას რთავს ყველა სულიერად ჯანმრთელ მოქალაქეს, შეიძინოს და შინ შეინახოს არაავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი — გლუვლულიანი სანადირო თოფი, ხრახნლულიანი რევოლვერი, პისტოლეტი, კარაბინი და შაშხანა.

გაეროშ 1997 წელს განსაზღვრა მსუბუქი იარაღის და მცირეკალიბრიანი შეიარაღების ცნება. მსუბუქი იარაღი არის ის, რომლის სროლა, შენახვა და ტრანსპორტირება ერთ ადამიანს შეუძლია, ხოლო მცირეკალიბრიან შეიარაღებას ის სახეობები განეკუთვნება, რომლის ტარება ერთ ადამიანს, ცხოველს ან მანქანას შეუძლია. უფრო გასაგები რომ იყოს, მსუბუქი იარაღია — რევოლვერი, პისტოლეტი, კარაბინი, შაშხანა, ავტომატი და მცირეკალიბრიანი ტყვიამფრქვევი. მცირეკალიბრიან შეიარაღებას განეკუთვნება: მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, ხელის ყუმბარსატყორცნი, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, მსხვილკალიბრიანი შაშხანა, 100 მმ-ზე ნაკლებკალიბრიანი ნაღმსატყორცნი და სხვა.

1990-იანი წლების დასაწყისში, ერთი ხანობა ძალზე დაიძაბა სიტუაცია ქვემო ქართლში, რომელშიც კრემლის „მარჯვე“ ხელი ერია — იგი ცდილობდა, ადგილობრივი აზერბაიჯანელები და ქართველები ერთმანეთისთვის იარაღით დაეპირისპირებინა. საბედნიეროდ, მაშინ მოსკოვს ბოლნისსა თუ მარნეულში არ გამოუვიდა ის, რაც შემდგომში, სამწუხაროდ, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში იოლად მოახერხა.

— ჩვენს სოფელში „კალაშნიკოვები“ ჯერ კიდევ იმ დროიდანაა შემონახული. ვისაც ფული გვქონდა, ან რუსი ჯარისკაცებისგან ვყიდულობდით, ან აზერბაიჯანიდან შემოგვქონდა, — გვითხრა მარნეულის რაიონის აზერბაიჯანული ეროვნების ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

ქვემო ქართლში მოსახლეობის უკანონო შეიარაღების მეორე ეტაპი მაშინ დაიწყო, როდესაც ყარაბაღის ომმა და, შესაბამისად, აზერბაიჯანელებისა და სომხების დაპირისპირებამ ზენიტს მიაღწია. იმ დროს არც ბაქო და არც ერევანი არ გამორიცხავდნენ, რომ შეიარაღებული დაპირისპირება მოხდებოდა წითელ ხიდთან — სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკის საერთო საზღვართან. ამიტომაც დაინაღმა წითელი ხიდის მიმდებარე საზღვარი ქვეითი და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებით (ამ ნაღმებით დღემდე ზიანდება მშვიდობიანი მოსახლეობა), ხოლო სომხეთ-საქართველოს საზღვართან მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელებმა თავიანთი არსენალი კიდევ შეივსეს.

ის უკანონო შეიარაღება, რომელიც ქვემო ქართლის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონების სოფლების მოსახლეთა სარდაფებშია გადამალული, ძირითადად მსუბუქი იარაღის კატეგორიას განეკუთვნება — „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტები, სხვადასხვაკალიბრიანი „კალაშნიკოვები“ და შაშხანები. თუმცა ზოგიერთს ტყვიამფრქვევი და ყუმბარსატყორცნიც აქვს.

მოსახლეობის ხელში უკანონოდ არსებული მსუბუქი შეიარაღება და მცირეკალიბრიანი იარაღი ყოველთვის ქმნის საშიშროებას, რომ ის ერთ კრიტიკულ მომენტში შეიძლება მასობრივად აამოქმედონ. მანამდე კი, ამ ოფიციალურად აღურიცხავ პისტოლეტებსა და ავტომატებს არცთუ იშვიათად ატრიალებენ ბანდიტური თავდასხმებისა თუ გარჩევების დროს. ასე რომ, მათი მფლობელის დადგენა შეუძლებელია, რადგან რეგისტრირებული არ არის და არც ბალისტიკური შემოწმება აქვს ჩატარებული.

მაშინ, როდესაც საქართველოში თავისუფლად იყიდება არათუ პისტოლეტი, არამედ თვითდამტენი (არაავტომატური) „კალაშნიკოვების“ მოდიფიკაცია, სნაიპერული შაშხანა თუ თავად თვითდამტენი ხელის ტყვიამფრქვევიც კი, არარეგისტრირებული და უკანონო ავტომატური გრძელლულიანი იარაღის ოჯახში შენახვა კანონმორჩილ მოქალაქეს არ უნდა აძლევდეს ხელს.

თუკი ჩვენი ხელისუფლება კონგოელი კოლეგების ექსპერიმენტს გაითვალისწინებს (არ არის აუცილებელი ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონების მოწვევა) და მოქალაქეებიდან უკანონო იარაღის ამოსაღებად ფულად კომპენსაციას (თუნდაც ერთი გამართული „კალაშნიკოვი“ 200-300 ლარად) დააწესებს, მაშინ შემცირდებოდა ასეთი იარაღის დამნაშავეების ხელში მოხვედრის საშიშროება და ქართული არმიის საწყობიც შეივსებოდა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ხანძარში ჩაფერფლილი „სიყვარული“




კედელზე გრძელ ლურსმანს მოჰკრა თვალი, რომელზეც ოთარს თავისივე ხელით დაწნული რაღაც უსახური კალათა ჩამოეკიდა და იმავე წამს გონება გაუნათდა. კალათა გვერდზე მოისროლა, ლურსმანი ამოაძრო და კიბეზე დაეშვა. სტუმრების მანქანასთან უშიშრად მიიჭრა. იცოდა, ოთხეულს ახლა მანქანისთვის არ ეცალა. ჰოდა, ერთ საბურავს ისე მიუმარჯვა ლურსმანი, რომ დაძვრისთანავე შერჭობოდა, მეორე კი ჩაფუშა. დამშვიდებული დაუბრუნდა სათვალთვალოს. „მხარეებს“ ვაჭრობა დაესრულებინათ და ახლა ალბათ მაღარიჩს სვამდნენ.

## ცოლქმრული იდილია

ასე ერთ სულ და ერთ ხორც შეკრული წყვილი ძნელად თუ წარმოედგინა ვინმეს. გია და ნინო (გვარ-სახელები აქ და შემდგომ შეცვლილია) შეუღლებიდან მეშვიდე წლისთავზეც ბავშვობის დროინდელი სიყვარულის ერთგული რჩებოდნენ. ნაცნობ-მეგობრებისა და მეზობლების ყურადღებას კიდევ იმითაც იპყრობდნენ, რომ ამ ხნის განმავლობაში მათი ბინიდან ერთი ხმამაღალი სიტყვაც არავის გაუგონია. მართალია, ჯერჯერობით, შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ ახლობლების აზრით უამისოდაც არ ემუქრებოდა მათ სიყვარულს საფრთხე...

ციოდა, მაგრამ ცოლ-ქმარმა რატომღაც ახლა წამოიწყო დილაობით სეირნობა. მართალია, რამდენიმე მეზობელმა შენიშნა, რომ ნინოს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა დილაუთენია ყინვაში სირბილი, მაგრამ ფიქრობდნენ, ალბათ ეს გამაჯანსაღებელ-სამკურნალო კომპლექსის აუცილებელი ატრიბუტიაო და თავიანთი თბილი ბინებიდან გასცქეროდნენ ამ სანიმუშო წყვილს. არადა, ამ ყინვაში იმდენი ირბინეს, ვიდრე ნინო არ გაცივდა. თუმცა ალბათ საგანგაშოც არაფერი იყო. ბოლოს და ბოლოს, სურდო ვის არ შეჰყრია, მაგრამ...

## ხანძარი

წინა დღეს გიამ მეზობელს დაუბარა — ამაღამ ჩემიანებთან მივდივარ და ხვალ საღამომდე ხანდახან იქნებ ნინოს მიაკითხო. სიცხე აღარ აქვს, მაგრამ თავს მაინც სუსტად გრძნობსო.

დილით კი ზემო სართულზე მცხოვრები შინაბერა ქალბატონის კივილმა, რასაც წინ ყრუ აფეთქების ხმა უძღოდა, მთელი სახლი შეძრა. აფეთქებამ გიასა და ნინოს ბინის ფანჯრები გამოანგრია. პირმოღებული სიცარიელიდან ცეცხლის ვეებერთელა ენები იკლაკნებოდნენ. მართალია, სახანძრო რამდენიმე წუთში მოვიდა და ცეცხლიც მალე ჩააქრეს, მაგრამ ნინოს გადარჩენა ველარ მოხერხდა. დიდიც და პატარაც გიას ცოდვით იწვოდა. ისეთი უმწეო და საცოდავი იყო, რომ შეგებრალებოდა. მაგრამ ნინოს დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისეთი გამოცოცხლება დაეტყო, რომ ახლობლები გაოცებას ვეღარ მალავდნენ. მოგვიანებით მის გვერდით ვიღაც ტანკენარი, ქერა ქალიშვილიც შენიშნეს და გულდაწყვეტილებმა დაასკვნეს, ამქვეყნად მარადიული არაფერიაო და გია მინდიაშვილის ხანძრის შემდეგ გარემონტებულ ბინას მზერას არიდებდნენ.

## ეჭვები

მეზობლებმა მხოლოდ ახლა, ამდენი ხნის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მინდიაშვილებთან შვიდი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გამოჩენილა ნინოს მამა, ქალაქში ცნობილი და პატივცემული ადამიანი, ბატონი ბეგლარი. აქამდე არც ნინოს ერთადერთი ძმა უნახავს ვინმეს. მხოლოდ დედა, ქალბატონი ნანა თუ გამოუვლიდა ხოლმე ქალიშვილს. ისიც ხანდახან, ნაუცბადევად და მაშინაც სულ საათზე იყურებოდა — შინ არ დამაგვიანდესო... იქნებ არც ეს გახსენებოდათ, მაგრამ იმ დღეს გიას ბინიდან გამოსული, შავებში ჩაცმული აღელვებული ახალგაზრდა რომ ნახეს, რომელიც აშკარად ნინოს ძმა უნდა ყოფილიყო, საბოლოოდ ირწმუნეს, რომ გიასა და ნინოს ქორწინებაში რაღაც ვერ იყო რიგზე. მხოლოდ გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ შეიტყვეს, რომ გია, ეს უწყინარი და თავმდაბალი, მეუღლის მოყვარული ახალგაზრდა გამოუსწორებელი ნარკომანი ყოფილა. ამის გამო მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდათ არც ბატონ ბეგლარს და არც ნინოს ძმას, გიას კლასელსა და თანატოლ რეზოს, რომელმაც ყველაფერი იცოდა თავისი სიძის შესახებ. დედა კი, ქალბატონი ნანა, მაინც დედა იყო და ასე თუ ისე ცდილობდა ქმარ-შვილისაგან მალულად, დროდადრო მაინც მოენახულებინა მამა-ძმისაგან მიტოვებული ქალიშვილი. რა იცოდნენ მეზობლებმა, რომ რეზოს გამოჩენა სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. დის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ სიძესთან ძველი ნაცნობი ქერათმიანი ლამაზმანის გამოჩენა ცუდად ენიშნა. ამასთან, სახანძრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში ისეთი რამ ამოიკითხა, რამაც თავზარი დასცა: „ხანძრის დროს გაზქურისა და გაზსადენის მთავარი ონკანები ღია მდგომარეობაში იყო. ღია იყო ბინაში არსებული ყველა კარი, გარდა შესასვლელი კარისა და ფანჯრებისა. დახშული იყო სამზარეულოდან გამავალი სავენტილაციო ხვრელიც“.

„დავუშვათ, გაზქურის ონკანები ღია დარჩა. ნინო ისეთი თავქარიანი გოგო არ იყო, სავენტილაციო ხვრელი ჩაეკეტა. ვიდრე მშობლებთან ცხოვრობდა, საძინებელში ფანჯარა ზამთარზაფხულ ღია ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, სარკმელი მაინც. აქ კი? ვითომ რა, ჯერ გაზქურა გამორთო, ცეცხლი რომ ჩაექრო და შემდეგ ისევ გაალო ონკანები? ანდა თუნდაც დილით, გაღვიძების შემდეგ, აირის სუნი რატომ ვერ იგრძნო?.. არა, აქ რაღაც ვერაა კარგად. იმ გარეწარს უნდა ველაპარაკო“.

საუბარი მეორე დილით შედგა:

პირველი, რაც თვალში მოხვდა ბინაში შესულ რეზოს, ის იყო, რომ ყველა სარკმელი გაეღოთ. ლამაზმანი სამზარეულოში საქმიანობდა.

— რით ახსნი, რომ ამ დილით, როცა იმდღევანდელთან შედარებით ორჯერ მეტად ცივა, ყველა სარკმელი ღიაა, — ჯიქურ მიახალა გიას.

— ერთადერთი ადამიანი, ვინც მაგ კითხვაზე გიპასუხებდა, ცოცხალი აღარაა. თუმცა მეც შემიძლია სავარაუდო პასუხის გაცემა. ნინო იმ დღეებში გაცივებული იყო, სიცხეც ჰქონდა და შესაძლოა ამის გამო ჩაკეტა სარკმლები.

— სუნი რატომღა ვერ იგრძნო?

— იმიტომ, რომ ცხვირი... თუმცა არა, არ ვიცი. ვერაფერს გეტყვი. მაგ კითხვას ალბათ ისევ ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი.

ამ კითხვებმა აშკარად გააღიზიანა მისი ყოფილი სიძე. რეზო გამომძიებელთან მივიდა და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სთხოვა. თუმცა იმ დასკვნაში დაღუპულის სასუნთქ გზებზე არაფერი ეწერა. გვამი იმდენად დამწვარიყო, რომ ექსპერტს ბევრი ვერაფერი ჰქონდა ხელჩასაკიდი. რეზომ გამომცდელად შეხედა ახალგაზრდა გამომძიებელს.

— თქვენ რა კვალიფიკაციას მისცემთ ამ ტრაგედიას?

— ყველაფრიდან ჩანს, რომ უბედურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ხვალ ან ზეგ საქმის შეწყვეტის დადგენილებას გამოვიტან და ამით დავასრულებთ.

— არ გაფიქრებთ, რომ გაზქურის ყველა ონკანი ღია იყო. მაშ, როგორღა ჩააქრეს ცეცხლი ან რატომ გააღეს, თუ არ აანთებდნენ? ამასთან, ბინაში ყველა ფანჯარა თუ სარკმელი ჩაკეტილი იყო.

— თუ წვრილმანებს მივყევით, საქმის დასრულებას ერთი წელი მაინც დასჭირდება. ონკანი რატომ გააღეს ან სარკმელი რისთვის ჩაკეტეს, ეგ ოჯახის წევრების საქმეა. მე კი გამომძიებელი ვარ და ვადასტურებ, რომ უბედურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, — ცოტა არ იყოს, გაწყრა გამომძიებელი. ექსპერტიზის დასკვნა საქაღალდეში ჩადო და ზანტად წამოიმართა. ამით აგრძნობინა რეზოს, ვიზიტი დამთავრებულიაო.

— მე კი ასე არ ვფიქრობ. სხვათა შორის, მეც იურისტი ვარ, არც ალღო მღალატობს და არც ინტუიცია. არ გემშვიდობებით. დარწმუნებული ვარ, კვლავაც შევხვდებით ერთმანეთს.

## ლიფსიტა... ბადეში

— ბადეს თუ ლიფსიტა ამოჰყვა, უნდა იცოდე, რომ შორიახლო ღლავია, — უმეორებდა ხშირად კრიმინალისტიკის ლექტორი სტუდენტებს და რეზოსაც მტკიცედ ჰქონდა ჩაბეჭდილი მეხსიერებაში ეს შეგონება. ახლაც, სიძის სახლისკენ მიმავალს გაახსენდა. გადაწყვიტა, მეზობლებიდან დაეწყო და არც შემცდარა. მოხუცმა ცოლქმარმა, გიასა და ნინოს გვერდით რომ ცხოვრობდნენ, თავიანთი ჭკუით საგულისხმო ვერაფერი უთხრეს, მაგრამ რეზომ ისეთი რამ დაიჭირა მათ ნაუბარში, ერთი სული ჰქონდა, პროკურორისთვის მოეთხრო. როგორც მოხუცებმა უთხრეს, ნინოს ჯანმრთელობაზე მზრუნველი გია მეუღლის წინააღმდეგობის მიუხედავად, ყოველ დილით ყინვაში სირბილს აიძულებდაო. რეზოს კითხვაზე, მანამდე თუ შეგიმჩნევიათ იგივეო, ორივემ დაუდასტურა, სხვა დროს ისინი ან ნაცნობ-მეგობრებთან დადიოდნენ, ან თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, შვილოო, ამ სიტყვებით დაასრულა თავისი სევდიანი მოგონება მოხუცმა ქალბატონმა და ხალათის სახელოთი ცრემლი შეიმშრალა. ...პროკურორმა ყურადღებით მოუსმინა რეზოს და უთხრა:

— აქამდე უნდა გაგეცხადებინათ, რომ თქვენი სიძე ნარკომანი იყო და ნარკოტიკებითაც ვაჭრობდა, — თუნდაც ტრაგედიის პირველ დღეებში. თუმცა, თქვენიც მესმის...

— არ მინდოდა ჩრდილი მიმეყენებინა ჩემი გარდაცვლილი დისთვის, მაგრამ ის წვრილმანები, რაც იკვეთება, მაფიქრებინებს, რომ აქ უბედურ შემთხვევასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. თქვენი თანადგომის იმედი მაქვს.

— სიმართლე გითხრათ, თქვენმა ნაამბობმა დამაინტერესა. საქმეს სხვა გამომძიებელს გადავცემ, თქვენ კი ასე ორ-სამ დღეში გამოიარეთ. მანამდე ოპერმუშაკებს დავავალებ, ის ქალბატონი შეისწავლონ, თქვენი დის ადგილი რომ დაიკავა. შესაძლოა სწორ კვალსაც მივაგნოთ. თუ, რა თქმა უნდა, საქმე დანაშაულთან გვაქვს და არა უბედურ შემთხვევასთან.

ორი დღის შემდეგ კი პროკურორი რეზოს სიხარულით შეეგება.

— თქვენ რომ არა, ამ საქმის შეწყვეტაზე ხელი უნდა მომეწერა დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით. ახლა კი მართალია, ჯერჯერობით პირდაპირი სამხილი არ გვაქვს, მაგრამ ეჭვს ის გარემოება აძლიერებს, რომ თქვენი სიძის მეგობარი ქალბატონი ინტერპოლის მიერ ძებნილი ნარკომანი აღმოჩნდა. დარწმუნებული ვარ, ჩემზე მეტად ხართ დაინტერესებული თქვენი სიძის საქმიანობის გაშიფვრით. ამან შესაძლოა ხანძრის ნამდვილ მიზეზთან მიგვიყვანოს. ხვალ ან ზეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი შეგხვდებათ და დაწვრილებით ინსტრუქციას მისგან მიიღებთ.

რეზომ კარგად იცოდა, რომ ასეთ საქმეში თვითშემოქმედება დამღუპველი იყო, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მოისმინა, ლოდინს ნამდვილად ვეღარ შეძლებდა და გადაწყვიტა ისე ემოქმედა, რომ არც საქმისთვის ევნო და შეძლებისდაგვარად სარგებელიც მოეტანა. გაახსენდა, სიძის სახლის მოპირდაპირე კორპუსში მისი ძველისძველი მეგობარი ცხოვრობდა, რომელიც ყველა შეხვედრისას ეპატიჟებოდა. გადაწყვიტა, მიწვევით ახლა ესარგებლა. ბაზარში შეიარა. რაღაც-რაღაცები იყიდა და ხელდამშვენებული მიადგა ოთარის ბინას. გვიანობამდე იჭუკჭუკეს მეგობრებმა. მერე რეზომ მანქანის გაფუჭება მოიმიზეზა და ღამით იქვე დარჩა. ოთარის ბინის ფანჯრები პირდაპირ უყურებდა სიძისას. საძინებლიდან რეზო ყველაფერს აკვირდებოდა. გია ნერვიულად სცემდა ბოლთას მისაღებში და მალიმალ რეკავდა ტელეფონით. ლამაზმანიც აფორიაქებული ჩანდა. მოკლე ბინოკლით, რომელიც სპეციალურად ამ საღამოსთვის შეიძინა სპორტულ მაღაზიაში, მეტის გარჩევა რეზომ ვერ შეძლო. რა უნდა ექნა, მოვლენების განვითარებას დაელოდა. მეორე ოთახში უკვე ხვრინავდა მარტოხელა ოთარი. საათი კარგა ხანია, გადასცდა თორმეტს, მაგრამ გია და ქერათმიანი დაძინებას არ აპირებდნენ. აშკარა იყო, ვიღაცას ელოდნენ. ღამის ორი საათი იქნებოდა, მათი სადარბაზოს წინ მანქანა რომ გაჩერდა. იქიდან გადმოსულმა სამმა მამაკაცმა და ერთმა ქალმა იმავე წამს ქუდები თვალებამდე ჩამოიფხატეს და სადარბაზოში შევიდნენ. ნამდვილად საეჭვო ხალხი იყო, მაგრამ ნუთუ მართლა გიასთან შევლენ? ბინოკლი მოიმარჯვა. წამიც და გიაც და ქალიც კარისკენ წავიდნენ. მართლაც, ოთხეული მათ ეწვია. მოსულებს ქურქები გაეხადათ და ახლა უფრო გარკვევით შეიძლებოდა მათი შეთვალიერება. მაგიდაზე კეისი გაჩნდა და რამდენიმეწუთიანი, უეჭველად საქმის გარჩევის შემდეგ, ერთ-ერთმა კეისი გახსნა. რეზო შიგთავსს ვერ ხედავდა, მაგრამ იმდენი კი მოახერხა, რომ გაერჩია — კეისში რაღაც ერთფეროვანი მასა ელაგა. არასდროს ენახა ნარკოტიკებით სავსე კონტეინერი, მაგრამ დაახლოებით წარმოდგენა კი ჰქონდა და მიხვდა, რომ იქ, იმ ოთახში, სადაც სულ ორიოდე თვის წინ მისი ერთადერთი დის სიცოცხლე ჩაიფერფლა, ახლა გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა ნარკოტიკების დიდ პარტიაზე. ტელეფონს მისწვდა და პროკურორთან დარეკა.

— ბატონო პროკურორო, ბოდიშს ვიხდი ასე გვიან რომ გაწუხებთ, მაგრამ დაყოვნება საქმეს გააფუჭებს. ამწუთას ჩემი სიძის ბინაში მიიტანეს ნარკოტიკების დიდი პარტია..

— ერთი წუთით, ერთი წუთით... — ყურმილში ნამძინარევი მამაკაცის ხმა გაისმა, — საიდან შეიტყვეთ?

— ჩემი თვალით ვუყურებ ვაჭრობის სცენას მოპირდაპირე ბინის ფანჯრიდან. თუ შეგიძლიათ, იჩქარეთ...

— ღმერთმა ქნას, მართალი იყოთ. ახლავე დავრეკავ სადაც საჭიროა.

— მოასწრებენ კი? არადა, უკვე ფულს ითვლიან. არა, უეჭველად დაგვისხლტებიან, რამე უნდა ვიღონო, — აფორიაქებული რეზო საძინებლის კედლებს აწყდებოდა. უეცრად კედელზე გრძელ ლურსმანს მოჰკრა თვალი, რომელზეც ოთარს თავისივე ხელით დაწნული რაღაც უსახური კალათა ჩამოეკიდა და იმავე წამს გონება გაუნათდა. კალათა გვერდზე მოისროლა, ლურსმანი ამოაძრო და კიბეზე დაეშვა. სტუმრების მანქანასთან უშიშრად მიიჭრა. იცოდა, ოთხეულს ახლა მანქანისთვის არ ეცალა. ჰოდა, ერთ საბურავს ისე მიუმარჯვა ლურსმანი, რომ დაძვრისთანავე შერჭობოდა, მეორე კი ჩაფუშა. დამშვიდებული დაუბრუნდა სათვალთვალოს. „მხარეებს“ ვაჭრობა დაესრულებინათ და ახლა ალბათ მაღარიჩს სვამდნენ. მაგიდაზე კეისის ნაცვლად კონიაკის ბოთლი და რამდენიმე ჭიქა იდგა. რეზოს ვარაუდი გამართლდა, პოლიციელებმა მართალია, დააგვიანეს, მაგრამ „სტუმრებს“ იმ დროს დაადგნენ თავს, როცა საბურავის შეცვლით იყვნენ გართული. თუმცა ზემოთ, გიას ბინაში აღარც გია დახვდათ და აღარც ქალი. ეტყობა, მანქანასთან რომ ჩოჩქოლი შენიშნეს, სახურავზე აძვრნენ და გვერდითა სადარბაზოდან უშველეს თავს...

მეორე დღეს პროკურორი უხალისოდ შეხვდა რეზოს.

— ოთხი კაცი დავაკავეთ, მაგრამ სამხილი არ გვაქვს. ფული კი აქვთ, მაგრამ უმტკიცე, რომ ნარკოტიკების სანაცვლოდ აიღეს. თუმცა თქვენ რას გერჩით, ჩვენი პოლიციის ბრალია ყველაფერი.

ტელეფონმა დაიწკრიალა. პროკურორი ყურმილს დასწვდა.

— ბატონო პროკურორო, სახლის სახურავზე ნარკოტიკებით სავსე ჩემოდანი ვიპოვეთ. ექსპერტმა დაგვიდასტურა, რომ ჩემოდანზე დაკავებულების თითების ანაბეჭდებია, — იტყობინებოდა სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი.

— გაგახარათ ღმერთმა, ამის იმედი ნამდვილად აღარ მქონდა. როგორც ჩანს, გიამ და მისმა საყვარელმა ნივთმტკიცება მოიშორეს. ქალაქიდან გასასვლელებს თვალი არ მოაშოროთ, არ უნდა გაგვექცნენ.

— გზები უკვე შევკარით. ჰო, მართლა, გუშინ ექსპერტებმა ნახანძრალში ნაპოვნი ცხვირში საწვეთებელი წამლის შუშა დაგვიბრუნეს — მათი მტკიცებით, მასში გაცივების საწინააღმდეგო წამლის მაგივრად სუფთა წყალი ასხია. ვერ გამიგია, ეს რას უნდა ნიშნავდეს?!

ამის გამგონე პროკურორი ერთხანს გაირინდა. მერე ნელ-ნელა გამოერკვა. აქამდე ძირს დაშვებული ყურმილი მაღლა ასწია და იმედიანად ჩაილაპარაკა, — ახლა თითქმის გასაგებია ყველაფერი.

— რა არის გასაგები, ბატონო პროკურორო? — გაისმა ყურმილში.

— ის, რომ ხანძარი უბედური შემთხვევა კი არა, წინასწარ განზრახული დანაშაული იყო.

## ეპილოგი

მეორე დღეს პოლიციის უფროსის ჩიტირეკია მოადგილე ტელევიზორის ეკრანიდან ტრაბახობდა, რომ მათი ოპერატიულობის შედეგად დააკავეს ნარკოგამსაღებლების ოთხკაციანი ჯგუფი, რაშიც ნაწილობრივ დაეხმარათ, ჯერჯერობით მიმალული გია მინდიაშვილის ცოლისძმა, რეზო უნგიაძე. პროკურორს თავზარი დაეცა.

— ასე ხომ სასიკვდილოდ გაწირეთ ადამიანი, ამაზე აღარ ფიქრობთ?

— რა ვუყო, ბატონო პროკურორო, ახალგაზრდაა, გამოუცდელი, — მოადგილის მაგივრად თავს იმართლებდა თვითონაც ახალგაზრდა პოლიციის უფროსი.

— ვიდრე ეგ გამოიცდება, კაცმა არ იცის, რამდენ ადამიანს გაწირავს უნგიაძის მსგავსად. დღეიდან მეთვალყურეობა დააწესეთ რეზო უნგიაძის სადარბაზოსთან. თქვენი უგერგილობის გამო თქვენი დაშვებული შეცდომები მან გამოასწორა და ამისათვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

P.S. გია მინდიაშვილის მიერ დაქირავებულმა კილერმა ერთი კვირის თავზე ესროლა რეზო უნგიაძეს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# ხანძარში ჩაფერფლილი „სიყვარული“

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

რომ ეგონა, მსხვერპლს სული აღარ უდგასო და გაქცევა დააპირა, რეზოს დასაცავად გამწესებულმა სამართალდამცველებმა თავდამსხმელს ზურგიდან ესროლეს. კილერი შებარბაცდა, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მარჯვენა ფეხი ველარ დაიმორჩილა და მიწაზე გაიშხლართა. საავადმყოფოში გაირკვა, რომ რეზოს მკერდის ძვალს ტყვია აესხლიტა და მხოლოდ კანი დაზიანებოდა. კილერს კი „მაკაროვით“ ნასროლი ტყვიით ბარძაყის ძვალი ჰქონდა გადატეხილი. მან იმავე ღამეს დაამღერა შემკვეთისა და მისი საყვარლის ადგილსამყოფელი — გამთენიისას გია მინდიაშვილი და სვეტლანა იაკოვლევა პოლიციაში მიაბრძანეს.

P.P.S. სასამართლო პროცესზე პროკურორმა საბრალდებო სიტყვა ასე დაასრულა:

— დადასტურებულია, რომ გია მინდიაშვილი ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლისას დაუკავშირდა სვეტლანა იაკოვლევას და ნარკოტიკების წვრილი პარტიების რეალიზაციაში ეხმარებოდნენ ერთმანეთს. მან საქართველოში დაბრუნების შემდეგ რუსული კრიმინალური კავშირების გამოყენებით საგრძნობლად გააფართოვა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა, რაშიც დიდ როლს თამაშობდა იმხანად შუა აზიაში მცხოვრები იაკოვლევა, რომლითაც მოგვიანებით ინტერპოლი დაინტერესდა და სვეტლანამ გადაწყვიტა მართლმსაჯულებას დამალვოდა. პარტნიორებმა გადაწყვიტეს, რომ ამისათვის საქართველო და, კერძოდ, გიას ბინა გამოდგებოდა, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად საჭირო იყო გიას მეუღლის, ნინოს მოცილება. გია მინდიაშვილმაც შეიმუშავა გეგმა — მეუღლეს აიძულებდა, სიცივეში სირბილს. ქალი გაცივდებოდა, ყნოსვის შეგრძნებას დაჰკარგავდა. მერე გაზქურას ჩართავდნენ საქმეში. მართლაც, ნინო გაცივდა და ცხვირში ჩასაწვეთებელი წამალიც დასჭირდა. გიამ წამალი წყლით შეცვალა და დარწმუნებულმა, რომ ქალი აირის სუნს ვერ შეიგრძნობდა, გაზქურის ონკანები გახსნა. სავენტილაციო ხვრელიც დაგმანა. ბინაში ყველა კარი გააღო და თავისიანების მონახულების საბაბით ქალაქიდან გავიდა.

ჩემგან ჩამოთვლილი ბრალდებები მრავალგზის დადასტურებულია საგამოძიებო ექსპერტიზებითა და მოწმეთა ჩვენებებით. დანაშაული დადასტურებულია.

ახლა კი მიხვდა რეზო, რომ რაღაც გაუხარდა, თუ ამას სიხარული ჰქვია...

***ვაჟა გავაშელი***

# ბავშვის ჯანმრთელობის ხარჯზე საათების გაზრდას არ დავუშვებთ



## თუ სკოლა ჩათვლის, რომ რელიგიის სწავლება აუცილებელია, ასწავლონ...

ბევრმა პედაგოგმა მითხრა – ორმოცი ლარი მაინც რომ მქონდეს პენსია, სკოლიდან წავიდოდიო. ყველა პედკოლექტივსა და დირექტორს მოვუწოდებ, მაქსიმალური მოთმინება გამოიჩინონ ამ ადამიანებისადმი. 2-3 წელიწადში საქართველოს ექნება საშუალება, დამსახურებული პენსია მისცეს იმ პედაგოგებს, რომელთაც დიდი დამსახურება აქვთ განათლების სისტემის წინაშე.

როგორც გვარწმუნებენ, მალე სწავლა ისევ თავმოსაწონი რამ გახდება, ხუთოსნობა კი — „მოდურობის მწვერვალი“. პრეზიდენტს „ხუთოსნების“ საზოგადოების აშენება უნდა და ამბობს, — სწავლის გარეშე ყველაფერი უკან დაგრჩებათო. მაშინ, როდესაც კანცელარიასთან განათლების რეფორმის მოწინააღმდეგეთა აქციები იმართებოდა, პრეზიდენტმა განათლების მინისტრს თანადგომა გამოუცხადა და ამით ლომაიას მოწინააღმდეგეებს ცივი წყალი გადაასხა. მიუხედავად ამისა, ისევ არსებობს უამრავი კითხვა მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც ვერც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, **კახა ლომაიას** მომხრედ მივიჩნევთ და ვერც ოპონენტად და რომლებიც, უბრალოდ, დაბნეული არიან — არ იციან, კარგს მოუტანთ განათლების რეფორმა თუ ავს. ამიტომაც ვეცადეთ სასწავლო წლის დასაწყისში, საზოგადოებისათვის საინტერესო კითხვებზე თავად რეფორმის ინიციატორის, განათლების მინისტრისაგან მიგვეღო პასუხი.

**— ახალი სასწავლო წელი არაორდინარულად, პედაგოგთა საპროტესტო გამოსვლების ფონზე იწყება. რა არის ამის მიზეზი — საზოგადოებამ ვერ გაიგო განათლების რეფორმის არსი, თუ აქ რაიმე სხვა მიზეზია?**

— რეფორმას პედაგოგთა უმეტესობა ემხრობა. საქართველოს ყველა კუთხეში მქონდა შეხვედრა პედაგოგებთან, დირექტორებთან და რეფორმას ყველა აუცილებლობად მიიჩნევს. სკოლაში დღეს მხოლოდ ფინანსური პრობლემები არ არის, იქ გაცილებით სერიოზულად დგას მართვის, ურთიერთობების პრობლემა — ამ რეფორმით კი სკოლას, პედაგოგებსა და მშობლებს უპრეცედენტო ნდობას ვუცხადებთ. პედაგოგებმა მითხრეს, — არ დაგანებებთ, რომ რეფორმა ბოლომდე არ მიიყვანოთო. ეს ის მასწავლებლები არიან, რომელთაც სწორად გაიგეს მოსალოდნელი ცვლილებების არსი და მიზანი. თუმც არის მასწავლებელთა ნაწილი, რომელიც არაკეთილსინდისიერმა დირექტორებმა შეიყვანეს შეცდომაში. მავანთ ბოროტად გამოიყენეს პედაგოგების არაინფორმირებულობა და უთხრეს, — განათლების სამინისტრო ითხოვს თქვენს შემცირებასო. არიან ისეთებიც, რომელთათვისაც რეფორმა პრინციპულად მიუღებელია. ასეთებში უპირველესად კორუმპირებულ დირექტორებს ვგულისხმობ, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ განათლების სისტემაში არსებული განუკითხაობით, იყვნენ ერთპიროვნული ავტორიტარული მმართველები. განკარგავდნენ სკოლის ცხოვრების ყველა ასპექტს — მასწავლებლის სკოლაში მიღება-გათავისუფლებას, საათების (შესაბამისად, ანაზღაურების) მომატება-დაკლებას და სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასეთი ხალხისთვის, ბუნებრივია, მიუღებელი იქნება ის, რომ სკოლის მმართველი არჩეული სამეურვეო საბჭო იქნება. დირექტორები, რომლებიც მიეჩვივნენ ქრთამის აღებას მასწავლებლებისგან, მშობლებისა და მოსწავლეებისაგან, ბუნებრივია, ვერ შეეგუებიან ცვლილებებს, მათ ხომ ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთება მოუწევთ სამეურვეო საბჭოს წინაშე (რომელიც მშობლებისა და პედაგოგებისაგან თანაბრად იქნება დაკომპლექტებული).

მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. შესაძლოა შეცდომებიც დავუშვათ, მაგრამ ეს ჩვენი გამოცდილების ღირებული ნაწილი იქნება.

ვიცით, რომ სკოლაში უამრავი პრობლემაა და გადავწყვიტეთ, ის იქ მოგვარდეს, სადაც წარმოიშვა. განათლების სამინისტრო იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების გამკონტროლებელი, სკოლის ფინანსების ხარჯვას კი საგადასახადო და კონტროლის პალატა გააკონტროლებს. ამ რეფორმაში მთავარი ისაა, რომ გადაწყვეტილებების მიღების უფლებას სახელმწიფო სკოლას აძლევს.

**— პედაგოგები უკმაყოფილო არიან კვირის განმავლობაში გაკვეთილების რაოდენობის შემცირებით — საათების შემცირება ჩვენს ხელფასზეც აისახებაო.**

— საბჭოთა პრაქტიკის გადმონაშთი, როდესაც მასწავლებლის ხელფასი ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული, მოისპობა. მატერიალური პრობლემის გამო პედაგოგი იძულებული იყო, ბევრი საათი აეღო, რაც მას გაუსაძლის პირობებში აყენებდა. ამიერიდან მასწავლებლის ანაზღაურება დამოკიდებული იქნება 3 კომპონენტზე — გაკვეთილზე, მასწავლებლის მიერ თვითგანვითარებისთვის დახარჯულ დროსა და მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობაზე.

**— ვინ აღრიცხავს რამდენი დრო დახარჯა პედაგოგმა თვითგანვითარებისთვის ან მოსწავლისათვის?**

— სკოლაში იქნება სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც ეს მონაცემი ჩაიწერება. სკოლაში ყველაფერი ხელისგულზეა. პედსაბჭოს (რომლის უფლებები გაიზრდება) არ გამოეპარება, რომელი პედაგოგი რას აკეთებს.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

# სწავლა უკვე დაიწყო, ოთხასამდე მოსწავლე კი სკოლის გარეშე რჩება?!

თბილისის 58-ე ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებულ, საკალათბურთო სკოლას, რომელიც მიხეილ კეკელიძის სახელს ატარებს, ტყუილად არ უწოდებენ „ტალანტების სამჭედლოს“ — არაერთი ქართველი ვარსკვლავი ზიარებია მის კედლებში კალათბურთის ანაბანას, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს ეროვნულ გუნდში მობურთალთა უმეტესობაც სწორედ ამ სკოლის აღზრდილია.

თოთხმეტი წლის წინ 58-ე სკოლა დროებით 44-ე საშუალო სკოლის შენობას შეეკედლა და მისი ერთი სართული დაიკავა. სამწუხაროდ, ეს „დროებით“ წლების განმავლობაში გაგრძელდა, 2004 წლის ზაფხულში კი „მასპინძელმა“ სკოლამ გაფართოება განიზრახა და... მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო სკოლა შენობის გარეშე დარჩა.

58-ე სკოლის დირექტორის, მერაბ კეკელიძის თქმით, ოლიმპიური რეზერვების სკოლის ოთხასამდე ბავშვი, რომლებიც სპორტის 16 სახეობაში ვარჯიშობენ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დატოვეს საკლასო ოთახების გარეშე. ბატონი მერაბი 44-ე სკოლის დირექტორისგან, მარინა შანშაშვილისგან მხოლოდ იმდენ დროს ითხოვს, რაც საკალათბურთო სკოლისთვის შენობის გამოყოფას დასჭირდება. მანამდე კი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ყველა იმ ადამიანმა მოიყარა თავი, ვისაც ისტორიული სკოლის ბედზე გული შესტკივა...

**მერაბ კეკელიძე,** სკოლის დირექტორი:

— ქალბატონ მარინა შანშაშვილს სკოლის გაფართოება სურს. ბუნებრივია, ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, გაფართოვდნენ, მაგრამ გვაცალონ, სანამ შენობას გამოგვიყოფენ. ამის თაობაზე ინფორმირებულია როგორც ქალაქის მთავრობა, ისე განათლების მინისტრი. ყველა გვეუბნება, რომ შენობა აუცილებლად გვექნება, მაგრამ... სასწავლო წელი უკვე დაიწყო, ჩვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ სკოლის დირექტორმა რვა ოთახი გამოგვიყო, თუმცა, როგორ მოვათავსებთ იქ 300-ზე მეტ ბავშვს, ძნელი სათქმელია.

დღეს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ უნდა გაიხსნას ახალი ოლიმპიური სკოლები, რომ უნდა ჩამოვიყვანოთ ჩვენი „მამლუქები“, ხელი შევუწყოთ სპორტის განვითარებას, ვინც გვყავს, იმათაც ვკარგავთ და არ ვაძლევთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

**გურამ მინაშვილი** (ვეტერანი კალათბურთელი):

— მიხეილ კეკელიძის სახელობის სკოლაში არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდა. ფინელებთან მატჩისას, ტრიბუნების მსგავსად მთავრობის ლოჟაც სავსე იყო და სიცოცხლეში პირველად ვნახე მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც დროშით იყო მოსული დარბაზში. ეს იყო განათლების მინისტრი კახა ლომაია, რომელიც მთელი სულით და გულით გულშემატკივრობდა საქართველოს ნაკრებს. ნუთუ ბატონ მინისტრს არ სურს მომავალშიც გვყავდეს ასეთი მოთამაშეები? იმ კალათბურთელებიდან, რომლებსაც იგი ქომაგობდა, უმეტესობა ხომ 58-ე სკოლაშია აღზრდილი?! ნუთუ ასეთი პრობლემატურია ერთი შენობის გამოძებნა ესოდენ საჭირო საქმისათვის? თუ ასე არ მოხდა, ისედაც დეგრადირებული ქართული სპორტის საქმე სულ უკან წავა. მთელი სპორტული სამყარო ითხოვს იმ პირებს, ვისაც ეს ეხება, ან იმავე შენობაში დატოვონ, ან ახალი გამოუყონ სკოლას, რომელშიც ახალგაზრდა თაობა სპორტის 16 სახეობას ეუფლება...

სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა ის ფაქტი, რომ დღეს, როცა თბილისში უამრავი რამ შენდება, ერთი (თუნდაც, ძველი) შენობა ვერ გამოინახა მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო სკოლისათვის. სხვა რომ არაფერი, ყველაფერი ეს ლეგენდარული მწვრთნელის ხსოვნის შეურაცხყოფაა, მწვრთნელისა, რომელმაც ქართულ კალათბურთს ვარსკვლავური თაობები აღუზარდა. სანამ ჩვენში არ გაითავისებენ, რომ ბავშვთა სპორტი მეტად ფაქიზი სფეროა და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მანამდე ქართული გამარჯვებები დღევანდელივით იშვიათ „გამონათებებად“ დარჩება.

58-ე საკალათბურთო ისტორიული სკოლის ბედი სასწრაფოდაა გასარკვევი. მსგავსი საკითხები ასე არ უნდა წყდებოდეს, მით უფრო მაშინ, როცა ახალი სასწავლო წელი უკვე დაწყებულია. იმედია, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელთა სიტყვა დაპირებად არ დარჩება და მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო სკოლა შესაფერის შენობას მიიღებს...

***რატი შელეგია***






# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საორგანიზაციო ჯგუფის ინიციატივით საფუძველი ეყრება ღია ლექციათა უწყვეტ ციკლს, საქართველოს უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე, საქართველოს როლსა და ადგილზე გლობალიზაციის პროცესში; ეროვნული ცნობიერების საფუძვლების შესახებ; ქართველთა ურთიერთობებზე მეზობელ ერებთან; საქართველოს როლზე კავკასიაში; ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების შესახებ და მათი გადაჭრის მექანიზმებზე.

**საორგანიზაციო ჯგუფი თხოვს მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს წარმოდგენილი თემატიკის ირგვლივ გამოეხმაურონ და მიიღონ მონაწილეობა ღია ლექციათა ციკლში.**

ლექციები ჩატარდება უნივერსიტეტ „საქართველოს“ სალექციო აუდიტორიაში, ყოველ სამშაბათს $14^{00}$ საათზე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, გ. ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტის) ქუჩა №1ბ

საორგანიზაციო ჯგუფი
მის: გ. ფანჯიკიძის ქ. №1ბ (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.)
საკონტაქტო ტელ: 37 18 29; 29 40 70
ფაქსი: 38 40 72 E-mail: unisak@myoffice.ge

28 სექტემბერს ღია ლექციას თემაზე

**«ეროვნული ცნობიერების საფუძვლები»**

გამართავს ბ-ნ თემურ ქორიძე. დასაწყისი $14^{00}$

# უცნაურობა დამყვა ასეთი...

კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციის გვერდით ერთი უცნაური გატაცების კაცი ცხოვრობს — **შოთა კუდავა**. იშვიათად შემხვედრია მეგრული სიმკვირცხლითა და მთიელის სიჯიუტით გამორჩეული მსგავსი ადამიანი. ადრევე მქონდა გაგონილი, რომ მთებში ქვების შესაგროვებლად დადიოდა. მთებში ვის არ უვლია. მით უმეტეს, როცა „თვალიც იქ იწევს, გულიცა“. ან ზღვისა თუ მდინარის ნაპირას ვის არ შეუგროვებია ულამაზესი კენჭები... მაგრამ ქვები და ლოდები, — ნურას უკაცრავად. ის კი აიკიდებდა ზურგჩანთას და კავკასიონის კლდეღრეებში უცნაურ ქვებს ეძებდა. ეძებდა და პოულობდა კიდეც. თან ცოცხალ არსებასავით ელაპარაკებოდა, „ძმად გაეფიცებოდა“ და შინ სახლიკაცებად მოჰყავდა. ეზოში დიდძალი ქვა რომ დაახვავა, დედამ ბუზღუნი დაუწყო. დედამთილს რძალმაც აუბა მხარი და ქალებმა კინაღამ მოზიდული „ქვების სროლა“ დაუწყეს. თან ვიშვიშებდნენ — მთლად გადაირია ანგელოზივით კაციო. ამ „გადარეულს“ გულში თავისთვის ეცინებოდა, დედას და ცოლ-შვილს კი პირღიმილიანი ამშვიდებდა, ცოტა ხანს კიდევ დამაცადეთო... აბა, რა დაამშვიდებდათ, როცა მიდგა და ბაღის ამოძირკვა დაიწყო. მაშინ კი მართლა წაიშინეს თავში ხელი. გაკერპებული კაცი მაინც თავისას არ იშლიდა. ძველი ღობე მოშალა და ქვის დეკორატიული გალავანი გაავლო, სადაც დედა პამიდვრის ჩითილებს რგავდა, პირამიდული კვიპაროსების ტყე გააშენა, მერე ორსამგან თხრა დაიწყო. თხარა, თხარა და კარგად მოზრდილ აუზში ქვის ყვავილების შადრევანი მოაწყო; ხვიარა და სურო ჩაეწნა ცისკენ ატყორცნილ კვიპაროსებს. ჭიშკრიდან მარნამდე მისასვლელი ქვაფენილის ბილიკმა და კიბეებმა დაამშვენა. მარადმწვანე ბაღნარში ქვაში გაცოცხლებული მთის არწივი, სპილო, ნიანგი, ლომი, დათვი და სხვა ნადირ-ფრინველი წამოასკუპა და ისე შეუხამა საერთო დეკორს, გეგონებათ მთელი ცხოველთა სამყარო აქ საუკუნეების წინ ამოზიდულაო. მის დენდროლოგიურ პარკში ყველა ლოდსა და კენჭს თავისი დანიშნულება აქვს, საოცარ სამყაროში მოგაქცევენ, თავიანთ საიდუმლოს გაზიარებენ. ცოტა ხანში მამაპაპისეული მარანი ხელმადლიანმა კაცმა კოპიტის ხის გულთაბოძებით გაამაგრა, სიპი ქვებით გადახურა და შიგ ეგზოტიკური ბუხარი მოაწყო. მარანს ორი კარი აქვს — სტუმრის შესასვლელი და სამასპინძლო. სამასპინძლოდან ლანგრებით გამოგეგებებიან ბატონი შოთას მშვენიერი ქალიშვილი ლელა და სათნო მეუღლე ნინელი. დედა, ქალბატონი ცუცა მოესწრო ამ უცნაური შემოქმედების დასრულებას და შვილის მადლიერი წავიდა ამ ქვეყნიდან. შოთა კუდავას მარანი ქართველი გლეხკაცის მონაგარით დამშვენებული პატარა ეთნოგრაფიული დარბაზია. კოჭებზე ნივრის გალებია ერთმანეთში ჩაწნული, კედლები — ციყვის, მელიის, სიასამურის, დათვის ტყავებით „მოფარდაგული“. ბუხართან მამაპაპური ტახტი დგას მოსასვენებლად. ორნამენტებით დამშვენებული ხელნაკეთი მაგიდის ირგვლივ სკამების ნაცვლად ხის კუნძები შემოურიგებიათ. ურმის თვლის ჭაღზე ნათურები ჩახჩახებს. თაროებზე უამრავი ქვის „არსებაა“ ჩამწკრივებული.



— ეს არის ბუ, ეს კუ, ხედავთ, როგორ აქვს გამოყოფილი ჯავშნიდან თავი? ეს აქლემია, ეს „ტიტანიკი“, ეს კიდევ სიბრძნის კბილი... ყანწი, ზღვის ლომი, დინოზავრი, მტრედი, ესეც კინოფილმ „რეკორდის“ ქვა — გვიხსნის კოლექციონერი, მაგრამ ახსნა აღარ გჭირდება. თავადვე ხვდები, ბუნებისაგან გამოძერწილ ამ უცნაურ ნაირსახეობათა შორის რომელია ციყვი, რომელი სპილო, ძერა, კრუხ-წიწილა...

ჟურნალისტ ნარგიზა მგელაძეს ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში ბატონი შოთასთვის „ქვის კაცი“ უწოდებია. ძალზე მოსწონს ეს სახელი და ამაყობს, რომ ქვის კაცია.



ქვებთან ურთიერთობამ „ქვის კაცად“ კი აქცია შოთა კუდავა, მაგრამ გული სიკეთით აუვსო, ხალასი ღიმილი და მიმსვლელ-მომსვლელის ხელგაშლით შეგებება გაუათკეცა.

— **ბატონო შოთა, კინოფილმი „ცისფერი მთები, ანუ ტიანშანი“ გახსოვთ?** — ვკითხე შეხვედრისთანავე.

— როგორ არა, დიდებული რამ არის „ცისფერი მთები“...

— **მაშ ისიც გეხსომებათ, მთავარი პერსონაჟი რომ ამბობს: ხელბურთი გამიგია, ფეხბურთი გამიგია, ცხენბურთი გამიგია, წყალბურთი, კალათბურთი გამიგია... ეს მოტობურთი არ გამიგიაო,** — მასპინძელი ჩანაფიქრს მიმიხვდა და გულიანად გაიცინა. — **ჰოდა, ბატონო შოთა, მარკების კოლექციონერი გამიგია, სამკაულების, წიგნების, სიგარეტების კოლოფების, რა ვიცი, რისი კოლექციონერი არ გამიგია, ქვებისა კი არა. საიდან დაგებადათ ეს აზრი?**

— ბუნება მხატვარია. არც ერთ ხელოვანს ისე სრულყოფილად არ შეუძლია დახატოს ეს მრავალფეროვანი სამყარო, როგორც ბუნებას. გინახავთ, ზამთარში შეჭირხლულ მინაზე ხის ტოტების ანაბეჭდი? ეკლის გულში ამობურცული ლილისფერი ბუტკო? კლდეზე გადმოკიდებული, გაბორჯღილი ფესვებით გამოკვეთილი ფიგურები? ყველაფერი ეს და სხვა მრავალი ბუნების უბადლო შემოქმედებაა. მთავარია დაინახო, შეიცნო. არც ქვაა გამონაკლისი. თუ კარგად დააკვირდები, ქვაც ცოცხლად მოგეჩვენება. პროფესიით ეკონომისტი ვარ. ქვების ძიება ჩემი ჰობია. ბევრ ადგილას ვიმუშავე, უამრავ ადამიანს შევხვედრივარ, მოვლილი მაქვს აღმოსავლეთის რამდენიმე ეგზოტიკური ქვეყანა, მაგრამ ჩემს მიწაზე მიმობნეული ქვები უცნაურად მიზიდავს, უცნაურობა დამყვა ასეთი...

კავკასიონის მთიანეთში ისეთ ქვას წამოჰკრავ ფეხს, ცოცხალი არსების სკულპტურა გეგონება. ამას ყველა ვერ გრძნობს. ვაჟა-ფშაველა „ფესვებს“ რომ წერდა, „მთანი მაღალნი“ რომ აალაპარაკა, უსულო საგნებს სული რომ ჩაჰბერა და „აასაუბრა ლოდები კლდისა“ — ესმოდა მათი და იმიტომ. მე ვაჟასეულ საიდუმლოს სად შევწვდები. მე მხოლოდ ვხედავ, ვამსგავსებ. მათ ფორმაში არწივს ან ზღარბს რომ შევიცნობ, ვიცი, ბუნებამ თავის წიაღში შობილი მსგავსი რამ გამოძერწა. ხანდახან მიკვირს, როგორ უნდა ელვაწა ბუნების ხელოვნებას, რომ გაქვავებული კრუხი და დაწიოკებული წიწილები შემომფეთებოდნენ. სადმე, კლდის ქიმზე წამომჯდარი ქვის არწივი ცოცხალი მგონებოდა. როგორ ხდება ეს, ვერ აგიხსნით, მთავარია ისინი არსებობენ, მათგან მცირე ექსპონატებმა ჩემს ეზოსა და მარანში დაიდეს ბინა, მაგრამ რამდენია მიუკვლეველი, ხელშეუხებელი... ეს სიპები ზოგი ხევსურეთიდან მაქვს ჩამოზიდული, ზოგი ლოპოტიდან, გარეთ, ღობეზე, რაც დეკორატიული ქვებია, ზურგით მაქვს ჩამოტანილი მანქანის მისადგომამდე.

ადრე დიდი ეზო გვქონდა. დედაჩემმა მისი ნაწილი მეზობელს დაუთმო დროებით სარგებლობაში. იმან კიდევ შიგ რაღაც სათავსები ააშენა. ეზოს ამ ნაწილს ველარ ვიბრუნებ. არადა, უფრო უჩვეულო სანახაობის მოწყობა შეიძლებოდა. კულტურის სამინისტრომ ჩემს ნახელავს დენდროლოგიური პარკის სტატუსი მიანიჭა, უამრავი ადამიანი მოდის სანახავად. მათ შორის უცხოელიც ბევრია. 1992 წლის თებერვალში მეგობრები მყავდა სტუმრად. ერთი მათგანი შემოვიდა და მითხრა, — შენს ეზოში უცხო კაცი დადისო. გავედი, რას ვხედავ, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი არ შემოსულა? ერთი ახალგაზრდა დაჰყვებოდა. ხან საით გავუძეხი, ხან საით, მოიხიბლა მინიატურული ტბებით, შადრევნებით. ხელების ქნევით ველაპარაკებოდით ერთმანეთს. მე მისი ინგლისურისა ვერაფერი გავიგე, მან ჩემი ქართულისა და მეგრულისა.

„ქვის კაცს“ თავისი ნახელავით აღუფრთოვანებია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია , როინ მეტრეველი, ბადრი პატარკაციშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, ბევრი ცნობილი მოღვაწე, მწერალი. მათი მადლობის სტრიქონები სქელ შთაბეჭდილებათა წიგნშია თავმოყრილი. მას შემდეგ კი, რაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაში გადასახლდა, კუდავებთან სტუმრის მისვლა-მოსვლა შეთხელდა, თავად შოთამ კი „შინაპატიმრობაში“ ამოყო თავი. საერთო ორღობეში კამერებია დამონტაჟებული, დაცვა გარეთ მანქანასაც არ აჩერებინებდა. ტერაქტამდე ყოფილი პრეზიდენტი მანქანიდან ხელს გამოყოფდა და მეზობელს ესალმებოდა. ტერაქტის შემდეგ დაცვამ გააფრთხილა — აღარ მიესალმოო. გავლა-გამოვლის დროს საერთო მისასვლელი მუდამ გადაკეტილი იყო. შინ მისვლა ჭირდა. ერთხელ ტელევიზიიდან ყოფილან გადასაღებად. იმ წუთში მოცვივდნენ თურმე ავტომატიანები — რა ხდებაო. ამ ამბებს იუმორით გვიყვება „ქვის კაცი“ და ყველაფრის მიუხედავად, აქედან აყრას არ აპირებს. ამბობს, — რა ვქნა, ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადი იქ არისო. ასეა, როცა ეზო-კარს შენი მამულის ქვით დაამშვენებ, გაქვავდები, გაკლდევდები და იქიდან ფეხს ვერავინ მოგაცვლევინებს. მცხეთაში, მამულაშვილის ბაღი რომ განადგურდა, ის დამჭკნარი ყვავილები სტკივა და ქვების გამძლეობის იმედით ცოცხლობს. მით უმეტეს, ამბობენ, პირამიდული კვიპაროსები 2500 წელზე მეტხანს ძლებენო.

ისინი კი ჯერ სულ ორ-სამ ათეულ წელს ითვლიან...

***ეთერ თარიმანი***






## რას გვეტყვი, მამაო?

— **ეროვნებით აზერბაიჯანელი ვარ. ქართული სკოლა დავამთავრე, ჩემს ენაზე წერა-კითხვა არ ვიცი და ვერც ყურანს ვკითხულობ — ვერც ვლოცულობ. ქართულ ლოცვებს ვკითხულობ და დანაშაულს ხომ არ ჩავდივარ ორივე სარწმუნოების წინაშე?**

— თუ უფალი ადამიანს ცნობიერების ნიჭით აჯილდოებს, ის აუცილებლად დაიწყებს რწმენის, ანუ იმ საყრდენის ძიებას, რომელიც დაიფარავს სიცოცხლეში და სიმშვიდეს დაუმკვიდრებს გარდაცვალების შემდეგ. უფალმა თქვენში ეს სიკეთე გაალვიძა და ჭეშმარიტების ძიების სურვილი გაგიჩინათ. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თუ ქრისტიანულ ლოცვებს მხოლოდ ყურანის შესაცვლელად კითხულობთ, ჭეშმარიტებამდე ვერ მიხვალთ. ეს ორი სხვადასხვა რელიგიაა და სულ სხვადასხვა რამეს მოითხოვს ადამიანისაგან.

გირჩევთ თქვენი სულის მოძრაობაში, რწმენის არჩევაში გაერკვეთ. ამას ვერ მიაღწევთ, სანამ არ გაიგებთ, რას ითხოვს თქვენი ხალხის ტრადიციული რელიგია ისლამი და რას — ქრისტიანობა, ამიტომაც მიბრძანდით მართლმადიდებლურ ტაძარში და მუსლიმანურ მეჩეთშიც. მერე კი მოიქეცით ისე, როგორც გული გიკარნახებთ.

— **შვილი გარდამეცვალა და ძალიან ვიტანჯები — თან მჯერა და თან არა, რომ უფალი გარდაცვლილებს მკვდრეთით აღადგენს. თუ ეს მართლა ასეა, აღარ დავიტანჯები... და კიდევ, რას ნიშნავს სხეული მშვინვიერი და სხეული სულიერი?**

— პირველ რიგში გეტყვით, რომ თუკი უფალს გულს არ გაუხსნით, არ ირწმუნებთ, რომ ის თქვენთან არის და მის შესაძლებლობებს განსჯით, ჩვენი პასუხი ვერაფერში დაგარწმუნებთ. ჩანს, სასოწარკვეთას შეუპყრიხართ და გვერწმუნეთ, სასოწარკვეთა და ურწმუნოება არა მარტო თქვენ დაგაკარგვინებთ სულიერ სიმშვიდეს, არამედ იმ ადამიანებსაც, ვინც გარდაცვლილი შვილის შემდეგ თქვენთან დარჩნენ. იფიქრეთ ამაზე და განსჯას ნუ დაუწყებთ ადამიანებისადმი უფლის ისეთ მოწყალებას და სიყვარულს, რასაც აღდგომა ჰქვია. განა როდესმე აანალიზებთ, რატომ უყვარს ნებისმიერ დედას და მათ შორის თქვენც, შვილი? გაიხსენეთ ღვთისმშობელი, რომელსაც შვილი თვალწინ ჯვარზე გაუკრეს. ის არც ერთ დედაზე ნაკლებად არ დატანჯულა, მაგრამ ადამიანებისადმი მზრუნველობის უნარი არ დაუკარგავს. ნებისმიერ წუთს სთხოვს თავის შვილს დაიფაროს ცოდვილები... გთხოვთ, ეკლესიაში ხშირად იაროთ. გულით იგრძნოთ, რომ თქვენი ლოცვები ეხმარება თქვენს გარდაცვლილ შვილსა და თქვენც — სიმშვიდის მოპოვებაში. ახლა კი, თუ გული გახსენით ჭეშმარიტების მისაღებად, გეტყვით, რომ მკვდრეთით აღდგომის შესახებ ქრისტემ ჯერ კიდევ ჯვარზე გაკვრის წინ, საიდუმლო სერობისას იწინასწარმეტყველა,...

ადამიანები ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს განისჯებიან და აღდგებიან მკვდრეთით თავისივე სხეულით. მაგრამ აღდგებიან უხრწნელი ხორცით, როგორც ანგელოზები. ჩვენ, ყველანი, ვიქნებით უფალთან ერთად და ამქვეყნიური ვნებები და ბოროტებები აღარ შეგვაწუხებს... უფლის ძალა უსაზღვროა და იმის მიმართ, ვინც მიწიდან გამოძერწა ადამიანი და სული ჩაუდგა, ვინც ჩვენ თვალწინ ახდენს სასწაულს — დედის სხეულში სიცოცხლეს ქმნის, ურწმუნოება არ უნდა გქონდეთ. სხეული მშვინვიერი ხორცით შემოსილი სხეულია, სულიერი კი — როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს — ჩვენი სულია, რომელსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ ჩვენს ხორციელ სხეულს წარმართავს.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# მაინც „მოვახერხე“ ახლობლებისა და მეგობრების განაწყენება...



კონტროლის პალატის თავმჯდომარე წინამორბედის გემოვნებით შერჩეული ნახატების გარემოცვაში

## „ბეჰემოთი დავადე და გამიმართლა...“

ახალი დროის რევიზორები თურმე ძველების შეცდომებს ასწორებენ, რესტორანში დაპატიჟებაზე უარს ამბობენ, „შესამოწმებელ კაცს“ ძმობას არ ეფიცებიან და როგორც ამბობენ, ამ გზით აპირებენ საქართველოს ხაზინის გამდიდრებას. პოსტი, რომელიც თვეების განმავლობაში ცილობისა და ბრძოლის საგანი იყო, საბოლოოდ **ზურაბ სოსელიას** არგუნეს. რა კაცია კონტროლის პალატის ახალი თავმჯდომარე და რა თვისებების გამო ერგო ეს პოსტი, ინტერვიუდან შეიტყობთ:

— ვერ ვიტყვი, კარგი და ძლიერი ეკონომისტი ვარ-მეთქი, მაგრამ პროფესიონალი ნამდვილად ვარ. ჩემს ოჯახში ყველა ეკონომისტია — მეუღლეც და მშობლებიც. პარლამენტის თავმჯდომარის მადლიერი ვარ, ამ პოსტზე რომ წარმადგინა. გარწმუნებთ, ეს არჩევანი ნათესაური, მეგობრული, ოჯახური და უბნური ურთიერთობების გამო არ გაკეთებულა. ქვეყნის პირველ პირებთან მხოლოდ საქმიანი თანამშრომლობა მაკავშირებდა, რადგან კონტროლის პალატაში მოსვლამდე ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ვიყავი. უნივერსიტეტის შემდეგ დავამთავრე მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი. ვარ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და სხვათა შორის, მაქვს ჟურნალისტიკაში მუშაობის გამოცდილებაც — ჟურნალ „ეკონომისტის“ განყოფილების გამგედ ვმუშაობდი, პარალელურად კი ვკითხულობდი ლექციებს უნივერსიტეტში.

**— მეცნიერებათა აკადემია კარგია, მაგრამ ამბობენ, თბილისელი კაცისთვის აუცილებელი ქუჩის აკადემიის გავლააო, ამ მხრივ როგორ გაქვთ საქმე?**

— ამ სფეროში აკადემიკოსი ნამდვილად არ ვარ, ვერც წევრ-კორესპონდენტის დონეს შევწვდები, მაგრამ კარგი დოქტორი ნამდვილად ვარ. ვაკელი ვარ და დიდ დროს ვატარებდი პარკში, საცურაო აუზსა და ფიზკულტურის ინსტიტუტში ვატარებდი. სწავლა არ მიჭირდა და ბევრი თავისუფალი დრო მრჩებოდა. ამიტომაც მეგობრებთან ყოფნა, კინოთეატრებში სიარული, ზღვაზე, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში „პაუზ-კები“ და „სპუტნიკის“ საგზურებით საზღვარგარეთ მოგზაურობა არ მაკლდა.

**— რაკი გაგვიცანით, თქვენს საქმიანობაზე გადავიდეთ. კონტროლის პალატაში მისვლისთანავე რეფორმის გატარება დაიწყეთ. რატომ გახდა აუცილებელი რეფორმა და რას მიიღებს ამ გზით სახელმწიფო?**

— რეფორმის პირველი ეტაპი 2-2,5 წელიწადს გაგრძელდება. კონტროლის პალატა გარდაიქმნება ცენტრალურ საანგარიშო ოფისად. ის მხოლოდ ფაქტების დამაფიქსირებელი კი არა, აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომელი და გვერდით მდგომი უწყება იქნება. მხოლოდ ფაქტების შემდგომ კონტროლს კი არა, თანმდევ და წინასწარ კონტროლსაც ჩაატარებს. აქედან გამომდინარე, ქვეყანას სწორ დასკვნებსა და რეკომენდაციებს მივცემთ. ჩვენ ვეცდებით დავეხმაროთ სახელმწიფო სტრუქტურების შეცდომის [illegible] გან. ჩვენ უთუოდ მივუთითებთ, როდის რა კანონი ირღვევა, რომელი ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს ან მსოფლიო პრაქტიკას. კონტროლის პალატის ექსპერტებს [illegible] ჩაირთვის. მალე ამ უწყებების ყველა შემოსავლო-ვან დოკუმენტაციას ჩვენს მონიტორზე დავინახავთ, თვალყურს ვადევნებთ და თუ გადაცდომას აღმოვაჩენთ, მაშინვე რეაგირებას მოვახდენთ. უწყების კომპიუტერიზაცია და შიდაქსელის შექმნა გაეროს განვითარების პროგრამით ხდება და ეს საქმე 2-3 კვირაში დასრულდება.

**— ბოლო კვირების მანძილზე ეროვნული ვალუტისა და დოლარის კურსის ცვლილების მოწმენი გავხდით. ამის გამო საზოგადოებაში უამრავი კითხვა გაჩნდა. ხომ არ გეგმავთ ეროვნული ბანკის შემოწმებას ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით?**

— საქართველოში ფულის დაგროვება არასწორად ხდებოდა. ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები მზარდი იყო, მაშინ, როდესაც შემოტანილი პროდუქცია გაცილებით სჭარბობდა გატანილს — ეს ნონსენსია. თუ შევადარებთ საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე აღრიცხულ ტვირთბრუნვას, აღმოვაჩენთ, რომ 3-4-ჯერ მეტი ტვირთია თურქეთში აღრიცხული. უკრაინა-საქართველოს ტვირთბრუნვის რაოდენობა უკრაინაში 2,5-ჯერ მეტია აღრიცხული, გერმანია-საქართველოს ტვირთბრუნვა, რომელიც გერმანიაში დაფიქსირდა, 4-5-ჯერ სჭარბობს საქართველოში აღრიცხული ტვირთბრუნვის რაოდენობას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ტვირთის შემოტანა არალეგალურად ხდებოდა. ლარის გამყარების მიზეზი ის იყო, რომ შემოტანილი პროდუქციის ლეგალიზაციის დონე გაიზარდა. ლეგალურმა ფულმა დაიწყო ბრუნვა და ლარის რეალური კურსიც მივიღეთ. ლარის კურსის ოდნავ დაწევა იმის მაუწყებელი არ არის, რომ რაღაც ისევ დაიმალა. უბრალოდ, ბაზარი რეგულირდება, ეს არის და ეს. ეკონომიკა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მყისიერად რეაგირებს.

**— კონტროლის პალატის თავმჯდომარეები, როგორც წესი, ხმაურიან განცხადებებს აკეთებენ ხოლმე. ამ პოსტზე თქვენი მოსვლის შემდეგ რა მნიშვნელოვანი დარღვევა აღმოაჩინეთ?**

— აქ 27 ივნისს მოვედი. 20 დღე დასჭირდა ძველი კადრების გაშვებასა და ახლებით დაკომპლექტებას. ბუნებრივია, დავიწყეთ ბიუჯეტის ხარჯვისა და ქონების განკარგვის შემოწმება. შემოწმებები უკვე დასრულდა ბათუმის ნავსადგურში, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, „ბათნავთობინპექსში“. ჯერჯერობით, ვმუშაობთ „საქავტოგზაში“ და ამიტომ არ შემიძლია საბოლოო თანხის დასახელება, თუმცა წინასწარი მონაცემებით, შეიძლება რამდენიმე მილიონი იყოს სადავო. საცაა დასრულდება შემოწმება „თბილგაზში“, „ჭიათურმანგანუმში“, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, ზესტაფონის ფეროში, მადნეულსა და ფოთის გემთმშენებელ ქარხანაში, რომელშიც უკვე გამოიკვეთა სერიოზული დარღვევები. გასულ კვირას კი ჩვენი თანამშრომლები 6 თვის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის რევიზიის მიზნით შევიდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ უწყებებშიც.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

## საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

კვლავ ვაგრძელებთ თემას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის შესახებ, რომელიც მოამზადა საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისა და იაპონიის ფინანსური მხარდაჭერით.

ამჯერად ჩვენი სტუმარია ტენდერში გამარჯვებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელი, ბატონი **გიორგი რცხილაძე**, რომელიც დასავლეთ საქართველოში, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მეორე ჭოლასა და ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხაშკარის მდ. ჭანისწყლის ნაპირებთან განთავსებულ ფერმერულ მეურნეობებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებით, ეროზიული პროცესების შეჩერებითა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-შენარჩუნებითაა დაკავებული.

**— ბატონო გიორგი, როგორ მოხვდით მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, როგორ დაიწყო თქვენი საქმიანობა?**

— მე ყოველთვის მქონდა კავშირი, როგორც სოფლის მეურნეობასთან, ისე გარემოს დაცვასთან და ყოველთვის მქონდა სურვილი ჩემი საქმიანობით პატარა წვლილი შემეტანა ამ სფეროში. როდესაც გამოცხადდა მსოფლიო ბანკის კონკურსი, ჩვენც გადავწყვიტეთ მიგველო მასში მონაწილეობა — ავარჩიეთ პრიორიტეტი, რის შემდეგაც, რა თქმა უნდა, დაიწერა პროექტი, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და უკვე აქტიურად შევუდექით მუშაობის პროცესს. მოგეხსენებათ, ჩვენი პროექტი მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოში ნიადაგების ეროზიული პროცესების შეჩერებასა და ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-შენარჩუნებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის ამაღლებას შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. მეცნიერულად დასაბუთებული გარემოსდაცვითი და მაღალეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიის დანერგვა-დემონსტრირებას.

მოგეხსენებათ, საქართველო წარმოადგენს ეკოლოგიურად უკიდურესად დაძაბულ რეგიონს, სადაც ბუნების სტიქიური მოვლენები ფართო სპექტრით არის განვითარებული, რის გამოც სავარგული მიწის ფონდი ყოველწლიურად კლებულობს და სისტემატურად ირღვევა ეკოლოგიური ბალანსი ხმელეთზე, წყალსა და ატმოსფეროში. წლების მანძილზე სხვადასხვა ბუნებრივმა და ანთროპოლოგიურმა ფაქტორებმა მნიშვნელოვან ფართობებზე გამოიწვიეს მიწის რესურსების დეგრადირება და ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება, რაც თავის მხრივ განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ შემცირებას.

საერთოდ, საქართველოს ტერიტორიის მთაგორიანი, ძლიერ დანაწევრებული რელიეფი, კლიმატური პირობები და ხშირად ადამიანის არასწორი სამეურნეო ქმედება განაპირობებს ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარებას, გარემოს დაბინძურებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროდუქტიულობის შემცირებას. ეროზიის შედეგად ირეცხება ზედა ჰუმუსოვანი ფენა, კლებულობს მისი ბუნებრივი ნაყოფიერება და შესაბამისად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, ეროზიული პროცესების განვითარებას თან ახლავს მდინარეების, წყალსაცავებისა და ზღვების დაბინძურება.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსში შედის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოყვანის ჩვეულებრივი ხერხები, ფერდობებზე მათი გამოყენების გათვალისწინებით, ისე სპეციალური აგრომელიორაციული ხერხები ჩამონადენის რეგულირებისა და შეჩერებისათვის, რაც განაპირობებს ნიადაგის ეროზიული პროცესების შეჩერებას. არსებობს ეროზიის საწინააღმდეგო მრავალი ღონისძიება. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია, თხილის გაშენებით ვებრძოლოთ ეროზიას, რადგან თხილს აქვს ძალიან ფართო ფესვთა სისტემა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ეროზიულ პროცესებს. ეროზიის საწინააღმდეგო მეორე მეთოდია ე.წ. ბუფერული ზონების მოწყობა, რომლის მიზანია ნაყოფიერი ფენა გადავარჩინოთ წყლით გადარეცხვას. წყალამრიდი და წყალგამტარი არხების მოწყობით შესაძლებელი ხდება, დავიცვათ ნიადაგი გადარეცხვისაგან. ჩვენ მიერ დანერგილი ტექნოლოგიები ძალზე პერსპექტიულად ხორციელდება. მართალია, ჩვენ მთლიანად ვერ აღმოვფხვრით ეროზიას, მაგრამ მისი შეჩერება შესაძლებელია.

**— ბატონო გიორგი, როგორ მიმდინარეობს სწავლება-დემონსტრირების პროცესი, რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგებით?**

— შედეგებით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენი მუშაობის პროცესში მაქსიმალურად ვცდილობდით ყველანაირი ინფორმაციით უზრუნველგვეყო ფერმერები. ამ მიზნით, რეგულარულად ვატარებდით ლექცია-სემინარებს, სადემონსტრაციო დღეებს, გამოვუშვით რამდენიმე სახის მეთოდური მითითება, რომელიც მუშაობის პროცესში მათ ძალიან დაეხმარებათ. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ჩვენი პროექტით ხალხი ნამდვილად დაინტერესდა და უკეთესი წარმატების იმედიც გვაქვს.

*თემურ კაციაშვილი*

R

კავკასიის აკადემიური ცენტრი
CAC (სი ეი სი)
აცხადებს მიღებას
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამაზე

**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის /MBA/** საერთაშორისო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტთა მომზადება ბიზნესის წარმატებით მართვისათვის აუცილებელი ცოდნით, ჩამოუყალიბოს მათ ლიდერობისა და ხელმძღვანელობის, გადაწყვეტილების მიღებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები.

**ბიზნესის ადმინისტრირების** სასწავლო პროგრამას კავკასიის აკადემიური ცენტრი CAC (სი ეი სი) ახორციელებს გერმანიისა და აშშ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის** პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი. კურსდამთავრებულებს შესაბამისად მიენიჭებათ მაგისტრის ხარისხი. მაგისტრატურაში სწავლის განმავლობაში სტუდენტი გაივლის სრულ კურსს თანამედროვე ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში.

**MBA** პროგრამა მოიცავს 2 ძირითად მიმართულებას:

- ფინანსური მენეჯმენტი
- მარკეტინგის მენეჯმენტი



პროფესიონალიზმი, რომელიც დღევანდელ დღეს გვჭირდება!

დაგვიკავშირდით, ნებისმიერ დაინტერესებას დაწვრილებით განგიმარტავთ!

UNIVERSITY CAC Caucasus Academic Centre

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
ტელ.: 25-17-30; 29-40-80
ვებ. გვერდი www.cac.edu.ge; ელ.ფოსტა cac@gol.ge

R

# დსთ-ის სამიტი პლურალიზმის ბაზრობად იქცა



მოძმე სახელმწიფოთა ასტანის სამიტმა უპრეცედენტო ვნებათაღელვითა და კონფლიქტური სიტუაციების განხილვის საჯაროობით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბოლო დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე პრესა იმ დისკუსიის გაგრძელების მოწმე გახდა, რომელიც, ეტყობა, დახურულ კარს მიღმა მიდიოდა. ლაპარაკია დსთ-ის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებზე.

საქართველოს ლიდერი მიხეილ სააკაშვილი პირველად მონაწილეობდა თანამეგობრობის ფორმალურ სამიტში (მოსკოვში, ივლისში, დსთ-ის ლიდერებთან ერთად დოლზე დასწრება ანგარიშში არ ითვლება). ის საპრეზიდენტო კლუბის ვეტერან ნაპატივებ წევრებს შორის ასაკითაც გამოირჩეოდა და დაღლილიც ჩანდა, მაგრამ ეტყობა, ისეთ ძლიერ ენერგიას ასხივებდა, რომ მის გვერდით მჯდომი ყირგიზეთის პრეზიდენტი ასკარ აკაევი ცდილობდა მისთვის თვალებში არ შეეხედა. ეს გასაკვირიც კია, რადგან ბ-ნი აკაევი მადლიერი უნდა იყოს იმ შემოქმედებითი „სტიმულისთვის“, რომელიც მას საქართველოს „ვარდების რევოლუციამ“ მისცა. ეტყობა, ამიტომაც აჩუქა ასტანაში თავისი წიგნი სააკაშვილს.

ძალიან ემოციური იყო სააკაშვილსა და პუტინს შორის ბრიფინგზე გაჩაღებული პოლემიკა აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. მიხეილ სააკაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ასტანის დოკუმენტებში კიდევ ერთხელ დადასტურდა 1996 წლის ალმა-ათისა და სოჭის 2003 წლის გადაწყვეტილებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, მან საკმარისად მკაცრად გააკრიტიკა მოსკოვის პოზიცია. საქმე ეხებოდა სოხუმსა და სოჭს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. პუტინმა უპასუხა, — არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან კომერციული ურთიერთობები არ ეწინააღმდეგება დსთ-ის გადაწყვეტილებებსო. საქართველოს პრეზიდენტი ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა: — ჩვენ ბატონი ფადეევის სოხუმში ყოფნას (რუსეთის რკინიგზის სამინისტროს ყოფილი მეთაური) განვიხილავთ, როგორც რუსეთის მთავრობის პოზიციას. და თუ სამიტი მხარს უჭერს 1996 წლის ხელშეკრულებას, მაშინ სეპარატისტებთან ურთიერთობა და აფხაზეთთან სატრანსპორტო მიმოსვლა თავისთავად უნდა შეიზღუდოსო. ვლადიმირ პუტინი კოლეგას სარკასტული ღიმილით უსმენდა — აშკარა იყო, რომ რუსეთის პრეზიდენტსაც რაღაც ჰქონდა სათქმელი — რკინიგზა ადრეც ფუნქციონირებდა, ოღონდ ახლა შეაკეთესო, — მიუგო და შეახსენა კოლეგას, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად მაინც რაღაც გაკეთდა, კერძოდ, ათასობით ქართველი ლტოლვილი დაბრუნდა გალის რაიონშიო... სააკაშვილმა ხელის მკვეთრი მოძრაობით კვლავ ჩართო მიკროფონი: — მინდა გითხრათ, რომ 300 000 ქართველი განდევნეს აფხაზეთიდან და ზოგიერთი ლტოლვილის ერთ რაიონში დაბრუნება პრობლემას ვერ გადაწყვეტს, — ისინი იქ მონების მდგომარეობაში არიანო და დასძინა, — პოსტსაბჭოურ სივრცეში უკონტროლო ტერიტორიები არ უნდა არსებობდეს. ეს ტერიტორიები ტერორისტების მომზადების ძირითადი ბაზა ხდება და საშიშროებას უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც. მან აღნიშნა, რომ გმობს ტერაქტებს და ასეთივე სტანდარტებსა და თანადგომას ელის რუსეთისგანაც. „ჩვენ საქართველოს პრეზიდენტთან პრესკონფერენციის შემდეგ ვიმსჯელებთ ამ საკითხზე“, — თქვა პუტინმა. ეს განცხადება, ეტყობა, მოულოდნელი იყო სააკაშვილისთვის. ბრიფინგამდე რამდენიმე წუთით ადრე საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა თქვა, რომ ნაზარბაევთან საუბრის გარდა, არანაირი ორმხრივი შეხვედრა არ იყო მოსალოდნელი.

პუტინთან სააკაშვილის შეხვედრა მართლაც შედგა მოწმეების გარეშე და 20 წუთს გაგრძელდა. შედეგებზე კონკრეტულად არავინ არაფერს ლაპარაკობს, მაგრამ თვით ეს ფაქტი იმედის მომცემია.

***რუსული პრესის მიხედვით***

# მოხერხდება კი წესრიგის დამყარება?

თუ ქვეყანას არ აკლია კბილებამდე შეიარაღებული ყაჩაღები, სეპარატისტები და მოსახლეობა, რომელიც არც გადასახადებს იხდის და არც საგზაო მოძრაობის წესებს იცავს, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ იქ პოლიციელთა რაოდენობის განახევრება შეიძლება. მაგრამ საქართველოში ასე არ მოხდა და შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 12 000 პოლიციელი შინ გაუშვა, ეს ბედი ელის კიდევ 3500 კაცს. მერე პროკურატურის თანამშრომელთა ჯერიც დადგება, შემდეგ — სასამართლოებისა. „ამ შენობაში თავი ჰქონდა მოყრილი ყველას — მძარცველებსაც, კონტრაბანდისტებსაც“, — ამბობს ბატონი ოქრუაშვილი. ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოს მთავრობა, სასამართლო სისტემა, ბიზნესი და ჩვეულებრივი მოქალაქეების ცხოვრება კორუფციითა და დანაშაულობებით იყო დაღდასმული. ხელისუფლებას ხელიდან გაუსხლტა არა მარტო ბიუროკრატიული პროცესების, არამედ სახელმწიფოს ზოგიერთი ნაწილის — აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და პანკისის ხეობის კონტროლი. ამბობენ, არც ისე დიდი ხნის წინ პანკისს თავს ჩეჩენი მეამბოხეები აფარებდნენო. ბესლანის მოვლენების შემდეგ კვლავ ამოტივტივდა ხეობის ბრალდებები და რუსეთის ჩინოსნებმა სასწრაფოდ თითი გაიშვირეს საქართველოსკენ — იქ „უკანონობა“ მეფობსო. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ეს ბრალდებები სინამდვილეს არ შეესაბამება.

ახლა არა მარტო პანკისის ხეობაზეა კონტროლი დაწესებული, არამედ მთელ სახელმწიფოში ახალი ერა დადგა. ნახევარ წელიწადში მისმა მინისტრებმა კორუფცია მოთოკეს, ბოლო მოუღეს კონტრაბანდას და სრულიად ახალი საგადასახადო სისტემა შემოიღეს, რომელიც ბიზნესს კანონის ფარგლებში მოაქცევს. კონტროლი დაწესდა აჭარაზე, კონტროლის აღდგენას ლამობენ სამხრეთ ოსეთზეც, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ქართველი ხალხი დიდი ხანია ელოდა წესრიგის დამყარებას და წინა მთავრობის წევრების დასჯას.

მაგრამ კრიტიკოსები ამბობენ, სინამდვილეში ყველაფერი ასე არ არისო. მოქალაქეთა უფლებების დაცვის კამპანიის მონაწილე ნანა კაკაბაძე ჩივის, — პოლიცია დღემდე ცემს და აწამებს დაკავებულებსო.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი ყურადღებას ანტიკორუფციულ ზომებზე ამახვილებს — წინა რეჟიმის მდიდარ მომხრეებს გისოსებს მიღმა სვამენ და მხოლოდ უზარმაზარი ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ. ხშირად ხელისუფლებას დამამტკიცებელი საბუთები არ ჰყოფნის და აიძულებს ბრალდებულებს, აღიარონ დანაშაული, შემდეგ კი მილიონობით დოლარს ახდევინებს.

ამას ისიც დაერთო, რომ გორში გაზეთის რედაქტორი დაიჭირეს ნარკოტიკების და იარაღით ვაჭრობის ბრალდებით. ითქვა, ის უკანონოდ დააპატიმრეს პუბლიკაციისთვის, რომელიც ადგილობრივ ხელმძღვანელს არ მოსწონდაო. „გორში ყველა ამბობს, რომ ნარკოტიკები შემოგდებული იყო“, — აცხადებს ხიდაშელი.

ბატონი სააკაშვილი თავის ტაქტიკას იცავს, მაგრამ სხვების აზრსაც იზიარებს — ლობისტებთან შეხვედრის შემდეგ მათ ციხეების ინსპექტირების უფლება აღუდგინა. როგორც ქ-ნი ხიდაშელი აცხადებს: „ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობს საქმის გამოსწორებას, მაგრამ ხანდახან პრობლემებს უკანონო მეთოდებით წყვეტს“.

***ეკონომისტი***

# „სამხრეთ ოსეთი უკვე რუსეთია“

**ედუარდ კოკოითი მთელი კვირა იმყოფებოდა მოსკოვში. ცხინვალში დაბრუნებას არ ჩქარობდა — ბევრი მოსაგვარებელი საკითხი მაქვსო, — ამბობდა. მას მტკიცედ სჯერა, რომ ადრე თუ გვიან სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შევა.**



*— ცნობილია, რომ თქვენი მოსკოვში ჩამოსვლის მიზანი რუსეთის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის შესვლის საკითხის გარკვევაა. ვის ესაუბრეთ ამ რთულ პრობლემაზე?*

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, რადგან ჩვენი ოპონენტები გულდაგულ მითვალთვალებენ და მერე ათასგვარ ჭორს ავრცელებენ.

ვიცი, რომ რუსეთის შესაბამის კანონებში ამ მუხლებზე მუშაობენ და იმედი მაქვს, ახლო მომავალში ოსეთი რუსეთის ერთიანი და განუყოფელი ნაწილი გახდება. თბილისმა რაც არ უნდა შეგვთავაზოს — ფედერაციული თუ კონფედერაციული მოწყობა — ჩვენ აღებულ გეზს არ გადავუხვევთ. ედუარდ კოკოითი საქართველოს პრეზიდენტიც რომ გახდეს, სამხრეთ ოსეთი მაინც არ დაბრუნდება ამ ქვეყნის შემადგენლობაში. ხალხი ამას არ დაუშვებს!

*— საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, გიორგი ხაინდრავას, მოსკოვში რატომ არ შეხვდით?*

— მისი ბოლოდროინდელი გამონათქვამების შემდეგ ამ ადამიანთან ურთიერთობაც არ მინდა, არც საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას აქვს აზრი — ის სამხრეთ ოსეთის პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის მომხრეა.

*— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ, საშემოდგომო სესიის გახსნისას საინტერესო განცხადებები გააკეთა. ის დარწმუნებულია, რომ ამ მოწვევის პარლამენტის ვადის გასრულებამდე საქართველო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს დაიბრუნებს...*

— ჩვენ მივეჩვიეთ ასეთ განცხადებებს. ყველაფრის ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს თბილისს სამხრეთ ოსეთზე ზემოქმედების არავითარი ბერკეტი არ გააჩნია. 14 წელია დამოუკიდებელი რესპუბლიკა ვართ, ვაძლიერებთ ეკონომიკას და ვაშენებთ სახელმწიფოს.

*— წარმოიდგინეთ ყველაზე ცუდი ვარიანტი: თბილისი მაინც გადაწყვეტს სამხრეთ ოსეთის ძალით დაბრუნებას. რას დაუპირისპირებთ ამ ძალას?*

— საკუთარ ძალას. აგვისტოს ავანტიურა რომ წამოიწყეს, ქართველ სამხედროებს ეგონათ, რომ ეს ადვილი გასეირნება იქნებოდა სამხრეთ ოსეთში, მაგრამ შეცდნენ — ჩვენ კარგად მოვემზადეთ შეტევის მოსაგერიებლად. არ დავმალავ, მსგავსი შემოჭრის განმეორების შემთხვევაში უარს არ ვიტყვით გარეშე ძალის დახმარებაზე, რომელიც, მერწმუნეთ, აუცილებლად იქნება. აგვისტოში ჩვენ თავად გავართვით თავი და უარი ვუთხარით დახმარებაზე ჩრდილოეთ ოსეთის, აფხაზეთის, დნესტრისპირეთის და კაზაკების შეიარაღებულ მოხალისეებს. ჩვენ ვიცით ბრძოლა, მაგრამ აჯობებს, თუ აქამდე არ მივა საქმე. სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტა მშვიდობიანად შეიძლება.

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# რიჩარდ მაილსის პანკისური არითმეტიკა



მორიგი ქართულ-ამერიკული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა უეცრად განუცხადა ჟურნალისტებს, რომ პანკისის ხეობაში კვლავ არის შემორჩენილი რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტი და ჩეჩენი „ბოევიკების“ გარკვეული ნაწილი, რომ პანკისის ხეობაზე კონტროლის აღდგენის შემდეგ იქ თავშეფარებულ საერთაშორისო ტერორისტთა რაოდენობა ორი მესამედით შემცირდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება მის აზრს არ იზიარებს. ამ განცხადებით ამერიკელმა დიპლომატმა ფაქტობრივად მიუთითა რუს სამხედროებს, თუ სად შეიძლება პრევენციული დარტყმების მიყენება ტერორისტების ბაზების გასანადგურებლად. რუსეთ-საქართველოს ისედაც გამწვავებული ურთიერთობის ფონზე რიჩარდ მაილსის განცხადებამ მოსკოვის მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. ხანძრის ჩასაქრობად მოსკოვში სასწრაფოდ გაემგზავრა კონფლიქტების დარეგულირების საქმეში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა. „საქართველომ რუსეთთან ერთად გაატარა ღონისძიებები პანკისში და ეს პრობლემაც მოხსნილია. ამიტომ ამ ხეობის დაკავშირება ჩრდილოეთ ოსეთის მოვლენებთან, დაუშვებელია“, — განაცხადა ხაინდრავამ. „პანკისის ხეობაში გატარებული სპეცოპერაციები მაღალ დონეზე შეაფასეს უცხოელმა დამკვირვებლებმა და ბატონმა მაილსმაც. ამიტომ გაუგებარია, რამ განაპირობა ბატონი ელჩის მკვეთრი განცხადება — რამაც შეიძლება უფრო გაამწვავოს დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან“, — თქვა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ირაკლი ბათიაშვილმა.

ეტყობა, ამას ვაშინგტონიც მიხვდა და სასწრაფოდ უარყო თავისი ელჩის განცხადება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა საგანგებო წერილი გაავრცელა, სადაც ნათქვამია: „აშშ-ის, საქართველოსა და რუსეთის ერთობლივი ძალისხმევით პანკისის ხეობა აღარ არის ტერორისტების თავშესაფარი“. მაგრამ საქმე არც ისე კარგადაა. საქართველოში რუსეთის საელჩოს მაღალი თანამდებობის პირმა შეგვატყობინა, რომ „რიჩარდ მაილსმა სიმართლე თქვა. პანკისის ხეობაში ჩატარებულმა სპეცოპერაციამ ყველა პრობლემა ვერ გადაჭრა და იქ კვლავ იმყოფებიან საეჭვო ელემენტები. ამის შესახებ პანკისში მცხოვრებმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა შეგვატყობინეს. ასე რომ, იმ მასშტაბებში არა, მაგრამ პანკისის პრობლემა კვლავ არსებობს“.

„ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ტერორისტია საქართველოს ტერიტორიაზე, სად და როგორ შეიძლება პანკისის ბაზებზე დარტყმა. რუსეთ-საქართველოს ეს პრობლემა მოლაპარაკებითაც შეიძლება გადაიჭრას. მთავარია ის, რომ ამერიკის ელჩმა სწორად შეაფასა სიტუაცია ბესლანის ტრაგედიის შემდეგ“, — ამბობს მოსკოვის კარნეგი-ცენტრის თანამშრომელი ალექსეი მალაშენკო.

ავტორიტეტული დასავლელი ექსპერტი, დსთ-ის პრობლემების დარგში, არნო დიუბენი ყველას ურჩევს, „არ მიიღონ რიჩარდ მაილსის განცხადება მოსკოვისათვის თავისებურ კარტბლანშად საქართველოზე პრევენციული დარტყმების განსახორციელებლად. ეს განცხადება შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ აშშ გაღიზიანებულია პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გატარებული პოლიტიკით და ამით საქართველოს პრეზიდენტს თავისებური გაფრთხილება გაუგზავნა“. რაც შეეხება პრევენციულ დარტყმებს, არნო დიუბენი აღნიშნავს, რომ „საბედნიეროდ, ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს არა რუსეთის გენშტაბის უფროსი, არამედ პრეზიდენტი პუტინი“. პოლიტოლოგი თვლის, რომ რუსეთი საქართველოს არ დაბომბავს, მისი აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში საქართველოს ხელისუფლების ახალი ინიციატივების შემთხვევაში, მოსკოვი სწორედ იქ გააძლიერებს და გაამკაცრებს კიდეც თავის პოზიციებს.

***იზვესტია რუ***

# „ქართული ხიჭვი“ კვლავაც არსებობს

ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარმა ტრაგედიამ დროებით უკანა პლანზე გადასწია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემები და რუსულ-ქართული ურთიერთობების სხვა გამაღიზიანებელი ფაქტორები. ორი თვითმფრინავისა და მეტრო „რიჟსკაიასთან“ აფეთქებებმა, ბესლანის სასაკლაომ მოსკოვს დროებით მიავიწყა „ქართული ხიჭვი“ — რუსეთის მთავრობას მიხეილ სააკაშვილთან ანგარიშსწორებისთვის არ ეცალა. თუმცა ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, თბილისსა და მოსკოვს შორის ცივი ომი უკვე დაწყებული იყო, ნამდვილი ომი კი დღეს თუ არა ხვალ მაინც გაჩაღდებოდა. ბესლანის ამბების გასაშუქებლად ჩასული ქართული ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტების დაპატიმრებამ კვლავ შეახსენა რუსეთს „ქართული ხიჭვი“ — მათ ხომ ქართული თვალით დაინახეს მოვლენები და „ისე არ აღიქვეს“, როგორც ეს რუსეთს აძლევდა ხელს, ჟურნალისტები ამიტომაც აღმოჩნდნენ გისოსებს მიღმა.

ბესლანისაგან მიღებული შოკი ნელ-ნელა „ქრება“ და რუსეთ-საქართველოს ფარული და აშკარა ურთიერთდაპირისპირებაც კვლავ წინა პლანზე გამოდის, თანაც, ბოლოდროინდელი ტრაგედიის ფონზე სრულიად ახალ დატვირთვას იღებს. რუსეთის პრეზიდენტისთვის უკანასკნელი მოვლენები გაცილებით ძნელი გამოცდა იყო, ვიდრე „კურსკის“ დაღუპვა ან „ნორდ-ოსტის“ ტერაქტი, ამიტომ მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს ჩვეულ რიტმს, დაარწმუნოს ყველა, რომ ის ენერგიული და უნარიანი ლიდერია. ამ თვალსაზრისით, საქართველო შესანიშნავი საშუალებაა, რომ პუტინმა რაც შეიძლება სწრაფად და იოლად დაანახვოს რუსეთის საზოგადოებას, რომ მას მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება შეუძლია. აქ იგულისხმება ეროვნული უშიშროების განმტკიცება, თანამემამულეთა უფლებების, ეკონომიკური ინტერესების დაცვა და, რაც მთავარია, მკაფიოდ აღნიშვნა, რომ ამიერკავკასიაში ლიდერობას ვაშინგტონს არ დაუთმობს. ამ პროცესის დროს რუსეთისათვის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გაუხმაურებელი, მაგრამ ფაქტობრივი მიერთება კი სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის პრეზიდენტის ზესახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ელემენტი. პუტინი ყველას აგრძნობინებს, რომ ის, არათუ კავკასიაში გავლენის დაკარგვას და რუსეთის დაშლას არ დაუშვებს, არამედ სხვათა მიწების მიერთებასაც არ დაერიდება. ხოლო ის, რომ ამის გამო საქართველო ფაქტობრივ ანექსიასა და საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე ალაპარაკდება, არაფერს შეცვლის.

რუსეთის ლიდერი პოლიტიკაში დიდხანს აპირებს ყოფნას და საქართველო სწორედ იმ მალამოდ ეგულება, რომელიც მტლად უნდა დაედოს მოულოდნელად მის თავს დამტყდარ ყველა ავადმყოფობას.

***კომერსანტი***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაცტარები გვინითხოზინ

2 წლის **ნიკო ჯგუშიას** დედა ეუბნება:

— ჩააქრე შუქი!

— არა, აანქრე, აანქრე, — ეხვეწება ნიკო.

***

4 წლის **სოფიკო გოგოლაძე** მამიდას ატირებული ურეკავს: — ნათელა მამიდა, შენ რომ თოჯინა მაჩუქე, დამეკარგა:

— თქვი, „ჭია-ჭია, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ“ და უცებ იპოვი.

რამდენიმე წუთის შემდეგ სოფიკო ისევ რეკავს და უფრო მეტად ტირის:

— მამიდა! მაპოვნინა! მაპოვნინა და ახლა მე როგორ ვაპოვნინო?

***

თამაშში გართული 2 წლის **ანანოს** ფისი გაეპარა. თავი ველარაფრით იმართლა, დააჩერდა სველ შარვალს და — აბა, ესაა საქმე?! — გაუჯავრდა საკუთარ თავს.

# ხამი ხულელი

მოთხრობა

ერთხელ კურდღელი (ნადირთა შორის განთქმულია თავისი სიბრძნით) იჯდა ხის ქვეშ და ფიქრობდა ცხოვრებაზე.

— ქვეყანა სავსეა საშიშროებით, განსაცდელში ჩავარდნა მოსალოდნელია ყოველ ნაბიჯზე, — ჩაილაპარაკა მან თავისთვის, — ერთი, შეიძლება მოხდეს სტიქიური უბედურება, მაგალითად, მიწისძვრა, ან ცა ჩამოწვეს, ქარიშხალი ამოვარდეს. მეორეც, ყოველ წუთს გეშინია შიმშილის: ხომ შეიძლება საკვების და წყლის მარაგი გამოილიოს?! დაბოლოს, მოსალოდნელია ქურდები ან ყაჩაღები დაგესხან თავს.

უცებ კურდღელს მოაგონდა, რომ მნიშვნელოვან პაემანზე უნდა წასულიყო და გაიქცა.

რა იცოდა კურდღელმა, რომ ჯუნგლის მცხოვრებლებმა გაიგონეს მისი ლაპარაკი და შეშინდნენ. ესენი იყვნენ: ჩიტი პრანწია, კორდის ჭიაყელა და მანჭია მაიმუნი.

პრანწიას სტიქიური უბედურების გაგონებაზე თავზარი დაეცა და ცრემლმორეულმა ჩაილაპარაკა:

— ვთქვათ, ცა ჩამოინგრეს? კარგია თუ დღე ჩამოიქცა — შევძლებ შორს გაფრენას, მაგრამ თუ ძილში ჩამოიქცა, ხომ გამსრესს?!

კორდის ჭიაყელას კი შიმშილისა შეეშინდა:

— ვაითუ ნიადაგში საკვების მარაგი გამოილიოს, მაშინ მე ნამდვილად დავიღუპები!

მაიმუნი კი ჩააფიქრა ქურდებისა და ყაჩაღების ხსენებამ და ცრემლმორეულმა თქვა:

— ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად დედამიწას ვაფასებ, მაგრამ ღამით მიხდება მისი დატოვება, იმიტომ, რომ ხეზე ძილს მივეჩვიე. ერთიც ვნახოთ, ქურდები და ყაჩაღები მაშინ მოვიდნენ, როცა მძინავს და მოიპარონ დედამიწა?!

იმ დროიდან პრანწია ყოველთვის გულაღმა წევს, თავისი პაწაწა ფეხები მაღლა აუშვერია, თითქოსდა ცის შეკავებას ლამობდეს, — თუ ვინიცობაა ცა ჩამონგრევას დააპირებს. კორდის ჭიაყელა რასაც ჭამს, იქვე იფურთხება, რომ ნიადაგში საკვების მარაგი არ შემცირდეს. ხოლო მაიმუნი ღამეში სამჯერ მაინც ჩამოდის ხიდან, რათა მოსინჯოს მიწა და დარწმუნდეს, რომ ქურდებს ჯერ კიდევ არ მოუპარავთ იგი.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ ლექსის სტრიქონიდან გამოტოვებულ სიტყვას: **„თუ კაცსა ... არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.**

I



II იპოვე ორი უჯრედი, რომლებიც სარკისებურად ირეკლავენ ერთმანეთს






## III აბა, გამოიცანი

**1) ტორეადორის მოწინააღმდეგე ცხოველია:**

ა) მარტორქა; ბ) კამეჩი; გ) ხარი; დ) ლომი.

**2) როგორ თანხას ჰქვია ავანსი?**

ა) წინასწარ აღებულს; ბ) პრემიის სახით დანამატს; გ) ბოლო ხელფასს; დ) პირველ ხელფასს.

**3) ვინ წარმართავს ორგანიზაციაში ფინანსურ საქმიანობას?**

ა) ინჟინერი; ბ) ბუღალტერი; გ) ტექნოლოგი; დ) კურიერი.

**4) ლეგენდა ძველ ღმერთებზე და გმირებზე არის:**

ა) იგავი; ბ) ბალადა; გ) თქმულება; დ) მითი.

**5) რომელმა მოციქულმა უარყო იესო ქრისტე სამჯერ?**

ა) იოანემ; ბ) ანდრიამ; გ) თადეოსმა; დ) პეტრემ.

**6) რომელ ძაღლს აქვს მიჭყლეტილი ცხვირი?**

ა) ბულდოგს; ბ) ნაგაზს; გ) პოინტერს; დ) ბულტერიერს.

**7) რომელია ხელოვნური წყალსაცავი?**

ა) პალიასტომის ტბა; ბ) კუს ტბა; გ) ბაზალეთის ტბა; დ) თბილისის ზღვა.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*




CMYK

# „ბავშვობაში სვანეთის უბანში სვანებს ვეძებდი“

„ბელურების გადაფრენას“, „ძმას“, „უძინართა მზეს“ კიდევ ერთხელ რომ ვნახულობ, ვფიქრობ: ვერც ერთი ფრაზა ვერ ზიდავს ცრემლის სიმძიმეს, სიკეთესა და სილამაზეს, ზოგჯერ ეს ყველაფერი ზედაპირზე კი არ არის ამოტანილი, პირიქით, ყველა შემთხვევითი და გაუცნობიერებელი თვალისაგან შორს, კაცის სულში იმალება. უნდა გაჩუმდე და ისე მოუსმინო გულისცემას, რომელიც ფილმს აცოცხლებს...

ვერ გეტყვით, **თემურ ბაბლუანი** თავისთან იოლად მიგიშვებთ-მეთქი, მაგრამ რასაც ის ამბობს, ნამდვილად შეულამაზებელი სიმართლეა...

— ცოტა რთული ცხოვრება მქონდა. ახლა რომ ვფიქრობ, იმ სირთულეებში მე ყველაზე ნაკლებად ვიყავი დამნაშავე. ცხოვრება ასეთია, რას იზამ. — გვითხრა ბატონმა თემურმა.

**— მამათქვენზე მიამბობდნენ, ბევრი მადლიერი კაცი ჰყავს სვანეთში დატოვებული, არაჩვეულებრივი ადამიანი იყოო...**

— მე არ ვგავარ მამას და ეს ძალიან სამწუხაროა. ახლა შეიძლება ოდნავ დავემსგავსე კიდეც. მამას სულ სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა ცხოვრებასთან, ადამიანებთან. არასოდეს მინახავს გაბრაზებული. რატომღაც ის ეცოდებოდა, ვინც აწყენინებდა. თვლიდა, რომ ადამიანებს სჭირდებოდათ მისი დახმარება და დღე იყო თუ ღამე, ყინვა თუ თოვლი, სულ ვიღაცასთან გარბოდა, სულ გამოძახებაზე მიდიოდა. ეს იყო მისი ცხოვრება.

**— ოდესმე თუ დაგჭირვებიათ მამის, როგორც ექიმის, დახმარება?**

— ერთ უცნაურ ამბავს გიამბობთ. ვიდრე პენიცილინი შემოვიდოდა, მამას გამოუგონია მცენარეული წამალი, რომლითაც ტუბერკულოზს კურნავდა. სვანები ხშირად ავადდებოდნენ ამ სენით და ჩვენს ხეობაში უამრავი კაცი ჰყავდა განკურნებული. ბავშვობაში მეც გავმხდარვარ ტუბერკულოზით ავად და სწორედ ამ წამლით განმკურნა, თანაც ისე, რომ ფილტვები დღემდე ჯანსაღი და ძლიერი მომყვება...

**— ბებია-ბაბუა გახსოვთ?**

— ბაბუა არ მახსოვს, ახალგაზრდა დაღუპულა. ბებია — სონიჩკა ბენდელიანი ჭკვიანი ქალი იყო. „შესაკითხი ქალიაო“, — ამბობდნენ სვანები. როცა საქმე ირჩეოდა, მედიატორების (შუამავლების) რიცხვი საქმის სირთულის მიხედვით განისაზღვრებოდა. ბებია ხშირად იყო მედიატორი. კაციც კი ძალიან გამორჩეული უნდა იყოს, რომ ეს ფუნქცია დააკისრონ. ქალის მედიატორობა კი იშვიათი რამაა. სამართლიანი მსჯელობა იცოდა. ღირსებას არასოდეს კარგავდა, ჭკუას მარიგებდა ხოლმე.

**— რასაც ბებია გასწავლიდათ, იმ წესებით ცხოვრება დღეს თუ შეიძლება?**

— როგორ არა... ბებიასთვის მეტი რომ დამეჯერებინა, ჩემი საქმე დღეს უკეთ წავიდოდა.



**— სად ცხოვრობდით?**

— ჩვენი სოფელი უკლეში იყო, მაგრამ მამა ყორულდაშში იყო ექიმად და იქვე ვცხოვრობდით. წინაპარი ზემო სვანეთიდან გამოქცეულა, იქ მთელი გვარი ამოუწყვეტიათ, მხოლოდ ბიძა და ძმისშვილი გადარჩნენ. ძმისშვილის ჩამომავლები ვართ... მერე გამრავლდნენ ბაბლუანები. დღეს 290-მდე ოჯახი ვართ.

**— თქვენი წინაპრებიდან ვინ დაგამახსოვრათ თავი ყველაზე მეტად?**

— ბაბუაჩემის ძმა მიხე ბაბლუანი საოცარი კაცი იყო. თვითონ სვანებსაც კი ბევრი რამ უკვირდათ მისი. მე რაც მახსოვს, უჭკვიანესი კაცი იყო, თავისი ფილოსოფია ჰქონდა. ერთხელ, გამთენიისას გამოვედი გარეთ. მზე ნელა ამოიწვერა და მყინვარის თავზე მოექცა, თითქოს ჩამოჯდა. მიხე, ნახე, რა ლამაზი მზეა-მეთქი, — ვუთხარი. ლამაზიაო, — მიპასუხა დაფიქრებულმა, — ამოვა, მერე ჩავა, მერე ისევ ამოვა, ისევ ჩავა.. სულ ეგ არისო... თურმე ჩემი გვარის კაცებს ერთი დღე ჰქონიათ წელიწადში, როცა შეუძლიათ ღმერთს „პირისპირ“ ელაპარაკონ როგორც თანასწორებმა. გათენებისას სახლებიდან გამოდიან სუფთად ჩაცმული კაცები, იწყებენ ღმერთთან ლაპარაკს. ეს წარმართული გადმონაშთია. ამ წესის შესახებ არაფერი ვიცოდი. XI კლასში რომ ვიყავი, ერთხელ, გარიჟრაჟზე გარეთ გამოვედი და დავინახე მთელი სოფლის კაცებს (მაშინ სოფელი სავსე იყო) თავი ცისკენ აუწევიათ და რაღაცას ლაპარაკობენ. მიხე აივანზე იჯდა, დურბინდით აკვირდებოდა მათ და ეღიმებოდა. მივუახლოვდი და ვკითხე, — რა ხდება-მეთქი. ესენი ღმერთს საქმეს ურჩევენო. რაც უფრო სულელია კაცი, მით უფრო მეტი აქვს სადავო ღმერთთან, ხომ ხედავ, რა დღეში არიანო! მიხეს ღმერთიც თავისებურად, თანასოფლელებისაგან განსხვავებულად სწამდა. ამბობდა: ვიღაცამ რომ გამოგვიგონა, ვიცი, მაგრამ რად სჭირდებოდა ჩვენი გამოგონება, ვერ გამიგიაო... ვაჟკაცი იყო მიხე, მთელ კავკასიაში იცნობდნენ.

**— სვანები ჩრდილოკავკასიელებთან მეგობრობდნენ კიდეც?**

— მეგობრობაც იცოდნენ და მტრობაც. მთავარი ის იყო, რომ ყველაფერს არ იკადრებდნენ. სუსტი კაცი ყველაფერს კადრულობს, ძლიერი და ღირსეული — არა. ქეთელაურმა ხომ არ იკადრა და ხელი არ მოსჭრა მუცალს! მართლა ასეთები იყვნენ. ბაბუაჩემის უფროსი ძმა რომ გარდაიცვალა, ჩრდილოეთ კავკასიიდან ცხენებით ჩამოვიდნენ მოხუცი კაცები: ჩერქეზები, ბალყარელები. ერთმა თქვა, — 40 წელი იქნება, ეს ბილიკები არ გადმომივლიაო. რაღაცნაირი მაგარი მოხუცები იყვნენ, ძველ ამბებს ჰყვებოდნენ. რა თქმა უნდა, ქართული იცოდნენ. თურმე ჩრდილოეთ კავკასიაში ბაქსანის ხეობა სვანებისა ყოფილა. ვინც აქ აძოვებდა საქონელს, სვანებს მინდს (ღალას) უხდიდა: გარკვეული რაოდენობის საქონელზე ერთ ხარს. რუსის ხელისუფლება რომ მოვიდა, ხაზი გაავლო კავკასიონზე. თქვენ იქით არაფერი გესაქმებათ, სამეფო მიწებიაო, — უთხრეს სვანებს. ამას ვერ შეურიგდნენ. დაეცემოდნენ სვანები საქონელს და მოერეკებოდნენ ჯოგებს... მე ნამყოფი ვარ იქ. სვანური კოშკებიც კი დგას და იმ მიწა-წყალს ასე იოლად დათმობდნენ?! ერთი მოხუცი სვანი ამბობდა: ერთხელ იმხელა ჯოგი გადმოვიყვანეთ, მთის აქეთ, შუა წელამდე რომ ჩამოვიდა, მთის გადაღმა გუბესავით იდგაო...

**— დედის მხრიდან სასულიერო პირები ყოფილან თქვენი წინაპრები...**

— დედაჩემი ჟვანიაა. ეს სასულიერო გვარი იყო. მამამისი, ლეონიდე (ლავრენტი) ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო. მისი წინაპრებიც სასულიერო პირები ყოფილან. ჩემი ბიძაშვილი ზვიად ჟვანია ქუთაისის ბაგრატის ტაძრის მოძღვარია. ბაბუაჩემი უაღრესად განათლებული კაცი იყო. ხარკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტები ჰქონდა დამთავრებული. იქ შეურთავს ცოლად ბებიაჩემი — ლამაზი და მდიდარი ოლგა ზოტოვა.

**— ასეთი წინაპრების ჩამომავალს თუ გაქვთ რაიმე რელიკვია, რომელიც ამ ძველ ამბებს გახსენებთ?**

— საერთოდ, იარაღი არ მიყვარს, მაგრამ მაქვს ბაბუასეული ხანჯალი, რომელიც ძალიან ძვირფასია ჩემთვის.

**— ნაომარი ხანჯალია?**

— ამბობენ, ნაომარიაო. ხანჯლების მეტი რა ჰქონდათ სვანეთში, მაგრამ ეს, როგორც მითხრეს, „სადღესასწაულო“ ხანჯალი ყოფილა. ახლა ერთი ამბავი გამახსენდა და გიამბობთ. ბაბუაჩემს, ლავრენტი ჟვანიას, იურიდიული ფაკულტეტი დაუმთავრებია და ჟანდარმერიის გამომძიებლად დაუნიშნავთ. ქუთაისთან ახლოს კაზაკების პოლკი იდგა თურმე. მათი რემა სვანებს გაუტაციათ. ამ საქმეს ბაბუა იძიებდა... გამტაცებელი კი მამაჩემის მამა ყოფილა. კიდევ კარგი, რომ არ შეხვდნენ ერთმანეთს, თორემ ახლა აქ არ ვიჯდებოდი(!).

**— 7 წლამდე სვანეთში გაზრდილს არ გაგიჭირდათ თბილისურ გარემოსთან შეგუება?**

— არ მინდოდა სვანეთიდან წამოსვლა. ერთ ხანს გაპარვასაც ვაპირებდი. მერე ვიღაცამ მითხრა, თბილისში სვანეთის უბანი არისო. მეგონა, იქ სვანები ცხოვრობდნენ და წავედი მათ სანახავად. როგორც იქნა, მივაგენი. იქ არც ერთი სვანი არ დამხვდა. ვიკითხე, — ეს ხომ სვანეთის უბანია-მეთქი. ეს არისო. მერე, სვანები სად არიან-მეთქი. არ არიანო... გვიან ღამით გულდაწყვეტილი დავბრუნდი შინ. ჩემი „დაკარგული“ სამყარო მეგობრებში ვიპოვე. და კიდევ... გარეთ რომ გამოხვიდოდი, გხვდებოდა ზნეობრივი კოდექსი, რომლითაც ცხოვრობდა ქალაქი, ქვეყანა. ის ღირსებასა და სულიერ ფასეულობებზე იყო დაფუძნებული. დამამახსოვრდა: დიდი ბიჭები ვიღაცაზე ამბობდნენ, — რა ცუდად მოიქცა, კაცი გალახა, რომელსაც ქალი ახლდაო, აი, აქეთ ცხოვრობსო. მერე ვიღაცამ იკითხა: — ეგეთ კაცს ჩვენს უბანში რა უნდაო?! წავიდნენ ჯგროდ. მოიყვანეს ის კაცი, დაუნგრიეს ცხვირ-პირი. მე ვერ გავიგე, რატომ წუხდა უცხოთა გამო ეს ხალხი, მერე მივხვდი, რომ თუ კაცს ქალი ახლავს, ხელი არ უნდა ახლო... ასეთ თბილისთან შეგუება არ იყო ძნელი.

**— თქვენსავე ცხოვრებაზე სწავლობდით. ალბათ ამიტომაც ჯერ იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვდით, მერე ხელოვნებათმცოდნეობაზე. ბოლოს სარეჟისორო ირჩიეთ. ოჯახში არ გაუკვირდათ?**

— კაცი რომ ორჯერ მიატოვებს სწავლას, სერიოზულად აღარ უყურებენ. ასე ფიქრობდნენ ჩემი ნათესავებიც.

**— თურმე სტუდენტობისას თქვენი ბევრს ეშინოდა.**

— მე არავინ შემიშინებია და თუ ვინმეს ეშინოდა, არ ვიცი...

**— თქვენს თავზე გამოგიცდიათ უსამართლობა?**

— ხშირად. თუ სხვა გზა არ გრჩება, თავი უნდა დაიცვა, მაგრამ თუ შემიძლია მხარი როგორმე ავუქციო, ვცდილობ, არ ვუპასუხო. თუკი იძულებული ვხდებოდი, მეპასუხა, მერე ყოველთვის გუნება მიფუჭდებოდა ხოლმე. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე მომექცეოდნენ უსამართლოდ თუ ჩემს მეგობარს, ერთნაირად განვიცდიდი...

**— თქვენს ფილმებში ხშირად სიკეთე მოულოდნელად იქ იჩენს თავს, სადაც არავინ ელოდება, არადა დანაშაულია, როცა სიკეთეს არ ეძებ და ვერ პოულობ ყოველ კაცში.**

— შეიძლება ერთი შეხედვით უცნაური გეჩვენოთ, მაგრამ უცნაური არაფერია. ერთი ცნობილი ქურდი იყო, უპატრონო ძაღლები უყვარდა. მისი დავალებით ძაღლებისთვის საჭმელი მოჰქონდათ, მუნიანი ძაღლებისთვის — აფთიაქიდან წამალი. ერთი მეგობარი მყავდა, შინ უშველებელი ქართული ნაგაზი ჰყავდა — ლომივით იყო. აუწყვეტია თურმე ამ ძაღლს და ეზოში დადის. ბიჭები შევედით, დაბმული გვეგონა. გამოქანდა ძაღლი. ყველა მივბრუნდით და გავიქეცით. მხოლოდ ერთი დარჩა... შეხედა ამ ძაღლს, დაელაპარაკა. ისიც გაჩერდა, უყურა. ნელა-ნელა თითქოს ლაპარაკი დაიწყეს. შემრცხვა, რომ გავიქეცი. მივბრუნდი და ვკითხე: — ძაღლს როგორ გაუჩერდი-მეთქი. ცხრა წელი ციმბირში, ბანაკში, ძაღლებთან მეძინა, რომ ღამე არ გავყინულიყავი. მაგათი ენა მესმისო...

**— ბრძანეთ, შიშისა შემრცხვაო.**

— არადა მთელი ცხოვრება შეშინებული ვიყავი...

**— და ვინ იყო თქვენი „შემშინებელი“?**

— მაგალითად, თვითმფრინავში ჩაჯდომისა მეშინია, სიმაღლის მეშინია... ნიუ-იორკში მეოთხმოცე სართულზე მომცეს ოთახი სასტუმროში, ვერ დავიძინე, ჩამოვედი და ფოიეში მეძინა.

**— მთისაც გეშინიათ?**

— არა, ეგეთი შიში არ მქონია. მთასთან სულ კარგი მოგონებები მაკავშირებს.

**— თქვენ დროდადრო პარიზში ცხოვრობთ. იქ თავი მარტოდ არ გიგრძნიათ?**

— სიმარტოვე პირობითია. შეიძლება გვერდით ერთი ახლობელი კაცი გყავდეს და მთელი ქვეყანა შენთან გეგულებოდეს. ხშირად ვარ უცხოეთში. იქაურებიც მარტო არიან და არ აწუხებთ ეს... ასე მგონია, შენი სამშობლო სულ სხვაა. გახსოვთ, უილიამ საროიანის მოთხრობა „ის საბრალო, დახრუკული არაბი“? დიდი სევდა და სიმართლეა შიგ. უცხოობაში კაცი ძნელია, ბედნიერი იყოს. სამშობლო შენი ცხოვრების ნაწილია. ვერსად გაექცევი, არც უნდა გაექცე... ყოველთვის მოგენატრება და დაუბრუნდები.

**— საფრანგეთს იოლად შეეგუეთ?**

— ფრანგები სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიის ხალხია. ემოციის გამო ისინი არაფერს აკეთებენ. აგრესიის ნებისმიერი გამოვლენა უცხოა მათთვის. ერთხელ ასეთი რამ მოხდა: მეტროში ბიჭები შემოვიდნენ, ცუდად იქცეოდნენ. ერთ პატარა გოგოს ყურსაცმები წაართვეს. არავინ ხმას არ იღებდა. ის გოგო ჩემი შვილის ტოლა იყო. ვერ მოვითმინე და ჩავერიე. ბიჭები უცებ დაფრთხნენ, დაუბრუნეს გოგოს წართმეული და კართან აიტუზნენ. მოვბრუნდი და დავჯექი. ხალხი მომჩერებოდა. მათ თვალებში ჩემდამი არცთუ დიდი პატივისცემა ამოვიკითხე. მათთვის მეც ისეთივე ვიყავი, როგორიც ის ხულიგნები. რატომ? მერე მივხვდი, მათთვის მიუღებელია აგრესიის ნებისმიერი გამოვლინება მიზეზის მიუხედავად. ჩემის აზრით, ეს მაღალი კულტურის ნიშანია.

**— დრო გადის, ალბათ საქართველოში ყოველ ჩამოსვლაზე შეცვლილი გხვდებათ გარემო... თქვენც იცვლებით.**

— მე რა შემცვლის... მახსოვს, 24-25 წლისა ძალიან ვწუხდი: დრო როგორ ჩქარა მიდის-მეთქი. ცოტა ხანს ვიფიქრე ამაზე და მივხვდი, აღარ უნდა მეფიქრა... ადამიანს არავინ ეკითხება ორ უმთავრეს რამეს — დაბადებასა და სიკვდილს. საშინელი უსამართლობაა! ამ ორ დიდ გაუგებრობას შორის მიდის ცხოვრება, მაგრამ სიცოცხლეს აზრს სიყვარული აძლევს. ეს არის ყველაფერი. მთელი დღე დადიხარ ქუჩაში, ათას ვინმეს ხედავ და ერთმა შეიძლება შენი გარდაცვლილი ძმაკაცის სახე გაგახსენოს... სევდასთან ერთად ისეთი სითბოს იგრძნობ, დიდხანს გაგყვება. ესეც სიყვარულის გამო ხდება...

**ლელა ჯიყაშვილი**



# „ოცნება იმიტომაა კარგი, რომ ოცნებაა, თორემ მართლა ბროლის კოშკში რა აცხოვრებს ადამიანს?!.“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კეთილი კაცი, რომელსაც მთელი სოფელი ღვთისოს ეძახდა, უსაზღვრო გულმოწყალების გამო და დიდი ხანია მისი ნამდვილი სახელი — თევდორე დაივიწყეს. ამის გამო არ ბრაზობდა, რადგან მისთვის ღმერთზე მეტი არც რამე და არც ვინმე არ იყო ქვეყანაზე და თუ მას რამეთი ამსგავსებდნენ, აბა უკეთესი რა შეიძლებოდა მის თავს მომხდარიყო?!.

მეოცნებე იყო ღვთისო-თევდორე...

რაც თავი ახსოვს, ათასნაირი ფიქრი და ოცნება არ ასვენებდა. აკვანში რომ იწვა, მაშინდელი ოცნებებიც კი დღემდე ახსოვს: დედა რომ დაიხრებოდა და პირში ძუძუს ჩაუდებდა, თვალები სულ ცრემლიანი ჰქონდა და ზოგჯერ დედის ცრემლი შუბლზე ან ლოყაზე დაეცემოდა. მწარე იყო ცრემლი, ცეცხლივით სწვავდა და ოცნებობდა — „ნეტავი დედა ძველებურად გაიღიმებდესო...“

ძალიან ლამაზი იყო დედა, როცა იღიმებოდა, — იმ მზესავით ლამაზი, დილაობით ოთახში რომ შემოიჭყიტებოდა და თვალებში ჩააცქერდებოდა, მოეფერებოდა, გააცინებდა... მზე დედასავით უყვარდა ღვთისო-თევდორეს და ოცნებობდა — როცა აკვნიდან გადმოვალ, აუცილებლად შინ ვეწვევი, მის შვილებს გავიცნობო!..

ადრე აკვანთან მამასაც ხედავდა, მამაც უყვარდა და ოცნებობდა: — დიდი რომ გავხდები, მასავით განიერი ბეჭები და დიდი ხელის მტევნები მექნებაო!

პირველი სიტყვა დედა თქვა და — დედა გენაცვალოსო! — გაიგონა პასუხად. მერე — მამაო? — კითხვის ნიშანი დაურთო ბოლოში და ისევ ატირდა დედა: — აღარა გყავს მამა, ჩემო ობოლო, სიკვდილმა წაგვართვაო!..

მერე სიკვდილთან შეხვედრაზე ოცნებობდა — წავალ, ვეტყვი ატირებულ დედაზე, როგორ ვერ გაიგებს, შევეხვეწები მამა გამოუშვასო!..

ფეხი რომ აიდგა, მაშინვე ჭიშკარს მიაშურა, სიკვდილს ეძებდა, მამის დაბრუნება სურდა. მეზობლის ბოლმიანმა ხარმა რქა გაჰკრა წამიერად უყურადღებოდ დარჩენილს და ბუჩქებში გადავარდნილმა დაინახა, როგორ აიტაცა მზემ თავისი თბილი სხივებით და დატუქსა: — რა სულელი ბიჭი ხარ, რა დროს შენი სიკვდილთან შეხვედრაა, მეორედ არ გაბედო დედის დაუკითხავად ნაბიჯის გადადგმაო!.. მერე მზემ სხივები აკრიფა და ატირებული დედის მკლავებში ჩააგორა ღვთისო-თევდორე...

მაშინ მხოლოდ იმას მიხვდა, რომ სიკვდილი ძალიან ცუდი რამ იყო და ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, სადმე დიდი ხანჯალი ეშოვნა, უგულო სიკვდილს შინ მივარდნოდა, აენაკუწებინა და დაემარცხებინა...

პირველი ხმალი ხისგან გამოჩორკნა და კაცები ღიმილით გააყოლებდნენ თვალს — ატატა-ტა, მოდის გმირი და დაუმარცხებელი, აწი ჩვენც აღარა გვიჭირსო!...

მერე იყო და ხბო რომ გააჩინა, ხატაურა ძროხა მოკვდა და საბოლოოდ მიხვდა — მისი სიკვდილთან შემრიგებელი ქვეყანაზე სულიერი არ არსებობდა.

ვერავინ ასწრებდა დილით ადგომას და ხბოსთვის ლორთქო ბალახის მოტანას. ნიშამაც დაუფასა, გაიზარდა, ხბოც გაუჩინა, რძეც მისცა, ერბოც და ყველიც...



— ბიჭი მომესწროო! — ისევე გაიღიმა დედამ, პირველ კლასში რომ გაუშვა შვილი.

სკოლაში ახალი მეგობრები შეიძინა და გაუკვირდა, როცა სხვებს მასავით და მასზე მეტადაც კი უჭირდათ. განსაკუთრებით, მერხის ამხანაგი — თინია ეცოდებოდა, კლასში ფეხშიშველი რომ დადიოდა ზამთრის პირამდე და მერე სულ დაანება სკოლაში სიარულს თავი უფეხსაცმლობის გამო. შინ მიაკითხა და პირველად ეტკინა პატარა გული თინიას ოჯახის სიღარიბით გაოგნებულს...

იმ დღეს დედას თავისი თავი დააფიცა და შეეხვეწა: მე ძველი კალოშითაც ვივლი, აგე პაპა იმედას ამოსხმული ქალამანიც მაქვს, გადანახული ფულით თინიას ვუყიდოთ მინაგოს კოოპერატივში გამოფენილი წითელი ბოტებიო...

გულში ჩაკრული მიუტანა თინიას საჩუქარი. გოგომ ლოყაზე აკოცა და მას შემდეგ იმაზე დაიწყო ოცნება: — ბევრი, ბევრი ფული უნდა ვიშოვნო, თინიას რომ ყოველდღე თითო საჩუქარი მაინც მივუტანო და იმანაც თითოჯერ მაინც მაკოცოსო!..

თავიდან თოხი მასზე მაღალი იყო, არ ემორჩილებოდა, მაგრამ არ შეეპუა, ვერც დედის თხოვნამ შეაჩერა — გულს ჩაიწყვეტ, დედის იმედს დაამსხვრევო!..

რა შეაჩერებდა, როცა იმაზე ოცნებობდა — დედა თოხს აღარ უნდა გავაკარო, წელს რომ იტკივებს და კვნესის, ლამაზ ტახტზე უნდა დავსვაო!..

მალე თოხსაც მოერია და ისეთი მოსავალი მოიყვანა — ისევ ცრემლი გაბრწყინდა დედის თვალში, მაგრამ ეს ცრემლი მწარე აღარ იყო, პირიქით — სიტკბოს გემო დაჰკრავდა, იმიტომ, რომ სიხარულისა იყო — შვილი მომესწროო!

დედას კი არა, სოფელსაც უხაროდა ბიჭის დავაჟკაცება — თავისი ოჯახის საქმეს რომ მორჩებოდა, ხან ვის ეზოში გადაიხედავდა და ხანაც ვისი სახლის კარს შეაღებდა, ვისაც რა უჭირდა, არ გამოეპარებოდა, ხელს წააშველებდა.

ახლა იმაზე ოცნებობდა — ბევრი ფული ეშოვა, დიდი ბროლის სასახლე აეშენებინა, გამჭვირვალე კედლებით, რომ შიგ მთელი სოფელი შეესახლებინა, უცებ დაენახა და გაეგო, თუ ვინმეს რამე უჭირდა და სანამ დაძახებას გაუბედავდნენ, მანამ მიშველებოდა...

ყველაზე მეტად მაინც ავადმყოფები ებრალებოდა და თუ ვინმეს სენზე შეიტყობდა, იმაზე ოცნებობდა, უკვდავების წყარო ეპოვა და სამუდამოდ დაემარცხებინა ყველას სატკივარი...

კარგა ხანს სჯეროდა უკვდავების წყაროს არსებობის. მერე მიხვდა, ასეთი კიდეც თუ არსებობდა, ადამიანის ხელით იყო შექმნილი და ცოდნა უნდა ჰქონოდა მის აღმოსაჩენად.

წიგნებში იპოვა ნანატრი უკვდავების წყარო. ისე დაეწაფა, საუკეთესო მოსწავლე გახდა და მასწავლებლებმაც იმაზე დაიწყეს ლაპარაკი: ეს ბიჭი მართლა ღვთის დალოცვილიაო! — სკოლა რომ დაამთავრა და გზა ქალაქისკენ დაულოცეს, ხვეწნაც გაუბედეს — სოფელი არ დაივიწყო, დაგვიბრუნდი, დიდი მადლი მიგაქვს თანო!..

...არდადეგებამდე სულ თითებზე ითვლიდა დღეებს, ეგონა მის გარეშე მზეც აღარ იხედებოდა სოფელში.

ინსტიტუტშიც უცებ შეაყვარა ყველას თავი და იქაც ყველას ეიმედებოდა — ზოგი ქირურგს ხედავდა მასში, ზოგი ტრავმატოლოგს, ზოგი გინეკოლოგს და...

მისთვის სულერთი იყო, ოღონდ უკვდავების წყარო ეპოვა და სიკვდილი დაემარცხებინა. ეჩქარებოდა, თორემ ეგე, ცოტა ხნის წინ ნატაშა ბებო გაუყვა მიუსავლეთის გზას მის მოლოდინში, მახარა პაპაც უკან გაჰყვა...

...ინსტიტუტიც დაამთავრა, ასპირანტურაც, საზღვარგარეთაც გაუშვეს. ოთხი წელი იცხოვრა უცხოეთში და სულ შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა...

დიდი ფული შეაძლიეს — ოღონდ დარჩიო!..

ლამის დაფიქრდა — ამ ფულით ნაოცნებარი ბროლის კოშკის აშენება შეეძლო ახლობლებისთვის, მაგრამ... არა, გულის ტკივილი იგრძნო იმის გაფიქრებაზე, რომ ქართული მზის, ცის, მიწის, ჰაერის გარეშე უნდა ეცოცხლა და ესუნთქა... დედისა და თინიას გარეშე უნდა ევლო და ეთენებ-ეღამებინა...

ვერ დააკავეს...

დედას მთლად გათეთრებოდა თმები. თინიასაც დაშაშროდა მძიმე შრომისგან ხელები და მიხვდა, ღმერთმა დროზე დააბრუნა...

ათასი საპატარძლო გამოუნახეს, მაგრამ მისი ოცნება მხოლოდ თინია იყო — მერე რა, რომ უსწავლელიც დარჩა, არც ქონება ჰქონდა და არც თეთრი ხელები...

დედას წინააღმდეგობა არც უფიქრია — ოცნება შენია და მე როგორ წაგართმევო!..

მართალია ბევრი არა, მაგრამ ფული მაინც იშოვა. მეტის დაგროვებაც შეეძლო, მაგრამ ღატაკებს უნაწილებდა.

სოფელში რომ ჩავიდოდა, მთელი სოფელი შეიყრებოდა მათ ეზოში: „ღვთისო ჩამოსულა!“ — ზოგს ხელსახოცში გახვეული სურნელოვანი დედას პური მოჰქონდა, ზოგს დოქით მირონივით ღვინო, ზოგს ჩურჩხელები — ვიცით, გიყვარსო!..

შვილები რომ შეეძინა, ახლა გვარი დაივიწყეს მისი და პატარების დანახვაზე, ჟრიამული ატყდებოდა — „ღვთისიაშვილები მოდიან, ღვთისიაშვილებიო!...“

ერთხელაც შეკრიბა ღვთისო-თევდორემ სოფლელები და თავისი ოცნება გაუმხილა ბროლისგან ნაშენებ სასახლეზე, გამჭვირვალე კედლებით და დაუფარავი სატკივარით: ფული ვიშოვე და რას იტყვით, დავიწყოთ მშენებლობაო?

— ეგ ხომ ოცნებააო! — გაიკვირვა პაპა ზოსიმემ.

— მერე რა, რომ ოცნებააო?! — მხრები აიჩეჩა თევდორე-ღვთისომ.

— ისა, შვილო, რომა ოცნება იმიტომაა კარგი, რომ ოცნებაა, თორემ ბროლის კოშკში რა აცხოვრებს კაცს, ხომ გული გაუსკდა — დაუფარავი სატკივრის ცქერისას... კაცს დაფარულიც უნდა დაუტოვოო!...

— აბა, რა ვქნათო?! — გული დასწყდა თევდორე-ღვთისოს.

— შენ ხომ მეორე ოცნებაც გქონდა — სიკვდილის დამარცხება გინდოდაო! — შეახსენა პაპა ზოსიმემ.

— მერე, რა ვქნაო?!

— რა ვქნათ და ემაგ ფულით ეკლესია ავაშენოთ, შიგ ხატები დავაბრძანოთ და ღმერთს სანთელი დავუნთოთ, რამეთუ სიკვდილის დამმარცხებელი მხოლოდ ღმერთია...

...მთელი წელიწადი აშენებდნენ ტაძარს.

სააღდგომოდ გახსნეს მისი კარი და საგალობელი დააგუგუნეს.

იმ ღამეს ხილვა ჰქონდა თევდორე-ღვთისოს: მის წინ აკანკალებული სიკვდილი იდგა, მაინც დამამარცხეო! მერე მამამისი მოუყვანა... მამამ გულში ჩაიკრა და უთხრა: — მე არასოდეს მოვკვდები, იმიტომ, რომ შენისთანა შვილი მყავსო!..

ბედნიერს გამოეღვიძა. მიხვდა, ყველა ოცნება ახდენოდა...

***ინგა ჯაყელი***


## საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა

**«ამერიკათმცოდნეობა, ევროპათმცოდნეობა»**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა იწყებს მიღებას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე:

**ბაკალავრიატი: ამერიკათმცოდნეობა, ევროპათმცოდნეობა, მენეჯერული ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი.**

***მაგისტრატურა:*** ამერიკათმცოდნეობა/ევროპათმცოდნეობა შემდეგი სპეციალობებით: განათლების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, სახელმწიფო პოლიტიკა, ქალაქის მენეჯმენტი, ინგლისური ენისა და ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის მასწავლებელი, გერმანული ენისა და გერმანული ლიტერატურის მასწავლებელი;

საზოგადოებრივ მეცნიერებებში მათემატიკური და ინფორმაციული მეთოდები.

სწავლება წარიმართება ამერიკული და ევროპული, კერძოდ, კენტუკის (აშშ) და კოპენჰაგენის (დანია) უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

**პროგრამებს ხელმძღვანელობენ პროფესორები:**
**თემურ ტორონჯაძე, ივერი კაკუბავა, ზვიად ხარებავა,**
**გიული ალასანია, ნუგზარ სიხარულიძე, ლალი ჯოხაძე,**
**ნინო ჩიჩუა, ნიკა მახარაშვილი, მანანა სანაძე,**
**ირინა ბახტაძე, ივა მინდაძე და სხვები.**

*საბუთების მიღება და გასაუბრება ჩატარდება*
*2004 წლის 1 ოქტომბრამდე, დილით 11⁰⁰-14⁰⁰, საღამოს 16⁰⁰-18⁰⁰*
*საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის მისამართია: ქ. თბილისი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. 77,*
*VI სასწავლო კორპუსი, IV სართული, „ბ“ ბლოკი.*
*საკონტაქტო ტელეფონები: 33-14-65; 899-29-23-17*
**E-mail: msanadze@gtu.ge**



კავკასიის აკადემიური ცენტრი

CAC სი ეი სი



Business Projecting

...ა და წარმატებით განხორციელების გზების შესწავლისას

ტელ. 25-17-30; 29-40-80

# შემდეგი მარშრუტი ევერესტი იქნება?!

## მარტო უშბაზე...




ბოლო დროს წარმატება ისევ გაგვიშინაურდა ქართველებს. წარსულით განებივრებულებს, ცოტა არ იყოს, გვიჭირდა სტატისტის როლში ყოფნა და სხვათა წარმატების შორიდან ცქერა. ახლა სხვა დროა და ჩვენც დროდადრო მსოფლიოს გაოცებას ვახერხებთ: ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ერთმა ნაავადმყოფარმა კაცმა იმდენი შეძლო, თავიც გამოიჯანმრთელა და თითქმის ყველა ქვეყანა მოიარა ველოსიპედით, მეორემ ხელფეხშეკრულმა გადაცურა სწრაფი დინებით გამორჩეული ბოსფორის სრუტე, ახლა კი... მართალია, ოლიმპიადამ ცოტა გული დაგვწყვიტა, ორასზე მეტ ქვეყანაში „მხოლოდ" 31-ე ადგილს რომ დავჯერდით (!), რადგან მეტიც შეგვეძლო თურმე, მაგრამ ერთი პატარა, ლატაკი, ჯერ კიდევ დაშლილი ქვეყნისთვის ეს წარმატება ალბათ გასაოცარიც კია.

კარგი მონადირე და მთამსვლელი საქართველოში, მით უმეტეს, სვანეთში არავის უკვირს, თუმცა ის, რაც ალპინისტმა ნუკრი გველებიანმა გააკეთა, მხოლოდ ერთხელ მომხდარა და ისიც ხალხურ თქმულებაში — იგი მარტო ავიდა მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალ უშბაზე. მაშინ როცა ქართველი ოლიმპიელები ათენში „ნაალაფარს" ითვლიდნენ, ნუკრი გველებიანი ქართულ დროშას უშბაზე აფრიალებდა. სამიოდე კვირით ადრე კი მან ქართულ ჯგუფთან ერთად, რომელშიც ერთი ქალიც ერია, ლენინის პიკი დალაშქრა.

**ნუკრი გველებიანი** ახალგაზრდა კაცია და არც დაგიმალავთ, მასთან მეგობრობა მაკავშირებს. სწორედ ეს დამეხმარა, თორემ სვანი კაცისთვის უცხოა საკუთარ, თუნდაც ყველაზე საოცარ გმირობაზე საქვეყნოდ ლაპარაკი.

### ყველაფერი ერთი სვანური ლეგენდით დაიწყო...



ბიძინა გუჯაბიძესთან ერთად ლენინის პიკის დალაშქვრის წინ

**— ნუკრი, სპორტის უამრავი სახეობა არსებობს, მაინცდამაინც მთამსვლელობა რატომ აირჩიე, ან უშბის მარტო დაპყრობა რამ გადაგაწყვეტინა, თუ ჯოყოლასავით გინდოდა, გეთქვა: „მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ მნახოსა"-ო?**

— ათი წლის ვიქნებოდი, როცა „კლდის ვეფხვზე", მიხეილ ხერგიანზე, მირონ ხერგიანის დაწერილი წიგნი წავიკითხე. სვანი კაცისთვის მთა უამისოდაც მშობლიურია, მაგრამ მიხეილ ხერგიანის, როგორც პიროვნების გაცნობამ და მისმა იტალიაში, სუ-ალტოს მწვერვალზე დაღუპვამ იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, რომ მთამსვლელობის გარდა სხვაზე არაფერზე მიფიქრია. ამავე წიგნში არის მოყვანილი ის სვანური თქმულებაც, რომელმაც უშბის მარტო დაპყრობა გადამაწყვეტინა.



პამირი. უშბამდე 3 კვირით ადრე

**— მაინც რას გვეუბნება ლეგენდა?**

— სვანებისთვის ნადირობა ჩვეულებრივი ამბავია — ჩვენი ხალხი მუდამ დადიოდა მთაში, მაგრამ მწვერვალებს არ ეკარებოდა, რადგან ის ღმერთების სამყოფლად მიაჩნდა. ერთ მეტად გამბედავ მონადირეს მოუწადინებია უშბაზე ასვლა და ასულა კიდეც, მაგრამ სოფელში დაბრუნებულს არ დაუჯერეს და ღვთის შიშით გაუწყრნენ კიდეც. თანასოფლელები თავის სიმართლეში რომ დაერწმუნებინა, მონადირე ხელმეორედ შეუყვა უშბის ფერდობს, თან თივა წაიღო, სატარებლად ყველაზე მსუბუქი რამ და თანასოფლელების დასარწმუნებლად მწვერვალის წვერზე ცეცხლი დაანთო. ის კაცი უშბაზე ზედიზედ ორჯერ ასულა, ფეხზე უბრალო ჯაბრალებამოსხმული და არა წრიაპებით თუ სხვა სპეციალური მოწყობილობებით... მეც მინდოდა დამემტკიცებინა, რომ უშბაზე მარტო ასვლა შესაძლებელია, თუმცა რაც მე გავაკეთე, ლეგენდარულ მონადირესთან შედარებით, მოკრძალებული „გმირობაა".

**— შენც ცეცხლი ხომ არ დაგინთია, რით ამტკიცებ, რომ ნამდვილად ახვედი?**

— ბინოკლებით მთელი სვანეთის მზერა მიმაცილებდა მწვერვალამდე... ყოველი ამსვლელი წერილს ტოვებს მწვერვალზე, რომელსაც შემდეგი პოულობს და თავისი წერილით ცვლის. მეც ჩემი დავტოვე და სანაცვლოდ უკრაინული ჯგუფის წერილი ჩამოვიტანე.

**— ვიცი, რომ ნადირობაც გიყვარს...**

— ნადირობაც სპორტია, აზარტი. ლენტეხის რაიონიდან ვარ, სოფელ მელედან. მახსოვს, მეხუთე კლასში ვიყავი, მამამ სათიბში წამიყვანა, თოფი მოვპარე და მთაში ორი არჩვი მოვკალი. ამის შემდეგ მე და თოფი ერთმანეთს აღარ დავცილებივართ.

**— მწვერვალზე ასვლის სირთულე მარშრუტზეც არის დამოკიდებული, რამდენად რთული იყო ის გზა, რომელიც აირჩიე?**

— უშბა მთელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი დასაპყრობია, ამიტომ იოლი გზა არც არსებობს, არის მეტ-ნაკლებად რთული ასასვლელები. ჩემს მარშრუტს გაბრიელ ხერგიანის გზა ჰქვია. გაბრიელ ხერგიანმა, მიხეილ ხერგიანის ბიძამ, ალიოშა და ალექსანდრა (და-ძმა) ჯაფარიძეებთან ერთად, 1937 წელს გაიარა იგი. ეს არის კომბინირებული მარშრუტი, გვხვდება ყველა დაბრკოლება — მთა, თოვლი, ყინული, კლდე, ნაპრალები, რომლებიც ხშირად თოვლით არის გადაფარული და შეიძლება ვერ შეამჩნიო. მით უმეტეს, როცა დაზღვევას ვერავინ გიკეთებს, რისკი გაცილებით იზრდება. ჩემი მწვრთნელი ვალოდია ქურასბედიანი და გივი წერედიანი, მიხეილ ხერგიანის გუნდის წევრი (მათ არაერთხელ დაულაშქრავთ უშბა და იციან მისი „ხასიათი"), მთხოვდნენ, მარტო არ წავსულიყავი — მაფრთხილებდნენ, უშბა ლენინის პიკი არ გეგონოსო. უკან ვერ დავიხევდი, მართალია, ხიფათიანი მწვერვალია, ბევრი კარგი მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ სიყრმის დროინდელი ოცნება აუცილებლად უნდა ამეხდინა. თუმცა უშბის დაპყრობას დიდი ფიზიკური გამძლეობა და სიმაღლესთან შეგუება სჭირდება. ამისთვის წლების განმავლობაში ვამზადებდი თავს, კლდეზე ცოცვაც მასზე ოცნებით დავიწყე. თუმცა ქვეყანა რომ აირია, 5-6 წელიწადს სრულიად ჩამოვშორდი აქტიურ სპორტს.

**— რამ მოგიბრუნა გული სპორტისკენ?**

— იმ დროს დავოჯახდი. ცოლი ხშირად შემახსენებდა — ლოთს კი არ გავყოლივარ, სპორტსმენს გავყევიო. ცალკე იმერელი ქალის სიჯიუტემ, ცალკე მთის სიყვარულმა და მეგობრების დაჟინებულმა თხოვნამ მომაბრუნა სპორტისკენ. მე პატარა მარიამი მყავს, სწორედ მარიამობა დღეს დავიწყე უშბაზე ასვლა და რომ ავედი, მწვერვალიდან დავურეკე ცოლშვილს. ჩემი გამარჯვება პატარა მარიამს მივუძღვენი და საუკეთესო ჯილდოც მისგან დავიმსახურე: მაგარი ხარ, მამიკოო, ტელეფონში მითხრა...

**— როგორ, უშბის წვერზე მობილური სიგნალის დაჭერა შესაძლებელია?**

— დიახ, დიახ, ოღონდ კომპანიის სახელს ნუ გავამხელთ, რეკლამა გამოგვივა. მსვლელობის დროს ხშირად მირეკავდნენ ბიჭები, მესტიის აეროდრომიდან კარგად ჩანს უშბა, ჭოგრიტით მიმზერდნენ და მამხნევებდნენ. მთელი სვანეთი მგულშემატკივრობდა.

უშბაზე წერილის პოვნა გამიჭირდა. ჩემი მეგობარი, კლდეზე მცოცავი კახა გურჩიანი მირეკავდა და მეხვეწებოდა, ნულა ეძებ წერილს, ყველა ვხედავთ, რომ მწვერვალზე ხარ, შენი დატოვე და წამოდიო. ეშინოდა, ამინდი არ გაფუჭებულიყო და არ დამგვიანებოდა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე... ამინდი მართლაც გაფუჭდა, მთელი უშბა თოვლმა დაფარა და გამიჭირდა დაბრუნება. მწვერვალის ძირას, ბეჩოსა და მაზერის (სოფლები მესტიის რ-ნში) მცხოვრებნი ეკლესიაში ლოცულობდნენ, საკლავს კლავდნენ და ჩემს მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდნენ ღმერთს. მინდა ყველას მადლობა ვუთხრა. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი მწვრთნელის, ლადო გურჩიანის ოჯახს, რომელმაც მიმასპინძლა. სხვათა შორის, მისი ბაბუა, გვარად კვიციანი, მიშა ხერგიანს ახლდა ალპინიადის დროს უშბაზე.

**— ლენინის პიკზე რას იტყვი, ხომ არ გასჭირვებია ასვლა ქართულ ჯგუფს?**

— ზოგი რუსთაველის პროსპექტზე სეირნობით იღლება და მთაზე ასვლა რომ გაუჭირდეს კაცს, გასაკვირი არ უნდა იყოს. ასვლა რომ გიჭირს და მაინც ადიხარ, სწორედ ეს არის ალპინიზმში საინტერესო. ჩვენს ჯგუფში ქალიც იყო. ბევრი ქვეყნის უკეთ მომზადებული მთამსვლელთა ჯგუფი დარჩა ხელმოცარული, ქართველები კი ავედით. ჩვენს ჯგუფში უძლიერესი მთამსვლელები იყვნენ: აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე, ვანო სარქისოვი, გელა ოთარაშვილი და სხვები...

**— ლენინის პიკის დაპყრობის შემდეგ, ქართველმა მთამსვლელებმა სხვა მწვერვალებიც დაიპყრეს... შენ რატომ გამოაკლდი მათ?**

— ძალიან მიხარია ჩვენი ბიჭების წარმატება. რა თქმა უნდა, მეც მთხოვეს დარჩენა, მაგრამ მე უშბა მიხმობდა. ლენინის პიკზე ასვლაც უშბაზე ასასვლელად მზადება იყო. სიტყვამ მოიტანა და ლენინის პიკზე მიხეილ ხერგიანის ატანილი ლენინის ბიუსტი ახლაც დგას.

**— როგორც ჩანს, ხერგიანების ნაკვალევი შენი ცხოვრების გზამკვლევია.**

— ყველამ საკუთარი გზით უნდა იაროს, მაგრამ ამ გვარს იმდენი სასახელო შვილი ჰყავს, რომ მათ კვალში ჩადგომა არავის გვაწყენდა. აგერ, ნესტორმაც ოქროს სადარი, ვერცხლის მედალი გვაჩუქა. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა ვუთხრა ყველა ქართველ ოლიმპიელს, რომლებმაც ასე გაგვახარეს. არც დამარცხებულები უნდა დაგვავიწყდეს, მათაც ხომ იბრძოლეს...

**— ქართულ ალპინიზმს საამაყო წარსული აქვს. დღეს რა მდგომარეობაა ამ სპორტში?**

— ქართველი ალპინისტები დღესაც ერთ-ერთი უძლიერესები არიან მსოფლიოში. პამირზე ამბობდნენ, ქართველები მთაში დარბიანო. ზოგჯერ დილით გასულ ჯგუფს რამდენიმე საათით გვიან გასულები დავწევივართ და გაგვისწრია კიდევ. მიუხედავად ამისა, ალპინიზმი მაინც დაჩაგრულია საქართველოში. ბევრი ჩემზე პროფესიონალი მთამსვლელი სახლში ზის, რადგან ეკიპირების ყიდვის საშუალება არა აქვს.

**— ნუკრი, ორიოდ სიტყვით შენს გეგმებზე გვიამბე.**

— ევერესტზე ინდივიდუალური ასვლა მინდა (?!). უშბისგან განსხვავებით ევერესტზე უკვე განხორციელებულია ინდივიდუალური ასვლა, მაგრამ ქართველებმაც რომ იგივე გავიმეოროთ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება.

***უჩა გოგბერაშვილი***



# რაზიკაანთ კაიუმა



*ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ღირსეულნი იმითაც განირჩევიან, რომ მათ ცხოვრებას დაუსრულებლად ითვლის კაცობრიობა. ვაჟა-ფშაველა 54 წლისა შეუერთდა საუკუნო განსასვენებელს. მაშინ მკათათვის ბუღი ასდიოდა თბილისს. ფშავის დაბურულ მთებს მონატრებულ მგოსანს თვალებში ფანჯრიდან მოყურიადე მთაწმინდის მიწის ნაგლეჯი ჩარჩა.*

*...მერე მთაწმინდამ მოიღეღა მკერდი, გულში ჩაიკრა, რომ პოეტს სიმაღლიდან მწვერვალებისაკენ ცქერა გაადვილებოდა. ალბათ ეს ერთადერთი ოცნება იყო, რომელიც აუხდა ვაჟას. მისი ფესვები მთაშია, სიცოცხლეში სულ არწივების საბრძანებლიდან დაჰყურებდა ქვეყანას. აკი ამბობს კიდეც: „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, / თვალწინ მეფინა ქვეყანა, / გულზე მესვენა მზე, მთვარე, / ვლაპარაკობდი ღმერთთანა“. ღმერთთან მოლაპარაკე პოეტმა ისე გაუსწრო სინამდვილეს, იმგვარი ზნეობრივი მიწისძვრა მოახდინა, რომ ჩვენ, უსუსურნი ჯერ ვერ ვაცნობიერებთ მისი გმირების ფანტასტიკურ რეალობას და თუ აღვიქვამთ, ცხოვრების წესად მაინც ვერ ვაქცევთ, რადგან არც ღმერთთან ლაპარაკის უფლება მოგვიპოვებია და არც ვაჟასეულ თავისთავადობამდე მიგვიწვდება ხელი.*

*ვინც თავისი მიწის სურნელით ერთხელ მაინც დამთვრალა, თავის ქვეყნის ცას ასე მიახლოებია, მხოლოდ ის გაუგებს ვაჟას, რომელიც დღემდე რჩება შეუცნობელი სამყაროს მარადიულ მესაიდუმლედ.*

ფშავის ერთ მიყრუებულ სოფელში დაიბადა. მკათათვის მცხუნვარე მზის სითბო გამოჰყვა რაზიკაანთ კაიყმას. სოფელსაც გაუთქვა სახელი და თავის მოდგმასაც, რამეთუ მამაპაპის ზნე იმთავითვე იდო მის გენეტიკურ კოდში. ფშავის შეუვალობას დარაჯად ედგა ვაჟას დიდი პაპა იმედა რაზიკაშვილი. სწორედ მას უთქვამს ერეკლესათვის: — დიდო მეფეო, ორი შენ მიბრძანე, მაგრამ ერთი ჩემიც გაიგონეო... კარგ ყმებად ითვლებოდნენ ვაჟას სხვა წინაპრებიც: „ვინა თქო ჩარგლელთადაო, / ჩარგალში ცუდნი ყმანიჯ, აფხუშოთ ჭიჭახევამდე, / სამოც ლეკს მოსჭრეს თავია“, — მღეროდა მათზე ხალხი. დედა კარგი მოლექსე ჰყავდა, დედის ბიძა — პარასკევაც მთელ ფშავში განთქმული მოლექსე იყო. მამა, პავლე მღვდელი თავის მოგონებებში წერს: „ცხვარში ყოფნისას ახუნის მთის წვერზე მიყვარდა ასვლა. ეს მთა იქ ყველაზე მაღალია. თითქოს ეკლესიის გუმბათიაო, ისეა მოყვანილი. იქიდან მთელი საქართველო ჩანდა: ქართლი, კახეთი, სამხრეთის მთა-გორები, ლეკის და თუშეთის მთები, ყაზბეგი და გერგეტი, ხევსურეთის და ქისტეთის მთები, მართლაც გასაოცარი სურათია: ზოგი ცისაკე აღმართულა, იტყვის კაცი, ცას ხელს ავაწვდენო. დაჰყურებ ქართლ-კახეთის მინდვრებსა, თითქოს ერთმანეთს სილამაზეში ეჯიბრებიანო“.

აქ იწყება ვაჟას ბიოგრაფიაც: „ადგილო კურუმ-კურუმო, / ველიან ჭალიანაო, / სამოთხესავით ლამაზო, / მიყვარხარ ძალიანაო“. აქედან აიწყვიტა არტახები, ბარად ჩამოსული „ნაიალაღარი ხარი“ ხან თელავის სასულიერო სასწავლებლის ბუხრიდან ზომავდა სამყაროს, ხან გორის საოსტატო სემინარიის კედლებიდან, ხან ტოლაანთსოფლის გულმიუსვლელი დაწყებითი სკოლის შენობიდან და ხანაც, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან. იყო ყველგან თავისუფალი, ამაყი, დაუმორჩილებელი. ქართლში, ამილახვრიანთ კერაზე მასწავლებლობისას, სილა გააწნა თავის ურჩ მოწაფეს, ამისთვის გამოაძევეს. ისიც ადგა და მანგლისისკენ აიღო გეზი. თუმცა დიდ თონეთშიც ვერ ასცდა უსიამოვნებას. იქაური მამასახლისის შვილს ჩხუბი მოუვიდა თანატოლთან და გაიტყიპა. მამასახლისმა თავად მოინდომა სამაგიერო გადაეხადა იმ ბავშვისთვის. გაკადნიერდა, სკოლის აივანზე ავარდა და შვილის გამლახავს ცემა დაუწყო. გამოვარდა ვაჟა, ეცა მამასახლისს, მაგრად უთავაზა, დასტაცა ხელი და აივნიდან გადააგდო. მეორე დღეს მამასახლისმა სკოლასთან გაიარა და ალმაცერად შეხედა ვაჟას. ვაჟამ დაადევნა:

*რას მიმზერ, მამასახლისო,*
*გული რად გიძგერს დიდია.*
*მიტომ თუ მედიდგულები,*
*ყელზე რო ჯაჭვი გკიდია.*
*სახლი რკინითა სავსე მაქ,*
*ძაღლებიც ჯაჭვით მიბია,*
*ერთს კიდეც გამოგიგზავნი,*
*რომელიც უფრო დიდია.*
*შე რო მე კაცად არ მხედავ,*
*მეც ხათრი ფეხზე მკიდია.*

უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრება ბუნებამ დაანათლა ვაჟას. თუკი ვინმე გათავხედებულს გადაეყრებოდა, მაშინვე ჩააკმენდინებდა ხმას. სადაც სიტყვა არ ჭრიდა, იქ მკლავს გაშლიდა, მისი მარჯვენა კი ხმალზე მეტად აფრთხობდა მოწინააღმდეგეს. დადიოდა გახუნებული ჩოხით, თვალჩამოხეული, ხელებდაკოჟრილი, წვერგაუპარსავი... გარეგანი თვალსატყუარობა ცალ ფულადაც არ უღირდა. სანაცვლოდ მის არსებაში იმგვარი ღირსება და ზნეობა დუღდა, რომლის ანალოგს ვერც ერთ ცივილიზებულ კულტურაში ვერ მოიძიებ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, თბილისში, ერთი ტრაბახა და თავზეხელაღებული კაცი გამოჩენილა, გვარად აშინოვი. თავი თურმე ფაშასავით მოჰქონდა და გაიძახოდა: თეირანს ჩემი ხანჯლის წვერზე წამოცმულს მივართმევ რუსეთსაო. ამ მოხეტიალე „რაინდისთვის“ გაზეთ „დროებას“ კარგა ლაზათიანი ფელეტონი მიუძღვნია. ერთ მშვენიერ დილას „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს კაბინეტში მიეჭრა აშინოვი და ხანჯალზე გაიკრა ხელი, — ახლავე თქვენი დაბეჭდილის უარყოფა დაწერეთო. ამ ინციდენტის დროს რედაქტორთან სტუმრად იყვნენ აკაკი წერეთელი და ახალგაზრდა ვაჟა. რედაქტორი აშინოვის თავხედობაზე გაფითრდა. წამოხტა მაშინ ვაჟა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი, მაღლა აიტაცა და დაუყვირა: — ვის აშინებ, შენ მაგ ხანჯლითა, ჰა? იცოდე, შე უბადრუკო, ვიდრე ხანჯალს ამოიღებდე, თავს ათჯერ წაგაცლი! ჰკრა პანღური და კიბეებზე დააგორა.

ვაჟა ხშირად სტუმრობდა თიანეთში. იქაურები დღესაც იხსენებენ მის კაიბიჭობას. ერთხელ, სასამართლოში სხვებთან ერთად პავლე მღვდელი მოწმედ ყოფილა დაბარებული. ვაჟა თან ახლდა მამას. ხალხი გარეთ ყაყანებდა. მოსამართლე აივანზე გადმომდგარა და ხეპრედ გამოუცხადებია: ვიღაცეები მოთრეულხართ, რა გაღრიალებთ, ხმა გაიკმინდეთო! შეუვარდა ვაჟა კაბინეტში, მაგარი სილა სტკიცა თავხედობისათვის. მოსამართლეს სახელის გატეხა ეჩოთირა და ეს ამბავი არ გაახმაურა.

დროთა დაუსრულებელ ბრუნვაში თანამედროვეთათვის ხშირად ბევრი რამ ბურუსით იმოსება. ისტორია კი კრიალოსანივით მარცვლავს გარდასულ დღეებს და თავის ფურცლებზე სანუკვარ ადგილს მიუჩენს ხოლმე... ვაჟამ კარგად უწყოდა, რომ მთის მოსახლეობას — მთიულებსა და ფშავ-ხევსურებს პირუტყვი გამოსაზამთრებლად შირაქის ველზე დაუდიოდა. მეფის მთავრობამ კი 1889 წლიდან ამ ადგილებში რუსების კომპაქტურად ჩასახლების განკარგულება გასცა. ავისმომასწავებლად ენიშნა ეს ამბავი ვაჟას. სანდო მთიელები დაარწმუნა, რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯი მათ შირაქიდან გუდა-ნაბადს ააკვრევინებდა. შეაკაზმვინა ცხენი დავით ურჯუკაშვილს და ქედში ჩაიყვანა. მისი სახლის საძირკველსაც პირველად ვაჟამ დაჰკრა ბარი. ურჯუკაშვილის კერაზე მალე ცეცხლი გაჩაღდა, მამალმა იყივლა, ძაღლებმა იქაურობა ყეფით გააყრუეს და ქვეყანას ამცნეს აქ ქართველი კაცის დაფუძნება. ვაჟა მთაში გაბრუნდა და ვინც შირაქში პირუტყს აზამთრებდა, მათი ოჯახები კარდაკარ ჩამოიარა. ყველას სათითაოდ უხსნიდა, რომ მათი დაფუძნებით ამ მხარეში პატარა საქართველო უნდა შექმნილიყო. ასეც მოხდა: ერთ წელიწადში 700-800 კომლი ჩამოსახლდა ქედსა და არხილოსკალოში. თავიდან ეს თუშებსაც ახარებდა. მერე და მერე კი თანამოძმეებს საძოვარზე დაუწყეს დავა. თუშების რწმუნებულმა ცისკარაშვილმა, რომელიც პეტერბურგში დიდი ამბით მეგობრობდა ვაჟას, თუშები შეაგულიანა და ქედელ ფშავლებს თიბვა აუკრძალეს. არხილოსკალოს მოსახლეობას კი აყრა დაუპირეს. საქმე სასამართლომდე მივიდა. ვაჟა ფშავლების რწმუნებულის სტატუსით ესწრებოდა სასამართლოს და ჩუმად იჯდა. მომრიგებელმა მოსამართლემ ფშავლებს განუცხადა: ხომ ხედავთ, ეს კაცი ხმას არ იღებს, სხვა რწმუნებული აირჩიეთო. ვაჟამ დაიმკლავა ჩოხის კალთები, ავიდა ტრიბუნაზე და მოსამართლეს მიმართა: — მე რომ სკამზე ვმჯდარვარ, შენ ის თვალითაც არ გინახავს. ამ ხალხს რომ აღელვებ, განა მეც მომატყუილებ. ჩოხაზე კი ნუ მიყურებ, შუბლში შემხედეო. მერე მიუბრუნდა ცისკარაშვილს: — შენ რა ქართველი ხარ, თუშებს და ფშავლებს ერთმანეთზე აქეზებ, შეიძლება შირაქი ორივეს ხელიდან წაუვიდეს და სხვა დაეპატრონოს. მომრიგებელ მოსამართლეს რა ყურს უგდებ, ეგ ბატონების მოსამართლეა და არა ხალხის, ცხვარი ხალხს ეკუთვნის და არა ცხვარს ხალხიო. მტკიცე გამოდგა ვაჟას ჩაყრილი ბალავარი... იმრავლეს კიდეც ჩვენებურებმა ზემო და ქვემო ქედსა და არხილოსკალოში.

1882 წელს ვაჟა თიანეთის მაზრის ტოლაანთსოფელში მასწავლებლად დანიშნეს. მაშინ ამ სოფელს ამტნისხევი ერქვა. სკოლის ერთ ოთახში ცხოვრობდა. თავისუფალ დროს ხალხში ატარებდა, სანადიროდ დადიოდა ერწოს ტყეებში, მდინარე აძეძზე. გლეხები ხშირად ეკითხებოდნენ რჩევა-დარიგებას. იმჟამად ერწოს სოფლებზე ბატონობა დაიწყო ვინმე ბობოლა ხიმშიაშვილმა. ხალხს გამოუცხადა, ჩემი ყმები ხართო. საქონელს ართმევდა ღალაში, მოსავლის დიდ ნაწილსაც თხოულობდა.

ვაჟას ჩაგონებით გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ „ყელჭრელ“ ხიმშიაშვილს და ღალას არ უხდიდნენ. ვაჟა მათ „კათაკმეველის“ ფსევდონიმით 1882 წელს რამდენჯერმე გამოექომაგა გაზეთ „დროებაში“.

XIX ს-ის ბოლოს ერწოელები სოფელ ღულელებში თხოულობდნენ სკოლის გახსნას. იქაურმა ქისტაურებმა (ჭრელაანთ) სკოლის ასაშენებლად თავიანთი კუთვნილი მამული გამოყვეს. მაგრამ ტოლაანთსოფლელებმა აჯობეს. იქ მაცხოვრებლებს: მამასახლის ქერაულს, მღვდელ თურქაძეს და ბერაანთ გავლენიან საგვარეულოს წინ ვერავინ გადაუდგა. ვაჟა ტოლაანთსოფელში სკოლის გახსნის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ღულელებსაც თანაუგრძნობდა. მოგვიანებით, იქაც აშენდა სკოლა. მისი დაარსებიდან 100 წლისთავზე იქაურმა პედაგოგმა პავლე არაბულმა ძველი ამბები გაიხსენა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. გაჭიანურებული დავის დროს, ვაჟასათვის ღულელელ უშიშას ლექსი გაუგზავნია:

*გვიშველე, ვაჟა-ფშაველავ,*
*სკოლა გაგვტაცეს ბერათა,*
*სკოლა იქ უნდა აშენდეს,*
*სადაც დაწესდა ძველადა.*
*ხელმწიფის მოხელეები,*
*ვეღარ მოვიგდეთ ხელადა,*
*თუ არა, დედას ვუტირებთ,*
*სულ ვაქცევთ ნაცარ-მტვერადა.*

ვაჟა მართლაც ჩაერია იმ საქმეში და უშიშასაც უპასუხა:

*ხელმწიფის მოხელეებსა*
*მარტო რას უზამ ბევრათა,*
*გუბერნატორთან უჩივლეთ*
*არზას მე დაგიწერავთა,*
*სკოლა იქ უნდა აშენდეს,*
*პანტა რო უდგათ ჭრელათა.*

ნინია რაზიკაშვილს (ვაჟას ბიძას) ხუთი ქალი ჰყავდა ერთმანეთზე ლამაზები, უფროსი ქალთათავი და ვაჟა თანატოლები იყვნენ. ხშირად ხნავდნენ და თესავდნენ ერთად. ქალთათავი მეხრე იყო, ვაჟა — გუთნისდედა. გააჩერებდა თურმე გუთანს ვაჟა და დაიწყებდა წერას. ქალთათავი სულ ეჩხუბებოდა — ხარებს რად მაჩერებინებ, რასა სწერ, რასა ჯღაბნიო. — ეგ მე თავად ვიცი, რასაც ვწეროო, — მიუგებდა ვაჟა და თავისას არ იშლიდა.

ეს ქალთათავი ერთ ქიზიყელზე გაუთხოვებიათ. არა ჰყვარებია და ვერც შეჰგუებია მის ცოლობას. ტოლ-სწორები რომ შეიყრებოდნენ, გულამოსკვნილი გარმონზე მღეროდა:

*ა, იმ მთათა, თოვლიანთა*
*ზედა მენამც გადამკიდა,*
*ზედა მთოვდა, ზედა მწვიმდა,*
*ზედაც ნაქარს მომაყრიდა.*
*ხელში მომცა ჭრელი გველი,*
*შავი ყელთამც ჩამომკიდა,*
*გავუძლებდი ყველაფერსა,*
*უნდაურსაც არ ამკიდა.*

იმ „უნდაურ“ ქმარს მაინც გაჰყვა ქიზიყში, მაგრამ დაიტანჯა თურმე და შემოუთვალა თავისიანებს — როგორც სიკვდილი არ უნდა კაცსა, ისე ეს ქმარი არ მინდა, შინ წამიყვანეთო. წასულა ბაჩანა. დაუჭერიათ იქაურ დიდკაცებს, შენ რა უფლება გაქვს, ცოლი წაჰგვარო ჩვენს ყმასაო. მოსვლიათ ჩხუბი, დაუჭრიათ კიდეც ბაჩანა. გაჯავრებულა ვაჟა. წასულა. იმისთვის ვეღარ გაუბედიათ წინააღმდეგობა. წამოუყვანია ქალთათავი, თავის დასთან — კუჭეჭაში დაუტოვებია, სადაც სხვაზე გათხოვილა.

უსამართლობას ვაჟა ვერც შინ იტანდა, ვერც გარეთ. ამის გამო პეტერბურგშიც მოუვიდა უსიამოვნება, რის შესახებ ივანე ბუქურაულისთვის თავად უამბია: ვაჟას და მის ძმას, გიორგის ფული გამოლევიათ და მშივრები დადიოდნენ თურმე. ერთი გერმანელი ნაცნობი სტუდენტი შეხვედრიათ, რომელსაც ბილიარდის სათამაშოდ გაუწვევია, თან უთქვამს, ვინც წააგებს, სადილი იმან იკისროსო. თურმე ისიც ჯიბეგაფხეკილია. ჩასულან ლუდხანაში. თამაში ვაჟას მოუგია. გერმანელმა უთხრა, ცოტა ხანს გავალ, მოვბრუნდები და ვისადილოთო. აღარ დაბრუნდა. ბილიარდის მეპატრონემ ბიჭებს დაუძახა და საფასურში ვაჟას ქუდის წართმევა დაუპირეს. რომ არ დაანება, მუშტი უთავაზეს. ამას სხვებიც აჰყვნენო, — უთქვამს ვაჟას. მაშინ გიორგი დააფრინდა ჩემს გამრტყმელს, ქვეშ ამოიდო და დაუწყო ცემა. მეც მკლავი გავშალე და ვისაც შემოუნიავე, ფეხზე არავინ დავაყენე. შეიქმნა აურზაური. ლუდხანის მუშტრები გულგახეთქილი გარბოდნენ. მეპატრონე კი გაჰკიოდა, — გვიშველეთ, ყაჩაღები დაგვეცნენო. მალე მარტო მომსახურე ხალხი დარჩა, ყველანი ჩვენ მოგვცვივდნენ, გამშველებელი არავინ იყო. შეიქნა გახურებული მუშტი-კრივი. თითოს შემოჰკრავს გიორგი და დამიძახებს, — დაჰკარიკავ, ლუკურიკავ, ძმაის ჭირიმე... აქა გყავს შენი ძმა გიორგი. 20-25 კაცი გვცემდა. ბევრს ვადინე ცხვირ-პირიდან სისხლი, ბევრს შუბლზე კოპი დავასვი. მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ. ჩვენც დავიღალეთ. მიიმწყვდიეს გიორგი და სცემენ. მე ორ კედელს შუა ზურგი მივაყუდე და ჩემთან არავის ვუშვებ. უცებ გიორგი დაუსხლტა და პოლიციის ბოქაული მოიყვანა. ბოქაულს ყველანი ჩივილით მისცვივდნენ — გვიშველეთ, ბატონო, ყაჩაღები დაგვეცნენო. — როგორ? — განცვიფრებით წამოიძახა ბოქაულმა, — ეს ორი კაცი თქვენ, ამოდენა ხალხს?! არ მესმის, სირცხვილია, აბა, როგორ შევაყენო ოქმი... დაიკარგეთ აქედან! — შეუყვირა და მოჩხუბრები მიფანტ-მოფანტა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგის ნევის პროსპექტზე უცნობი შეხვედრია და სასადილოში შეუპატიჟებია. გაუხსენებია ლუდხანაში ჩხუბი და უთქვამს:

— მეც იქ ვიყავი. მეც გეჩხუბეთ, ის თქვენთან, მეორე ვინ იყო?.

— ჩემი ძმა, რად იკითხეთ?

— მე ბოქსიორი ვარ, მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი, მაგრამ შენმა ძმამ ისე შემომკრა, იატაკზე დავეცი, ფერდი დამილურჯდა, სამი დღე და ღამე კომპრესი მედოო.

ვაჟა მთელი ცხოვრება შესტრფოდა თავისუფლებას, ზნეობრივ სიწმინდეს, რაც მთაში უკეთ იყო შენახული. უყვარდა დღეობებში სიარული, ფშაური ლხინი და ღრეობაც კი... ეს უბრალო ქეიფი როდი იყო.... ამ ხალხიდან კრეფდა ვაჟკაცობის, პირდაპირობის, სიამაყის მარგალიტებს და მოქნეულ სიტყვებად აფრქვევდა ერში...

**ეთერ თარიმანი**




# სკანვორდი ფრაგმენტებით











1. ჭადრაკის წინამორბედი
2. ვეშაპის სახეობა
3. ოდისევსისა და პენელოპეს შვილი
4. რადიოაქტიური ელემენტი
5. ... დე ბალზაკი
6. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
7. ყანწის მსგავსი სასმისი ძვ. საბერძნეთში
8. ნივრის აცმა
9. იაპონური ხის ფეხსაცმელი
10. ფრანგი მსახიობი ...
11. ესპერანტოსნაირსახეობა
12. უალკოჰოლო სასმელი
13. ქიმიური ელემენტი
14. ანჩხლი, კაპასი
15. ქალაქის ტიპის დასახლება
16. მზის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
17. კაზაკთა ბანდის მეთაური
18. ძაღლის ჯიში
19. ძვ. რომაელთა სამოსი
20. ზღვის გადაშენებული ქვეწარმავალი
21. სამეურნეო მუშაკი
22. შიგნითა პატარა ეზო
23. ცურვის სტილი
24. რუმინეთის ფულის ერთეული
25. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი
26. ტყის მხალი
27. რქებდახრილი ხარი
28. ჭიდაობის ერთ-ერთი ფანდი
29. ესპანის „ქალაქი ...“
30. ერთკუზიანი აქლემი
31. კედელში ჩასმული ნახატი ან სკულპტურა
32. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება
33. ლხინი, წვეულება
34. ერთგვარი ვარცხნილობა
35. ჯადოქარი, ექიმბაში
36. დიდი მრავალნიჩბიანი ნავი
37. გერმანელი მწერალი
38. ებრაელთა მოძღვარი
39. ალვირახსნილი ღრეობა
40. ფრანგი იმპრესიონისტი
41. შვედური ავტომობილი
42. მოხარშული ზეთი
43. ქვეყნის ნაწილი
44. ძალიან ხარისხის წვრილმარცვლოვანი ყვა
45. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში
46. საუკეთესო ხარისხის ბროლი
47. ფარიკაობის იარაღი
48. საფოსტო ნიშანი
49. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
50. შენიშვნა, მინაწერი
51. შენობის წინა მხარე
52. ვულკანური მასა
53. სახელმწიფო აფრიკაში
54. კონტინენტი
55. იალქნის ასაწევი თოკი
56. პატარა ტანის კაცი
57. აშშ-ის შტატი
58. კლიმატი
59. ქართველთა წარმართული ღვთაება
60. მდინარე ევროპაში
61. კათოლიკური წირვა
62. ... კიო
63. ოპტიკური მინა
64. ოფიცრის წოდება
65. მამასახლისის ხელქვეითი ძველად
66. მეწისქვილის წილი
67. ... მოსაშვილი
68. სალბუნი
69. ჩვილის საკვები
70. აირი
71. ჩრდ. ამერიკული დათვი
72. ... კოკერი

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ჯეირანი; 2. მინარეთი; 3. რეზონი; 4. სინოდი; 5. რიაზანოვი; 6. ნატურა; 7. ფიცი; 8. ალიზი; 9. როკადა; 10. ლაოსი; 11. სევანი; 12. კანა; 13. პაი; 14. წუთი; 15. ტიალი; 16. ლარდი; 17. ჯაფა; 18. ალბატროსი; 19. კრაკოვი; 20. დინარი; 21. სახრე; 22. სანა; 23. აფრა; 24. ლაინერი; 25. სენა; 26. პა; 27. ივ; 28. ხალა; 29. ერი; 30. რიშარი; 31. ატილა; 32. ბაო; 33. შოთი; 34. ბატუტი; 35. ბოგდიხანი; 36. ალეკ; 37. ვაზარი; 38. პეონი; 39. ნავახა; 40. დუელი; 41. პატიო; 42. იგუანა; 43. სირმა; 44. ირმა; 45. სვავი; 46. ხანი; 47. დრეკი; 48. დეუ; 49. იაჰვე; 50. ვილა; 51. ხვადი; 52. ლიცეუმი; 53. ზერო; 54. აზია; 55. კოლოსი; 56. ალბინოსი; 57. იაკი; 58. კენია; 59. ნარტა; 60. ნიუ; 61. ნივეა; 62. კირხე; 63. ამური; 64. კიმ; 65 ტარო; 66. ძე; 67. სეიმი; 68. მიკ; 69. კა; 70. ალაო; 71. ბონო.
1. ჯვრისწერა; 2. პირველი პაემანი; 3. ვალსი; 4. მძინარე მზეთუნახავი; 5. კურანტი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძე

CMYK

# ამ უბედურებამ ყველანაირი გასაჭირი დამავიწყა

დედა ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში მიდის, ე.ი. მის ოჯახს უკიდურესად უჭირს.

საბერძნეთიდან წერილით გვეხმაურება ქალი, რომელიც სწორედ ამ გაჭირვების შესახებ გვიამბობს, თუმცა ალბათ, იგი ნებისმიერ გაჭირვებას მოერეოდა, ბოლო ხანს მისი ოჯახის თავზე უბედურება რომ არ დატრიალებულიყო. მ. დვალი ამ რამდენიმე წლის წინ სამუშაოდ საბერძნეთში გაემგზავრა. ალბათ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ანუ ოჯახი ცოტათი შვებით ამოისუნთქავდა, ვალებს გაისტუმრებდა და დედა-მარჩენალი თავდაუზოგავი შრომით შეკოწიწებული თანხით სამშობლოსაც დაუბრუნდებოდა, მაგრამ...



თუმცა მივყვეთ წერილს, რომელიც მართლაც მძიმე წასაკითხია: „ბოდიშს ვუხდი მკითხველს, მაგრამ სხვა გზა ველარ მიპოვია, სამართალი ვერ მომიძებნია და რა ვქნა, ისევ თქვენ უნდა შემოგჩივლოთ ჩემს გასაჭირზე.

18 წლისამ შევქმენი ოჯახი. მეუღლე სამხედრო პირია. 30 წელი ემსახურა ჯერ საბჭოთა არმიას, შემდეგ კი ქართულ ჯარს. ცხოვრება დავიწყეთ თეფშითა და ქვაბით, ჩვენი ხელის შემწყობი არავინ ყოფილა და არც არავის ვაწუხებდით, ჩემი მშობლების გარდა. რაც გვებადა, იმითაც კმაყოფილი ვიყავით, თუ ვინმე გვთხოვდა დახმარებას, ყველას ხელს ვუმართავდით. ცოტა ხანში მიწის ნაკვეთი შევიძინეთ იქვე, სამხედრო ნაწილის წინ და გავაშენეთ ხეხილის ბაღი. როცა სახლის მშენებლობასაც მოვრჩით, ვიფიქრე, ახლა კი მეშველა-მეთქი, სწორედ მაშინ აირია ქვეყანა. ქვეყნის დამოუკიდებლობას რუსი ჯარის გასვლა მოჰყვა. ჩემს მეუღლეს შესთავაზეს, რუსეთში გაჰყოლოდა თავის ნაწილს, მაგრამ ვერ შევძელით სამშობლოს დატოვება.

გავაგრძელეთ ცხოვრება. მეუღლე 10 წელი ემსახურა ქართულ ჯარს. შვილები წამოგვეზარდნენ. ცხოვრება კი თანდათან გართულდა. ამას დაერთო ისიც, რომ ჩემი მეუღლე მეორე სართულიდან გადმოვარდა და მძიმე ტრავმა მიიღო. იგი დღესაც მკურნალობს.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, საბერძნეთში წავსულიყავი სამუშაოდ. მეუღლე დავითანხმე, შევაგროვე საბუთები, ავიღე პროცენტიანი ვალი და გავემგზავრე საბერძნეთში. გზაზე დიდი გაჭირვება გავიარე, მაგრამ ღვთის შეწევნით, ამ გაჭირვებასაც გავუძელი და საბერძნეთში ორ კვირაში დავიწყე მუშაობა... უკვე მერამდენე წელია, სამ ბავშვს ვუვლი. ჩემი სამი შვილი კი ღვთისა და ავადმყოფი მამის ამარა მივატოვე... ამ ტკივილს კიდევ უარესი ამბავი დაემატა...

როგორც იქნა, ვალი გავისტუმრე, შვილები გზაზე დავაყენე და სახლის მოწყობაც გადავწყვიტე. დამატებითი სამუშაო ვიშოვე, დღე და ღამეს ვასწორებდი, რათა მალე დავბრუნებოდი ჩემს ოჯახს, სულ ორი თვე მჭირდებოდა იმისათვის, რომ ამდენი ხნის უნახავი შვილები გულში ჩამეკრა...

2003 წლის 12 აპრილს ჩემს მეუღლეს 50 წელი შეუსრულდა. ტელეფონით მიულოცეს ძმებმა, ძმისშვილებმა, დისშვილებმა და უთხრეს, მოვდივართ და აღვნიშნოთ ეს დღეო. მეუღლეს არ უნდოდა უჩემოდ დღეობის გადახდა, მწერდა: თუკი ორ თვეში უნდა ჩამოხვიდე, დაგელოდები და ყველაფერი ერთად აღვნიშნოთო, მაგრამ სტუმარს როდის იყო ქართველი კაცი ეუბნებოდა, არ მოხვიდეო? ერთი სიტყვით, უჩემოდ აღნიშნეს დაბადების დღე. ეტყობა, ზოგიერთი მეზობელი გაალიზიანა ჩემი ოჯახიდან გამოსულმა ცეკვა-სიმღერის ხმამ. გათენებისას სტუმრები რომ დაიშალნენ, ერთ-ერთი მეზობელი (მთვრალი იყო) ჩვენს სტუმრებს ტაქსის გაჩერებამდე გაჰყვა. მათ შორის წალაპარაკება მოხდა, რაც ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა (ამას ადასტურებს იქ მყოფი ხალხი). ჩემი ოჯახის სტუმრებიც ნასვამები იყვნენ, ერთ-ერთი სახლში მობრუნდა, დანა აიღო და სასიკვდილოდ დაჭრა ჩემი მეზობელი, სამი შვილის მამა. დაიღუპა სამი ოჯახი: მოკლულისა, მკვლელისა და ჩემი, რომელიც წელიწადი და ოთხი თვეა უდანაშაულოდ ეწირება ამ უგუნურ ნაბიჯს ბრალდებით — სტუმარს რატომ არ გაჰყევით უკან და დანა როგორ გამოატანეთ ოჯახიდანო. რა იცოდა ჩემმა ქმარმა, რისთვის მიბრუნდა მისი ძმისწული უკან, ან საიდან უნდა გაეგო, სახლიდან კილომეტრ-ნახევარში რა მოხდა? ამის მთქმელი იმ წუთებში არავინ აღმოჩნდა, უბედურება რომ მოხდა, მერეღა გაიგეს ჩემებმა ყველაფერი. ამ დღის შემდეგ, მეზობლებმა გამიპარტახეს ოჯახი, დამიჩეხეს ხეხილის ბაღი, რომელიც დღეს პირუტყვის სადგომადაა გადაქცეული. ექვსი თვის შემდეგ, მოკლულის ბიძაშვილებმა გამიძარცვეს ოჯახი. გარდაცვლილის მეუღლე და მისი ძმები მოითხოვენ: დაიფიცეთ ხატზე, რომ თავად მოკლავთ თქვენს სტუმარს. მანამდე კი ოჯახში არ დაგედგომებათო.

ეს ამბავი რომ მოხდა, რაღა გამაჩერებდა საბერძნეთში, ჩამოვედი საქართველოში, მივედი მეზობლებთან და შევეცადე, მშვიდად გამერკვია ყველაფერი. საუბედუროდ, შინაც არ შემიშვეს, არც მომისმინეს და უარესიც, მოსაკლავად გამომიდგა ქალი თუ კაცი, რომ არ მოვეკალი, იქვე, სამხედრო ნაწილს შევაფარე თავი. სამწუხაროდ, სამართალი და კანონიც კი უძლურია. რაიონი დუმს, სოფელი კი დაშინებული ჰყავთ. მესმის, რომ გამწარებულები არიან, მაგრამ რა დააშავა ჩემმა ოჯახმა ან რატომ უნდა ვაგოთ პასუხი ძმისშვილის ნამოქმედარზე? იმ უბედურს (გარდაცვლილს) რომ კინკლაობა არ დაეწყო, შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ჩემი ოჯახის სტუმრისთვის, ხომ არაფერი მოხდებოდა?..

ამჟამად კვლავ საბერძნეთში ვარ. ახლა რომ უჭირს ჩემს ოჯახს, ისე არასდროს გასჭირვებია და იძულებული ვარ, კვლავ თავდაუზოგავად ვიშრომო, რომ შიმშილით მაინც არ დამეხოცოს ქმარ-შვილი. მინდა ეს საქმე სათანადოდ გამოიძიონ და ყველას თავისი მიეზღოს.

რატომ უნდა დავტოვო ჩემი ნაშრომ-ნალოლიავები ოჯახი?! 25 წელია იმ სოფელში ვცხოვრობთ და ვერავინ იტყვის, რომ ოდესმე მე, ან ჩემს ქმარ-შვილს, ვინმესთვის რაიმე დაგვეშავებინოს. რატომ არ გვაქვს ცხოვრების უფლება? ვის მოვთხოვო ამაზე პასუხი?

იქნებ იმისთვის ვისჯებით, რომ ცხოვრება სხვებთან შედარებით უკეთ ავაწყვეთ ჩემი შრომითა და ჯანმრთელობის ხარჯზე? მაშინ, ყველას შევახსენებ (და, იმედია, არ ექნებათ დავიწყებული), რამდენი გაჭირვებულისთვის გაგვიმართავს ხელი. ჩემს თავზე ბევრმა უბედურებამ გადაიარა, ვიცი, რა არის ახლობლის სიკვდილიც, მაგრამ ყველამ გულში ჩაიხედეთ და სიმართლე თქვით. ნუთუ ჩემი დაქცეული ოჯახის შემხედვარეთ სინდისი არ გქენჯნით? ამ შემთხვევაში ხომ რამდენიმე ადამიანის ყოფნა-არყოფნა ჰკიდია ბეწვზე?

ღმერთმა შეგვინდოს ჩვენც, იმათაც და მთლიანად სოფელს...

მე შეგნებულად არ ვწერ გვარ-სახელებს, ყველა მიხვდება (ვინც ჩვენი ამბავი იცის), ვისაც ეკუთვნის ეს წერილი.

მ. დ. ათენი“

**რედაქციისაგან:** ძნელია, ამ ამბის წამკითხველი გულგრილად დაელოდო სხვის რჩევას, მით უმეტეს, რომ წერილის ავტორი უპირველესად ჩვენ გვთხოვს კომენტარს...

ასეთ შემთხვევაში, როცა ადამიანები სამართალს და კანონებს არ ემორჩილებიან, სიტუაციაც უკონტროლო ხდება. „რა იქნება ხვალ?“ — ამ კითხვას ჭირისუფლებმა შეიძლება კვლავ იგივე პასუხი გასცენ: — სტუმრის საქციელზე პასუხს მასპინძელი აგებს, სისხლი — სისხლისა წილო! მაგრამ, ჭირისუფალნო, იქნებ სჯობს, დაუწერელ კანონს თვალი მოუხუჭოთ, რადგან თქვენთანაც და დვალების ოჯახშიც მომავალი თაობები იზრდებიან. განა სხვისი სიძულვილით შეიძლება ბავშვის გაზრდა? მტრობის დათესვას არასოდეს მოუტანია სიკეთე... ის უნებური მკვლელი ხომ ისედაც დაისაჯა (დაპატიმრებულია და თანაც მთელი სიცოცხლე უნდა ატაროს მკვლელის სახელი?!). სხვისი ოჯახის აწიოკებით თქვენ არაფერი მოგემატებათ. მერწმუნეთ, ნებისმიერ უბედურებას ღირსეული დახვედრა უნდა... ცოდვიანს კი თავისი ცოდვაც ეყოფა საზიდად!.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# გამოხმაურება
# ღალატს მართლაც სავალალო შედეგი მოაქვს...

„წავიკითხე წინა ნომერში დაბეჭდილი „არბატზე გაზრდილი გოგონა სოფელს შეეჩვია, თუმცა...“ და ვერ შევძელი, რომ არ გამოგხმაურებოდით. ანალოგიური ამბავი ჩემი ბიძაშვილის ოჯახშიც მოხდა, ოღონდ ჩემი რძალი კი არ გალოთდა, დარდით დაავადდა.

დათოს და ნელის სკოლიდან უყვარდათ ერთმანეთი. ნელი ლამაზი გოგო იყო, დათოს ეშინოდა მისი დაკარგვის, ამიტომ სკოლა დაამთავრეს თუ არა, მოიტაცა. ატყდა ერთი ამბავი, მშობლებმა იმდენი ქნეს, გოგო დაიბრუნეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისევ გაიპარნენ და ორი კვირა ვერავინ მიაგნო მათ კვალს. ამჯერად დანებდნენ უფროსები და ქორწილიც გადაუხადეს. ყველანი შევხაროდით დათოს და ნელის ბედნიერებას. მალე ვაჟი შეეძინათ, მერე — ტყუპი გოგონა. დრო რომ გავიდა, დათომ თავს გარე-გარე სიარულის უფლება მისცა. მალე ყველამ გაიგო, რომ საყვარელი ჰყავდა. ნელი, შვილებიანად, მშობლებთან დაბრუნდა. დათომ ვაჟი წაიყვანა. ნელიმ დიდხანს ვერ გაძლო შვილის გარეშე და დაუბრუნდა ქმარს. დარდით გაილია. ახლობლები ვეჩიჩინებოდით, — დათოს ისევ შენ უყვარხარო. ნელი ჩუმად გვისმენდა, მხოლოდ ერთხელ წამოსცდა: რა აზრი აქვს უსიყვარულოდ ცხოვრებასო. ამის მერე ორი წელი იცხოვრეს ერთ ჭერქვეშ, თუმცა ნელის მისთვის ხმა აღარ გაუცია. დათოს ეგონა, ქალის სიამაყე ნელ-ნელა მოტყდებოდა და აპატიებდა ღალატს. ბოლოს, ნელი სულ დაუძლურდა, ლეიკოზი აღმოაჩნდა და მისი შველა აღარ შეიძლებოდა. დათო იხტიბარს არ იტეხდა: მე ნუ მაბრალებთ, ნელი დარდმა კი არა, ავადმყოფობამ ჩააგდო ლოგინადო, მაგრამ ბოლოს ისიც მიხვდა, რომ ნებისმიერი დაავადება შეიძლება დარდისგან გაჩნდეს. სიკვდილის წინ პატიება სთხოვა, მაგრამ ნელი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ხმა არ გაუცია ქმრისთვის, პირი მიიბრუნა და ცრემლები ღვარად წამოუვიდა.

ნელიმ ვერ აპატია ღალატი ქმარს, გაუბედურდა ოჯახი...

ბევრი ქალი, ოღონდ ოჯახს არაფერი მოაკლოს და, იოლად ეგუება ქმრის ღალატს, მაგრამ არიან გამონაკლისებიც, რომლებსაც ფუფუნებას მეუღლის ერთგულება ურჩევნიათ. ნელისთანა ქალებისთვის საყვარელი ადამიანის ღალატი ქვეყნის დაქცევის ტოლფასია...

გული მიკვდება, ჩემი მშვენიერი რძალი რომ მახსენდება...

გაითვალისწინეთ, კაცებო, ღალატს ხშირად სავალალო შედეგები მოჰყვება, რომელიც შეიძლება დიდ ტრაგედიად იქცეს.

***თქვენი მკითხველი ნონა, თბილისი“.***

# სოკოს პიცა



მოზილეთ ჩვეულებრივი ღვეზელის ცომი. გააბრტყელეთ 1 სმ-ზე და გადაიტანეთ ფქვილმოყრილ ტაფაზე.

ხის ან ქამა სოკო დაჭერით, მოშუშეთ ცხიმში ხახვთან ერთად, დაუმატეთ შავი პილპილი და მარილი — გემოვნებით, წმინდად დაკეპილი 3-3 ძირი ქინძი და კამა. გააცივეთ, გადაიტანეთ ცომზე და მოასწორეთ, ზემოდან მოაყარეთ გახეხილი უმარილო ყველი ან სულგუნი და გამოაცხვეთ.

# და მარინადი

1 კგ ხის სოკო გაასუფთავეთ, გარეცხეთ, მოზრდილები — დაჭერით, ჩაყარეთ ქვაბში, ჩაუმატეთ 5-6 მარცვალი შავი პილპილი, ამდენივე — ბაჰარი და ქინძის თესლი, 2 დაფნის ფოთოლი. ნელ ცეცხლზე თავისსავე წვენში მოხარშეთ. გადმოდგით ცეცხლიდან, ჩაუმატეთ ალყა-ალყა დაჭრილი 3-4 თავი ხახვი და 1 კბილი ნიორი, ჩაასხით 2 სუფრის კოვზი ცხარე ძმარი, ნახევარი ჩ/ჭ ზეთი და მარილი — გემოვნებით. მზა მარინადი გადაიტანეთ მინის ან ქაშანურის ქილაში, თავი ქაღალდით მოუკარით და შეინახეთ გრილ ადგილას.

# შეიძლება ერთდროულად ორი გიყვარდეს?

**ორიოდე დღის წინ რუსულ ტელეარხ ОРТ-ზე გადაცემაში „Что хочет женщина“ ცხოვრებისეულ, ინტიმურ საკითხებზე მსჯელობისას ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა განაცხადა, — ერთდროულად ორი ქალი მიყვარს, თანაც ორივე ერთნაირად და არც ერთი მათგანის დათმობა არ შემიძლიაო. ამ ამბავმა დარბაზში ჩოჩქოლი გამოიწვია. გადაცემის მონაწილეთა ერთი ჯგუფი დაბეჯითებით უარყოფდა ორი ქალის ერთდროულად, თანაბრად სიყვარულის შესაძლებლობას და მამაკაცს არასერიოზულობაში სდებდნენ ბრალს.**

**დამაინტერესა, რას ფიქრობენ ქართველი ქალბატონები და ბატონები ამ საკითხთან დაკავშირებით.**

**ლევანი (42 წლის):** — მე თუ მიყვარს, მიყვარს მხოლოდ ერთი. სხვათა შორის, ის ერთი ჩემი ცოლი არ არის და არც არასდროს ყოფილა. მეგობრები მეუბნებიან, — იმ ქალთან ფიზიკური კონტაქტი რომ არ გქონია, იმიტომაც გიყვარს დღემდეო. შეიძლება ასეცაა. იმ ქალში, ჩემს მარადიულ სატრფოში, რაღაც მიუწვდომელი და ხელშეუხებელი მიყვარს. რაც შეეხება ჩემს ცოლს, ყოველთვის ძალიან მომწონდა და მომწონს დღესაც, დიდ პატივსაც ვცემ, ცოლად იმიტომ შევირთე, რომ ვუყვარდი...



**ლიკა (38 წლის):** — სამი წელი მიყვარდა ორი ბიჭი. თითოეულ მათგანთან შეხვედრისას ერთნაირად ვღელავდი. ბოლოს, არც ერთს არ გავყევი ცოლად. სულ სხვა კაცი შევარჩიე და მგონი, არც შევმცდარვარ. ჩემმა შეყვარებულებმა კი ვერც ერთმა ვერ ივარგა ქმრად. ორივემ ორ-ორი ცოლი გამოიცვალა, მაგრამ ოჯახურ ბედნიერებას მაინც ვერ ეღირსნენ. რომელიმე მათგანს რომ გავყოლოდი, აუცილებლად წავაგებდი. სიყვარული ზოგჯერ მართლა ბრმაა და თანაც უცნაური. აბა, როგორ შეიძლება ორი კაცი ერთდროულად და ერთნაირად გიყვარდეს?

**გიორგი (58 წლის):** — იყო დრო, ორი ქალი მიყვარდა — ცოლი და საყვარელი. სულ სხვადასხვა თვისებები ჰქონდათ. მეც, როგორ გუნებაზეც ვიყავი, იმის მიხედვით მივდიოდი ხან ერთთან, ხან მეორესთან. არც ერთის მიტოვება არ შემეძლო. ერთხანს იმასაც კი ვფიქრობდი, ორივეს ერთ სახლში ვაცხოვრებ-მეთქი. მაგრამ მივხვდი, რომ ეს ქართველი ქალებისთვის დიდად შეურაცხმყოფელია. რძალი და დედამთილი ვერ ეგუება ერთმანეთს ერთ ოჯახში და ერთი კაცის ორი ცოლი, ხომ წარმოგიდგენიათ, რას უზამდნენ ერთმანეთს. ერთ დღეს საყვარელი ადგა და გათხოვდა. რაღას ვიზამდი, შევრჩი ჩემს ცოლს... მაგრამ თავს ცუდად მაინც არ ვგრძნობ.

**ნატა (42 წლის):** — ამგვარი სიყვარულისა არაფერი მესმის. ჯერ ერთი, რამდენჯერაც არ უნდა იყო შეყვარებული, ყველა მათგანი თავისებურად და განსაკუთრებულად გიყვარს. ერთდროულად რამდენიმე ბიჭს კი ვყვარებივარ, მაგრამ მე მხოლოდ ერთს ვეტრფოდი და დანარჩენების ყურადღება არაფრად მიღირდა, მათი მორთმეული ვარდები ეკლებადაც კი მეჩვენებოდა.

**მეგი (26 წლის):** — ორს ერთდროულად შეიძლება ეარშიყო, მაგრამ არც ერთი არ გიყვარდეს, ან ერთ-ერთი გიყვარდეს. მე, მაგალითად, ერთბაშად სამ ბიჭსაც გავპრანჭივარ და პაემანზეც წავსულვარ ერთ დღეს სამივე მათგანთან შესახვედრად. რა თქმა უნდა, პაემანს სხვადასხვა დროს ვნიშნავდი. ერთს რომ შევხვდებოდი, ვაფრთხილებდი, ცოტა დრო მაქვს, მერე რეპეტიტორთან მივდივარ-მეთქი. გავიქცეოდი, შევხვდებოდი მეორეს და იმასთან დასამშვიდობებლად ახალი მიზეზი მქონდა მოფიქრებული. ერთხელ, მესამეს რომ შევხვდი პაემანზე, პირველი და მეორე შემთხვევით დამადგნენ თავზე ბარში. არ დავბნეულვარ, მაგრად ვიეშმაკე და სიტუაცია გამოვასწორე. თუმცა, ასეთი რამ არ მომწონს. თუ მართლა გიყვარს ვინმე, იქ თამაში უნდა დათმო და სერიოზულად მოიქცე.

***ეკა ლომიძე***

# ნუცა — ვისვენებ მაშინ, როცა

## მარლენ დიტრიხი ჩემთვის ქალის ეტალონია

**ნუცა** — თითქოს ამ სახელით ყველაფერია ნათქვამი. მას ეთაყვანებიან, ტაშს და ოვაციას არ აკლებენ. მრავალმხრივი ხელოვნებით აცვიფრებს ყველას და ყველგან იციან, რომ ნუცა შანშიაშვილი, რომელიც რუსეთის სახელით გამოდის, ქართველია. აშშ-ში ცნობილ საკონცერტო დარბაზებში ქართველ ტურისტებს სიამოვნებით აუწყებენ — აი, აქ, ამ სცენაზე მღეროდა მშვენიერი ნუცაო. მან ყველა მოაჯადოვა. ნუცას ელიან სამშობლოში. ისიც მოუთმენლად ელის წუთებს, როცა მონატრებულ ვერაზე გაივლის. მაგრამ დროს და ხელოვნებას თავისი მიაქვს... ნუცას მოსკოვში ტელეფონით ვესაუბრეთ.

**— თბილისში ხმა დაირხა, ნუცა რუსეთს ტოვებს და ამერიკაში მიემგზავრებაო...**

— ეს ჭორია და სხვა არაფერი. რუსეთში იმდენი პროექტი, ფილმი, კონცერტი, ახალი სპექტაკლი მაქვს დასასრულებელი, რომ ჩემი მოსკოვს გარეთ ცხოვრება წარმოუდგენელია.

**— თქვენ ახლახან დაბრუნდით ამერიკიდან, სადაც თქვენი ხელოვნებით აღფრთოვანებული მაყურებელი დატოვეთ.**

— საგანგებოდ ამერიკელი ჟურნალისტებისთვის ბროდვეიზე მქონდა კონცერტი. მათი რეცენზიებით შევიტყობთ, მართლა აღაფრთოვანა თუ არა ამერიკელები ჩემმა სიმღერამ.

მოსკოვში უკვე დავასრულეთ კონცერტ-სპექტაკლის „ლუბოვნიცა ლიუბვის“ დადგმა და ახლა მის გაგრძელებაზე ვმუშაობ, რომელიც იტალიური სიმღერების ციკლისგან შედგება. პარალელურად ვწერ ახალ სიმღერებს, ახალ დისკს და ყველაფერი ეს თვე-ნახევარში უნდა დავასრულო. ამასთანავე, ვემზადები საკმაოდ მნიშვნელოვანი ტურნესთვის იაპონიაში, რომელიც ნოემბრის ბოლოს შედგება. ერთი ფილმი უკვე დავასრულეთ. პრემიერაც შედგა. თუმცა ახლა თავიდან მონტაჟდება, — გვინდა „ამაპოლა“ საფესტივალო ფილმად ვაქციოთ. მეორე ფილმი დრამატიზმით აღსავსე ბოევიკია.

**— ნუცა, ყველაფერს როგორ ასწრებთ? რამდენადაც ვიცი, თითქმის არ ისვენებთ.**

— მთავარია, ადამიანი ჯანმრთელი, ენერგიული და მიზანსწრაფული იყოს. არ შემიძლია დასვენება. ვისვენებ მაშინ, როცა ვმუშაობ. თუ სამი დღის განმავლობაში ახალი არაფერი მოხდა ჩემს ცხოვრებაში, საშინელ დაღლილობას ვგრძნობ. ჩემი დასვენება ერთი დღეღამე გემრიელი გამოძინებაა — ძალებს მაშინვე აღვიდგენ ხოლმე.

**— თქვენზე ამბობენ, იმდენად უყვარს თავისი სიმღერები, ალა პუგაჩოვას და ბორია მოისეევს არ მიჰყიდაო.**

— ჩემსა და ქალბატონ ალას შორის ასეთი საუბარი არასდროს შემდგარა. მიყიდვა კი არა, რომ ეთხოვა, უსიტყვოდ ვაჩუქებდი. ბორიას კი მართლაც უნდოდა ჩემი სიმღერის შესრულება, მაგრამ ვოკალის თავისებურებებიდან გამომდინარე, უარი ვუთხარი. ჩემი სიმღერები იმ მომღერალმა უნდა შეასრულოს, ვისაც ხმა აქვს. ისე კი, რაც მეტი პოპულარული ვარსკვლავი შეასრულებს ჩემს სიმღერებს, მით უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვის.

**— ამბობენ, ნუცა თავისი კონცერტებისა და სპექტაკლებისთვის დეკორაციებს, კოსტიუმებსა და ესკიზებს თვითონ ქმნისო.**



— არა, მარტო ამას ვერაფრით შევძლებ. იდეა ჩემია, მაგრამ ყველაფერი სხვადასხვა სახელოსნოში კეთდება. ძველი კონცერტების კოსტიუმები კარლ ლაგერფელდის სახელოსნოში იკერებოდა. ახალ კოსტიუმებს ჟან-პოლ გოტიეს სახელოსნოს ვუკვეთავთ. ესკიზები ჩემი ნახატების მიხედვით კეთდება, დანარჩენს რომან ვიკტიუკი უვლის.

**— ალბათ თქვენი მეუღლეც გეხმარებათ.**

— თემურის კისერზეა ამ კონცერტების ჩატარება-პროდიუსირება. ის არის ჩემი პროგრამების დირექტორიც.

**— დიდი ხანია, საქართველოში არ ყოფილხართ, ხომ არ გეგმავთ ჩამოსვლას უახლოეს ხანებში?**

— ალბათ ცოტა ხნით თუ ჩამოვალ, ისიც საქმეების გადასაწყვეტად. როცა თბილისში ჩამოვდივარ, გული ვერაზე, 53-ე საშუალო და მე-9 მუსიკალური სკოლებისკენ მიმიწევს. ფეხით ჩამოვდივარ ხოლმე კინოს სახლამდე. ზემელი ჩემთვის უსაყვარლესი ადგილია, აქ გავიზარდე. როცა ამ ადგილებში დავდივარ, მეჩვენება, რომ უჩვეულო ენერგიით ვივსები.

**— იცით, უცხოეთშიც კი თვალში საცემია თქვენი, ეროვნული მუხტი.**

— ნამდვილად ასეა. სისხლით, ხორცით, კულტურით ქართველი ვარ და ამით ვამაყობ. ყველგან, სადაც კი კონცერტს ვატარებ, იციან, რომ ქართველი მომღერალი ვარ და კონცერტის შემდეგ მსიამოვნებს ჩემი ქვეყნის მისამართით ნათქვამი სამადლობელი სიტყვები.

**— გარდა ამისა, თქვენ რაღაცით მარლენ დიტრიხს გამსგავსებენ. თქვენც მოგწონთ ეს ქალბატონი?**

— მარლენ დიტრიხი ჩემთვის ქალის ეტალონია. ასევე განუმეორებელია ედიტ პიაფი და მერილინ მონროც.

**— თქვენ დღემდე მშვენიერ ქართულით ლაპარაკობთ. ვერც ამერიკამ, ვერ რუსეთმა ვერაფერი დაგაკლოთ.**

— ენა თუ დაგავიწყდა, ცუდია. ენაა ჩემთვის ძალის მომცემი.

**— ქართულ სიმღერებს თუ მღერით ხოლმე?**

— რა თქმა უნდა, ხშირად ვღიღინებ: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან...“ (ნუცა მღერის).

***ეკა ლომიძე***

# რატომ გახდა „რუსთავი 2“ „მოტყუებული ხალხის“ ტელევიზია ანუ „გაიღიმეთ, ფარული კამერაა“

ღიმილი იმდენნაირია, რამდენიც ადამიანი. ღიმილი შეიძლება იყოს მორცხვი, სევდიანი, ირონიულიც კი და, რასაკვირველია, მხიარული, უდარდელი. ღიმილი შეიძლება იყოს გადამდებიც, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რა ან ვინ გვაიძულებს გაღიმებას — ფოტოგრაფი, რომელიც მოძველებული ფრაზით „გვატყუებს“, გაიღიმე და ჩიტი გამოფრინდებაო (თუმცა ციფრული კამერის ეპოქაში ასეთი ფოტოგრაფები აღარ გვხვდებიან) თუ ვინმე სხვა, მაგალითად, „ბუდარიას“ აბეზარი წამყვანები, ალეკო მალხაზიშვილი და ბაკურ სვანიძე. მათ კიდევ ერთი, ნიკა გრიგოლიაც შეემატა. იმიჯშეცვლილები, ისინი ახლა კიდევ უფრო სახიფათო გახდნენ. დღეს შეიძლება ბევრი გაებას მათ დაგებულ მახეში. — როცა სულ არ ელი, მოღიმარი ბიჭები დაგადგებიან თავზე და გეტყვიან: „გაიღიმეთ, ფარული კამერაა!“ მერე კი... თუმცა რა იქნება მერე, ამას „ბუდარიას“ ერთ-ერთი ავტორი და წამყვანი **ბაკურ სვანიძე** გაგვიმხელს:



— „ბუდარია“ აღარ იარსებებს (10 წელი შეუსრულდა გადაცემას). თუმცა „რუსთავი 2“-მა სამუშაოდ მიგვიწვია. მართალია, შეეძლოთ ღამის შოუსთვის დაეკვეთათ ამ ტიპის გადაცემა, მაგრამ „ბუდარიას“ სახით სხვა არხზე სერიოზული კონკურენტები ეყოლებოდათ, ამიტომ იყიდეს ჩვენი პროექტი, რომელსაც ახლა ასე ერქმევა: „გაიღიმეთ, ფარული კამერაა!“

**— როგორც ვიცი, მახეში გაბმულებს სტუდიაშიც იწვევთ, მოდიან?**

— კი, მოდიან... ჩვენს მახეში კარგი ადამიანები ებმებიან და არა დაბოლმილები. როცა გვეუბნებიან, სად პოულობთ ამდენ გოიმსო, ვბრაზდები, ვიმახსოვრებ და მერე იმ ტიპს ვაბამთ „მახეში“, ვინც ასე მეუბნება. ისე, მეც კარგი ადამიანი ვარ და რომ არ ვმუშაობდე ფარული კამერით, ადვილად გავებმებოდი მახეში (იცინის). გადაცემას შოუს ფორმატი აქვს. „მსხვერპლს“ სტუდიაში მოვიწვევთ და გვიამბობს, თუ რას გრძნობდა მახეში გაბმის შემდეგ. ხალხი გავათავისუფლეთ იმ კომპლექსისაგან, ვაიმე, მახეში გამაბესო.

**— სიახლეს შესთავაზებთ მაყურებელს?**

— კი, ახალი რუბრიკაც გვექნება: „გაიღვიძეთ, ფარული კამერა!“ ეს სკანდალური ახალგაზრდული რუბრიკა იქნება. ისე გავბოროტდით, დღისით ქუჩაში კი არა, ღამით, საკუთარ საძინებელშიც უნდა გეშინოდეთ ჩვენი (იცინის).

აი, ასე, სექტემბრიდან „რუსთავი 2“ ჩვენი წყალობით „მოტყუებული ხალხის“ ტელევიზია იქნება (იცინის)...

დასასრულ, თუ ჯერაც არ დაგიკარგავთ იუმორის გრძნობა და იცით ხუმრობის ფასი, არ დაგვიწყებიათ ღიმილი, ნუ შეგეშინდებათ აბეზარი ბიჭების დაგებული უწყინარი მახისა. რა უნდა ქნათ? ამაზე ფიქრით ძილს ნუ გაიტეხთ, უბრალოდ, გაიღიმეთ და გახსოვდეთ, რომ ღიმილი ჯანმრთელობაა!

***ეველინა მენთეშაშვილი***

# „კრიმანჭული“ ვენაში

## ამერიკელები „ჩაკრულოს“ საოცრებად თვლიან

„კვირის პალიტრას“ არაერთი სტატია, ინტერვიუ და პუბლიკაცია მიუძღვნია ქართული ფოლკლორის, კერძოდ, ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისთვის და როცა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, მსოფლიო ხალხური სიმღერების საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლებმა „კრიმანჭული“ უწოდეს და ანსამბლ „რუსთავს“ უძღვნეს, დიდად გავიხარეთ (ავსტრიიდან დაბრუნებისთანავე „რუსთავი“ აშშ-ში გაემგზავრა). ყოველივე ამის შესახებ ანსამბლის ქორმაისტერი **ბადრი თოიძე** გვესაუბრა:

— ავსტრიულ ფოლკლორში „კრიმანჭულის“ მსგავს მელოდიებს ტიროლებს უწოდებენ. ფესტივალი შარშან უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ „რუსთავმა“ ვერ მოიცალა და ამიტომ გრანდიოზული ფესტივალი წელს პირველად ჩაატარეს. ჩვენი რეპერტუარი თითქმის მთლიანად გურული სიმღერებისგან შედგებოდა. ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის 15 ანსამბლი მონაწილეობდა. მსოფლიოში ძალზე პოპულარულია ქართული ხალხური სიმღერა. მაგალითად, „რუსთავის“ რეპერტუარს რამდენიმე კოლექტივი მღერის საფრანგეთში. ერთ-ერთთან, „მარანთან“ ერთად მიმღერია კიდეც.

**— აშშ-ში რომელ ფესტივალში მონაწილეობდით?**

— იქაც ფოლკლორის ფესტივალი იყო. მსოფლიოს საუკეთესო 12 კოლექტივი იყო ჩამოსული. პირველი კონცერტი ნიუ-იორკში, პრესტიჟულ ლინკოლნის ცენტრში ჩავატარეთ. შემდეგ ერთ-ერთ უზარმაზარ პარკში ღია ცის ქვეშ ვიმღერეთ, დასასრულ გაეროს ცენტრალურ ოფისში დავაგუგუნეთ „ჩაკრულო“ და „ხასანბეგურა“.

მალე კორეაში მივემგზავრებით, სადაც მსოფლიოს 50 საუკეთესო ანსამბლთან ერთად მივიღებთ მონაწილეობას კონკურსში.

**— გავიგე, თურმე ისე მოგიხიბლავთ იაპონელები, რომ „რუსთავის“ დასაკუთრებაზე ოცნებობენ.**

— გუნდი „იამასიო გუმეი“ მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორს მღერის — მათ რეპერტუარში ქართული სიმღერები ჭარბობს. გუნდის ხელმძღვანელი იამასირო ჩვენი დიდი მეგობარია, მან კარგად იცის ქართული სიმღერის ფასი. ამბობს, თქვენი და სხვა ქვეყნების ძველი სიმღერები ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწაო. მომავალ წელს „რუსთავის“ დასი გასტროლებზე გაემგზავრება იაპონიაში. კომპანია „სონიმ“ ჩვენი მთელი რეპერტუარი, სამას თვრამეტი საუკეთესო ქართული სიმღერა ჩაწერა. უკვე გამოვიდა ექვსი დისკი, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იყიდება, არ იყიდება მხოლოდ საქართველოში(?!)

**— როგორც ვიცი, საქართველოშიც ჩატარდება ხალხური სიმღერის ფესტივალი, სადაც უცხოელი შემსრულებლებიც მიიღებენ მონაწილეობას.**

— ამჯერად გურია უმასპინძლებს 26 ქვეყნიდან ჩამოსულ ანსამბლებს, სამი დღე გასტანს ფესტივალი. შემდეგ გავემგზავრებით ავსტრიაში, ვენაში, ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტს გავმართავთ. ჩვენებური სიმღერა აჯადოებს ავსტრიელებს და, საერთოდ, მთელ მსოფლიოს. ეს უბრალო საქმე არ არის, საერო საქმეა. თავიდან ანზორ ერქომაიშვილს მიჰყავდა გადაცემა „ათი ქართული სიმღერა“, რომელიც თავიდან საკმაოდ ხანგრძლივი მეტრაჟისა იყო, მაგრამ თანდათან ისე შეამცირეს, ათ წუთამდე დაიყვანეს. ანზორი იძულებული გახდა, უარი ეთქვა ეთერში გამოსვლაზე. საოცარია, ქართულ სიმღერას მსოფლიოში არ სჭირდება პოპულარიზაცია და აქ, საქართველოში კი, სჭირდება. ეს პარადოქსია. ალბათ ამიტომაც იყო ქართველების სიძემ, ჩვენი სიმღერის შემსრულებელმა და ქომაგმა კარლ ლინიკმა რომ თქვა, — ქართველებს ისე გჭირთ, როგორც ერთ თქვენს ანდაზაშია ნათქვამი, „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“.

***ეკა ლომიძე***


# აჩუქეთ თქვენს კანს ახალი სიცოცხლე!

ჩვენი კანი მუდმივად განიცდის გარე თუ შიდა ფაქტორების ზემოქმედებას. დაბინძურებული გარემო, მზის გაძლიერებული აქტივობა, ხშირი და ინტენსიური გარუჯვა, გამონაბოლქვი გაზები, არასწორი კვება და დღევანდელი ცხოვრების თანამდევი სტრესები განსაკუთრებით უარყოფითად სახის კანზე აისახება.

სამედიცინო ცენტრი “ექიმი გილი” გთავაზობთ კანის მოვლის უახლეს პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს კანის განახლებას და მისი კვების გაძლიერებას ულტრაბგერითი პილინგისა და მეზოთერაპიის კომბინაციით, რისი მეშვეობითაც უნიკალური შედეგის მიღწევაა შესაძლებელი.

ულტრაბგერა წარმოადგენს ბგერით რხევებს, რომლებსაც ყური ვერ აღიქვამს. წამში 29 000 რხევის ენერგია გამოიყენება გარქოვანებული ეპიდერმისის ჩამოფცქვნისა და ნაზი და მგრძნობიარე კანის ღრმა გაწმენდისათვის (სონოპილინგი), იმავდროულად შესაძლებელი ხდება კოსმეტიკური საშუალებების ღრმა და უმტკივნეულო შეყვანა კანში (სონოფორეზი). უმჯობესდება მიკროცირკულაცია, ჩქარდება ბიოქიმიური რეაქციები. პროცედურის დროს ადგილი აქვს კანის მიკრომასაჟს, რაც ლოკალურად აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას. მნიშვნელოვანია რომ პილინგი მიმდინარეობს ყოველგვარი ფხვნილის და ორთქლით ზემოქმედების გარეშე და ყველა არსებულ მეთოდზე მეტად ზოგავს კანს დაზიანებისაგან. პროცედურის ჩატარებისას, გარდა იმისა, რომ კანის ზედაპირს სცილდება გარქოვანებული ეპიდერმისი, ხდება ლიმფის დრენაჟის და უჯრედული მემბრანების გამავლობის სტიმულირება. პროცედურის შემდეგ არ ხდება კანზე არსებული სისხლძარღვების და ფორების გაგანიერება. ამ პროცედურის კომბინირება მეზოთერაპიასთან თვალსაჩინო შედეგებს იძლევა. უმჯობესდება კანის ფერი, უჩინარდება წვრილი ნაოჭები, მცირდება კანის ფორები, ახალგაზრდავდება კანი, ფიქსირდება სახის ოვალი.

პროცედურა სასიამოვნოა, მიმდინარეობს დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში და ეფექტი ძალზე სწრაფად მიიღწევა. კანის ულტრაბგერითი პილინგი, თანამედროვე კოსმეტოლოგიაში საუკეთესო მეთოდად იქნა აღიარებული და დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში.

მკურნალობის ამ კურსის ჩატარება განსაკუთრებით აქტუალურია ზაფხულის ბოლოს, როდესაც კანს საკმაო ზიანი მიადგა გარუჯვითა და მზის მომატებული აქტივობით.

გინდათ რომ თქვენ კანს ახალი სიცოცხლე აჩუქოთ?

მოგვმართეთ ჩვენ და ოცნება რეალობად გექცევათ.

**სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“**

**კოსტავას 63**

**☎ 212-312 25-27-09**

®


CMYK

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემს 5 წლის პატარას აღმოაჩნდა მახვილა ჭიები. ვუმკურნალეთ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ანალიზში ჭია ისევ ჰქონდა. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თავი დავაღწიოთ განმეორებით დაავადების განვითარებას და თუ არსებობს ქიმიური აბების გარდა, მკურნალობის სხვა საშუალება?**

***მაკა ვ., ლაგოდეხი***

ვერავითარი წამალი ჭიებით ინვაზიისგან ვერ განგკურნავთ (მით უფრო ბავშვს), თუ არ იქნება დაცული მკურნალობისა და პროფილაქტიკის მკაცრი პრინციპები, აუცილებელი ჰიგიენური რეჟიმი. მედიკამენტური მკურნალობა ექიმის მიერ ინდივიდუალურად შეირჩევა ხოლმე ჭიების სახისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. აფთიაქებში ანტიჰელმინთური (ჭიების საწინააღმდეგო) პრეპარატები დღეს მრავლადაა, თუმცა ზოგიერთი ჰელმინთოზის (მაგალითად, მახვილა ჭიით ინვაზიის) დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ ნივრის ნაყენის ოყნები (50-100 გ-იანი). ნაყენი ასე მზადდება: 2-3 გ (დახლოებით 1-3 კბილი) დაკეპილ ნიორს დაასხით 50-100 გ ცხელი რძე, დააყოვნეთ 15-20 წუთი, შემდეგ გადაწურეთ და შეგრილებული ნაყენი ოყნით შეუყვანეთ ბავშვს ძილის წინ.

ჰიგიენური რეჟიმის დაცვა გულისხმობს: უკანა ტანისა და შორისის ჩაბანას თბილი წყლით დღეში 2-ჯერ; ჩაბანის შემდეგ ქვედა თეთრეულის გამოცვლას ასევე დღეში 2-ჯერ. საწოლის თეთრეულისას კი — კვირაში ერთხელ; ბავშვს უნდა ჩააცვათ შემოჭერილი საცვლები, რათა ძილში არ შეეხოს ხელით უკანა ტანს და არ მოიქავოს; საცვლებისა და საწოლის თეთრეულიც გამოხარშეთ და ორმხრივად გააუთოეთ.

ასეთი მკაცრი ზომები უნდა დაიცვათ 42 დღის განმავლობაში, რათა ამოიწუროს პარაზიტთა ხელახალი განვითარების ვადა. დიდი მნიშვნელობა აქვს ფრჩხილების მოვლას (ისინი ბავშვს ყოველთვის მოჭრილი უნდა ჰქონდეს), ხელების საპნით ბანას ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ და ყოველი ჭამის წინ; ხილისა და ბოსტნეულის გარეცხვას გამდინარე წყლით; ბუზებთან ბრძოლას, საცხოვრებლის სველი წესით დალაგებას. თუ ოჯახში ცხოველები გყავთ, მათ აუცილებლად უნდა უტარებდეთ ჭიის საწინააღმდეგო მკურნალობას. გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ მახვილა ჭიის კვერცხები ძალიან იოლად ვრცელდება და თუ პატარა ინვაზირებულია, ოჯახის ყველა წევრს უნდა ჩაუტარდეს გამოკვლევა და პროფილაქტიკური მკურნალობა. თუ ყველა ამ რჩევას გაითვალისწინებთ, თავიდან აიშორებთ დაავადების განვითარებას.

**ბოლო დროს ხშირად მემტვრევა ფრჩხილები. დავიწყე კალციუმის შემცველი პრეპარატის სმა, მაგრამ დადებით ცვლილებებს ვერ ვამჩნევ. როგორ მოვიქცე, რომ ორგანიზმმა კალციუმი უკეთ შეითვისოს?**

***პატივისცემით, ნინო ჩოფიკაშვილი***

კალციუმით ყველაზე მდიდარი პროდუქტი ყველია. 100 გრამი ყველი 1 გრამამდე კალციუმს შეიცავს. ამ ელემენტის საუკეთესო წყაროა აგრეთვე, ფხიანი თევზი, ხაჭო, ნაყინი, იოგურტი, ოხრახუში, კამა, პირშუშხა. ლობიოსა და ბარდაში იმდენივე კალციუმია, რამდენიც რძის პროდუქტებში. რძემჟავა პროდუქტები (მაწონი, იოგურტი) კალციუმის შემცველობით რძეს არ ჩამოუვარდება. თუმცა კალციუმის მაღალი დონე სისხლსა და ქსოვილებში ერთი და იგივე არ არის. იმისთვის, რომ სისხლიდან ეს ელემენტები ძვლოვან ქსოვილში გადავიდეს, ორგანიზმს უნდა ჰქონდეს საკმაო რაოდენობით D ვიტამინი. მისი მიღება ჭამის დროს ან ჭამის შემდეგაა საჭირო. ვისაც კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობა აქვს, კალციუმის აბებს მჟავე წვენი (მაგალითად, ფორთოხლის) უნდა მიაყოლოს, რომელიც აადვილებს მის ათვისებას.

კალციუმის ათვისების შესახებ გეტყვით, რომ: კალციუმს ორგანიზმი ძილში უკეთ აითვისებს; მიირთვით კალციუმით მდიდარი ისპანახი, ამგვარად უმჯობესდება ელემენტის ათვისება;

დაფქულ კვერცხის ნაჭუჭს, რომელიც კალციუმის საუკეთესო წყაროა, უკეთ ათვისებისთვის ლიმონის წვენი უნდა დაასხათ.

კალციუმის სიჭარბე ორგანიზმში იწვევს ყაბზობას, კენჭების დაგროვებას საშარდე გზებში, რკინის, თუთიისა და სხვა ელემენტების ათვისების გაუარესებას.

რაც შეეხება მტვრევად ფრჩხილებს, ადგილობრივი მკურნალობის მიზნით ფრჩხილში უნდა შეიზილოთ ზეითუნის ზეთი, სუფრის ძმარი, ლიმონის წვენი, შავი და წითელი მოცხარის წვენი. კარგია ზღვის მარილიანი წყლის აბაზანები კვირაში სამჯერ.

## კარაბადინი

**ვაშლის სიკეთის შესახებ ალბათ ყველას გსმენიათ, მაგრამ მინდა რამდენიმე საინტერესო რეცეპტი მოგაწოდოთ: ტვინის უჯრედების კვებას აუმჯობესებს გახეხილი ვაშლის, ლიმონის წვენის, კაკლისა და თაფლის ნარევი, რომელიც ასე მზადდება: 300გ გახეხილ ვაშლს შეურიეთ 2 ს/კ ლიმონის წვენი, ამდენივე თაფლი და გატარებული ნიგოზი.**

**ვაშლის ძმარი არაჩვეულებრივი პროფილაქტიკური საშუალებაა ვენების ვარიკოზული გაგანიერების, კანის დაავადებების, ანგინის და სხვა მრავალი პათოლოგიის დროს. მოზრდილმა ადამიანმა რეგულარულად უნდა მიიღოთ ვაშლის ძმრის წყალხსნარი (2 ჩ/კ ვაშლის ძმარი გახსენით 1 ჩ/ჭ წყალში, დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი). სვით დღეში ორჯერ, თითო ჩ/კ. ამ ხსნარის ყოველდღიური მიღება გაგიძლიერებთ იმუნიტეტს, დაგიცავთ გაცივებისაგან, ხოლო თუ დილაობით რეგულარულად დალევთ ერთ ჭიქა წყალში განზავებულ 1 ჩ/კ ძმარს, მაშინ ღრმა სიბერემდე შეინარჩუნებთ უნაკლო მხედველობას.**

**თირკმლებში წვრილი კენჭების არსებობისას სასარგებლოა ვაშლის წვენით მკურნალობა. უნდა გამოწუროთ მწიფე, ტკბილი ვაშლის წვენი. მკურნალობის კურსი ასეთია: პირველ დღეს დილის 8 საათზე დალიეთ 1 ჭიქა (250 მლ) ვაშლის წვენი. შემდეგ ყოველ 2 საათში სვით 2-2 ჭიქა, ბოლო ულუფა უნდა მიიღოთ 20 საათზე. მეორე დღეს წვენი იმავე სქემით სვით. ამ დღეებში არაფერი უნდა ჭამოთ. მესამე დღეს დილის 8 საათზე დალიეთ 2 ჭიქა წვენი, ნახევარ საათში კი — 100 მლ პროვანსული ზეთი და მაშინვე მიაყოლეთ 1 ჭიქა წვენი. დაახლოებით 1-2 საათში წვრილი კენჭები და ქვიშა დაიწყებს გამოსვლას თირკმლებიდან.**

***პატივისცემით, მარიკა არევაძე***

**ექიმის კომენტარი:** გვინდა შეგახსენოთ, რომ კენჭოვანი დაავადების თვითმკურნალობისას დიდი სიფრთხილე გმართებთ, რადგან შესაძლოა დაძრული კენჭი საშარდე გზებში გაიჭედოს და მდგომარეობა გაამწვავოს, ანდა მოძრავმა კენჭმა დააზიანოს საშარდე გზების შიგნითა ზედაპირი და ხელი შეუწყოს ინფექციის განვითარებას.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი მკითხველს

**ვარ 70 წლის. წლების განმავლობაში ვიტანჯები კლიმაქსით გამოწვეული წამოხურებით. მივიღე რაღაც აბები, მაგრამ არ მიშველა. იქნებ ვინმემ შეძლოს ჩემი დახმარება და მირჩიოს რამე საშუალება?**

***წინასწარ გიხდით მადლობას***

**მაწუხებს სისხლმდენი ბუასილი. გაღიზიანების დროს ნაწლავიც ვარდება ხოლმე. იქნებ ვინმემ იცის რამე მცენარეული რეცეპტი? წინასწარ გიხდით მადლობას.**

***ერთგული მკითხველი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## მწეველი ორსულები სიცოცხლის ხელყოფის მცდელობისთვის დაისჯებიან?!



„ზოგი ექიმი და ფეხმძიმე სიგარეტს ერთად ეწევიან“

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, — თამბაქოს 12 წლის გოგონებიც კი ეწევიან. ყოველი მათგანის ჯანმრთელობაც და მომავალიც თითქმის განწირულია, რადგან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევებმა ცხადყო, რომ ქვეყანაში ახალშობილთა პათოლოგიები იმდენივე პროცენტით მატულობს, რამდენი პროცენტითაც იზრდება მწეველ დედათა რიცხვი... ამ ბავშვების თაობა რეპროდუქციულ ასაკში 10 წლის სტაჟის მქონე მწეველები იქნებიან. ასეთებს, ჩვეულებრივ, თამბაქოზე ძლიერი დამოკიდებულების დაძლევა ძალიან უჭირთ. რამდენიმე წლის წინ მოზარდებში თამბაქოს მოხმარების რიცხვის კატასტროფულმა ზრდამ განაპირობა, რომ დღეს საქართველოში ორსულ ქალთა თითქმის ნახევარი მწეველია. დღეისათვის არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ორსული მოიხმარს ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს. როცა ზემოხსენებულ მონაცემებს ეს უკანასკნელიც დაემატება, ცხადი გახდება, რომ სულ ერთი, პატარა ნაბიჯი გვაშორებს დიდ ეროვნულ კატასტროფას.

გვესაუბრება თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **გელა კობეშავიძე:**

— 1998 წლიდან ვატარებთ ორსული ქალების კვლევებს. შემაშფოთებელი სურათი გვაქვს. ამას ისიც დაერთო, რომ არასრულწლოვან გოგონებში სიგარეტის მომხმარებელთა რიცხვი ნახტომისებურად გაიზარდა. ისინი ადრეული ასაკიდანვე ხდებიან დამოკიდებული თამბაქოზე და ორსულობის პერიოდში თავს ველარ აღწევენ ამ მავნე ჩვევას. ქვეყნის ორ დიდ ქალაქში, თბილისსა და ქუთაისში, ფეხმძიმე ქალთა 40% მწეველია, იზრდება სიგარეტის მომხმარებელთა რიცხვი სოფლად მცხოვრებ ორსულთა შორისაც. ეს ჩვენი გენოფონდისთვის გამანადგურებელი იქნება. სიგარეტი მხოლოდ ორსულს კი არ ვნებს, საფრთხეს უქმნის ნაყოფის სიცოცხლესაც.

**— რა ზომებს უნდა მიმართოს სახელმწიფომ, რომ ორსულ ქალებში მწეველთა რაოდენობა შემცირდეს ან სულაც აღარ არსებობდეს?**

— ბუნებრივია, ამ პრობლემას ხელის ერთი მოსმით ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ დროულად უნდა შეიქმნას საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი. ყველა ქალმა, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაითავისოს, რომ სიგარეტის მოწევით ორსული ქალი დიდ დანაშაულს სჩადის ნაყოფის წინაშე... ჩვენ წამოვაყენეთ მოთხოვნა, რომ ორსული მწეველები დაისაჯონ.

**— მაინც როგორ უნდა განისაზღვროს, ვინ ეწევა და შემდგომ როგორ უნდა დაისაჯოს ის?**

— შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცა ნორმატიული აქტი, რომლის თანახმად ყველა ორსული, რომელიც მიმართავს ქალთა კონსულტაციას, გაივლის ტესტირებას, რითაც გამჟღავნდება, ეწევა თუ არა რომელიმე მათგანი თამბაქოს (ტესტირება გამოავლენს მხოლოდ და მხოლოდ აქტიურ მწეველებს). შეიქმნება სავალდებულო კურსები ორსულთათვის, — მათ განუმარტავენ, რა შეიძლება მოჰყვეს თამბაქოს მოხმარებას.

ასევე, საფრთხის წინაშე არიან ის ორსული ქალები, რომლებიც არ მოიხმარენ სიგარეტს, მაგრამ მაინც პასიური მწეველები არიან, რადგან მათ ოჯახებში ეწევიან.

**— რა შეიძლება დაემართოს ნაყოფს, თუ დედა ეწევა?**

— არსებობს ბევრი პათოლოგია, რომელსაც თამბაქოს მოხმარება იწვევს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილია, რომ ასეთი დედის შვილები პათოლოგიებით იბადებიან. ნიკოტინი და თამბაქოში შემავალი სხვა ნივთიერებანი გაცილებით უფრო დიდ დარტყმას აყენებს ნაყოფის ორგანიზმს, ვიდრე დედისას. ბავშვი, რომელიც მუცლადყოფნის პერიოდში იღებდა თამბაქოს ინგრედიენტებს, ჯანმრთელი ვერ იქნება. თუკი მწეველის ორსულობა ბოლომდე მივა, ახალშობილს, რომელიც 1 დღის დაბადებულია, ეწყება ნიკოტინური შიმშილი — ის სისხლით ველარ იღებს ნიკოტინს, ამიტომ მისი ფსიქოემოციური და ნერვული სისტემის დეგრადირება ხდება, შემდგომ ეტაპზე კი ნევროლოგიური პათოლოგიები უყალიბდება.

**— რამდენად უკავშირდება ბავშვებში გაზრდილი სიმსივნურ დაავადებათა რიცხვი მწეველ დედათა რაოდენობას?**

— თანდაყოლილი სიმახინჯეების, სიმსივნეების რაოდენობის ზრდა პირდაპირპროპორციულია მწეველ ორსულთა რაოდენობის ზრდისა.

**— დაახლოებით რამდენი ქალი ეწევა დღეს საქართველოში?**

— დღეს 12 წლიდან 70 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში თამბაქოს მოიხმარს ქალთა 26,4 პროცენტი, თითქმის ყოველ მეოთხე ქალი. თუ ასე გაგრძელდა, მალე დანიის, შვედეთის, რუსეთის დონემდე მივალთ, სადაც მწეველ ქალთა მაჩვენებელი 30-დან 35%-ს აღწევს.

**— თქვენ ბრძანეთ, სადამსჯელო ღონისძიებები უნდა გავატაროთო, ხომ არ არის ლაპარაკი საჯარიმო თანხებზე?**

— დიახ, იურისტები მუშაობენ ამ საკითხზე. ბალტიისპირეთში უკვე შემოიღეს კანონი, რომელიც ორსულ ქალს თამბაქოს მოხმარების შემთხვევაში აღიარებს ისეთ დამნაშავედ, რომელიც ხელყოფს სხვის სიცოცხლეს. სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია სასჯელის ზომაც — 3-წლიანი პატიმრობა. კალიფორნიის შტატში თუ ორსული ქალი ეწევა, ისჯება მისი მეუღლე — სამსახურიდან ათავისუფლებენ. ევროპაში — ბენილუქსის ქვეყნებშიც იწყებენ სადამსჯელო ღონისძიებებს. ჩვენც აუცილებლად დავაწესებთ ადმინისტრაციულ სასჯელს.

გარდა ამისა, ახსნა-განმარტებითი მუშაობა გოგონებში ადრეული ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ. საზოგადოებაც უნდა ამოგვიდგეს მხარში. თორემ ამ ტემპებით უახლოესი 5 წლის განმავლობაში მწეველთა რიცხვი 48%-ს მიაღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი თაობა არ გვეყოლება. თვითონ განსაჯეთ: ქალთა კონსულტაციაში ზოგჯერ ექიმი და ორსული ერთად ეწევა... ზოგი გინეკოლოგი კი ასე „მოძღვრავს“ ორსულს: დღეს თუ 20 ღერს ეწევი, ხვალ იქნებ 10 ან 5 ღერამდე ჩამოხვიდეო. ასეთი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია.

**— თუ მწეველი ქალი აპირებს შვილის გაჩენას და უარს ამბობს სიგარეტზე, რამდენი ხანი დასჭირდება მისი ორგანიზმის გაწმენდას მავნე ნივთიერებებისაგან?**

— ეს ინდივიდუალურია, მაგრამ თუ ქალი ორსულობამდე ერთი თვით ადრე დაანებებს სიგარეტს თავს, ნაყოფის პათოლოგიების ჩამოყალიბების რიცხვი ხუთჯერ მაინც შემცირდება. ყველა ქალის ვალია, იხსნას მომავალი შვილი უბედურებისაგან, ამას მიაღწევენ კიდეც, თუ დროულად მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და უარს იტყვის სიგარეტზე.

***ლელა ჯიყაშვილი***

# ჩაგა — უებარი მკურნალი

არყის ხის სოკო ჩაგა უებარი საშუალებაა გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სამკურნალოდ. საუკეთესოა მისი ნაყენი კუჭის აშლილობის, მჟავიანობის დროს. აყუჩებს თავის ტკივილს.

ჩაგას მჟავა აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, რგებს სახსრებსა და ვენებს, ორგანიზმს იცავს ინფექციისაგან, ანთებისაგან.

ჩაგას აქვს უნარი ძლიერი ანტიოქსიდანტური ზემოქმედებისა, აუმჯობესებს სისხლის მიკრო და მაკროცირკულაციას, ამაგრებს სისხლძარღვებს.

***პრიროდა***



# ოჯახურ სექსს სიმდიდრე მოაქვს?

ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თუ მათი თანამემამულე ცოლ-ქმარი თვეში მინიმუმ 8-ჯერ მაინც იცლის სექსისთვის, ოჯახის შემოსავალი წელიწადში 10000 დოლარით გაიზრდება. ამ მოვლენის მიზეზი ყოფილა ის შეგრძნებები (სიხარული, ბედნიერება, კმაყოფილება), რაც მოსდევს სექსს — ეს აათმაგებს სიცოცხლის ხალისსა და შრომისუნარიანობას.

***სანი***

# ჯარაექიმის რჩევები

*ღვიძლის დაავადებისას, თირკმლებსა და ნაღველში კენჭების არსებობის დროს* (როგორც შარდმდენი საშუალება) — 1ს/კ მოცვის ფოთოლი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ ერთი საათი, გაწურეთ და მიიღეთ ნაყენი 1-2ს/კ 3-4-ჯერ დღეში.

*ანემიისა და უღონობის (დაუძლურების), ტუბერკულოზისა და გამონაყარის (როგორც სისხლის გამწმენდი საშუალება), ელენთისა და ღვიძლის დაავადებების, თირკმლებში ქვების დროს* 1ს/კ ტყის მარწყვის ფოთოლს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15-20 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

*კანის ქავილის, წყლულებისა და სირსველების, ფერიმჭამლების, ეგზემის, პიგმენტური ლაქებისა და ჭორფლის სამკურნალოდ* — 20გ გამხმარ, დაქუცმაცებულ ტყის მარწყვის ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი, ადუღეთ 10 წუთი, გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ, დაამატეთ იმდენი ანადუღარი წყალი, რამდენიც თავიდან იყო. მიიღეთ 1 ს/კ ნახარში 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

*ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად, ნერვული სისტემის დასამშვიდებლად მიირთვით* ტყის მარწყვის ფოთლების ჩაი, ის მსუბუქი შარდმდენიცაა.

*კუჭიდან სისხლის დენის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, გასტრიტის, შეკრულობისა და ბუასილის, კენჭებით დაავადების დროს* 10 გ გამხმარ დაქუცმაცებულ ბირკავას (ძურწა, ძირხვენა) ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი, ადუღეთ 20 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1 ს/კ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე.

*ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და ნიკრისის ქარის დროს* — 1ს/კ გამხმარ დაქუცმაცებულ ბირკავას ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი, ადუღეთ 30 წუთი, გააჩერეთ 10 წუთი, გაწურეთ და დაამატეთ იმდენი ანადუღარი წყალი, რამდენიც თავიდან იყო და მიიღეთ 1/2 ჭიქა თბილი ნახარში 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

*კანზე გამონაყარის, ქავილის, ფურუნკულოზისა და ეგზემის დროს* — 2ს/კ გამხმარ, დაქუცმაცებულ ბირკავას ფესვებს დაასხით 2 ჩ/ჭ ცხელი წყალი, ადუღეთ 10 წუთი, კარგად გაწურეთ და ნაყენი გამოიყენეთ კომპრესის სახით (ნაყენში დასველებული საფენები დაიფინეთ მტკივნეულ ადგილებზე).


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

შეიძინეთ!!!
• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი



• კარდიოლოგიური ფონეიდოსკოპი

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით ,,ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

N19
ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.
თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21
• ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
• სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
• წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
• სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*
თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


# ყველაფერი დნმ-ის შესახებ

**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია დნმ-პასპორტის შესახებ. როგორ დგინდება დნმ-ით ნათესაობა და რას უქადის ადამიანს 1 ზედმეტი ქრომოსომა.**

**ა.ა.**

გენეტიკური გამოკვლევების მოჭარბებული აქტუალობის ზეგავლენით მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში სერიოზული თანხები გამოიყო, რათა განხორციელდეს XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული პროექტი — დნმ-პასპორტი.

დნმ-პასპორტი არის პლასტიკური ბარათი, რომელიც შეიცავს ადამიანის დნმ-ის მოლეკულის ნიმუშს, მის ზუსტსა და დეტალურ დახასიათებას. ამგვარად, თითოეული პიროვნებისთვის ისაზღვრება იმ გენეტიკურ დაავადებათა ნუსხა, რომელიც შესაძლოა მას დაემუქროს. ჩამოთვლილია პათოლოგიები, რომელთა მიმართაც ადამიანს გააჩნია ნაწილობრივი ან სრული მემკვიდრული წინასწარგანწყობა.

XX საუკუნის ბოლოს ადამიანის გენომი (გენთა ერთობლიობა) გაიშიფრა. ამჟამად ადამიანის გენომის სრული სეკვენირების (ანუ იმის დადგენა, თუ რომელი გენი რას განსაზღვრავს და რაზეა პასუხისმგებელი) პროცესი დასასრულს უახლოვდება. შექმნილია ადამიანის დნმ-ის გასაშიფრი აპარატურაც, აგრეთვე ლაზერული დაქტილოსკოპიური სკანერი და დნმ-ის სრული ანალიზისათვის საჭირო დანადგარები, რომლებიც გამოყენებული იქნება ექსპერიმენტებში.

უშუალოდ დნმ-პასპორტის შესაქმნელად შედიან ორსული ქალის ჭიპლარიდან საშვილოსნოში, იღებენ ემბრიონის ღეროვან უჯრედს — სისხლის წარმომქმნელი უჯრედების დედა უჯრედს, რომლის დაყოფისა და დიფერენცირების შედეგად წარმოიქმნება სისხლის უჯრედები: ერითროციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტები და სხვა. ეს უჯრედები, თავის მხრივ, მომავალი ბავშვის შესახებ სრულ გენეტიკურ ინფორმაციას შეიცავენ.

რაც შეეხება მოზრდილებს, გენეტიკოსები ხელოვნურად ქმნიან მოზრდილი ადამიანის ღეროვან უჯრედს, განაყოფიერებულ კვერცხუჯრედში მათი უჯრედის ბირთვის ჩანერგვის მეშვეობით.

მიღებული გენეტიკური მასალის დამუშავების შემდეგ ინფორმაცია იწერება ბარათებზე, ერთი ეგზემპლარი პატრონს ეძლევა, ხოლო მეორე — სახელმწიფო უწყებაში ინახება. რომელსაც ეწოდება — „გენეტიკური ინფორმაციის შემნახველი ბანკი“.

*დადებითი მხარეები:* მშობელი შვილის დაბადებამდე (ჩასახვიდან რამდენიმე კვირის შემდეგ) იქნება ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რომელი დაავადებებისადმი იქნება განწყობილი ბავშვი;

— საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ადამიანი, შეძლებისდაგვარად, წინასწარი დაგეგმვით შეეცდება ცხოვრებას. სამუდამოდ გაქრება დღის წესრიგიდან პიროვნების იდენტიფიკაციის პრობლემა სოციალური კონფლიქტების, კრიმინალური დანაშაულისა და სხვადასხვა დროს;

— დადგინდება რომელიმე ერისთვის ზოგადად რა კონკრეტული დაავადებებია დამახასიათებელი, შესაძლებელი გახდება მისი თავიდან აცილების მიზნით გარკვეული ღონისძიებების მიღება.

დნმ-პასპორტთან დაკავშირებით ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, კერძოდ:

— სად მოიყრის თავს გენეტიკური ინფორმაცია;

— ვის მიუწვდება მასზე ხელი;

— რამდენად იქნება დაცული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

*დნმ-ით ნაპოვნი ნათესაობა:* დნმ-ის მოლეკულას ანალოგი არ მოეპოვება. იგი იმდენად სპეციფიკურია, რამდენადაც პიროვნების, ნიშანთვისებებისა და ინდივიდუალურ თავისებურებებს შეეფერება. ამასთან, დნმ-ზე ჩატარებული ტესტი ერთადერთია, სადაც უბრალოდ გამორიცხულია ადამიანური შეცდომა, ვინაიდან დნმ არ ცდება და არც ტყუვდება.



ანალიზისას იღებენ მშობლებისა და ბავშვის სისხლს, გამოყოფენ იქიდან დნმ მოლეკულას და ადარებენ მათ ერთმანეთს, დადებითი პასუხისთვის აუცილებელია, დნმ-ის მოლეკულათა სულ ცოტა 9 უბანი დაემთხვეს ერთმანეთს.

სხვადასხვა ქვეყანაში დნმ-ტესტის ჩასატარებლად სისხლს სხვადასხვანაირად იღებენ. კერძოდ, ზოგან ვენიდან, ზოგანაც საკმარისია თითიდან აღებული — 1 მლ-ი სისხლიც კი. ანალიზი საკმაოდ მაღალტექნოლოგიურ დონეზე სრულდება, ტარდება უზუსტესი და ურთულესი მოლეკულური რეაქციები. ამასთან, სისხლის რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კრიმინალური შემთხვევებისას, როცა დანაშაულის ადგილზე დარჩენილი 1 მლ სისხლიც კი საკმარისია ექსპერტიზისათვის. ანალიზი საკმაოდ ძვირად ღირებულია.

პასუხის — „თქვენ ხართ მშობელი“ — სიზუსტე 99,9%-ია, ხოლო „თქვენ არ ხართ მშობელი“, 100%-იანი სიზუსტით განისაზღვრება.

ორ ადამიანზე ჩატარებული ტესტირება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე სამზე, რადგან თუ ნათესაობის დასადგენად სამი ადამიანისთვის (დედა, შვილი და მამა) საკმარისია, დნმ-ის მხოლოდ 9 უბნის დამთხვევა, ორის შემთხვევაში, მამა-შვილის პასუხი 100%-იანი სიზუსტით რომ დადგინდეს, საჭიროა, სულ ცოტა 15 უბნის იდენტურობა. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში 2 ადამიანზე ჩატარებული ტესტირების პასუხს არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს, მას არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

*„დამნაშავე“ ქრომოსომები:* რამდენიმე თვის წინ გამოითქვა მოსაზრება, რომ მამაკაცებში ბოროტმოქმედებისა და დანაშაულებრივ ქმედებებს გენეტიკურად მიღებული მემკვიდრული წინასწარგანწყობა განაპირობებს. ამ აზრს არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა და ზოგიერთ ქვეყანაში ამ მიმართულებით სერიოზული კვლევები მიმდინარეობს.

ზედმეტი „მამაკაცური“ y ქრომოსომის დროს, ანუ როდესაც მამაკაცს სასქესო ქრომოსომის ნორმალური წყვილის xy-ის ნაცვლად xyy-ი კომბინაცია აქვს, მამაკაცები დანარჩენებისგან გამოირჩევიან სიმაღლით, საკმაოდ დაბალი ინტელექტით და განსაკუთრებული აგრესიით. ეს დამტკიცდა გენეტიკოსების მიერ ამერიკის ციხეებში მსჯავრდებულების შესწავლის შედეგად. აღმოჩნდა, რომ მათ შორის 10%-ზე მეტნი y ქრომოსომის მატარებლები იყვნენ. აგრეთვე, დადგინდა, რომ ზედმეტი ქრომოსომის მქონე მამაკაცებს ახასიათებთ გარკვეული ფსიქოლოგიური თავისებურებები: ისინი გაცილებით ადვილად ლახავენ კანონიერების ზღვარს, არიან იმპულსურები და უუნარონი, ვერ ახერხებენ საკუთარი პიროვნების მართვას, ვერ აცნობიერებენ მოსალოდნელ საფრთხეს, გააჩნიათ ინფანტილური წარმოდგენები საკუთარ თავსა და გარშემომყოფთა შესახებ, აქვთ რადიკალურად განსხვავებული ელექტროენცეფალოგრამა, ყველაფერი ეს კი იწვევს უნებლიე დამნაშავის ჩამოყალიბებას, რომელიც დანაშაულს, გარკვეულწილად, საკუთარი ნების გარეშე სჩადის.

სასქესო ქრომოსომის xxy შემთხვევაში, როდესაც ზედმეტია x ქრომოსომა, ვითარდება ანომალია. ასეთი კომბინაცია 1000 ბიჭიდან ერთს აქვს. სქესობრივ მომწიფებამდე ადამიანი ნორმალურად ვითარდება. პათოლოგია მას შემდეგ იჩენს თავს, როცა ყმაწვილი სექსუალურ ცხოვრებას იწყებს. მოგვიანებით კი ორგანიზმში ქალური ცვლილებები ვითარდება: თეძოებსა და მუცელზე მატულობს კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, სარძევე ჯირკვლის არეში ჩნდება ცრუმკერდი. ამას ემატება სასქესო ჯირკვლების დისფუნქცია, რაც ჯერ უნაყოფობას იწვევს, შემდეგ — სრულ იმპოტენციას.

მოზარდობის დროს ასეთი ბიჭები თანატოლებზე გაცილებით მაღლები არიან, აქვთ მცირე ზომის სასქესო ორგანოები, თხელი, უთმო მფარავი ქსოვილი, ქალური ხმა, გრძელი კიდურები. შესაძლოა, ბავშვი სრულიად ნორმალურად გამოიყურებოდეს, მხოლოდ ქცევით იყოს გამორჩეული: ჩამორჩეს სწავლაში, საკმაოდ გაუძნელდეს წერა-კითხვა, იყოს ინფანტილური, ჩაიკეტოს საკუთარ თავში.

***მაია მუხიგული***

# თქვენს კანს სწყურია...

ყველამ ვიცით, რომ წყალი არის სილამაზე, ჯანმრთელობა, სიცოცხლე. კანის ხშირი დატენიანება არის ჩვენი ახალგაზრდობის საიდუმლო. თუ იცით, რა უშლის ხელს კანიდან სითხის გამოდევნას? მკვდარი, გარქოვანებული უჯრედების ფენა, რომლის სისქე მხოლოდ მილიმეტრის მეასედია. ჩვენი გარეგნობა დამოკიდებულია იმაზე, ინარჩუნებს თუ არა ეს უთხელესი ფენა ელასტიკურობას. „ბუნებრივი საცხის“ (კანის ცხიმი, ოფლი) შემადგენლობა გარკვეული დროის შემდეგ ირღვევა კანზე მზის, ალკოჰოლის, მშრალი ჰაერის, სტრესის მოქმედებით.



ზოგის აზრით, დატენიანება სჭირდება მხოლოდ მშრალ კანს. ეს ასე არ არის. ხანდახან ძალიან მშრალ კანს შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი საშუალებები — კრემები, განსაკუთრებით ლიმონის. გაითვალისწინეთ, რომ ცხიმიანი კრემები არ ატენიანებს კანს. ცხიმიან კანს უხდება ისეთი საშუალებები, რომლებიც ერთდროულად კიდეც ატენიანებს და აქრობს ზედმეტ ბზინვარებას.

ნორმალურ კანსაც სჭირდება დატენიანება. წყალ-ლიპიდური ცვლის კარგად ბალანსირებული დონის შესანარჩუნებლად კარგია ნატურალური ამინომჟავების შემცველი საშუალებების გამოყენება.

კანს დატენიანება სჭირდება არა მარტო გარედან, არამედ... შიგნიდანაც! საჭიროა მივიღოთ დიდი რაოდენობით სუფთა წყალი. ამაზე არაერთხელ დაგვიწერია. შეიძინეთ აკვარიუმი, თევზები სიხარულს მოგანიჭებთ, წყალი კი ჰაერს დაატენიანებს. მუდმივად ატარეთ დამატენიანებელი, უალკოჰოლო შესაშხაპუნებელი. ამით შეგიძლიათ ისარგებლოთ როგორც ქუჩაში, ასევე შინ და ოფისშიც. ის ისე ატენიანებს კანს, როგორც თბილი ზაფხულის წვიმა. ნუ შეგეშინდებათ მაკიაჟის გაფუჭებისა, სითხის წვეთები ძალიან პაწიაა. სხვათა შორის, დამატენიანებელი საშუალებები არის ბევრ დეკორატიულ მაკიაჟში. პომადაში, თვალის ჩრდილებში, ტონალურ საშუალებებში.

***ტაიმი***

# ლუკაშენკო ამბობს, — პოსტს ვერ შეველევიო

ბელორუსიის პრეზიდენტმა თავის ხალხს ტელეეკრანიდან მიმართა — 17 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, რეფერენდუმიც უნდა ჩავატარო. მინდა შეგეკითხოთ, მაქვს თუ არა უფლება, მესამედ ვიყარო კენჭიო.

ლუკაშენკო ფიქრობს, რომ მესამედ პრეზიდენტად გახდომაში არაფერმა უნდა შეუშალოს ხელი. ბელორუსიაში მშვიდობა სუფევს, ფაბრიკა-ქარხნები მუშაობს და საჭირო პროდუქციას უშვებს, ქვეყანაში მშვიდობაც შეინარჩუნა და ზოგიერთივით არც ტერორისტული აქტები დაუშვია (ცხადია, პუტინს გულისხმობდა), „ბატკა“ შირაკთან ან შრედერთან ერთად კი არ ნებივრობს ხოლმე სოჭში, არამედ პირადად ზრუნავს, რომ ხალხს სამუშაოც ჰქონდეს და წელგამართულადაც იცხოვროს.

ათი წელია ლუკაშენკო ბელორუსიას მართავს. 1994 წელს პატიოსანი გზით გახდა სახელმ-



წიფოს თავკაცი. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ოდესღაც ოპოზიციონერი, ახლა ოპოზიციას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში ცხვირსაც არ აყოფინებს, დამკვირვებლებს ეჭვის საფუძველის მოსასპობად, ხმების გადათვლის უფლებასაც არ აძლევს, პრესის თავისუფლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სავსებით ნათელია, რომ მოსკოვი წინ არ აღუდგება ალექსანდრ ლუკაშენკოს მესამედ გაპრეზიდენტების სურვილს. მართალია, მან პუტინი სტალინს შეადარა, როცა ამ უკანასკნელმა შესთავაზა, რუსეთის ოლქი გახდიო, მაგრამ ვიდრე კრემლს მინსკში ლუკაშენკო ეგულება, მაინც მსუყე ლუკმის მოლოდინშია.

კაცმა რომ თქვას, „ბატკა“ არც ევროპას უშავებს რამეს. ბელორუსიაში არ დგას ეროვნულ უმცირესობათა საკითხი, როგორც ლატვიაში. ბელორუსები, უკრაინელებისგან განსხვავებით, შენგენის სივრცეს მოდებულები არ არიან, მას შემდეგ კი, რაც ცნობილი გახდა, რომ ლუკაშენკო არამც და არამც არ დათმობს დამოუკიდებლობას რუსეთის სასარგებლოდ, თუნდაც საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად, ევროპა მას კიდევ უფრო დაუტკბა.

და მაინც, ლუკაშენკოს მესამედ გაპრეზიდენტების სრული იმედი არ უნდა ჰქონდეს, ოპოზიცია ძალას იკრებს და არჩევნებში დიდი ვნებათაღელვაა მოსალოდნელი...

***კომერსანტი №171***

# ბუში გაკიცხავს პუტინს?

რუსეთის დამწყები დიქტატორი ვლადიმირ პუტინი პრეზიდენტ ბუშს მალე აიძულებს, ყველას დაანახვოს, არის თუ არა ამერიკის პრეზიდენტი დემოკრატიის მომხრე. პუტინმა გამოაცხადა, რომ პარლამენტში დეპუტატებს აირჩევენ პარტიების ლიდერთა მიერ შედგენილი სიების საფუძველზე, რომლებსაც პუტინი აკონტროლებს. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, რუსეთში ტირანიის დასამყარებლად გადადგმული ნაბიჯია. გეგმა პუტინს უკვე რამდენიმე თვეა, მზად აქვს და ახლა, ბესლანის საშინელი ტერორისტული აქტის შემდეგ, ცინიკურად გამოიყენებს თავისი საქციელის გასამართლებლად. პუტინი არც ცდილობს რაიმეს შენიღბვას, იგი დიქტატურას ძველი, ნაცადი ხერხით განამტკიცებს, რაც, მისი აზრით, აუცილებელია ტერორზე გასამარჯვებლად.

რუსეთი, ცხადია, უნდა ებრძოლოს ტერორიზმს, მაგრამ არა საარჩევნო სისტემისა და პუტინის პოლიტიკური მტრების განადგურებით.

აღელვებს კი პრეზიდენტ ბუშს დემოკრატიის ბედი რუსეთში? ბოლო ორი წელია, იგი თვალს ხუჭავს რუსეთის ანტიდემოკრატიულ ტენდენციებზე. ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა აშშ-ის პრეზიდენტი იმ ადამიანის გაკიცხვას, რომელსაც ტერორიზმთან ბრძოლაში თავის ერთგულ მოკავშირედ თვლიდა. დიქტატორის ხელში ჩავარდნილი რუსეთი ისეთივე საშიშია აშშ-ისთვის, როგორც სადამ ჰუსეინის დროინდელი ერაყი. თუ მსოფლიოს რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნის იმედი გაუცრუვდა, მაშინ რუსეთის მეზობლები დასახმარებლად ისევ აშშ-ს მიმართავენ. ამერიკამ განა იმიტომ შეუწყო ხელი საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, რომ გულხელდაკრეფილმა უყუროს, როგორ ცვლის ერთი ტირანია მეორეს? საერთაშორისო საზოგადოებრიობამ, ევროპის ჩათვლით და აშშ-ის თავკაცობით, პუტინი უნდა აიძულოს, უკან დაიხიოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბუშმა უნდა სცადოს გავლენის მოხდენა არა მარტო დემოკრატიის პრინციპების ერთგულების, არამედ საკუთარი ქვეყნის ინტერესების გამოც.

***ვაშინგტონ პოსტი***

# დსთ-ის ლიდერების სამიტი



ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართული სამიტის მთავარი თემა ტერორიზმთან ბრძოლა იყო. ამ თემამ შეხვედრამდე კარგა ხნით ადრე წამოიწია წინა პლანზე. როგორც ბესლანის ტრაგედიაზე თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურების რეაქციით გაირკვა, ისინი მზად არიან ერთობლივად შეებრძოლონ XXI საუკუნის შავ ჭირს — ტერორიზმს.

პრეზიდენტების მიერ მიღებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ტერორისტები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოს უქმნიან საფრთხეს“.

სამიტზე სენსაციად იქცა ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის წინადადება დსთ-ის ძირეული გარდაქმნის თაობაზე. პრეზიდენტები მის თაოსნობას ლამის აღტაცებით შეეგებნენ. გაირკვა, რომ ყველას მოჰბეზრდა ბიუროკრატიული თავკომბალა — ასობით ხელმოწერილი საბუთიდან თითო-ოროლას თუ აქვს ძალა, ერთობლივი თათბირები კი მხოლოდ პროტოკოლში შესატანად იმართება. ნაზარბაევმა ისიც თქვა, რომ დსთ-ის ერთიან ბიუჯეტში წევრ ქვეყნებს 7 მლნ დოლარი შეაქვთ, რაც სხვადასხვა დონის თათბირებს ხმარდება, შედეგები კი თვალით არავის გვინახავსო.

რობერტ ქოჩარიანმა განაცხადა, — ეჭვი არ მეპარება დსთ-ის პოტენციალში, მაგრამ თუ რეფორმას არ ჩავატარებთ, მისი გადაწყვეტილებები ისევ შეუსრულებელი დარჩებაო. მან იმედი გამოთქვა, რომ წლის მანძილზე დსთ-ის ქვეყნების მეთაურები შეისწავლიან ყაზახეთის პრეზიდენტის წინადადებას თანამეგობრობის მოდერნიზებასთან დაკავშირებით.

დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარედ ვლადიმირ პუტინი აირჩიეს, მანამდე ამ მოვალეობას უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ასრულებდა. დსთ-ის შემდეგი სამიტი 2005 წლის სექტემბერში გაიმართება მინსკში.

***ვრემია რუ***

# ზაკაევი დასავლეთს დახმარებას სთხოვს

იჩქერიის თვითმარქვია მთავრობის წარმომადგენელმა აჰმად ზაკაევმა ლონდონში, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა ვლადიმირ პუტინი უნდა აიძულონ, დაიწყოს მოლაპარაკება ასლან მასხადოვთან. ზაკაევის თქმით, პუტინის პოლიტიკამ, მშვიდობის დამყარების ნაცვლად, კიდევ უფრო გაამწვავა რეგიონში მდგომარეობა და მომავალში კავკასიაში ბესლანის ტერაქტზე გაცილებით მასშტაბური ტერაქტებია მოსალოდნელიო. აჰმად ზაკაევმა მიმართა დასავლეთის მთავრობებს, — თქვენ უნდა დაარწმუნოთ რუსეთი, რომ თუ იჩქერიასთან არ დაიწყებს სამშვიდობო მოლაპარაკებას, ის დასავლეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური პარტნიორი ვერ იქნება.

თავის მხრივ, პუტინმა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს მოსთხოვა, რომ რუსეთს გადასცენ ასლან მასხადოვი და აჰმად ზაკაევი, რომლებმაც ამ ქვეყნებში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს.

რუსეთის უშიშროების ფედერალური საბჭო 300 მლნ რუბლს დაჰპირდა მას, ვინც შამილ ბასაევისა და ასლან მასხადოვის ადგილსამყოფელს შეატყობინებს. რაც შეეხება აჰმად ზაკაევს, მას ბრალი ედება ტერორიზმში, მკვლელობებში, ადამიანთა გატაცებაში.

***ლენტა რუ***

**„მოსკოვსკი კომსომოლეცში“** გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც ბესლანის ტრაგედიას ეხება, ნათქვამია: მოსკოვიდან სასწრაფოდ გამოძახებულ გენერალ აუშევს „ბოევიკებმა“ ბასაევის წერილი გადასცეს, რომლის შინაარსი ძასოხოვმა პუტინს მაშინვე ტელეფონით მოახსენა. წერილში ჩამოთვლილი იყო 5 პუნქტი, რომლის შესრულების შემდეგ მძევლებს გაათავისუფლებდნენ: 1. პუტინს ხელი უნდა მოეწერა ჩეჩნეთში ომის შეწყვეტაზე; 2. გაეყვანა ჯარი; 3. ჩეჩნეთი დსთ-ში შესულიყო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; 4. დარჩენილიყო რუბლის ზონაში; 5. ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში შეეყვანათ დსთ-ის სამშვიდობო ჯარი. პუტინს ან უნდა მიეღო ტერორისტების პირობა, ან ბავშვები გაეწირა. მისთვის ორივე მიუღებელი იყო, მაგრამ არც მესამე გზა არსებობდა...

რუსეთმა გადაწყვიტა, მასხადოვთან დაეწყო მოლაპარაკება. ძასოხოვმა და აუშევმა ტელეფონით მოძებნეს ზაკაევი. ის დაჰპირდა — მასხადოვს მოვახსენებ ყველაფერს და მის პირობებს შეგატყობინებთო. გვიან ღამით ზაკაევმა დარეკა — მასხადოვი მზადაა დაუკავშირდეს სკოლაში მყოფთ, ოღონდ გარანტიას ითხოვს, რომ საუბარს არ „გამოიჭერენ“ და არ განმეორდება ის, რაც დუდაევს გაუკეთესო.

რუსეთის ხელისუფლებამ საკითხის გადაწყვეტა დილამდე გადადო და...

***იბეჭდება შემოკლებით***

# ბასაევი: გარკვეულ დათმობაზე წავიდოდი...



***შამილ ბასაევმა ოფიციალურად იკისრა პასუხისმგებლობა რუსეთში აგვისტო-სექტემბერში მომხდარ ყველა აფეთქებაზე, მათ შორის ბესლანის ტერაქტზე.***

ინტერნეტით გავრცელებულ შამილ ბასაევის განცხადებაში ნათქვამია: „მოსკოვში, კაშირსკაიას გზატკეცილზე და მეტრო „რიჟსკაიასთან“ ტერაქტები მოაწყო შაჰიდების მოსკოვის განყოფილებამ. თვითმფრინავები — საგანგებო ოპერაციების განყოფილებამ ააფეთქა, ოპერაცია ბესლანში ჩაატარა შაჰიდების მეორე ბატალიონმა პოლკოვნიკ ორსტხოევის მეთაურობით“.

ბასაევის თქმით, ეს ყველაფერი ჩეჩნეთში ომის შესაჩერებლად და იქიდან ჯარის გასაყვანად გაკეთდა. ამის სანაცვლოდ ის გარკვეულ დათმობაზე მიდიოდა და აცხადებდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩნეთი არავისთან დაამყარებდა პოლიტიკურ, სამხედრო თუ ეკონომიკურ კავშირებს, მის მიწაზე დროებითაც კი არ განთავსდებოდა უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები, მხარს არ დაუჭერდა და არ დააფინანსებდა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფებს და სხვა.

რუსეთს ჯარი უნდა გაეყვანა ბავშვების სკოლაში ყოფნის პერიოდში. ბავშვებს მაშინ მისცემდნენ წყალს, როცა პუტინი ომის შეჩერებისა და ჯარის გაყვანის ბრძანებას გამოსცემდა.

„წელს უცხოელებისგან სულ 10.000 დოლარი და 5.500 ევრო მივიღე. ძირითადად რუსეთის ბიუჯეტიდან ჩარიცხული ფულით ვიბრძვი.

ბესლანის ტერაქტში 33 მოჯაჰედი მონაწილეობდა, მათ შორის 2 ქალი. ოთხს ვამზადებდით, მაგრამ ორი — 24 აგვისტოს მოსკოვში გავგზავნე. იქ ისინი ორ ასაფეთქებელ თვითმფრინავში ჩასვეს“, — აცხადებს ბასაევი.

— არსებობს ინფორმაცია, რომ პუტინი მზად იყო ტერორისტების მთავარი პირობის შესასრულებლად — გაეყვანა ჯარი ჩეჩნეთიდან და რესპუბლიკისთვის ავტონომია მიეცა, — განაცხადა „ეხო მოსკვის“ ღია ეთერში მსოფლიო საქველმოქმედო ფონდის — „ბავშვები და ახალგაზრდები ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ“ — პრეზიდენტმა ნიკოლაი მოსინცევ-ოზერანსკიმ, რომელიც მონაწილეობდა ბესლანში ოპერატიული შტაბის მუშაობაში. მისი თქმით, როცა „ბოევიკებმა“ ჩეჩნეთის ავტონომია მოითხოვეს, მომზადდა ბრძანებულების პროექტი ჩეჩნეთის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის თაობაზე.

ამ ინფორმაციის ნამდვილობის შემოწმება ძალიან ძნელია...

***ვსემირნიე ნოვოსტი***

# თვითმფრინავი ბატმა ააფეთქა

ჩიკაგოს თავზე ცაში ძალიან სერიოზული ინციდენტი მოხდა. ავიაკომპანია AMERICAN AIRLAINES-ის თვითმფრინავი ჩიკაგოდან ფილადელფიაში მიემართებოდა. თვითმხილველთა თქმით, რომლებიც დედამიწიდან ადევნებდნენ თვალს მომხდარს, ლაინერის აფრენისთანავე გაიგონეს აფეთქების ხმა და დაინახეს, როგორ გამოიფრქვა ერთი ძრავიდან ცეცხლის და კვამლის ბოლქვები. ცოტა ხანში საჰაერო ლაინერი, რომელშიც 112 ადამიანი იმყოფებოდა, აეროპორტში დაეშვა. არც ეკიპაჟის წევრები და არც მგზავრები არ დაშავებულან.

სავარაუდოდ, ავარია ძრავაში ფრინველის მოხვედრამ გამოიწვია. თვითმფრინავის აფრენისთანავე ეკიპაჟმა გადმოსცა — აუარება კანადური ბატია ცაშიო.

მსგავსი შემთხვევები იშვიათი არ არის. აპრილში ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში გაითიშა რადარები, ტელეფონები; თვითმფრინავები, რომლებიც ლოს-ანჯელესში უნდა დამსხდარიყვნენ, სხვა აეროპორტებში გაუშვეს.

გაირკვა, რომ ელექტროგადამცემ ხაზებზე შემომსხდარმა ფრინველებმა სულ ორი წამით გათიშეს ელექტრობა, რასაც ამხელა დავიდარაბა მოჰყვა.

***ნიუს რუ***

## მოკლედ

**აშშ-ში** ქარიშხალ „აივანის“ მიზეზით 1 ბარელი ნავთობი 15 ცენტით გაძვირდა და 44,09 დოლარი გახდა. სტიქიური უბედურების გამო მექსიკის ყურეში ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში 1,3 მლნ ბარელით შემცირდა. ქარიშხლის გამო გააჩერეს 8 ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.



**ბაჰამის კუნძულებს** ქარიშხალმა „ჟანამ“ გადაუარა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა, მაგრამ სტიქიამ მაინც შეიწირა 8 ადამიანის სიცოცხლე.

**ავღანეთის** ქალაქ ღარდეზში სარაკეტო დარტყმა მიაყენეს სკოლას — რაკეტა იმ ადგილის მახლობლად აფეთქდა, სადაც უნდა დამჯდარიყო აშშ-ის სამხედრო შვეულმფრენი. მასში იმყოფებოდა ავღანეთის ლიდერი ჰამიდ ყარზაი. პრეზიდენტმა ღარდეზში წინასაარჩევნო ვიზიტი გადადო. შვეულმფრენი ქაბულში დაბრუნდა. საპრეზიდენტო არჩევნები 9 ოქტომბერსაა დანიშნული.

**ალბანეთის** სამხედრო შეიარაღებულ ძალთა გამანადგურებელი, ჩინური წარმოების მიგ-19 ტირანადან 20 კმ-ის დაშორებით მდებარე აეროპორტ რინასიდან აფრენისთანავე აფეთქდა. პილოტი დაიღუპა.

**ერაყის** თავდაცვის მინისტრმა აშალონმა განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინს არჩევნებამდე გაასამართლებენ. არჩევნები, სავარაუდოდ, 2005 წლის იანვარში უნდა ჩატარდეს. სადამ ჰუსეინს ბრალად ედება ქუვეითზე თავდასხმა, ქურთებისა და შიიტების ამბოხების ჩახშობა, ქურთი მოსახლეობის, სასულიერო პირების, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დახოცვა. მოსახლეობის გამოკითხვის თანახმად, ერაყელთა 60% ქვეყნის ყოფილი მეთაურის სიკვდილით დასჯის მომხრეა, 20%-ს მიაჩნია, რომ სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს.

**შვედეთში** დიდი სკანდალი ატყდა საიმიგრაციო დეპარტამენტის მუშაობის გამო. ივნისში ამ ორგანიზაციამ პოლიტიკური თავშესაფარი არ მისცა და რუსეთში გაასახლა ჩეჩენი მუჰარბეკ დუდაევის ოჯახი. მათი ვაჟი 1-ელ სექტემბერს ბესლანის სკოლაში წავიდა და ტერორისტების ხელში აღმოჩნდა. ახლა შვედები ქვეყნის ხელისუფლებას უსულგულობასა და ფორმალიზმში ადანაშაულებენ.

**მიუნხენში** გაიხსნა მთელ მსოფლიოში ცნობილი ლუდის ფესტივალი, რომელიც 3 ოქტომბრამდე გაგრძელდება და 6 მილიონამდე სტუმარს უმასპინძლებს. ლუდის ფესტივალი მიუნხენში პირველად 1810 წელს გაიმართა.

**სამხრეთ კორეამ** განაცხადა, რომ წყვეტს ბირთვული იარაღის დამუშავებას. ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოს განცხადებაში ნათქვამია, რომ სამხრეთ კორეა მზადაა დაიცვას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების ყველა მუხლი და ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ითანამშრომლოს. ცოტა ხნის წინ სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ამუშავებდნენ გამდიდრებულ ურანსა და პლუტონიუმს, რასაც ბირთვული იარაღის წარმოებისას იყენებდნენ.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# ბავშვის ჯანმრთელობის ხარჯზე საათების გაზრდას არ დავუშვებთ

## თუ სკოლა ჩათვლის, რომ რელიგიის . სწავლება აუცილებელია, ასწავლონ...

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

ჩვენ ვენდობით პედაგოგს, როდესაც ვაძლევთ უფლებას თვითონ წეროს, რამდენი დრო დახარჯა თვითგანათლებისთვის. არ შეიძლება ეჭვით მიდგომა — თუ პედაგოგს ამის უფლება მივეცი, უთუოდ ყალბ საათებს ჩაიწერს ჟურნალშიო. არ გამოვრიცხავ, ასეთი რამაც მოხდეს, მაგრამ სკოლები უთუოდ გამოძებნიან აღრიცხვის ოპტიმალურ ფორმას. როდესაც მასწავლებელი სასკოლო საათებს აღარ გამოეკიდება, მეტ დროს გაატარებს სასკოლო ბიბლიოთეკაში და მოსწავლეებთან.

კანონპროექტით არ განგვისაზღვრავს მასწავლებლის მაქსიმალური ხელფასი, მაგრამ მინიმალური ხელფასი არ უნდა ჩამოვიდეს საარსებო მინიმუმის — 115 ლარის ქვემოთ.

**— განათლების პროფკავშირებს არ მოსწონთ პედაგოგებთან 1-წლიანი ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივა.**

— ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ხელშეკრულების ვადა 3 წლამდე გაიზარდოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვადის გასვლის შემდეგ პედაგოგის ადგილზე კონკურსი გამოცხადდება. თუ მასწავლებელმა სკოლისა და პედაგოგების წინაშე თავი გამოიჩინა, კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდება.

**— რედაქციაში უამრავმა სკოლის დირექტორმა დარეკა — დირექტორების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლებას არ გვაძლევენო. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ყველა დირექტორი გათავისუფლდება თანამდებობიდან?**

— ახალი კანონის მიღება არ ნიშნავს ყველა დირექტორის თანამდებობიდან ავტომატურ დათხოვნას (სკოლის დირექტორების უმრავლესობა ადგილს შეინარჩუნებს), თუმცა კანონის საფუძველზე მე უფლება მეძლევა ზოგიერთი გავათავისუფლო და მერწმუნეთ, ამ უფლებას გამოვიყენებ. დირექტორობიდან გათავისუფლდებიან ის ოდიოზური პირები, რომელთაც წლების განმავლობაში დისკრედიტაცია გაუკეთეს განათლების სისტემას. თანამდებობას დატოვებენ იმ სკოლების დირექტორები, სადაც პირველ კლასში მიღებაც კი ქრთამით ხდება, აღარაფერს ვამბობ საჩუქრებზე, დირექტორის დაბადების დღესა და მისი შვილის ქორწილის აღნიშვნაზე(!).

ჩვენთვის მთავარი დირექტორის კომპეტენცია და პატიოსნებაა. სკოლაში, სადაც სამეურვეო საბჭო იქნება მმართველი, დირექტორი აღარ იქნება ცენტრალური ფიგურა. სკოლის სადავეები დირექტორის კი არა, პედაგოგებისა და მშობლების ხელში გადავა. არჩეულ დირექტორებსა და სამეურვეო საბჭოს კი აუცილებლად ჩავუტარებთ ტრენინგებს ფინანსურ მართვაში, ბიუჯეტის მონიტორინგსა და ადმინისტრირებაში. ზოგიერთი ამბობს, — მშობლები სამეურვეო საბჭოში როგორ იმუშავებენ, როდესაც კრებებზეც ძლივს მოგვყავსო. მერწმუნეთ, როდესაც კი დაინახავენ ერთი სკოლის წარმატებულ საქმიანობას, მას მეორე სკოლაც უთუოდ მიჰბაძავს.

**— დირექტორების გარდა უკმაყოფილო არიან უნივერსიტეტის პედაგოგებიც, რომელთაც არ მოსწონთ ქართული ენისა და რელიგიის საათების შემცირება, ასევე თქვენი ნათქვამი — ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ენა მკვდარი ენააო.**

— როგორ უნდა გავუკეთოთ კომენტარი ასეთ არგუმენტს — „ეს კანონპროექტი ქართულ გენს ეწინააღმდეგებაო". გაუგებარია, რა კავშირია „კანონსა" და „გენს" შორის. სამეურვეო საბჭოების თვითმმართველობა ქართული საგანმანათლებლო ტრადიციის ნაწილია. როდესაც მე-19 საუკუნის ბოლოს ეკატერინე გაბაშვილი ილიასა და იაკობ გოგებაშვილის ხელშეწყობით ქრა-კერვის სკოლას აფუძნებდა, სამეურვეო საბჭო შექმნა, რომლის წევრები ოლღა გურამიშვილი და ეკატერინე სარაჯიშვილი (დავით სარაჯიშვილის მეუღლე) იყვნენ.

რელიგია და კულტურა, მითოლოგია ყოველთვის ფაკულტატიურ საგანთა ნუსხაში იყო. სკოლებს ისევ აქვთ უფლება ფაკულტატიური საგნებისთვის გამოათავისუფლონ დრო, მაგრამ არ უნდა გადააჭარბონ გაკვეთილების მაქსიმალურ რაოდენობას. არ შეიძლება მოსწავლეს დღეში 6 და 7 გაკვეთილი უტარდებოდეს. ამ საკითხში ერთი გოჯითაც არ დავიხევთ უკან, იმიტომ, რომ მასზე ჩვენი შვილების ჯანმრთელობაა დამოკიდებული. ვერავის მივცემთ უფლებას, ბავშვების ჯანმრთელობის ხარჯზე გაიზარდოს საათების რაოდენობა. სკოლები უფლებამოსილი არიან საკუთარი შეხედულებებით გაანაწილონ საათები საგნების 25%-ზე, თუ ჩათვლიან, რომ რელიგის სწავლებაა აუცილებელი, ასწავლონ, მათ ამის უფლებას არავინართმევს და არ არის საჭირო ამ თემით სპეკულაცია. ჩვენთვის მთავარია, მოსწავლემ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნა, უნარ-ჩვევები შეიძინოს სკოლაში. სვამენ ზოგად კითხვებს — ვინ უნდა გამოუშვას ჩვენმა სკოლამო? ვინ და ამ ქვეყნის ერთგული, მისი წარსულისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებელი, დამოუკიდებელი აზროვნების მქონე მოქალაქეები.

**— ბევრ სკოლაში ნახავთ 80 წელს მიტანებულ პედაგოგს, რომელსაც 20-ლარიანი პენსიის პერსპექტივა აიძულებს ისევ სკოლაში იმუშაოს, მათი საქმე როგორ გადაწყდება?**

— ჩვენ მათ ძველი ხელისუფლების დროს დაგროვილი დავალიანება გავუსტუმრეთ — ამით პატივისცემა დავუდასტურეთ ამ ღვაწლმოსილ ადამიანებს. ზოგიერთები დღეს რომ ტლიკინებენ და მათი სახელით მანიპულირებენ, სწორედ ხელისუფლებაში ყოფნის დროს აგროვებდნენ მათ ვალებს. არ ვაპირებთ ასაკოვანი პედაგოგების დათხოვნას. ვეცდებით მათი პენსია მათი ბოლო ხელფასის რაოდენობას მიუახლოვდეს. ბევრმა პედაგოგმა მითხრა — ორმოცი ლარი მაინც რომ მქონდეს პენსია, სკოლიდან წავიდოდიო. ყველა პედკოლექტივსა და დირექტორს მოვუწოდებ, მაქსიმალური მოთმინება გამოიჩინონ ამ ადამიანებისადმი. 2-3 წელიწადში საქართველოს ექნება საშუალება, დამსახურებული პენსია მისცეს იმ პედაგოგებს, რომელთაც დიდი დამსახურება აქვთ განათლების სისტემის წინაშე. სკოლების კი არა, მთელი საზოგადოების ვალია, მოვითმინოთ, რომ ხანდაზმული პედაგოგები ხშირად აცდენენ გაკვეთილებს, ავადმყოფობენ, ვერ არიან ძველებურად ენერგიულები და აღარ ძალუძთ ცოდნის გამომჟღავნება... კატეგორიულად შევეწინააღმდეგები მათ, ვინც დააძალებს ხანდაზმულებს სკოლიდან წასვლას.

ქართველი საზოგადოების ქვაკუთხედი ყოველთვის განათლება და მეცნიერება იყო. დღეს ეს სფეროები უმწვავეს კრიზისშია, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოს აქვს კრიზისის დაძლევის უნარი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი რეფორმა წარმატებით გატარდება — ეს ჩვენი საზოგადოების წარმატებაც იქნება. დასასრულ, ყველა მოსწავლესა და სტუდენტს მინდა მივულოცო სასწავლო წლის დაწყება. მჯერა, რომ ჩვენ წიგნიერი, წესიერი და განათლებული ახალგაზრდობა გვეყოლება.

***მარი ზანდუკელი***

# მაინც „მოვახერხე" ახლობლებისა და მეგობრების განაწყენება...

## კონტროლის პალატის თავმჯდომარე წინამორბედის გემოვნებით შერჩეული ნახატების გარემოცვაში

(დასაწყისი იხ. გვ. 13)

ოქტომბრის ბოლოს უკვე გვეცოდინება შედეგები. ქონების არასწორად განკარგვის, ბიუჯეტისათვის თანხების დამალვის, არამიზნობრივი საქმიანობისა და განიავების მხრივ, სერიოზული დარღვევებია ბათუმის ნავსადგურში, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა და ინპექსშიც. ერთ შემთხვევაში 5 მილიონია დამალული, მეორე შემთხვევაში მომგებიანი საწარმო დაბალ ფასად არის გაყიდული. ცალკეულ ობიექტებს კი 3-დან 7 მილიონამდე ლარს ვედავებით. მასალები უკვე გადავუგზავნეთ პროკურატურას.

**— ალბათ გაეცნობოდით დოკუმენტაციას, რომელსაც თქვენი წინამორბედები აწერდნენ ხელს...**

— გავეცანი და ბევრია საქმე, რომლებშიც მნიშვნელოვანი დარღვევებია. „მძიმე" აქტებიც არის შედგენილი, მაგრამ ძალოვანი უწყებებისთვის არ გადაუციათ. იყო საკმაოდ სერიოზულ დარღვევებზე „მსუბუქი" დასკვნებიც. ამის გამო თანამშრომლების დიდი ნაწილი გავათავისუფლეთ... ქეიფი, ვახტანგურის დალევა, დაძმობის შეფიცვა იმ ობიექტის ხელმძღვანელობასთან, რომელსაც რევიზია უტარდება, აკრძალული მაქვს. ცდუნების საშიშროებას ისიც ამცირებს, რომ რევიზორებს მივლინების ხარჯებს ვუნაზღაურებთ (დღეში 25 ლარს) და თუ კარგ (ნამდვილ) მასალას წარმოგვიდგენენ, პრემიასაც ვაძლევთ (ეს თანხა შეიძლება 200-დან 2000 დოლარამდე იყოს).

**— დაზღვეული ხართ, რომ რევიზორები კორუფციაში არ გაერევიან?**

— დაზღვეული არავინ არაფრისაგან არ არის... რევიზორის მუშაობას გენინსპექცია აკონტროლებს — შედგენილ აქტებს ამოწმებს. იყო შემთხვევა, როდესაც გენინსპექციის დასკვნის საფუძველზე ერთ-ერთი ობიექტიდან რევიზორი გამოვიყვანე. როგორც გაირკვა, იგი ორგანიზაციაში არსებულ დარღვევებს ამსუბუქებდა. ამჟამად გენინსპექცია ამ საქმეს დეტალურად სწავლობს. თუ აღმოჩნდა, რომ რევიზორი არაკომპეტენტურობის გამო შეცდა, მას დააქვეითებენ, ხოლო თუ ანგარების ფაქტი გამოიკვეთა, რევიზორი სამსახურიდან გათავისუფლდება.

**— მიუხედავად თქვენი ოპტიმიზმისა, ამბობენ, რომ რეფორმის შემდეგ კონტროლის პალატის როლი დაკნინდა.**

— აქამდე კონტროლის პალატა საგადასახადოსაც ამოწმებდა. თუ დეკლარაციებში შეუსაბამობას აღმოაჩენდა, კერძო საწარმოებშიც შედიოდა, არადა, ამის უფლება არ ჰქონდა. არ ვიცი, იყო თუ არა აქ ანგარებიანი დაინტერესება, მაგრამ ეს უკანონო მოქმედება იყო. ამიერიდან კონტროლის პალატის თანამშრომლები მხოლოდ იმას გააკეთებენ, რისი უფლებაც აქვთ.

**— ბატონო ზურაბ, იქნებ გაგვიმხილოთ, რა ქონების პატრონი ხართ?**

— ეს არის ქონება, რისი დაგროვებაც ოთხმა მეცნიერმა შეძლო. მას შემდეგ, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვარ, საჭმელსასმლის, ტანსაცმლის, ზაფხულში დასვენების პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ჩემს ქონებას არაფერი მიმატებია. ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლებს 3-3-ოთახიანი ბინა აქვთ. ასევე გვაქვს მეუღლის ბებია-ბაბუის დანატოვარი ერთოთახიანი ბინაც.

**— თქვენნაირ თანამდებობაზე მყოფი ადამიანი ხშირად ხდება ხოლმე პოლიტიკური თუ სხვა დაკვეთების შემსრულებელი. რამდენად იქნებით თავისუფალი ამგვარი დაკვეთისაგან?**

— თუ გინდა, არავინ მოგედაოს, კანონის დაცვით უნდა იმოქმედო. კანონმდებლობის მიხედვით, კონტროლის პალატისთვის რეკომენდაციის მიცემა, ესა და ეს ობიექტი შეამოწმეო, აღმასრულებელ ხელისუფლებასაც შეუძლია, პარლამენტსაც და ძალოვან სტრუქტურებსაც. მერე კი ჩვენი გადასაწყვეტია, შევასრულებთ თუ არა მითითებას. შესაძლოა ობიექტი რეკომენდაციებით შემოწმდეს კიდეც, მაგრამ აუცილებელია, რევიზორმა ობიექტური მასალა წარმოადგინოს. რაც ამ თანამდებობაზე ვარ, რეკომენდაცია და დავალება ხელისუფლებისგან არ მიმიღია.

**— თქვენ ამბობთ, რომ სრულიად თავისუფალი ბრძანდებით და არანაირ წნეხს არ განიცდით?**

— აბსოლუტურად დამოუკიდებელი და თავისუფალი, ბუნებრივია, ვერ ვიქნები, მაგრამ თავისუფლების მაღალი დონის მიღწევა მაინც შეიძლება ობიექტურობით. პარლამენტს წელიწადში 3-ჯერ უნდა ჩავაბარო ანგარიში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს ანგარიშში ობიექტური არ ვიყო.

**— მას შემდეგ, რაც კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დაინიშნეთ, მეგობრის ან ნათესავის განაწყენება ხომ არ მოასწარით?**

— დაკარგვით არავინ დამიკარგავს, თუ ვინმე ისეთი რამის გაკეთებას მთხოვს, რისი გაკეთებაც შეუძლებელია, ე.ი. ასეთი ახლობელი ადრეც უნდა დამეკარგა. თუმც კონკრეტული საკადრო გადაწყვეტილებების გამო მაინც „მოვახერხე" ახლობლების, ოჯახისა და მეგობრების განაწყენება.

**— თქვენს მეგობარს თუ გაუგზავნით რევიზიას?**

— მეგობარი, რომლის შემოწმებასაც კანონი მავალებს, კოლეგაცაა — კოლეგას კი შევამოწმებ. და თუკი ჩემი 5 რევიზორი რამე დარღვევას აღმოაჩენს, მათ ვერ გავაჩერებ და ვერც სადმე ჩავკეტავ — დარღვევის ფაქტს, მეგობარსაც რომ ჰქონდეს ჩადენილი, უთუოდ გავახმაურებ.

**— თქვენს მაგიდაზე ბეჰემოთის ფიგურას ვხედავ, რა დატვირთვა აქვს მას?**

— როდესაც საგარეო ურთიერთობათა მინისტრის მოადგილე ვიყავი, აფრიკაში მაჩუქეს, წითელი ხისაგან არის გაკეთებული. საქართველოში რომ ჩამოვფრინდი, აეროპორტიდანვე სამსახურში წავედი. ნივთების ამოლაგება დავიწყე თუ არა, ნიავმა დაუბერა და დოკუმენტები ამიფრიალა. ფურცლები რომ არ გაფანტულიყო, ბეჰემოთი დავადე და ის დღე ძალიან ბედნიერი აღმოჩნდა ჩემთვის — გამიმართლა და სერიოზული პრობლემა გადავწყვიტე. მას შემდეგ დამრჩა და დამრჩა.

**— მხატვრობაც გყვარებიათ.**

— ეს გია ბუღაძის ნახატებია. რომ მოვედი, აქ დამხვდა. ბატონი სულხანის გემოვნებით არის შერჩეული.

**— დასასრულ, როდის უნდა ველოდოთ თქვენგან სკანდალურ განცხადებებს?**

— ობიექტურობას უნდა დაელოდოთ, სადაც სკანდალი იქნება, სკანდალურ განცხადებებს გავაკეთებ. სადაც ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე გაკეთდება, არც კარგ განცხადებებს მოვერიდები.

***იზო რკაძე***


მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი «მზიური»
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მის: დ. უზნაძის №70 (ყოფ. კამოს)
☎ 91-03-17; 29-48-61; 95-45-75

სარეპეტიტორო სკოლა
სტს
მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელი ტესტებისათვის
ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 18 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8450 |
| ევრო | 2,2518 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3107 |
| რუსული რუბლი | 0,0631 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2206 |

„ტრანსცენტრის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აჭარის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი"
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები სხვადასხვა ფერები და საკეტები
უმაღლესი ხარისხის პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი"-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ხაროში მიგნებული



ცხადად მახსოვს ჩემს მშობლიურ სოფელ ღებში სამამულო ომმა რა საშინელი სატანჯველი მოიტანა. ფრონტზე ბევრი წავიდა მაშინ, ზოგი ვითომ საბჭოთა სამშობლოს სამსახურისთვის, მაგრამ სინამდვილეში იმ საშინელი ძალისაგან, რასაც ფაშიზმი ერქვა, ყველა მაინც თავის მიწა-წყალს იცავდა. მოკლედ, სოფლიდან ომში პირველი გამოძახებისთანავე მხოლოდ ჩემი მეზობელი მალაქია არ წავიდა. ახალგაზრდა იყო, დედისერთა, ენანებოდა სიცოცხლე და ფეხს ითრევდა. დღე იყო და ასჯერ მაინც ჩხრეკდნენ მის სახლს უშიშროების წარმომადგენლები... ერთი ასეთი ჩხრეკის წინ მალაქია დედამ ფქვილის შესანახ სათავსოში, ხაროში დამალა. რუსებმა ბევრი იფათურეს მალაქიას ქოხში, მაგრამ ვერავინ ნახეს... ბოლოს ხაროს თავზე დადებულ რძეს წააწყდნენ, სიამოვნებით დალიეს და კმაყოფილებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს: — ოჩენ ხაროში მალაკოო...

ამის თქმა იყო, მალაქიას დედამ იკივლა და იატაკზე გულწასული დაეცა. მოვარდნილმა მეზობლებმა გონს მოიყვანეს და ვერაფრით დააჯერეს, რომ მისი მალაქია ისევ ხაროში იჯდა. ჩემი ყურით გევიგე, ასე იძახდნენ: მალაქო ხაროშიო.

***ნოდარ გოგრიჭიანი, ადიგენი***

## 2. „დათვის" ლხინი



ჩემს მეზობელ გიუშას ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, მალხაზი. მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა, მაგრამ მალხაზი საშინლად ზარმაცი იყო, არაფერი შველოდა, არც მამისგან მასწავლებლების მოქრთამვა, არც ხვეწნა-მუდარა. საწყალი გიუშა სულ შემომჩიოდა, თან გადავყევი შვილს და მაინც არაფერი გამოდის, ეს ოხერი ჩლუნგი ხომ არ არისო?! ბიჭი ისეთი გონებამკვირცხლი იყო, კი ვიცოდი არ დაიკარგებოდა (ასეც მოხდა), მაგრამ დადარდიანებულ მამამისს რას დავაჯერებდი? ერთხელაც გიუშამ ისევ გადაწყვიტა მასწავლებლებისთვის ესიამოვნებინა და შინ დიდი ქეიფი გაუმართა. მასწავლებლებმა გასაოცარი ოსტატობით ერთ საათში გენიოსად აქციეს მალხაზი. ნასიამოვნებმა მამამ შვილს დაუძახა, მოდი, ერთი სადღეგრძელო გვითხარიო. ბავშვმა ჭიქა გამოართვა და დაიწყო: დათვმა ლხინი გადიხადა, მოიწვია მეზობლები (ყველას თვალი გადაავლო): ტურა (შეხედა დირექტორის მოადგილეს), მელა (თვალი შეავლო მასწავლებელს), კატა, მგელი (მიუთითა დირექტორზე)... და ასე ბოლომდე ჩამოჰყვა... ის დღე იყო და ის, გიუშას აღარ უწუწუნია, ჩემი შვილი ჩლუნგიაო. აღარც მასწავლებლებს შეუწუხებიათ ოჯახი გამუდმებული სტუმრობებით.

***რევაზ პეტრიაშვილი***

## 3. მხოლოდ გაიარეთ



ბაქოში კონცერტი აქვს ლიუდმილა ზიკინას, გამოდის სცენაზე ფაშფაშა, ჩაფუმფულებული ქალი და მთელი დარბაზი ზანზარებს.

შეასრულა ერთი სიმღერა. ოვაციამ კინაღამ ჭერი ჩამოიღო, შეასრულა მეორე — „ბისსა" და „ბრავოს" დასასრული არ უჩანს. გამოდის, მღერის და ოვაცია არ ცხრება.

ბოლოს გამოვიდა ზიკინა და დარბაზს მიმართა: — დავიღალე, მეტს ველარ ვიმღერებო. ერთი მაყურებელი წამოდგა:

— არა უშავს ქალბატონო, უბრალოდ გამოდით სცენაზე და გაიარეთ! სიმღერა არ გვინდა ჩვენ!

***გიორგი ლოლომაძე, ქუთაისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 22 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 23 სექტემბრის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №38**

## 4. „იქიდან" აშენებს



ჩემს მშობლიურ საჩხერეში ადრე მშვენიერი ტრადიცია იყო — ხალხი ყოველ გაზაფხულზე აკაკი წერეთლის პატივსაცემად „აკაკიობას" ზეიმობდა. „აკაკიობა" ჯერ მწერლის ძიძის სახლთან, სავანეში იწყებოდა და მერე გრძელდებოდა სხვიტორში. ისედაც ლამაზი სავანე აკაკიობას სულ გაბრწყინდებოდა ხოლმე. ხალხი რამდენიმე დღით ადრე იწყებდა მზადებას და მოუთმენლად ელოდებოდა ერისთვის საყვარელ მწერლებსა და მსახიობებს. წინასწარ იგებოდა ასფალტი, ლამაზდებოდა კარ-მიდამო და აკაკიობა დღეს, შუა გზაზე იმერული ხაჭაპურებით სავსე მაგიდები იშლებოდა. ჰოდა, ერთი ასეთი აკაკიობის წინ ისევ დაიწყეს მზადება და ჩვენი სკოლის წინ გზის შესაკეთებლად ტრაქტორები არახრახდნენ. ვსხედვართ ფიზიკის გაკვეთილზე და გვაქვს ყურები დაყრუებული. შემოვიდა ჩვენი უაღრესად განათლებული და ენაკვიმატი ფიზიკის მასწავლებელი ზურაბ მოდებაძე და მაინცდამაინც როსტომა ლონლაძე გამოიძახა. როსტომა იცოცხლე, ცელქობაში გონებასხარტი იყო, მაგრამ გაკვეთილის სწავლა კი არა, სათაურის წაკითხვაც ეზარებოდა. ზურაბ მასწავლებელი არ ეშვებოდა, ხან აქედან უვლიდა და ხან იქიდან, ეგება რამე ვასწავლოო. მოკლედ ადგა როსტომა, მიაპყრო ჭერს თვალები და დამუნჯდა...

— ბიჭო, აკაკი წერეთელი თუ მაინც იცი, ვინ იყოო? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— რავა არ ვიციო! — ამოიღო ხმა როსტომამ.

— მერე არ გრცხვენია, შე ოჯახაშენებულო, ის კაცი მკვდარიც კი გზებს აკეთებს და ცოცხალმა ერთი გაკვეთილი როგორ ვერ უნდა ისწავლოო! — აყვირდა ბატონი ზურაბი.

***ნინო ალავიძე***

## 5. ვისაც რა აკლია



კომუნისტების დროს წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის სააქტო დარბაზში, მასწავლებელთა კონფერენცია ტარდებოდა. 3-4 საათის შემდეგ შესვენება გამოაცხადეს და ყველამ სასადილოს მიაშურა. ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა ბატონმა ბონდომ სასადილოში ჩასვლა დააგვიანა და იმ დღეს მომზადებული ჩახოხბილიდან მხოლოდ ქათმის თავი და კისერი შეხვდა, რაზედაც დირექტორმა მიმტანს უსაყვედურა.

— ასეა, ბატონო ბონდო, ვისაც რა აკლია, იმას აძლევენ, — „იხუმრა" იქვე მაგიდის გარშემო შემომსხდარი ქალბატონებიდან ერთ-ერთმა შინაბერამ.

— ეს თუ ასეა, ჩემო თალიკო, შენ რაც გაკლია, იმას საინით არავინ მოგართმევს, — ვალში არ დარჩა ბატონი ბონდო.

***„ამო" ქ. წყალტუბო***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**6.** გაცხარებული ომის დროს სვანი სანგარშია ჩამალული და ყვირის:

— ექიმი, ექიმი!

— რა გაყვირებს, დაჭრილი რომ არა ხარ? — მოირბინა მედდამ,

— დაჭრილი არა ვარ, მაგრამ, რომ დავიჭრა, სად გეძებო მერე?

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**7.** მარომ ქმარს სადილი მოუმზადა. შემოვიდა ნაჯაფარი მიხო და პირდაპირ სუფრას მიუჯდა.

— რას გიგავ, კაცო, ხელები, მაგით აპირებ ჭამასა? — შეიცხადა მარომ.

— ეხლა დაბანა მეზარება, დედაკაცო...

— ჰმ, გაილოკე მაინცა ქაა, არ მოიწამლო!

***ქეთევან მაღლაკელიძე, ქ. კასპი***





**8.** სვანი დგას მდინარეში პალტოთი. ჩაყურყუმალავდება, გადაგორდება ფსკერზე და ამოყურყუმალავდება. მერე კიდევ და კიდევ... ჰკითხეს, რას აკეთებო? — პალტოს ვრეცხავო, უპასუხა. — მერე, დალოცვილო, სარეცხ მანქანაში გარეცხე, ხო გაქვსო! — იქ თავბრუ მეხვევაო, — ამოიოხრა სვანმა.

***ეკა სვანიძე, თბილისი***

## მილოცვა



**გიორგი ნადიბაიძეს!**

ჩვენო საყვარელო გიორგი, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას შენს საყვარელ მშობლებთან და დაიკო ლიზიკოსთან ერთად.

გფარავდეს მაღალი ღმერთი.

*მზია ბებო და ვაჟო პაპა*



ჩემს პირველკლასელ იუბილარს, ჯღუბა **გიორგის ძე ბერიაშვილს!**

მოგილოცავთ 21 სექტემბერს, 7 წლის შესრულებას. სულ ასეთი კარგი იყავი, ხოლო ქვეყანაზე დიდხანს იყავი. გფარავდეს ღმერთი, მუდამ თან გდევდეს მადლი ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის.

*შენი ეთერი ბებო, ავთო პაპა*

**გუგა თოფურიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, 22 სექტემბერს – ათი წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას, შენს საყვარელ მშობლებთან, ბებია-ბაბუებთან და ძამიკო დაჩისთან ერთად. ღმერთმა დაგიფაროს და გაგაძლიეროს.

*კობა ჯიქია*



**ლიკუნა დარჩიაშვილს!**

გილოცავთ, ლიკუნა, დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და სულ წინსვლას, სწავლასა და ცხოვრებაში.

*შენი ლია ბებო და ომარი პაპა.*

**რომა გოჩას ძე ხაბელაშვილს!**



ჩემო სიცოცხლევ, ჩემო პატარა ანგელოზო, გილოცავ დაბადების დღეს, 1 ოქტომბერს. გისურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს, კარგად სწავლას, ულევ სიხარულს და ბედნიერ ცხოვრებას. შენა ხარ ჩემი ცხოვრების ბურჯი. ჩემო სიამაყევ, ჩემი შვილის მაგიერო, ძალიან მიყვარხარ, რომა, ბებო, მენატრები ძლიერ, ძლიერ. არავის აქვს უფლება, შენს სიყვარულში დამტუქსოს. შემეხმიანე, ჩემო ერთადერთო იმედო. იცოდე, შენს მეტი არავინ მყავს.

*დაბადების დღეს გილოცავ, რომა,*
*შენ გენაცვალოს შენი ბებია,*
*ყველა მიზანი შეგისრულებოდეს,*
*რაც ტკბილ ოცნებით გიოცნებია.*
*მინდა გისურვო ყველა სიკეთე,*
*რაც ბუნებისგან ნაბოძებია,*
*დაგლოცოს ღმერთმა, სალოცავებმა,*
*მეც გულით გლოცავ შენი ბებია.*
*იყავ დღეგრძელი, სვებედნიერი,*
*დარდი შენს გულსა ნუ მისცემია,*
*სულ ფრთაგაშლილი დანავარდობდე,*
*შენ გენაცვალოს შენი ბებია!*

*გკოცნი ბევრს საბერძნეთიდან,*
*დალი ბებო (ათენი)*



**დათო ხუცურაულს!**

გილოცავ პირველ კლასში ჩარიცხვას. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს, წარმატებებს სწავლაში. გაიზარდე სასახელო მამულიშვილი. ძალიან მიყვარხარ ჩემო თვალხატულა ბიჭო.

*შენი ციალა მამიდა*

## მადლობა

**მადლობა პატრულს!**

გურიიდან ვბრუნდებოდით. უკანასკნელი კაპიკები მგზავრობაში გადავიხადეთ, მაგრამ სამწუხაროდ, გზაში მანქანა გამიფუჭდა. სასოწარკვეთილნი ზაფხულის ხვატში ღვთის იმედადღა ვიყავით.

ჩვენდა გასაოცრად, საპატრულო პოლიციის მანქანა გამოჩნდა. როგორც გაირკვა, ისინი VII განყოფილების II ოცეულის თანამშრომლები იყვნენ. გაფუჭებული მანქანა თავიანთ ავტომობილს გამოაბეს, უახლოეს პროფილაქტორიაში წაგვიყვანეს, უსასყიდლოდ შეგვიკეთეს მანქანა და უკვე იმედიანად გავაგრძელეთ გზა თბილისისკენ. პოლიციელებმა თავიანთი მობილურის ნომერიც მოგვცეს – თუ რამე გაგვიჭირდებოდა, კვლავ მზად იყვნენ დახმარების აღმოსაჩენად(!).

მადლობა მინდა გადავუხადო საპატრულო პოლიციის VII განყოფილების II ოცეულის 1704 ეკიპაჟის თანამშრომლებს, კახას და გიორგის, მათ ხომ თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს, რაც ჩვენს დროში მართლაც რომ გასაკვირია.

*ფირუზ ფხაკაძე, თბილისი*

## ბინები

იყიდება 3-ოთახიანი (მიშენების ხარჯზე), გარემონტებული ბინა აივნით, ბ/აირით, გათბობით, ავზით, რკინის კარით, ტელეფონით, სამზარეულო ბარით, 8(2), საბურთალოს ქუჩაზე, შუაში. ს/ფ: $25.000. ტელ: 899 261-060; 38-16-78

სასწრაფოდ! ბორჯომში, პრესტიჟულ ადგილას, IV სამმართველოს წინ, ფიჭვნარში, ახლაშენებული, მონოლითურკარკასიან, ელიტურ 4-სართულიან სახლში, III სართულზე, 5-ოთახიანი ბინა (194კვმ), ფართი აივნების გარეშე, 5 აივნით (25კვმ), ა/ფარეხით (50კვმ) და სარდაფით (50კვმ). ფასი: $39.700-ის ეკვივალენტი ლარებში. ტელ: 96-85-67; 65-02-00; 899 29-19-59. ირაკლი

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა, ს. ჩიქოვანის (ყოფ. ხილიანის) ქუჩაზე, საცხოვრებლად ან საოფისედ, I სართულზე, ევრორემონტით, რკინის კარით, ჟალუზებით, ბ/აირით, ცხელი წყლით, ტელევიზორით, მაცივრით, ტელეფონით, საკაბელო ტ/ვ-თი, საჭირო ავეჯით. ფასი $170. ტელ: 899 50-96-10. გიორგი

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სისხლიანი სიყვარულის" რედაქცია სამუშაოდ იწვევს 18-დან 35 წლამდე მანდილოსნებს სარეკლამო აგენტისა და მენეჯერის თანამდებობაზე. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899-56-32-59

საქართველოში მ/წ სექტემბრიდან კიდევ უფრო გააფართოვა თავისი არეალი და შესაძლებლობები მსოფლიოში უძლიერესმა ფინანსურმა ჩინურმა კორპორაციამ. გიწვევთ უ/განათლების 23-55 წლამდე პირებს თავისუფალი გრაფიკით. ვისაც სურს სოლიდური, მყარი, ყოველთვიური მაღალი ხელფასი, გამოგვეხმაურეთ: 34-63-64; 899 17-69-24. ომარი

ვითარდება ამერიკული პროგრამა. კადრების მომზადება ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. გარანტირებულია დასაქმება. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

## მომსახურება

ეპილაცია უნემსოდ, ფრანგული აპარატით, უმტკივნეულოდ, უკვალოდ, ყველაზე შედეგიანად. ერთი ამოღებით გაგათავისუფლებთ ჭარბი თმისგან. მეჭეჭიანი, ნამეჭეჭარი ლაქების, ტალების და ჭორფლის განკურნება უმოკლეს ვადებში. შემოგთავაზებთ მცენარეულ ნაყენებზე დამზადებულ კოსმეტიკურ კრემებს, ლოსიონებს, საპნებს. თქვენ უთუოდ კმაყოფილი დარჩებით. კოსმეტოლოგი ნათელა. ტელ: 33-33-18; 893 36-94-24

გთავაზობთ გახდომას სწრაფად და ეფექტურად, თვეში 15 კგ-ის დაკლებით. სიმაღლეში ზრდა, 2-დან 20 წლამდე, თვეში 2-4 სმ-ის მომატებით. მის: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმია", I სართ, ოთახი №6, ლელა. ტელ: 34-02-38

ვღებულობთ შეკვეთებს მდინარეების და ხევების ნაპირსამაგრი ქვის ჯებირების მოსაწყობად, ნებისმიერი ზომის და უჯრედის 4 მმ დიამეტრის მქონე მავთულით დამზადებული „გაბიონის" გამომწვარ ბადეებს. ტელ: 899 14-28-16

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე, ტახტებზე, მატრასებზე; სკამებზე ნაჭრის შეცვლას, დარბილებას. ტელ: 76-01-33 გია (საღამოს)

ნათელმხილველი აშიშა კვლავ თბილისშია და აგრძელებს მიღებას ძველ მისამართზე. მკითხაობა, ჯადო-თვალის, წყევლის, ჩაკეტილი ბედის დაზუსტება-მოხსნა, თილისმები, ოჯახური, მეგობრული და პირადი უსიამოვნებების მოგვარება. მიღება მხოლოდ წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 893 96-94-51

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^{0}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გაბრიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის („პახმელიის") სინდრომის მოხსნა, შიშები, ჰალუცინაციები, ავრესიები, ჰეპატიტები. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან მალულად. პრეპარატები მცენარეულია, უსაფრთხო და მაღალეფექტური. გაჯერებულია ვიტამინებით. დამზადებულია კრემლის ლაბორატორიაში. ტელ: 53-08-02; 99-75-90 (სამს.) თამრიკო

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანის დაბინძურებისაგან ორგანოების გაწმენდა, მკურნალობა. ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა: 1. ნევროზები; 2. ჰეპატიტები (C ჰეპატიტი); 3. ჰალუცინაციები; 4. არითმიები. მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორიის სერტიფიცირებული პრეპარატები (მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც). ტელ: 899 22-63-90. ნინო ექიმი

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით: შიში, ნევროზი, დეპრესია, ჰალუცინა, თავის ტკივილები, მაღალი წნევები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, ნაადრევი და უნებლიე სპერმის გამოყოფა. ტელ: 35-17-48. დათა

უმაღლესი დონის ფსიქოთერაპევტთა მომზადება. ფსიქიკური აშლილობის მკურნალობა. ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი". (ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი). ტელ: 93-11-05; 57-37-13

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, საოპერაციო დისკოზები (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი, შაკიკი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. მიღება რკინიგზის პოლიკლინიკაში წინასწარი ჩაწერით ტელ: 39-39-97; 61-02-97; 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება. ხმაურის, ყურის ანთების, ტკივილების მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტთათვის. ვმკურნალობ აგრეთვე სხვა დაავადებებს. მის. ვაკე, ჭავჭავაძის 37/ა. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, თენგიზ აბულაძის ქ. №8, სამების ეკლესიის უკან. პაციენტების მიღება – 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42; 899 97-85-46. ლევან სეხნიაშვილი

## ვასწავლი

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აგრძელებს მსმენელთა მიღებას: 1. სამართალმცოდნეობა; 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 200 ლარიდან. მის: ს. ეულის ქ. მსხვილგადამხდელთა ინსპექციის შენობის მე-6 სართულზე. ლიფტი მუშაობს. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15

წარმოებს მოსწავლეთა მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შესწავლება: სახის კანის დეფექტები, მალამოები, მკვებავი, დეკორატიული სამკურნალო, კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. შეღავათები ეხება სტუდენტებს, მრავალშვილიან, ობოლ, უმუშევარ და ლტოლვილთა ოჯახებს. მის. დადიანის 26 ან აღმაშენებლის 90. ტელ: 69-09-19; 95-47-67; 893 33-09-66

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან არსებული სკოლა-ლიცეუმი აცხადებს მიღებას X-XI კლასებში. მოსწავლეთა მომზადება მოხდება ტესტური გამოცდებისათვის. ფასი $350. სოლოლაკი, პაოლო იაშვილის 22. ტელ. 99-53-75; 36-32-97 (საღამოს)

შევასწავლით კომპიუტერზე მუშაობას საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail. საგამომცემლო: Pagemaker, Photoshop, CorelDRAW, QuarkXpress. არქიტექტურა, დიზაინი, ანიმაცია: ArchiCAD, AutoCAD, 3-d MAX, ვებ-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის: მ. „რუსთაველთან", „კინო სახლის" შენობის უკან. გაბაშვილის ქ.№7. ტელ: 98-80-23

სიახლე! ერუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე". ჩაწერა ყოველდღე, 12.00-15.00 სთ. მის: მეტრო „რუსთაველი, „კინოს სახლის" შენობის უკან, გაბაშვილის ქ. №7. ტელ: 98-80-23. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web-დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით.

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. პარიკმახერი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №115 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა! ჩვენი მისამართებია: ლადო ასათიანის №28; მუხიანის დასახლება, I მ-რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს აბიტურიენტებს ინგლისურში, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

## იყიდება

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ, ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან – ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 300. კომპლექტის ფასი – 270 ლარი. მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი ფასი – 400-450 ლარი მონტაჟით. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

34 სმ-ზე გრძელ თმას. ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.







## დალი ჩხაიძის გახსენება



კიდევ ერთი დაბადების დღე უშენოდ, ჩვენო ძვირფასო დალი! დღეს, 23 სექტემბერს, მეგობრებს უნდა მოგვეკითხა 60 წლის შესრულება, რომელიც აღარ დაგვცალა მუხთალმა წუთისოფელმა და ცათა სასუფეველს გილოცავთ ამ დღეს. მახსენდება, როგორი სიხარულით ვიკრიბებოდით შენ ირგვლივ შენს ოჯახში ყველა ახლობელი და მეგობარი. ამჯერად ჩვენ თვალცრემლიანი მოგვაქვთ თქვენს საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ თქვენს ლამაზ სულს. როგორი ულამაზესი სიკვდილი. რა იმედია, აქვეყნად უფრორო სიკვდილი არ არსებობს... მაგრამ „ერთადერთი, რითაც უფროო სიკვდილი აჯილდოებს ადამიანს – მარადიული ახალგაზრდობა" და ჩვენც ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი გვემახსოვრები ყველას.

როგორ დაგვაკლდა და გვაწყინე გული, ჩვენო ლამაზო, ჭკვიანო, სულით მდიდარო. არა მარტო შენი ოჯახი, მეგობარ-ნაცნობებიც ცრემლებით გიხსენებენ. საოცრად მოწყალე, თბილი, სხვათა შემწე და თანადგომის ნიჭით აღსავსე იყავი. ძალზე ძნელია შენზე თქმა – იყავი. შენ მუდამ ჩვენთან იქნები. დიდი აკაკის სიტყვებს მოვიშველიებ – შენებრ რჩეულებს აიშვიათ ერთხელ ზეცა უგზავნის მიწას იშვიათს. დიდი იმედი იყავი ყველასთვის. დალი, შენ ის პიროვნება იყავი, რომელმაც უანგარო სიყვარული, მეგობრული და თბილი ურთიერთობით, დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე მეგობრებს შორის. გვიჭირს უშენოდ, და შენ ჩვენთან ყოველთვის ცოცხალი იქნები. ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

და ბოლოს მინდა მოგმართო ლადო ასათიანის სიტყვებით: ნათელო ქალბატონო, სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებს.

*ლია ადამია*

## მამუკა შერვაშიძის გახსენება



ჩვენო მამუკა! უკვე ორმოცი დღეა, რაც დატოვე ეს წუთისოფელი და მარადისობაში გადაინაცვლა შენმა მშვენიერმა სულმა.

ჩვენო უსაყვარლესო და უკეთილშობილესო ადამიანო! წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი, დარდი და ნაღველი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს.

რით ვანუგეშოთ შენი ცოლ-შვილი?! – იქნებ იმ შენი გულის სითბოთი, შენი კაცობით და იმ სიყვარულით, ყველას რომ უწილადებდი. ჩვენ ხომ ყველანი ვგრძნობდით შენს გულწრფელ, დაღლილ თანადგომას ჭირსა და ლხინში და რაც მთავარია, ვგრძნობდით უზადო სიკეთეს.

შენი ჩამოსვლა ჩვენთან და ჩვენი – თქვენთან, უზარმაზარი სიხარული გვქონდა. ბევრი ღამე დაგვითენებია საუბარში. ბევრი გვქონდა მოსაგონარ-გასახსენებელი.

ძნელია ამ მწარე ხვედრთან შეგუება, მაგრამ ვინ წავა განგების წინააღმდეგ?

უსაზღვროდ დიდი სიცარიელე დაგვიტოვე შენი წასვლით, მაგრამ სანუგეშოდ ანთებული სიცოცხლის ცეცხლი მანამდე იარსებებს, ვიდრე იქნებიან შენი შთამომავლები ამ ქვეყანაზე. ტკბილი და კეთილი მოგონებები ერთმანეთს გვაახლოებს და კიდევ ბევრჯერ გაგვახსენებს, რომ ცხოვრება მხოლოდ კაცურკაცურად უნდა იყოს.

დღეს შენი სული სამშვიდობოს წარდგება ღვთის სამსჯავროს წინაშე და უფლის ნებით, საქვეყნოდ დაიმკვიდრებს მართალ სულთა სასუფეველს.

*ელერი თარხნიშვილი, ტარიელ ქორიძე, ნანა და დათო ქორიძეები ოჯახებით*

## ია მდივნიშვილის მონატრება



22 სექტემბერს 3 წელი გავიდა იმ საშინელი დღიდან, როდესაც შენ დატოვე ამქვეყნიური წუთისოფელი და იმქვეყნიურ სასუფეველში გადაინაცვლე. დაგვტოვე ჩვენც და დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი. უსაზღვროდ ენატრები შენს ოჯახს.

შენი კეთილი სულისთვის 51 წელი ხომ ძალიან მცირე ასაკი იყო. როგორ გინდოდა სიცოცხლე შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, მაგრამ არ დაგცალდა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, შენი სულისთვის ვილოცოთ და აქედან გაგინათოთ სასუფეველი. შენ ხომ ჩვენს ოჯახში ყველაზე გამორჩეული, კეთილი და მოსიყვარულე იყავი.

უზომოდ გვენატრები და გვენატრება შენი სითბო, ალერსი და ღიმილი.

გეფერებით და გკოცნით შორიდან.

*შენი ოჯახი*

## ზამო ზარქუას გახსენება



ორმოცი დღე გავიდა, ჩვენო ზამო, რაც შენი სხეული მარჩენალმა მიწამ მიიბარა. და აი, შენმა სულმაც დაგვტოვა, რომ სამოთხის კარი გაგიღოს და მაცხოვართან წარგადგინოს.

გვჯერა, მარჩენალი ნათელში მიგიჩენს მარადიულ სამყოფელს... შენ ეს შენი უშურველობითა და მოყვასისადმი სიყვარულით დაიმსახურე...

მაგრამ... ძნელი, საოცრად ძნელი გამოდგა უშენობა შენი საყვარელი და მოსიყვარულე ოჯახისთვის, შენი მეგობრებისა და კოლეგებისთვის, რომელთაც შენი გულის სითბო და კეთილი ღიმილი, თანადგომა და იმედი მოაკლდათ...

ეს სტრიქონები შენი გახსენებისა არ არის, ჩვენო ზამო, რამეთუ შენ აქ არც არავის დავიწყებიხარ და არც არავის დაავიწყდები. ეს სტრიქონები იმ გულისტკივილის გამოხატულებაა, რომელიც მოკვდავთ ამქვეყნიურობის წარმავლობას შეახსენებს და ღვთისგან ნაჩვენებ სიკეთის გზას უნათებს, გზას, რომელიც მარადიული და ნათელი სამყაროსკენ მიდის...

იძინე მშვიდად, კაცო კეთილო და სიკეთის მთესველო, შენ ჩვენთან ხარ!

*ოჯახის ახლობლები და მეგობრები*

## დათო!

*„ცხოვრება მართლაც ფანდია,*
*ბოლოს გვითხრიან სამარეს,*
*უთქმელი დიდი დარდია,*
*ნათქვამი ჰარი-ჰარალე..."*

შენი საყვარელი სიმღერის სიტყვებია, შვილო. რა უთქმელი



დარდი გქონდა ისეთი, სამარეში რომ წაიყოლე?!

ჩემო ნაბოლარა შვილო, მენატრები. ყოველი დილა და ღამე შენზე ფიქრით იწყება და აღარ მთავრდება. უშენობამ დამღალა. რა ხელი ჰქონდა სიკვდილს შენთან?.. ისეთი ლამაზი იყავი, თვალს ვერ გაშორებდა ნაცნობი თუ უცნობი.

ამ გაზაფხულს ვერ მოვესწრებიო, – ამბობდი, წინასწარ გრძნობდი, რასაც გიმზადებდა ბედი.

რატომ წახვედი? ყველას მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვე. ენატრები შვილს ირაკლის, უკვე 19 წლისაა და ძალიან სჭირდება მამა. ძმები უშენოდ ფრთამოტეხილები დადიან, ძმისშვილები ლოცვებს გიკითხავენ. დააკლდი მეგობრებს, ახლობლებს, მთელ თბილისს... შენი ცოლი ვის იმედად დატოვე?

შენზე მოგონებებით მიდგას სული, შვილო, სურათებს ვეფერები, სანთლებს გინთებ... ჩემო ბობოქარო ბიჭო, 36 წელი იცოცხლე მხოლოდ. საოცარი გული გქონდა სითბოთი და სიყვარულით სავსე. სიცოცხლე გიყვარდა... მალე 1 წელი გავა მას მერე, რაც საზარელმა ავარიამ სამუდამოდ შეაჩერა, შვილო, შენი ლამაზი გულისფეთქვა. ვინ იცის, კიდევ რამდენი გაზაფხული გავა უშენოდ? ვინ იცის, როდის გნახავ? სიტყვები არ მყოფნის.

*„უთქმელი დიდი დარდია,*
*ნათქვამი ჰარი-ჰარალე..."*

უსაშველოდ მენატრები, უშენობამ დამღალა...

ღმერთო! ნათელში ამყოფე ჩემი დათოს ლამაზი სული.

*შენი საყვარელი დედა*

## 21 სექტემბერი ოთარ (ოთო) ქილიფთარის დაბადების დღეა



მოვიდა შენი დაბადების დღე (ღვთისმშობლობას ხომ 24 წელი შეგისრულდებოდა), რომელიც შარშან სიხარულით აღნიშნე შენს მეგობრებთან ერთად. ალბათ, გული გიგრძნობდა, რომ რამდენიმე დღეში (5 ოქტომბერს) ჩვენი დამაქცევარი ავადმყოფობა შენს თავს სამუდამოდ დაგვაკარგვინებდა. დღე, რომელსაც უშენოდ პირველად ვხვდებით, ცრემლითა და გაუსაძლისი ტკივილითაა გაჟღენთილი.

გვენატრები, ოთო, უსაშველოდ გვენატრები!..

შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა ბედმა, ჩვენ კი – მარადიული ტკივილი, ცივი ქვის ყურება და შენი სურათის მოფერება.

შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება. ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ ასე ნაადრევად დაფერფლილ შენს სიცოცხლეს. იმის გაფიქრებაც კი გვიჭირს, რომ სამუდამოდ დაგემშვიდობეთ...

ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული, ჩვენო ოთო, რისთვისაც განუწყვეტლივ ინთება სანთელი თბილისში, ცხემლისხიდსა და თიანეთში (შენს დედულეთში), სადაც შენები დავრჩით ასე უნუგეშოდ.

*შენი უსაზღვროდ მონატრებული მშობლები, და, მამიდა, ბიძა ოჯახით; პაპა, დეიდები, ბიძები (რიგიშვილები), ბიცოლები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მეგობრები*

## გოგა ლატარიას გახსენება



შემოდგომა ტაატით შემოდის თბილისში, ფოთლებს ნელ-ნელა ეცვლება ფერი... ფერისცვალებაა ჩვენს გულებში. ტკივილი განუზომელი და მონატრების სურვილით გამთბარი...

ძვირფასო გოგა, მეორე წელია, რაც ჩვენგან წახვედი და მარადისობაში გადაინაცვლე. თან გაიყოლე ის ლამაზი ნაოცნებარი, რომელსაც თურმე ასრულება არ ეწერა.

დრო არ ყოფილა ადამიანის მკურნალი. ძალიან გვიჭირს უშენობა. დარდით დაიფერფლნენ დედა, მამა, შენი ძმა, ახლობლები და მეგობრები – ყველა, ვისაც უყვარდი და დააკლდი.

მხოლოდ ვიდეოფირიდან გვიღიმი, მხოლოდ ეკრანებზე ვუყურებთ შენს სახეს და ამითღა ვიმშვიდებთ თავს...

მაგრამ ძალზე გვიჭირს უშენობა, ჩვენო განუმეორებელო, სანატრელო გოგა.

*ნათია და ნინო წურწუმიები*

## თამრიკო სამადაშვილის მონატრება



*შენი ვარსკვლავიც მოსწყდა*
*მნათობებს,*
*ჩაქრა მაგ თვალთა ბრწყინვა,*
*მშვენება,*
*ტანჯვით, ტკივილით წახვედი*
*ჩვენგან,*
*უშენოდ ყოფნა გაგვიძნელდება.*
*წახვედი, მაგრამ გული აქ*
*დავრჩა,*
*გული სევდით და დარდით დაღლილი,*
*ყველას უყვარდი – დიდს და პატარას,*
*არ დაგივიწყებთ, სანამ ვიქნებით.*
*მოგვენატრება შენი კისკისი,*
*რუსულ-ქართულად აჭიჭინება,*
*შენი ხმის ტემბრი წმინდა, ანკარა,*
*ჩემო თამრიკო, სულ გვეხსომება.*
*აბა, შენ იცი, კარგად იარე*
*იქ, ნანა ჯაში შეგეგებება,*
*უკვდავებაში ადრე წასულებს*
*სამარადისოდ ხსოვნა გექნებათ.*

*მერი ფხოველიშვილი, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი*

## ვახო გოჯიაშვილის მონატრება



ცხოვრებაში ყველაზე დიდი, ენით აუწერელი ტკივილია, როცა მშობელი შვილს დაკარგავს.

20 სექტემბერი, ჩემო პირველო სიხარულო, შენი დაბადების დღეა. მეშვიდე წელია, უშენოდ ვიტანჯებით. ქედს ვიხრით შენი ამაყი სულის წინაშე და თვალცრემლიანი გილოცავთ დაბადების დღეს.

შენს საფლავთან ყოველთვის მოვალთ, მოგიტანთ ყვავილებს, აგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, გაუხარელი სული.

*თვალცრემლიანი დედა*

## თამაზ ხორგუანის გახსენება



მამა! ეს უმისამართო ბარათია შენთან მოწერილი, რომლის ცრემლიან შინაარსაც კეთილი ანგელოზები მოგაწვდიან სულეთის მშვენიერ საუფლოში. ვერაფერი ვიღონეთ შენს გადასარჩენად და ამ ცრემლიანი ღაღადისით იქნებ ხსოვნა გაგიხანგრძლივოთ.

თავს საშინელი მეხი დაგვცა უბედურებამ, აზროვნების, მხედველობის უნარი წარგვტაცა. მხოლოდ ის გავაცნობიერეთ, რომ რაღაც შემზარავი ხდებოდა.

არ გვჯეროდა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა. შენ თუ გაგვწირავდი, ღმერთი მაინც დაგვინდობდა.

ძლივს ვუმკლავდებით გულის გაუსაძლის ტკივილს, არაადამიანური ძალისხმევით ვიოკებთ ნიაღვრად მოვარდნილ ცრემლს... დრო კი მიცოცავს და უშენობით გვიწამლავს წამებს. დრო უფრო გვიმძაფრებს ტკივილს.

დედის ტანჯვა უფრო გაუსაძლისს ხდის ჩვენს ყოფას. უფსკრულის კიდეს ჩაბღაუჭებული, თავს აიძულებს, სიცარიელეში იყუროს. მისთვის ხომ უშენოდ სამყარო დაცარიელდა. ვერაფრით ემორჩილება აზრს, რომ აღარ არსებობ.

წარსულითღა ვცოცხლობთ, მამა! ვიხსენებთ შენს ჟესტებს, ღიმილს, გამოხედვას, საყვარელ ფრაზებს... ცრემლიანი თვალებით შევყურებთ შენს ფოტოებს, მაგრამ ყველა ტკბილ მოგონებას დაღად ასვია – „აღარასოდეს". ყველაფერს გავილებდით ქვეყნად, ოღონდ ცოცხალი დაგვენახე უცებ.

იძულებულნი გაგვხადე, შეუბრალებელ უშენობას შევეჩვიოთ, ცხოვრება განვაგრძოთ და როგორმე შევაჩეროთ აზრი, რომ უშენოდ უაზროა ყველაფერი.

და აი, მამა, მოვიდა შენი პირველი დაბადების დღეც... უშენოდ, რომელსაც ვერ მოგილოცავთ, ვერ მოგეფერებით. გავა დრო. ცხოვრების მორევი ისევ ჩაგვითრევს და მშვენიერებით ტკბობის უნარს დაგვიბრუნებს, მაგრამ უშენობით გამოწვეულ ტკივილს რა შეანელებს?!

სულის ტკივილამდე გვენატრები, მამა და დაბადების დღეს გილოცავთ.

*შენი ოჯახი*

## ვასიკო ხატიაშვილის მონატრება



16 სექტემბერი, 1966 წელი, ეს ხომ შენი დაბადების დღეა. ამ დღეს ყოველთვის ბედნიერად ვხვდებოდით ყველა. მიდიოდა წლები – 2000 წელი საბედისწერო აღმოჩნდა ყველა ჩვენგანისათვის. 8 აპრილს უეცრად გამოგვეცალა შენი ლამაზი სული და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გაუნელებელი ტკივილი.

16 სექტემბერია – ამ დღეს გილოცავ, ვასიკო. ვერასოდეს დაგივიწყებს შენი დეიდა ციური და ირგვლივ ყველა, ვინც შენ გიცნობდა.

გვინდა გვახსოვდე ისეთი, როგორიც იმ ავადსახსენებელ დღემდე იყავი – მუდამ კოხტა, ლამაზი და მომხიბვლელი. ნათელში იყავი, ჩვენო ვასიკო.

*დეიდა ციური*

## ვასიკო ხატიაშვილის გახსენება

მეოთხედ მოვიდა სექტემბერი, ვასიკო, ისევ უშენოდ. ყველასთვის – სიხარულით, ჩემთვის – ცრემლებით, ტკივილით, მოგონებებით. დრო მკურნალიაო... მაშინ რატომ არ ილევა ეს ტკივილი?! წახვედი და გვასწავლე მონატრება, გაუსაძლისი ყოფა შეგვაძლებინე. სიკვდილის შიში დავკარგეთ, რადგან მანდ შენ გვეგულები.

თექვსმეტი სექტემბერია, შენს საფლავზე ოცდათვრამეტი სანთელი ანთია. მე, ლევანი, ლუკა, შენი მშობლები, ძმა ზურიკო, ნინო, გიორგი, მარიამი, ციური ერთად გაყრით ცრემლებს. ღმერთს ვავედრებით შენს სულს, რომ ნათელში იყოს.

*შენი ირმა*

## კახა ნოზაძის გახსენება



19 სექტემბერს შენი დაბადების დღეა, პირველი დაბადების დღე, რომელსაც შენი ახლობლები უშენოდ ხვდებიან. შენი დედისთვის გაუფერულდა ყველაფერი. სიხარულმა ფასი დაკარგა. მუდამ თვალცრემლიანი და გულგატეხილია. ვერ ეგუება უშენობას. შენ სიცოცხლეში დიდ სიკეთეს და სიყვარულს თესდი, ამიტომაც მწამს, უფლის გზაზე კელაპტრად წაგიძღვება ის სიყვარული, რასაც ასე უანგაროდ გასცემდი. შენს დედას ნუგეშად ისღა დარჩენია, შენს საფლავზე მოვიდეს და წმინდა სანთლები დაგინთოს, რომ გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო კახა!

*მაკა ენუქიძე*

## მზია რეხვიაშვილის მონატრება



თვალცრემლიანი ვხვდებით ახალ სასწავლო წელს უშენოდ. დარდით და ტკივილით სავსეა ჩვენი გულები.

26 სექტემბერი – შენი დაბადების დღე, ჩვენი ზეიმიც იყო. დღეს კი სევდიანი სტრიქონებით გეხმიანებით მხოლოდ. თან გვდევს შენი თბილი, განათებული სახე, თვალები...

რა მოულოდნელად მიგვატოვე. სხვის ტკივილს რომ ყოველთვის იზიარებდი, რატომ ინახავდი შენსას ასე უხმოდ? ძნელია შენზე წარსულში საუბარი. სიმართლის მოყვარული, სიკეთის მთესველი, ურთიერთობებში ულალატო – ასეთად დარჩები შენი ახლობლებისა და სტუდენტების გულებში.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო მზია!

*შენი მეგობრები*

## გელა მელიას გახსენება



11 სექტემბერს მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. 32 წელი შეგისრულდებოდა, შვილო გელა. ცრემლითა და დარდით მოგიგონებთ. მოვალთ შენს საფლავთან ყვავილებით. მოგილოცავთ იმ დღეს ცათა სასუფეველში. მოვეფერებით შენს სურათს. მოვიგონებთ გარდასულ დღეებს.

ვერ შევეჩვიე, შვილო, უშენობას. მიჭირს უშენოდ სიცოცხლე.

ჩვენო საყვარელო გელა, ლოცვა და წმინდა სანთელი არასოდეს მოაკლდება შენს საფლავს. ყოველთვის ჩვენთან იქნები.

ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო საყვარელო შვილო გელა.

*დედა*

## სოფიკო სულაქველიძეს!



ჩვენო საყვარელო შვილო, დედიკოს მონატრებულო სოფიკო! თერთმეტი წელი დედა შვილს რომ ვერ ნახავს, ის რა სიცოცხლეა? ეს არის მოლოდინი შვილთან შეხვედრის, ეს დრო ჩემს შემთხვევაში დიდხანს გრძელდება.

მალე 21 წლის გახდები. იმ ავადმოსაგონარ 1993 წელსაც სწავლა 20 სექტემბერს დაიწყე, მაგრამ დედიკომ ვერ მიგიყვანა მე-4 კლასში, სიკვდილმა იმარჯვა და იმ დღეს, 20 სექტემბერს წამართვა ჩემი სოფიკო.

დრო ვერ ყოფილა მშობლების დაჭრილი გულის მკურნალი. შენს დაიკო თამრიკოსაც ძალიან ენატრები. დასასვენებლად წასულს ერთი გოგონა მიუმსგავსებია შენთვის, მასთან გადაღებული სურათები ჩამომიტანა, – დედიკო, ნახე როგორ ჰგავს სოფიკოსო. დღემდე ყველა ბავშვში შენ გეძებთ.

უკვე მეთერთმეტე წელი მიილია უშენოდ, მაგრამ შენი ხსოვნა თან ვერ წაიყოლა და სამუდამო დაღად დაასვა ჩვენს მეხსიერებას.

გვიყვარხარ და გვენატრები უფრო და უფრო ძლიერ. ლოდინს მივეჩვიე და სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდები.

## ლაშასა და ვალერის ხსოვნას!

ყოველ ცისმარე დილას თქვენი სახელი ჰქვია. ღამეც თქვენით ღამდება. გაუნელებელია ის მდუღარე ტკივილი, რასაც უთქვენობა ჰქვია...



რა თავზარდამცემი, რა უბედურების მომტანი იყო 2004 წლის 11 აგვისტო ჩვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის, ახლობლებისა და მეგობრებისთვის. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულნი, ჯან-ღონითა და ბედნიერებით აღსავსე ვაჟკაცები იყავით. არ გვეგონა, თუ ნაადრევად გიმუხთლებდათ წუთისოფელი და ასე ტრაგიკულად დაამთავრებდით იმ ლამაზ სიცოცხლეს, რომელიც ასე გწყუროდათ ორივეს.

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ ჩვენ გვერდით აღარ ხართ. ყველას გვენატრებით, ძალიან გვაკლია თქვენი ნათელი და თბილი ღიმილი. ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა თქვენი უმანკო სიცოცხლე. რა დაგვავიწყებს იმ ტკბილ და ლამაზ დღეებს, რომლებიც ერთად გავატარეთ. რამდენი გეგმა გვქონდა და რამდენი ოცნება დაგვრჩა შეუსრულებელი...

ჩვენო ძმებო, ყველა ჩვენგანის, ყველა თქვენგანის სიყვარული, მონატრება და თქვენს სახელზე აღვლენილი წირვა-ლოცვა გაგინათებთ ცათა სასუფეველს, სადაც განგებამ გარგუნათ მარადიული ყოფნა ასე ნაადრევად. ჩვენს გულებში თქვენს სახელებს დავიწყება არ უწერია.

ღმერთს რჩეულები უყვარს და თქვენც რჩეულები აღმოჩნდით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

*დიდი სიყვარულით, გაგა და ნიკა ბეჟუაშვილები*

## მაყვალა ტოტოლაშვილი-მღებრიშვილის მონატრება



ჩემო საყვარელო დედა! ჩემო მოუშუშებელო ჭრილობავ, 22 სექტემბერს 2 წელიწადი ხდება, რაც შენი თბილი, ალერსიანი ხმა აღარ გამიგონია. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო ძალიან მენატრება შენი თბილი მოფერება.

დედა, ენატრები შენს ქმარ-შვილს, შენს შვილიშვილებს. მოვალთ შენს საფლავზე. დაგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მაიკო პაპიაშვილი*

ჩემო ძვირფასო მაყვალა, როგორ მენატრება შენი ალერსიანი საუბარი. უკვე 2 წელი გავიდა და მაინც მგონია, რომ მაიკოს სახლის კარს შემოაღებ. არ ვიცი, რა სიტყვებით აღვწერო შენი ქართველქალობა. ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მუდამ შენი პატივისმცემელი ვიქნები.

მსუბუქი იყოს შინდისის მიწა შენს გულზე.

*შენი მძახალი ნათელა პაპიაშვილი*

## თამუნა მათითაიშვილის ხსოვნას!



ჩვენო საყვარელო თამუნა (ბაჩიტა)! რა მოულოდნელად წახვედი ამ ქვეყნიდან და რა გაუსაძლისი ტკივილი, სევდა და ნაღველი დაგვიტოვე გულში. თვალებიდან არ გამოგვდის შენი ლამაზი ღიმილი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე თვალები. რით ვუგეშოთ შენი საცოდავი მშობლები, როცა თვითონ ვერ ვპოულობთ ნუგეშს. ან რით შეიძლება ანუგეშო დედა, რომელმაც საყვარელ შვილთან ერთად შვილიშვილიც დაკარგა.

თამუნა, იქნებ ზეციდან მაინც მისცე შენს დედ-მამას და დაიკოს ძალა, რომ გაუძლონ ამ გაუსაძლის ტკივილს და იმით ინუგეშონ თავი, რომ შენ შენს პატარასთან ერთად იქ დაიმკვიდრებ მარადიულ სასუფეველს და ბედნიერი ღიმილით გადმოხედავ ყველას.

შენი მეზობლები ვერასოდეს დაგივიწყებთ და ყოველთვის ცოცხალი იქნები ჩვენს გულებში.

*შენი მეზობლები*

უფალო ჩვენო, ყოველდღე ვლახავ თითო საფეხურს და თქვენის ნებართვით მოვდივარ ზეცისკენ. მეორმოცე დღეს გემშორებით და ცრემლებით მოგეფერებით. მე არც მშია, არც მწყურია, არც გაზაფხულია ჩემთვის და აღარც სიყვარული.

ჩემო უფალო, მე სულმოუთქმელად დავყევი თქვენს ნებას, მივატოვე ყველა ჩემიანი, დედაჩემი, ჩვეული, მხიარული განწყობით რომ მიმაცილა ჭიშკრამდე, მე კი, ნაჩქარევად უკანმოუხედული, მალე დაბრუნებას შევპირდი, შევპირდი, მაგრამ აღარ დავბრუნდი.

ჩემო უფალო, თქვენდამი ზეციური სიყვარულით გევედრებით! ნუ წაართმევთ დედაჩემს ჩემს თავს სამუდამოდ. გევედრებით, სიზმრად დამაბრუნეთ მასთან, მომაფერებინეთ და მანუგეშებინეთ. ის ხომ, ყოველ წამს მეძებს და მეჩურჩულება. „მითხარი რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რითი მოგეხმარო შვილო?!". გემუდარებით, ჩემო უფალო, თქვენ მოგვეხმარეთ, დაგვიფარეთ, თქვენ ხომ ძალიან კეთილი ხართ!

*დღეს ღამე მოჰყვება,*
*ცრემლს – ჩემი სევდა,*
*სიზმრად მოსული მოგეფერები,*
*არ დაიდარდო, დედა!*

ჩვენ გვწერენ

# მან მაპატია, მაგრამ მე ვერ მიპატიებია თავისთვის

ალბათ ყველა მამაკაცი გამიგებს, რადგან მათაც ემახსოვრებათ, როგორი ამაყები და უხეშები იყვნენ 16-17 წლისანი. მაშინ ხომ თავი სრულფასოვანი მამაკაცები გვეგონა, არც მშობლის რჩევას, არც მასწავლებლის დარიგებას არად დაგიდევდით.

ეს ამბავი მაშინ დაიწყო, 16 წლის რომ ვიყავი...

სკოლაში ერთი ბიჭი ამოვიჩემეთ. ჩვენზე ერთი წლით უფროსი იყო, მაგრამ ჩვენს კლასში დასვეს. თურმე ერთი წელი ავადმყოფობის გამო გაუცდა. ეტყობოდა კიდეც სახეზე. რაღაცნაირი, დაბნეული იყო, თუმცა მაშინ ვფიქრობდით, გონებასუსტობის გამო დააბრუნეს ერთი წლით უკანო. ბესარიონი ერქვა, ბესიკოს ვეძახდით ირონიულად. მოკლედ, შევიძულეთ ახალმოსული, არ მივიღეთ, ვამცირებდით, როგორც შეგვეძლო.



შინისკენ. მოკლეზე გასვლა გადავწყვიტე და ბეტონის კედლებს შორის გავლა მომიხდა. მოშორებით ბიჭი დავინახე. ორივე ხელი გაეშალა და ისე იდგა, გვერდს ვერ ავუქცევდი. უკან მობრუნება არც მიფიქრია. უბანში ისეთი სახელი მაქვს, ჩემი სახელის ხსენება ნებისმიერ ქურდსა და ბაცაცას დააფრთხობს. მივუახლოვდი და ის ბესიკო არ შემრჩა ხელში?! ქუდი ჩამოეფხატა და სიცივისაგან ფერდაკარგული იდგა. გულმა რეჩხი მიყო, უკან მიბრუნდი. გადამარჩინეო, — მითხრა. გავიკვირვე, — შენ აქ დგახარ, მე უკან რა მინდა-მეთქი. ის კი იდგა, არ იძვროდა, ფერდაკარგული მიმეორებდა, — უნდა მიბრუნდე, უნდა მიბრუნდეო! მოდი ჩემთან-მეთქი, — ვუთხარი ბესიკოს. ვიფიქრე, შეშინებულია, ხელს გადავხვევ, დავამშვიდებ-მეთქი... ხელი გავიწოდე და არაფერი შემრჩა... ჰაერი იყო. ბესიკო იდგა, მაგრამ არც იდგა. მაშინ კი ვიკადრე უკან მობრუნება, თან სირბილით!

ჩიხიდან გამოვედი და ვხედავ, ოთხი ლაწირაკი ძირს დავარდნილს ურტყამს. რომ დამინახეს (მიცნეს!), აიწურნენ. გაგიჟებული ვეცი ბიჭებს, ზოგს კისერში წამოვარტყი, ზოგს — ხვალ მოხვალთ და დაგელაპარაკებით-მეთქი, დავემუქრე. მერე ნაცემი წამოვაყენე... ასე, 20 წლისა იქნებოდა. სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ჩემთან, შინ, ავიყვანე. ისე ვიყავი გაოგნებული, ხმას ვერ ვიღებდი. ყავა დავლიე, მასაც დავალევინე, სისხლი ჩამოვბანე, მერე, ვითომ სხვათა შორის ვკითხე: ბესარიონ ჯ-ს ხომ არ იცნობ-მეთქი. ახლა იმან აჯგიმა წარბები. ჩემი ძმა იყოო. რა, აღარ არის-მეთქი? ათი წლის წინ გარდაიცვალა, უკურნებელი სენი სჭირდა, სამი ოპერაცია გავუკეთეთ, მაგრამ არ ეშველაო...

ვიგრძენი, როგორ გამეჩხირა ყელში ბურთი. გავისტუმრე ბესიკოს ძმა, ვასწავლე, როგორ უნდა მოქცეულიყო, თუ ვინმე გალახვას დაუპირებდა, რა უნდა ეთქვა.

მეორე დილით, გრილმა სიომ შემოუბერა ოთახში. თვალი გავახილე. ისევ ის იყო, ჩემი გარდაცვლილი კლასელი. იღიმებოდა. მერე ჩემკენ ხელი გამოიშვირა და გარკვევით მითხრა: — არ იდარდოო... ისტერიკული ტირილი ამივარდა. სამწუხაროდ, სახელს ვერ გიმხელთ და ამბავს ვერც პირადად ვეტყვი ჩემი უბნის ბიჭებს, ჩემს მეგობრებს. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან კი დაე, ყველამ წაიკითხოს: ბიჭებო, არ დაჩაგროთ ერთმანეთი, რომ მერე არ იდარდოთ...

ბესიკომ კი მაპატია, მაგრამ მე ვერასდროს ვაპატიებ ჩემს თავს იმ განუკითხაობას.

ერთხელ, მარტში, გადავწყვიტეთ, უფროსებისაგან ფარულად ქალაქგარეთ გავპარულიყავით. მიკროავტობუსიც დავიქირავეთ (მძღოლს ფული წინასწარ მივეცით და აზრად არ მოსვლია ეკითხა, მასწავლებლებმა ან მშობლებმა თუ იციან რამეო...). ჩვენი გასეირნება ცუდად დამთავრდა. გზისპირა მოვაჭრეებთან ჩხუბი მოგვიხდა. უკვე თბილისთან ვიყავით მოახლოებული და სასმელიც გვარიანად გვქონდა მოკიდებული. გამყიდველი ქალი დაგვემუქრა, მილიციას (მაშინ მილიცია იყო) გამოვუძახებო. მე არც ვიცი, ზუსტად რა მოხდა. რომ მოვიხედე, დავინახე, ჩვენი ერთი მეგობარი ჩვენს ახალ კლასელს ეჩხუბებოდა. მიზეზი არც გვიკითხავს, ისე „დავერიეთ" ბიჭები და ბოლმა მასზე ვანთხიეთ. არც ეს ვაკმარეთ, მერე გზაზე გადავაგდეთ, ჩვენ მიკროავტობუსში ჩავსხედით და მძღოლი გინებ-გინებით ჩამოვიყვანეთ თბილისამდე.

დარჩენილი 2-3 თვე მას სკოლაში აღარ უვლია. ავად გახდაო, — გამოგვიცხადა მასწავლებელმა. ჩვენც დავიწყებას მივეცით იგი. ალბათ ყველას გვახსოვდა, მაგრამ თავს ვარიდებდით მის ხსენებას... ჩხუბის მიზეზიც კი არ გვიკითხავს ერთმანეთისთვის.

მას შემდეგ 12 წელი გავიდა. ამ ზამთარს სკოლის მეგობრებმა რესტორანში მოვილხინეთ და შეზარხოშებული მივუყვებოდი გზას

***ლ.კ. თბილისი***

# ყვავილი მეუღლის ჯანმრთელობას მატყობინებს



ყოველთვის მგრძნობიარე ქალი ვიყავი, ყველაფერს ზედმეტად განვიცდიდი ხოლმე. არაერთი ღამე გამითენებია ტირილში — ხან ქმარზე ვეჭვიანობდი, ხან მისი ნათქვამი სიტყვა მეჩოთირებოდა და ვიხეთქავდი გულს... ჩემი მეუღლე, ახლა რომ ვფიქრობ, ყოვლად უწყინარი კაცია, პროფესიით ქიმიკოსი, თავის ცდებში ჩაფლული, ხშირად იმასაც ვერ ამჩნევდა, რა ხდებოდა გარშემო. მე კი, სულელს, ესეც მაღიზიანებდა. ვფიქრობდი, ალბათ აღარ ვაინტერესებ-მეთქი და წიგნებს, რომლებსაც ის ჩაჰკირკიტებდა, თვალის დასანახად ვერ ვიტანდი.

ერთ საღამოს გახარებული დაბრუნდა შინ, შენთვის საჩუქარი მაქვსო. თვალახვეული გამიყვანა ლოჯიაში და მშვენიერი ქოთნის ყვავილი მომართვა. ეს ისეთი რომანტიკული იყო, ისე მომეწონა... წარმოვიდგინე, როგორ მოჰქონდა ნახევარმეტრიანი ყვავილი ტროლეიბუსით ჩემს მეუღლეს და სულ დამავიწყდა თუ ოდესმე გაბრაზებული ვიყავი მასზე. უცნაური ამბებიც იმ დღიდან დაიწყო ჩვენ ოჯახში.

ყვავილს განსაკუთრებულად ვუვლიდი. როცა ჩემი მეუღლე თავისი ცდებით იყო დაკავებული, მთელი ყურადღება ამ მცენარეზე გადამქონდა. სპეციალური წიგნიც კი ვიყიდე, შევისწავლე, როგორ უნდა მომევლო მისთვის.

ერთ საღამოს, მოულოდნელად ჩემი ყვავილი მოიითენთა, მსხვილი, ძლიერი ღეროები თითქოს მოემჩვარა. გული მეტკინა. ჭკნება-მეთქი, გავიფიქრე და სახლთან ახლოს ყვავილების მაღაზიაში ჩავიტანე. იქაურმა ბოტანიკოსებმა მხრები აიჩეჩეს, თქვენ როგორც ამბობთ, სწორად უვლით, ვერ გეტყვით, რა სჭირსო. დამწუხრებული დავბრუნდი შინ. კარი ღია დამხვდა. ოთახში ხალხი ირეოდა. ყვავილი იქვე შემოსასვლელში დავდგი და ოთახში შევვარდი. ტახტზე ჩემი ქმარი იწვა — სამსახურში ცუდად გამხდარა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაუყვანიათ... იქ პირველი დახმარება აღმოუჩინეს და მეგობრებმა შინ წამოიყვანეს. მთელი საღამო თავს დავტრიალებდი მეუღლეს, ცივ ნიავს არ ვაკარებდი. მეორე დილითღა გამახსენდა ყვავილი და დერეფანში გავედი. გაოცებისაგან პირი დავაღე. ჩემი საყვარელი მცენარე გაცოცხლებულიყო.

მას შემდეგ, ვაკვირდებით და გაოცება გვემატება: ყვავილს იმდენად მჭიდრო კავშირი აქვს ჩემი ქმრის ბიოველთან, რომ როცა მას რაიმე უსიამოვნება ხვდება, ის აუცილებლად „ყურებჩამოყრილია". შინიდან გაუსვლელად, ტელეფონზე დარეკვის გარეშეც შემიძლია გავიგო, როგორ გრძნობს თავს ჩემი მეუღლე — რამდენჯერაც რაღაც ვიეჭვე, ქოთნის ყვავილი არ მომეწონა, იმდენჯერვე ან სიცხიანი დაბრუნდა შინ, ან წნევა დაუვარდა, ან ცდა არ გამოუვიდა და ინერვიულა.

ორი წლის წინ მეუღლე უცხოეთში წავიდა სამუშაოდ. მიუხედავად სიშორისა, ჩემი მცენარე მაინც გრძნობს მის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

მეც შევიცვალე. ახლა ქოთნის ყვავილს სხვა თვალით ვუყურებ. რაკი ყვავილს ამდენის გაგება შეუძლია და ასეთი „სიყვარული" იცის, რამ გაყო ჩვენი და მისი დარდი, ჩვენი სიხარული და მისი სიხარული, ის უკვე ჩემი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია და ბოლომდე ასე დარჩება.

***ლარისა დოქვირი***

# უკვე ვიცი, სული უკვდავია...

„ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მე მაშინ პედტექნიკუმში ვსწავლობდი. დედა ძალიან მძიმედ გახდა ავად და საავადმყოფოში მოვათავსეთ. მე და ჩემი უმცროსი ძმა მის სანახავად ყოველდღე დავდიოდით. დედის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა და ექიმებს მისი გამოწერის იმედი ჰქონდათ.

ერთ საღამოს შინ ვიყავი და საკურსოს ვწერდი. უცებ დედის ნახვის საოცარი სურვილი დამეუფლა, მაგრამ გვიანი იყო და საავადმყოფოში წასვლა არ შემეძლო. რატომღაც ძალიან ავფორიაქდი, გულზე მძიმე ლოდი დამაწვა.

დიდხანს ვტიროდი და ჩამეძინა. სიზმარში ჩემთან დედა მოვიდა და მომეფერა, უცნაურად მიყურებდა. მაშინვე თვალი გავახილე და ჩემ წინ განათებული ბურთი დავინახე, რომელიც დედის ხმით მელაპარაკებოდა, მარიგებდა, მთხოვდა, ძმისთვის მიმეხედა. მერე კი დამემშვიდობა და მითხრა, — უნდა წავიდე, ჩემი დრო მოვიდაო... და გაუჩინარდა. თავზარი დამეცა, ავქვითინდი — ნუთუ სამუდამოდ გამომეთხოვა-მეთქი.

დილით მეზობლებმა შემატყობინეს, რომ დედაჩემი გარდაიცვალა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ სხეული კვდება, სული კი — უკვდავია.

***მაყვალა ბაიაძე, ქუთაისი***

**„საზალღო–სალაღო" გვერდის პასუხები**

I. ცოდნა

II. მე-6 და მე-11 უჯრები

**III. აბა, გამოიცანი**

1) — გ); 2) — ა); 3) — ბ); 4) — დ); 5) — დ); 6) — ა); 7) — დ).

# ხსოვნა



**დათო აღლაძის მონატრება**

უკვე გავიდა ოთხი ტკივილიანი წელიწადი, რაც შენ ჩვენ შორის აღარ ხარ, შვილო! ძნელია შეგუება იმისა, რომ აღარ ჰყავს ოჯახს ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელსაც უპატრონოდ დარჩა მოხუცი მშობლები, მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები. ოჰ, როგორ გვაკლიხარ ყველას, როგორ გნატრობენ შენი გოგოები.

რაც დრო გადის, გული მძიმდება, სიცოცხლე გაუსაძლისი ხდება, წლები ვერ კურნავს იმ ტკივილს, რასაც შენზე გამწარებული დედის ტანჯვად ქცეული სიცოცხლე განიცდის და რასაც უშენობა ჰქვია.

22 სექტემბერი შენი გარდაცვალების დღეა, 23 ოქტომბერი კი — დაბადებისა. 52 წელი გისრულდება, ჩემო ვაჟკაცო, მიწაში. ძალიან მიჭირს უშენობა. ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ ვერასოდეს გნახავ და მაინც ვცოცხლობ, ვტირი და ვეგუები, მენატრები და არ ვკვდები.

სიზმარში გნახე, მითხარი, — შენ დიდხანს უნდა იცოცხლოო. ალბათ გეშინია, კიდევ ერთი მზრუნველი ხელი არ მოაკლდეს შენს შვილებს.

ძალიან მენატრები, შვილო. ენატრები ყველას — მოხუც მამას, ცოლ-შვილს, დას, დისშვილებს და მეგობარ-ნათესავებს.

ჩემო სიცოცხლევ, იმედად ისღა დაგვრჩენია, რომ დაგინთოთ სანთლები და ვილოცოთ შენი სულის უკვდავებისთვის.

***ოჯახი***

**ნანა კუპრაძის გახსენება**



ჩვენო ნანუკა! უზომოდ დიდია მწუხარება, რაც შენთან მოულოდნელად განშორებამ განგვაცდევინა.

ისეთი სათნო, უხმო და მოღიმარი სახით იტანდი იმ საშინელ სნეულებას, რომ ვერავინ მიგიხვდა, წინ რა გელოდა. ამიტომ იყო ასეთი მოულოდნელი შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. ანგელოზივით გაგვიფრინდი, პირდაპირ ზეცაში ახვედი.

შენგან „არა" არავის არასოდეს სმენია, შენი ხანმოკლე ცხოვრება სიცოცხლით სავსემ განვლე. ლაღი იუმორი, სილამაზესა და სიცოცხლის ხალისს მატებდა შენს გარშემომყოფთ.

შენ ირგვლივ ყველაფერი მშვენიერი იყო. 22 წელში რამდენი სიკეთისა და სიყვარულის დათესვა მოასწარი. ვფიქრობ, უფალმა ასეთი გამორჩეული თვისებების გამო გაგარიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს და თავისთან გიხმო.

შენმა წასვლამ აუტანელი სიმწარითა და ტკივილით შეძრა შენი საყვარელი დედიკოს, საყვარელი დაიკოების გულები. შენ ხომ ნინოს ტყუპისცალივით ჰყავდი, თაკოს კი შენსავით არავინ უყვარდა.

შენსავით უჩუმრად, აუტანელი წუხილით შეხვდა შენთან განშორებას შენი საყვარელი მამა, რომლის წუხილმაც ყველანი შეგვძრა. მას ხომ ბევრი ლაპარაკი თავის ნაზ გრძნობებზეც კი არ შეუძლია.

შენი ერთადერთი მამიდა, რომელიც თავს გევლებოდა და გალამაზებდა, ბოლო წუთამდე გვერდიდან არ მოგცილებია.

ყველას გვტკივა შენგან მოყენებული მოუშუშებელი ჭრილობა — შენს ბებიას, ნათესავებს, მეგობრებსა და მეზობლებს.

შენ ხომ გიყვარდა ყველა — შენც როგორ ჰყვარებიხარ ყველას. სწორედ ეს სიყვარული გაიყოლე თან, შენი ეზოს გოგონებისა და ბიჭების სიყვარული.

ძალიან გვენატრები, ჩვენო ანგელოზო.

ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ შენი სულის სიმშვიდისათვის, სხვა რაღა შეგვიძლია...

***თინა პაპიდა, ნინო და ლევანი***

**ლადო დავითაშვილის გახსენება**



ჩვენო ლადო, 11 ოქტომბერს მეცხრედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. 35 წლის გახდებოდი, რომ არა ის ავბედითი 18 ივლისის ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც სამუდამოდ წაგვართვა შენი თავი. შენ ხომ მეგობრებისთვის გადაყოლილი იყავი. გიყვარდა ყველა. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი. ამბობენ, — დრო მკურნალიაო. არა, ლადო, არ ყოფილა დრო მკურნალი. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები.

ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავზე, მოგილოცოთ დაბადების დღე, დაგინთოთ სანთლები. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

შენი დატოვებული სითბო და სიყვარული არასოდეს გაგვინელდება. გიხსენებთ მუდამ დიდი სიყვარულით. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

***ოჯახი***

**ლევან გიორგის ძე კეჟერაშვილის გახსენება**



უკვე 40 დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ყოველდღე გიხსენებთ, შენი მოფერება, ღიმილი და სითბო გვაკლია...

მხურვალედ ვლოცულობთ შენთვის.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ჩვენო საყვარელო პაპა.

***შენი შვილიშვილები: ლელა და ლევან კეჟერაშვილები, თეა და ვახტანგ მახარობლიშვილები, შვილთაშვილი ნოდარიკო კიკნაძე***

**მზია ოთინაშვილი-ბალიაშვილის ხსოვნას!**



დედა! მაპატიე, ცრემლების გარეშე რომ ვერ ვახერხებ შენთან საუბარს. ვიცი, ამით გულს გატკენ მხოლოდ. შენ ხომ ჩვენს თვალებში ყოველთვის ღიმილს ეძებდი. როგორ დაცარიელდა სამყარო უშენოდ. შენმა წასვლამ თითქოს საყრდენი გამომაცალა. ჩემი თვალები გამუდმებით გეძებენ. როგორ მომენატრე, დედი.

რა საბრალონი ვართ ადამიანები, რაღაცას ვცდილობთ, ვფუსფუსებთ, მთავარი კი გვავიწყდება — ერთმანეთის მოფერება, ერთმანეთის ტკივილის გათავისება. შენ ეს არასოდეს გავიწყდებოდა: — „დედა გენაცვალოს, დედა შემოგევლოს" — სულ ყურში მიდგას ეს სიტყვები და მანამ იცოცხლებენ, სანამ პირში სული მიდგას, დედი.

რამხელა ძალა გქონია ამ სიფრიფანა ქალს. საცოდავია მამა შენი წასვლის შემდეგ. ყოველ ცისმარეს ღმერთს ევედრება — შენთან ყოფნის ღირსი გახადოს.

გული გვიკვდებოდა, შენი სამშობლო არაკაცებმა ბრძოლის ველად რომ აქციეს. ალბათ არ გაგვწირავს უფალი და დაისვენებს სამაჩაბლოს გატანჯული ქართველობა — შენი ოცნებაც ხომ ეს იყო.

პატიებას გთხოვ ყველაფრისათვის, რაც გაწყენინე და მადლობას გიხდი ჩემი არმაზისა და ირინასათვის. რა გვეშველებოდა უერთმანეთოდ. შენ ხომ ჩვენთვის მხოლოდ დედა კი არა, პედაგოგიც იყავი და უერთგულესი მეგობარიც. ჩვენ ხომ შენს გაკვალულ ბილიკზე დავდივართ, დე! შენ ჩაგვინერგე ერთმანეთის სიყვარული და ერთგულება. მადლობას გიხდი იმ დახმარებისთვისაც, ყოველ წუთს რომ ვგრძნობ ახლაც. შენი წასვლის შემდეგ, შენი სული ხომ სულ ჩემთანაა. მაპატიე, რომ გაჭირვებისას ისევ შენ მოგმართავ უნებლიეთ დახმარებისთვის: — „მიშველე, დედი" — შენ ხომ ყველაფრის პატიება შეგეძლო.

მეორედ მოდის შენი დაბადების დღე უშენოდ, დედი. როგორი მოთმინებით გველოდი, გაგვახსენდებოდა თუ არა ეს დღე ცხოვრების ორომტრიალში ჩართულ შენს შვილებს. მაპატიე, გულმავიწყობით გული რომ გატკინე. არასოდეს დამავიწყდება ეს დღე. ყოველთვის მოვალ შენს საფლავზე. მოვალ შენს პატარა შვილიშვილებთან ერთად, თითოეულ მათგანში შენი სულის ნაწილი რომაა გაბნეული. ლამაზ ყვავილებს მოგიტან. შევევედრები უფალს და დედაღვთისმშობელს — ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

სასუფეველი დაგიმკვიდროს ღმერთმა.

***შენი მარინა***



დედა მაია; მამა ამირანი; და ირმა; ძმა გიორგი; ბებიები: ნათელა, ბაბალე; ბიძები: ვაჟა, გია; მამიდა გიული; დეიდები: ლია, მზაღო ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ინეზა ამირანის ასული ილურიძის**

გარდაცვალებას.

***პანაშვიდი:*** 21, 22 სექტემბერს;

***გამოსვენება:*** 23 სექტემბერს, 13 საათზე.

***მისამართი:*** დუშეთის რაიონი, სოფ. ბაზალეთი.



უახლოესი ნათესავები: თამაზი, ინგა, გიორგი, თამაზ რობაქიძეები; იზოლდა, ვანო, ირაკლი, გიორგი, ნათია, თეა, ფიქრია შაქარიშვილები; ნაზი, რეზო, ირაკლი, ირინა არაბიძეები; მერი ყვავაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აზა ამბროსის ასული რობაქიძე-დოლაკიძე**

# ხელები შორს... ქათმებისაგან!



დასავლეთ ვირჯინიის შტატის (აშშ) ერთ-ერთი მეფრინველეობის ფერმიდან 11 თანამშრომელი დაითხოვეს... ქათმებისადმი „გამოჩენილი სისასტიკის“ გამო.

ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ინტერნეტით გაავრცელა ფარული ვიდეოკამერით გადაღებული კადრები — ფერმის მუშები ქათმებს წიხლებს ურტყამდნენ და კედლებს ახეთქებდნენ.

ფერმის ხელმძღვანელთა თქმით, გათავისუფლებულთაგან სამი მენეჯერი იყო, დანარჩენები კი — მუშები. ხელმძღვანელობის განცხადებაში ნათქვამია, რომ მიმდინარეობს ინციდენტის გამოძიება. ქათმების შევიწროებაში შემჩნეულნი სათანადოდ დაისჯებიან.

***ოკნა №32***

# ახლა ისინი მხოლოდ მეგობრები არიან



ამ გასაოცარ კაცზე ლოცულობდნენ მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალები. ის თავდავიწყებით უყვარდათ კლაუდია შიფერს და გვინეტ პელტროუს, ხოლო ლიზ ტეილორი, ჯეკი კენედი და ოდრი ჰეპბერნი მას მოდის ყველაზე ელეგანტურ მეფედ მიიჩნევდნენ, მაგრამ მან არც ერთი თავისი მოდელი და კლიენტი არ გაიკარა ახლოს... ახლახან, 72 წლის კუტიურიემ გაამხილა საიდუმლო, რომელსაც ძალიან დიდხანს გულმოდგინედ მალავდა — ცისფერი ვარო.

— აზროვნება და შეხედულებები შეიცვალა. უკვე არ გეჩვენება საშინელებად ის, რაც აქამდე იკიცხებოდა, — ასე ახსნა ვალენტინომ თავისი გვიანი აღიარება. თუმცა, მან ეს გააკეთა მას შემდეგ, რაც 64 წლის ჯან-კარლო ჯამეტიმ პარიზში, მოდების ერთ-ერთი ჩვენების დროს ადგილობრივ ჟურნალისტებს ინტერვიუში უთხრა, — ვალენტინოსთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მაქვს, 12 წელი ერთ ოჯახად ვიცხოვრეთო.

მათ თურმე ერთმანეთი 45 წლის წინ გაიცნეს კაფეში. მაშინ ვალენტინომ რომში საკუთარი სალონი გახსნა, ხოლო ჯან-კარლო სტუდენტი იყო, არქიტექტურას სწავლობდა. ძალიან მალე ერთიანი ძალისხმევით მათ შექმნეს უზარმაზარი იმპერია. ვალენტინო პასუხს აგებდა სამუშაოს შემოქმედებით ნაწილზე, ხოლო ჯან-კარლო — ფინანსურ და საორგანიზაციო საქმეებს აგვარებდა. ოსტატი პირველად მას აჩვენებდა ხოლმე თავის ნიმუშებს და ერთადერთს, ჯან-კარლოს ჰქონდა მისი შეფასების უფლება...

მაგრამ არც ამგვარი სიყვარული არის მარადიული. ახლა ისინი მხოლოდ და მხოლოდ კარგი მეგობრები არიან...

***ოჯი***

# ჯექსონი გაქცევას შეეცადა



პოპმუსიკის ყოფილი მეფე მაიკლ ჯექსონი, როგორც გაირკვა, სულაც არ აპირებდა მონაწილეობას სასამართლო პროცესში, რომელიც ახლახან კალიფორნიაში გაიმართა. ცნობილ მუსიკოსს, როგორც ვიცით, პედოფილიაში ადანაშაულებენ. ჯექსონი, პრობლემებისგან თავდასაღწევად, საზღვარგარეთ აპირებდა გაქცევას. ამ ამბავმა სანტა-ბარბარას საოლქო სასამართლომდე მიაღწია. განრისხებულმა სამართალდამცველებმა გადაწყვიტეს, აღარ მიეღოთ შავკანიანი სუპერვარსკვლავის ადვოკატების თხოვნა — შესატანი თანხის, 3 მილიონი დოლარის, 500 000-მდე შემცირების თაობაზე. მოსამართლის აზრით, ზუსტად ეს თანხა აიძულებს მაიკლს, არ დატოვოს აშშ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ პოპმუსიკის მეფეს თავისუფლად შეეძლო 3 მილიონის გადახდა (ეს მისი ჯიბის ფული იყო!) თავისუფლებისათვის, მაგრამ ახლა მისი ფინანსური საქმეები ძალიან ცუდად არის. მაიკლი უკვე რამდენიმე თვეა, გაკოტრების ზღვარზეა.

პროკურორისათვის ისიც ცნობილი გახდა, რომ ჯექსონს მარტო კი არ ჰქონდა განზრახული გაქცევა, არამედ იმ ბიჭუნას ოჯახთან ერთად, რომლის გაუპატიურებაშიც ადანაშაულებენ, მაგრამ დაზარალებულებმა უარი განაცხადეს.

მომღერლის სასამართლო პროცესი თითქმის წელიწადია, გრძელდება და დასრულდება 2005 წელს. ექსპერტთა აზრით, ჯექსონი ვერ ასცდება სასჯელს, მაგრამ განაჩენის საგრძნობლად შერბილებას უთუოდ მოახერხებს. რამდენიმე კვირის წინ მომღერალმა 46-ე დაბადების დღე გადაიხადა, რომელსაც დაესწრნენ მხოლოდ ახლო ნათესავები.

მუსიკალური კერპის თაყვანისმცემლები, რომლებიც ჯერ კიდევ 12 თვის წინ მის დასაცავად დემონსტრაციებს აწყობდნენ, სულ უფრო რწმუნდებიან, რომ ჯექსონმა ნამდვილად გააუპატიურა ბიჭუნა და აღარ ცდილობენ მის დაცვას.

***მირორი***

# ცივილიზაციას ზიანი მოაქვს...



სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში აღმოაჩინეს ინდიელთა კიდევ ერთი ტომი, რომელსაც არასოდეს ჰქონია ურთიერთობა ცივილიზებულ სამყაროსთან. ეს მოხდა პარაგვაიში. ინდიელები ითხოვენ, თავი დაგვანებეთ და საშუალება მოგვეცით, ცხოვრება ჩვეული წესით გავაგრძელოთო. ტომი აღმოაჩინეს მებულდოზერეებმა, რომლებიც ტყეს კაფავდნენ. ველურებს ბულდოზერები კაციჭამია ცხოველები ეგონათ. ინდიელებს ეშინიათ თეთრკანიანებისა, არ იზიარებენ ცივილიზაციის მიღწევებს, არ სჭირდებათ ტანსაცმელი; საკვები უხვად აქვთ, ნადირობენ მაიმუნებსა და ღორებზე, ხოლო ბოსტნებში მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები. დღემდე ქვის იარაღს იყენებენ, უფრთხიან მისიონერებს, რომლებიც ხშირად აავადებენ მათ გრიპითა და სხვა ინფექციებით.

მიახლოებითი მონაცემებით, ახლა ამაზონის აუზში ცხოვრობს დაახლოებით ინდიელთა 50 ტომი, რომელსაც არანაირი კონტაქტი არ აქვს თეთრი ადამიანების ცივილიზაციასთან.

***ჯენტე***

# ჯეიმს ბონდის ოცნება

მიჩიგანში, აშშ-ის არმიის ნაციონალური ავტომობილების ცენტრში, შექმნეს შეჯავშნული ავტომობილი SMAVTVUCK-ი. ასეთ ავტომობილზე თავად ჯეიმს ბონდი ოცნებობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დრო გავიდა.

ჯაშუშებისთვის განკუთვნილ ახალ მანქანას შეუძლია გაექცეს მდევრებს: მათთვის გზა-კვალის ასარევად მიწას ზეთით რწყავს, ქმნის კვამლის ფარდას და მსვლელობისას ლურსმნებს გზაზე ყრის. მანქანას სახურავზე აქვს ლუკი ლაზერული ავტომატებისა და ყუმბარმტყორცნებისთვის, ხოლო ყოველი კარის თავზე მოთავსებულია მაღალი კონცენტრაციის ცრემლმდენი გაზსაფრქვევი. თუ დაცვის ყველა ეს საშუალება არ იმუშავებს და თავდამსხმელები მანქანას მაინც მიუახლოვდებიან, მაშინ მათი მოგერიება შეიძლება კარის სახელურებში 110-ვოლტიანი ელექტროდენის ნაკადის გაშვებით.

ეს ახალი ავტომობილი განკუთვნილია ამერიკის საელჩოს თანამშრომლებისათვის, რათა ისინი დაცულნი იყვნენ ტერაქტებისაგან და მათი გატაცებაც ვერავინ მოახერხოს. მანქანის კორპუსი და მინები ტყვიაგაუმტარია. სალონი აღჭურვილია ღამის ხედვის მძლავრი კომპიუტერული სისტემით, გლობალური ნავიგაციის ხელსაწყოებით, ფეთქებადი მოწყობილობებისადმი მგრძნობიარე სენსორებით. მანქანის მოპარვა შეუძლებელია, რადგანაც წამში შეუძლია მისი თითების ანაბეჭდების ამოცნობა, ვინც საჭესთან დაჯდომას მოინდომებს.

***მირ ნოვოსტეი №36***

# მილიონერი მურიები



რომ იცოდეთ, როგორ შურთ ინგლისის ერთი პატარა ქალაქის მცხოვრებლებს 10 წლის ტინასა და 12 წლის კეიტისა! მათ უზარმაზარი მემკვიდრეობა — 1,2 მილიონი ევრო ერგოთ. ეს ამბავი უხმაუროდ ჩაივლიდა, ტინა და კეიტი ქუჩის მაწანწალა ძაღლები რომ არ ყოფილიყვნენ! 89 წლის ნორა ჰარდუელმა ისინი ქუჩიდან მიიყვანა შინ და გარდაცვალების შემდეგ თავის ოთხფეხა მეგობრებს ფულის გარდა, დაუტოვა 450.000 დოლარად ღირებული ულამაზესი სახლი. მის მურიებს რომ არაფერი მოაკლდეთ, ბებო ნორამ დაუბარა თავის მებაღეს (ფულიც გადაუხადა), მიხედოს ძაღლებს და ჩიტის რძეც არ მოაკლოს. ნორა ბებო არასოდეს ყოფილა გათხოვილი, შვილები და ნათესავები არ ჰყავდა, ამიტომ სიბერეში მთელი თავისი სიყვარული ძაღლებს დაახარჯა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მურიები საკმაოდ ხანში შესულები არიან და დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენიათ. მათი სიკვდილის შემდეგ, ანდერძის თანახმად, ქონება გადავა ცხოველების საქველმოქმედო ფონდის ხელში.

***ნიუ ზუიქი***

# მარგალიტის საცვალი... ვის?



იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში იყიდება ქალის ქვედა საცვლის კომპლექტი, რომელიც დამშვენებულია 3000 მარგალიტით. კომპლექტი შეკერილია ბელგიაში 1860 წელს გამოშვებული აბრეშუმით.

ეს ულამაზესი თეთრეული 10,5 მლნ იენი (დაახლოებით 95.000 დოლარი) ღირს. ის ერთ უმდიდრეს კაცს შეუკვეთავს საყვარელი ქალისათვის, მაგრამ საყვარლები დაშორებულან და კლიენტს უარი უთქვამს კომპლექტზე. მიუხედავად ამისა, მაღაზიის მეპატრონე დარწმუნებულია, რომ გამოჩნდება ღირსეული მამაკაცი, რომელიც ამხელა თანხას გაიმეტებს საყვარელი ქალისათვის — ეს ნამდვილად მეფური ხელგაშლილობა იქნება!

***ოტდოხნი! №37***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ანჯელინა ჯოლის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ჩ.** შემჭკნარი ყურძენი; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ნ.** ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** რა ერქვა მგლების ხროვის მეთაურს რედიარდ კიპლინგის ნაწარმოებში „მაუგლი“; **ნ.** მოძღვრება, რომელიც შიშველი სხეულის კულტს ქადაგებს; **ე.** სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **რ.** ქართველი მოჭიდავე; **თ.** ერთსა და იმავე დროს მცხოვრები, დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ა.** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **რ.** ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ქვეყნებში; **მ.** გილმორი, უოტერსი, რაიტი. ვინ აკლია?; **ო.** უმაღლესი ჯილდო კინემატოგრაფიაში; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **წ.** სოფელი ამბროლაურის რაიონში, სადაც მდებარეობს სახელგანთქმული ბარაკონის ეკლესია; **ყ.** რა მდინარე ჩამოდის ზესტაფონში; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ.** ხელსაწყო, რომლის დახმარებითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ.** კაკო; **ვ.** ვუალი; **ი.** იალალი; **რ.** რვალი; **ი.** ისთვუდი; **ს.** სიბილა; **პ.** პაულსი; **ა.** ატრია; **ლ.** ლუთერი; **ი.** იოსები; **ტ.** ტრაპი; **რ.** რეცეპტი; **ა.** ასკილი; **თ.** თიანეთი; **ქ.** ქარაფი; **ვ.** ვაგნერი; **ე.** ეტალონი; **ნ.** ნუდიზმი; **ი.** იავა; **გ.** გოთუა; **ა.** ათაბაგი; **ზ.** ზუმბა; **ე.** ელარჯი; **თ.** თუშეთი; **ი.** იპონი; **ა.** ალბიონი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **კალათბურთსაც კარგად ვთამაშობ.**

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების მინიკალენდარი კი ასეთია:**



**20 სექტემბერი:**

**სოფი ლორენი**, მსახიობი; **ეკატერინა ლელი**, მომღერალი; **ხუან პაბლო მონტოია**, „ფორმულა “-ის პილოტი;

**21 სექტემბერი:**

**მარკ ბერნესი**, მსახიობი, მომღერალი; **სტივენ კინგი**, მწერალი; **ლეონარდო კოენი**, მწერალი; **იური ლუჟკოვი**, მოსკოვის მერი.

**22 სექტემბერი:**

**ედვარდ რაძინსკი**, დრამატურგი, ტელეწამყვანი, პროზაიკოსი; **რონალდო**, ფეხბურთელი; **ემანუელ პეტი**, ფეხბურთელი; **მაიკლ ფარადეი**, ფიზიკოსი, ქიმიკოსი; **ბონი ჰანტი**, მსახიობი.

**23 სექტემბერი:**

**ხულიო იგლესიასი**, მომღერალი; **რომი შნაიდერი**, მსახიობი; **იგორ ივანოვი**, რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე.

**24 სექტემბერი:**

**პეტრე ბაგრატიონი**, მთავარსარდალი; **პედრო ალმოდოვარი**, რეჟისორი; **მარკო ტარდელი**, ფეხბურთელი; **ფრენსის ფიცჯერალდი**, მწერალი; **ჯიმი ჰენსონი**, რეჟისორი.

**25 სექტემბერი:**

**კეტრინ ზეტა-ჯონსი**, მსახიობი; **სერგეი ბონდარჩუკი**, რეჟისორი; **თომას მორგანი**, გენეტიკური კვლევების ერთ-ერთი პირველი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **უილიამ ფოლკნერი**, მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **ლიდია ფედოსეევა-შუკშინა**, მსახიობი; **მაიკლ დუგლასი**, მსახიობი; **დიმიტრი შოსტაკოვიჩი**, კომპოზიტორი.

**26 სექტემბერი:**

**ოლეგ ბასილაშვილი**, მსახიობი; **ჯორჯ გერშვინი**, კომპოზიტორი და პიანისტი.

# სიტყვათა კონა

**კროცი** — იგივეა, რაც კროლი.

**კროჭი** (ძვ.) — კოლოფი, ყუთი. 2. სკივრი, ზანდუკი.

**კრტნა** — ჩიჩქნა, გახილვა (ფრინველისა).

**კრუშკრუში** — კრუხის ხმიანობა.

**კრჩხა** — 1. (ძვ.) — ხორცის საკიდარი კაპებიანი. 2. იგივეა, რაც ჩხა (ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად).

**კუბაჩი** — კუდუსუნის ხორცი საქონლისა.

**კუბერა** — პურეულის თავთავის ერთი შტო.

**კუბოკრული** — უჯრედებიანი, ოთხკუთხედებიანი; ოთხკუთხედების სახით ნაკეთები (ნახატი, ნაქსოვი, ნაქარგი).

**კუდბაწარა** — ბაწარივით გაგრძელებული მწკრივი.

**კუდვარდა** — 1. ბირკის მსგავსი სარეველა მცენარე ერთგვარი. 2. საქონელი, რომელსაც კუდის ბოლო თეთრი აქვს.

**კუდმოზვერა** (ძვ.) — თევზის საჭერი გოდორი ერთგვარი (საბა).

**კუდრაჭა** (საუბ.) — ალერსით ითქმის ცელქ, მოუსვენარ, ეშმაკ გოგოზე.

**კუზაკუზაობა** — ერთგვარი თამაშობა — ერთი მოთამაშეთაგანი დაიკუზება, მეორე მას თავზე გადაახტება.

**კუთავს** — 1. ნელა კვნესის, კრუსუნებს. 2. ჭახჭახებს (შაშვი).

**კუთრი** — კუთრი წონა — სხეულის წონის შეფარდება იმავე მოცულობის წყლის წონასთან.

# მალე დედაქალაქში 100 ახალი ავტობუსი ჩამოვა...

**— აღდგება თუ არა ქალაქში №33 ავტობუსი, რომელიც გლდანი-კოლმეურნეობის მოედნის მიმართულებით მოძრაობდა? მერია გვპირდებოდა, რომ ძველი ავტობუსები ახლებით შეიცვლებოდა. რატომ გააუქმეს ძველი, როცა არ დაუნიშნავთ ახალი?**

***ნელი მარაქველიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ ჩიკვილაძე**, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი:

— ალბათ შეკითხვის ავტორი კარგად არ დაჰკვირვებია, თორემ აუცილებლად შეამჩნევდა ახალ სამგზავრო რეისს, რომელიც უკვე ორი თვეა, რაც გლდანი-კოლმეურნეობის მოედნის მიმართულებით მოძრაობს. მას სწორედ №33 ავტობუსი ემსახურება. ახალი ავტობუსების ჩამოყვანისთანავე (სულ 22), თავდაპირველად, ორი ავტობუსი გლდანის მიმართულებით გავანაწილეთ. სულ რაღაც თვე-ნახევარში, კიდევ 100 ავტობუსს მივიღებთ და შესაბამისად, ქალაქის სხვადასხვა მარშრუტზე გავანაწილებთ. შესაძლებელია, მალე №33 ავტობუსის მარშრუტს კიდევ ორი ან მეტი ავტობუსიც დაემატოს.

# «ვეფხისტყაოსანი» სულ ცოტა 44 ენაზე არის თარგმნილი...

**— საინტერესოა, რამდენ ენაზეა თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები?**

***ქეთევან მაღლაკელიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ლევან თაქთაქიშვილი**, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე:

— „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში 136-ჯერ არის გამოცემული. იგი ერთადერთი წიგნია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველა სხვა წიგნზე მეტჯერ გამოიცა. „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს 44 ენაზეა თარგმნილი (აღრიცხვა მხოლოდ 1992 წლამდე წარმოებდა. დღეისათვის რთულია იმისი თქმა, შეემატა თუ არა ამ რიცხვს ახალი თარგმანები. — ავტ.) „ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნია: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, ბასკურ, მონღოლურ, ჩინურ, იაპონურ, ებრაულ, უნგრულ, იტალიურ, რუმინულ, ჩეხურ, პოლონურ, სპარსულ, არაბულ, ბულგარულ, სლოვენურ, სომხურ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ, ყაზახურ, ყირგიზულ, უზბეკურ, თურქულ, ლიტვურ, იაკუტურ, ჩეჩნურ, ყაბარდოულ, ბალყარულ, თათრულ, ტაჯიკურ, სლოვაკურ, ესპერანტოს, თურქულ, ჩინურ და სხვა ენებზე.

საქართველოში ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების გამოცემათა რაოდენობა სრულად აღნუსხული არ გახლავთ. რაც შეეხება თარგმანს, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები თარგმნილია დაახლოებით 23 ენაზე, თუმცა არც ეს უკანასკნელია ზუსტი ციფრი. ეროვნული ბიბლიოთეკა დაინტერესებულია ქართველი მწერლების თარგმნილ ნაწარმოებთა სტატისტიკით., მაგრამ სამწუხაროდ ზუსტი მონაცემების დადგენას ხანგრძლივი დრო სჭირდება.

# ზაზა ხუციშვილმა მეუღლის ასაკი დღემდე არ იცის

**— ძალიან მიყვარს ჯგუფი „ვაკის პარკი“, განსაკუთრებით კი მისი სოლისტი ზაზა ხუციშვილი. როგორც გავიგე, მან ახლახან იქორწინა. ამბობენ, მეუღლე მასზე უფროსიაო. ვინ არის მისი მეუღლე? იქნებ თავად გვიამბოს მის შესახებ? დიდი ხანია, არ გამოუშვიათ ალბომი, როდის ვიხილავთ ახალ კლიპებს?**

***თიკა და მარიკა ტატიშვილები***



კითხვაზე უპასუხებს **ზაზა ხუციშვილი**, „ვაკის პარკის“ სოლისტი:

— ამ ორიოდე თვის წინ მართლაც ვიქორწინე. ჩემი მეუღლე გახლავთ ხათუნა დოლიძე, პროფესიით მხატვარ-დიზაინერი. ამჟამად არსად არ მუშაობს, დროდადრო შეკვეთებს იღებს. მაგალითად, „მაესტროს“ წინასაახალწლო პროგრამისთვის კოსტიუმები მოამზადა. ფაქტობრივად, ისიც შოუბიზნესში ტრიალებს. რაც შეეხება მის ასაკს, გინდათ გულმავიწყობად ჩამითვალეთ, გინდათ — უყურადღებობად, მართლაც არ ვიცი. ადამიანი იმისთვის ხომ არ უყვართ, უფროსია თუ უმცროსი, არამედ მისი პიროვნული თვისებების გამო. მე ჩემს ცოლში პიროვნება მიყვარს და მის ასაკს მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის.

რაც შეეხება „ვაკის პარკის“ კლიპებს და ახალ სიმღერებს, აქ მართლაც გვაქვს სიახლე — ჩავწერეთ ახალი, რიგით მეხუთე ალბომი, გადავიღეთ ორი კლიპი, რომელსაც „მაესტროს“ ეთერში ოქტომბერში გაუშვებენ.

# სოციალური დახმარების გაცემა მალე განახლდება

**— ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი, უსინათლო. სამედიცინო შემოწმება გავიარე 2003 წლის 19 ნოემბერს, სადაც 1-ელი ჯგუფის ინვალიდობა უვადოდ განმესაზღვრა. აქამდე მეძლეოდა სოციალური დახმარება 22 ლარის ოდენობით, რომლის გაცემა დროებით შეაჩერეს. როდის აგვინაზღაურებს სრულად სახელმწიფო დავალიანებას?**

***მიხეილ ხუბუა***

კითხვაზე უპასუხებს **ნონა მაისურაძე**, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პრესსამსახურის უფროსი:

— სოციალური დახმარების გაცემა დროებით შეჩერებულია, რადგან არ დასრულებულა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიების მუშაობა, რომლებიც საქართველოში დღეისათვის რეგისტრირებულ ინვალიდთა ხელმეორედ გადამოწმებას აწარმოებენ. მოგეხსენებათ, ბოლო ორი წლის განმავლობაში სიები ხელოვნურად იყო გაზრდილი. მეტიც, ვისაც კანონით ეკუთვნოდა ინვალიდობის სტატუსი, განზრახ წინააღმდეგობას უქმნიდნენ, სამაგიეროდ, ქრთამის საფასურად ინვალიდობის სხვადასხვა ჯგუფს ჯანმრთელ ადამიანებს აკუთვნებდნენ. ამიტომაც შეიქმნა კომისიები, რომლებიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ შეამოწმებენ იმ პირებს, რომლებიც იღებდნენ სოციალურ დახმარებას. აღნიშნული პროცესი უნდა დასრულდეს ოქტომბრის ბოლოს და ის მოქალაქეები, რომლებიც სამართლიანად სარგებლობდნენ სოციალური დახმარებით, დაგროვილ თანხას ერთბაშად ან ეტაპობრივად მიიღებენ. ამდენად, სოციალური დახმარება არ გაუქმდება, უბრალოდ, მიმდინარეობს გადამოწმების პროცესი, რომელიც მალე დასრულდება.

**— ვცხოვრობ თბილისში. მყავს სამი შვილი, როგორც შევიტყვე, მრავალშვილიან დედებს აძლევენ დახმარებას 5 ლარის ოდენობით. ვის უნდა მივმართო?**

***მარინა მაჩაიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ნონა მაისურაძე**, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პრესსამსახურის უფროსი:

— დახმარება 5 ლარის ოდენობით მრავალშვილიან დედებს დედაქალაქის საკრებულომ დაუდგინა. მას გასცემს რაიონის გამგეობა. დედებს, რომლებსაც ჰყავთ სამი არასრულწლოვანი შვილი, ყოველთვიურად მიეცემათ დახმარება 5 ლარის ოდენობით თითო ბავშვზე მანამ, სანამ უფროსს არ შეუსრულდება 18 წელი. ამასთან, დაწესებულია შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე — კერძოდ, მრავალშვილიანი დედები გათავისუფლებული არიან ნაგვის გატანისა და წყლის გადასახადისაგან, ეძლევათ უფასოდ ბუნებრივი აირი 40 კუბმ-ის ოდენობით. შეღავათი ვრცელდება მხოლოდ დედაქალაქის მრავალშვილიან დედებზე. რეგიონებში კი შეღავათებს აწესებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ამდენად, რთულია იმის თქმა, თუ რომელ რაიონში რა სოციალური შეღავათია დაწესებული ადგილობრივი (რაიონის) მცხოვრებლებისათვის. ეს რაიონის ბიუჯეტზეა დამოკიდებული.

# წყლის ტარიფი საწარმოებისთვის

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა ტარიფია დადგენილი თბილისში 1 კუბმ წყალზე საწარმოებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მდებარეობს ისეთ რაიონში, სადაც წყალი გრაფიკით მიეწოდება, არის თუ არა ტარიფზე შეღავათები გათვალისწინებული?**

***თამაზ გაბიტაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **გოჩა ჯელია**, „თბილწყალკანალის“ საინფორმაციო ცენტრის უფროსი:



— წყლით სარგებლობაზე დედაქალაქში დაწესებულია შემდეგი ტარიფი:

მოსახლეობა იხდის ფიქსირებულ გადასახადს თვეში ერთი ლარისა და 20 თეთრის ოდენობით, ერთ სულ მოსახლეზე. დაშვებულია გამონაკლისი იმ რაიონებისთვის, სადაც მოქმედებს მკაცრი გრაფიკი (თუ წყალი 8 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში მიეწოდება), ასეთ შემთხვევაში წყლის გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე თვეში 80 თეთრს შეადგენს.

საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ჯანდაცვის, ასევე, იმ კომერციულ ობიექტებს, რომლებიც აწარმოებენ პირველადი დანიშნულების კვების პროდუქტს, მაგალითად, პურს და სხვ., დაწესებული აქვთ გახარჯული წყლის საფასური 1 კუბმ-ზე — 1 ლარისა და 60 თეთრის ოდენობით.

სხვა კომერციულ ობიექტებსა თუ საწარმოებს წყლის ტარიფი 1 კუბმ-ზე განსაზღვრული აქვთ 4 ლარისა და 80 თეთრის ოდენობით.

კომერციული ობიექტები და საწარმოები წყლის გადასახადს იხდიან მხოლოდ მრიცხველზე დაფიქსირებული მაჩვენებლის მიხედვით. შესაბამისად, თუ რომელიმე საწარმოს წყალი მიეწოდება გრაფიკით, იგი გადასახადს გადაიხდის მხოლოდ გახარჯული წყლის ოდენობის მიხედვით. ამასთან, იმ საწარმოებს, რომლებიც კეთილსინდისიერად გადაიხდიან გახარჯული წყლის საფასურს, უზრუნველვყოფთ თითქმის 24-საათიანი მიწოდებით. ამდენად, შეკითხვის ავტორს მოხმარებული წყლის საფასური მრიცხველზე დაფიქსირებული მაჩვენებლის მიხედვით განესაზღვრება.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

# წინ გასული „დინამოელები“ გამოუცდელობამ დააბნია

## 30 სექტემბერს „დინამოს“ მთელი საქართველო მხარში დაუდგება

უეფას თასის წლევანდელი გათამაშების საკვალიფიკაციო რაუნდები დასასრულს მიუახლოვდა. გასულ ხუთშაბათს აქ განთესილმა გუნდებმა პირველი მატჩები ჩაატარეს და 30 სექტემბერს, საპასუხო შეხვედრებში საბოლოოდ დადგინდება, თუ რომელი მათგანი მოხვდება უეფას ახალი ფორმატით მომზადებულ ჯგუფებში. აქ მათ ჩემპიონთა ლიგის ანალოგიურ, მაგრამ რანგით ოდნავ დაბალ ტურნირში მოუწევთ მონაწილეობის მიღება. ჯგუფში მოხვედრის კანდიდატთა შორისაა თბილისის „დინამოც“, რომელმაც 16 სექტემბერს, კრაკოვში „ვისლას“ საფეხბურთო ომი გაუმართა.

თამაში, რომელიც „დინამომ“ პოლონური მატჩის პირველ ნახევარში და მეორე ტაიმის ცალკეულ მონაკვეთებში აჩვენა, ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ქართულ კლუბს უაღრესად ნიჭიერი თავკაცი ჰყავს გია გეგუჩაძის სახით, რომელმაც იცის ელემენტარული საფეხბურთო ჭეშმარიტება: საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა! „დინამოელთა“ მწვრთნელმა დებიუტთრგუნავდა. თუმცა არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა მატჩი, მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძელთა გოლკიპერთან პირისპირ დარჩენილ გონჩაროვს მესამე გოლით რომ „დაესაჩუქრებინა“ პოლონელები. მომენტი გამოუყენებელი დარჩა. ამის შემდეგ „დინამოს“ კართან „ცოდვის კალო“ დატრიალდა. 59-დან 63-ე წუთის ჩათვლით, ჩვენი ორბურთიანი უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. წინ უკვე „ვისლა“ გავიდა 3:2(!). ახალგაზრდა თბილისელები, რომლებმაც პირველ ტაიმში არნახული ძალისხმევის წყალობით სერიოზული ფორა შეიქმნეს, გამოუცდელობამ დააბნია. აქამდე დაბრძენებული ოსტატებივით მოთამაშე ფეხბურთელები სრულიად მარტივ ვითარებაში ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ და უმწეო სიტუაციაში ვარდებოდნენ. გეგუჩაძემ სასწრაფოდ პოლონელთა მარცხენა ფლანგელის, მიხაილოვიჩის „სისხლის გამშრობი“ და გადაღლილი ალადაშვილის ნაცვლად მინდორზე ისევ შეტევაზე ორიენტირებული კაკალაძე შეუშვა (!) ასეთ მძიმე ვითარებაშიც კი ყრუ დაცვაში „ჩაჯდომა“ არ უფიქრია,



გია გეგუჩაძე

შივე შემტევი ფეხბურთი აირჩია, თავის შეგირდებს მეტოქე მისსავე ნახევარზე „მოახრჩობინა“ და ვიდრე „ვისლა“ გონს მოეგებოდა, თავისი თამაში „მოახვია“ თავს. პოლონელთა მწვრთნელი ჰენრიხ კასპერჩაკი გაოგნებული შესცქეროდა, თუ როგორ აბურთავებდა სტუმართა ახალგაზრდული გუნდი მის შეგირდებს, რომელთა სოლიდური ნაწილი პოლონეთის ნაკრების ხერხემალს წარმოადგენს, იმ ნაკრებისა, ახლახან ინგლისთან რომ დამარცხდა უშელავათო ბრძოლაში — 1:2. „ვისლას“ დამრიგებელმა შესანიშნავად იცოდა, რომ „დინამო“ „ვიტ-ჯორჯია“-სავით უნებისყოფო გუნდი არ იყო, მაგრამ თუ ქართული კლუბი მისსავე მინდორზე მოუნდომებდა „დამხობას“, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. გეგუჩაძემ ძალზე თამამი გადაწყვეტილება მიიღო და ამისთვის ის მხოლოდ ქებას იმსახურებს. მისმა ტაქტიკამ შედეგიც მალე გამოიღო. რამდენიმე ხიფათის შემდეგ, თბილისელებმა ლამაზი გოლი „გამოადნეს“. მასპინძელთა მცველების მიერ მოგერიებული ბურთი ჯაბა კანკავას მიუვიდა, რომელმაც შეუჩერებლივ გადააგზავნა მეტოქის კარში და „დინამო“ დააწინაურა. „ვისლამ“ მომხდარი შემთხვევითობად აღიქვა და ასეთი განწყობისთვის მეორედ დაისაჯა: „დინამოელთა“ კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ „ლანგარზე დადებული“ პასი მიართვა კახა ალადაშვილს, რომელიც პირისპირ დარჩა პოლონელთა გოლკიპერთან, კარის დარაჯი ცრუ მოძრაობით მოასრიალა და... 2:0(!) ყველაზე საოცარი ის იყო, რომ „დინამოს“ აქტიური პრესინგი და შემტევი ფეხბურთი არც ორბურთიანი დაწინაურების შემდეგ შეუწყვეტია. პოლონელებმა სცადეს კონტრთამაშის აწყობა, მაგრამ ქართველთა უკანა ხაზი და მეკარე ზოიძე შეუვალ ზღუდედ დახვდა მასპინძელთა შეტევებს. თბილისელთა კარის მცველმა რამდენჯერმე გამოსვლაზეც მშვენივრად ითამაშა და დაძაბულობა განმუხტა. ცენტრალური ზონა კანკავას და ნემსაძეს ჰქონდათ გადაკეტილი, ხოლო ფლანგებზე კვირკველია და შაშიაშვილი ანეიტრალებდნენ მეტოქის ნებისმიერ მცდელობას. ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი თბილისელთა კართან 30-ე წუთზე შეიქმნა, როცა ჟურავსკი პირისპირ დარჩა ზოიძესთან, მაგრამ ირაკლიმ დარტყმის კუთხე შეუმცირა, საჯარიმოს კიდესთან გაწია მეტოქე და მისი დარტყმული ბურთი კარს ზემოდან გადასცდა.

უეჭველია, „ვისლას“ ფეხბურთელებმა შესვენებაზე არაერთი მწარე რეპლიკა მოისმინეს კასპერჩაკისგან და სულ სხვა განწყობით გამოვიდნენ სათამაშოდ, მაგრამ მთავარი მოულოდნელობა მაინც ქართველთა ბანაკში მოხდა, როცა ზოიძემ გამწვავებული ტრავმის გამო თამაში ველარ გააგრძელა. მის ნაცვლად კარში გამწესებულმა მამალაძემ როგორც შეეძლო, იბრძოლა, მაგრამ ერთია მრავალნაცადი მეკარე და სულ სხვაა, როცა პერსპექტიული, მაგრამ ფრიად გამოუცდელი გოლკიპერი დგას კარის სადარაჯოზე. ცხადზე ცხადი იყო, რომ „დინამოელთა“ აქამდე უშეცდომო დაცვას, რომელსაც ზოიძის გარეშე უწევდა პოლონელთა გააფთრებული ზეწოლის მოგერიება, მეკარის მოულოდნელი ცვლილება ფსიქოლოგიურად



კასპერჩაკი საგონებელშია

რამაც საბოლოო ჯამში გაამართლა. თბილისელებმა კიდევ სამჯერ შექმნეს ხიფათი მეტოქის კართან და კანკავა-კვირკველია-ნემსაძის ტრიოს დამაგვირგვინებელ ფაზაში ოდნავ მაინც რომ გამართლებოდათ, „ვისლა“ ბრძოლაზე ხელს აიღებდა. 77-ე წუთზე მორიგი შოკი ვიწვნიეთ, ფრანკოვსკიმ მეოთხე გოლი გაგვიტანა. მოვლენათა ასეთი მსვლელობის შემდეგ ნებისმიერი გუნდი გატყდებოდა, მაგრამ „დინამომ“ გამონახა საიმისო ძალა, რომ პოლონელთა აღმავლობისთვის ლაგამი ამოედო. ისევ ბრძოლა, ისევ თავგანწირული „ვარდნები“ (ყოველივე ეს დღევანდელი „დინამოს“ მთავარი კოზირია), რომლის წყალობითაც მატჩის მიწურულს გეგუჩაძემ კასპერჩაკს 4-ბურთიანი „ტუზი“ გაუჭრა. კვირკველიამ 35 მეტრიდან მძლავრი საჯარიმო დაჰკრა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა — 4:3. საფინალო სასტვენმა ორივე გუნდის წევრებს მაინც შეტევაზე მომართულებს მოუსწრო. მარცხი მარცხად, მაგრამ „დინამომ“ თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ ეს არის ბრძოლისუნარიანი, სათამაშო დისციპლინასთან ნაზიარები გუნდი. შესაძლოა, ვინმეს გეგუჩაძის შემტევი სტრატეგია რისკიანად მოეჩვენოს, მაგრამ ქართველთა წარმატების გასაღები მუდამ შეტევაში იყო და სასიამოვნოა, რომ „დინამომ“ მივიწყებული ტრადიციები გაახსენა ქართველ გულშემატკივარს. 1981 წლის ლეგენდარული „დინამოს“ „ვესტჰემთან“ გამარჯვების შემდეგ, ქართულ გუნდს სერიოზული და ძლიერი მეტოქის კარში, მისსავე მოედანზე (!) სამი გოლი აღარ გაუტანია. თუკი გეგუჩაძე დაცვის პრობლემასაც ისეთივე წარმატებით გადაჭრის, როგორც შეტევისას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გაისად თბილისის „დინამო“ თამამად შეაბიჯებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. მანამდე კი თავაუღებელი შრომაა საჭირო და ამ გუნდის შენარჩუნება-გაძლიერებაზე ზრუნვა. ეს სამომავლოდ, ჯერჯერობით კი, „ვისლასთან“ 30 სექტემბერს თბილისური დაპირისპირება გველის, სადაც უკანმოუხედავი შეტევა აღარ გამოგვადგება. აქ სხვა, უფრო „ჩახლართული“ ბრძოლა მოგვიწევს, მაგრამ ყველაფერს მაინც გეგუჩაძე-კასპერჩაკის სტრატეგიული გამჭრიახობა გადაწყვეტს. ქართველთა მწვრთნელს მშვიდად შეუძლია მომავალი ბატალიებისთვის მოემზადოს, მას გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერა უკვე გარანტირებული აქვს.

# საქართველოს მაკედონიასთან მწვრთნელის გარეშეც უნდა მოეგო



ლევან მოსეშვილი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირის წლევანდელი განრიგი ლუქსემბურგთან გასვლითი მატჩით დაასრულა. 15 სექტემბერს მაკედონიაში წაგების შემდეგ 77: 81, ჩვენმა გუნდმა პატარა საგრაფოს კოლექტივს შანსი არ დაუტოვა და 26 ქულის სხვაობით, 87: 61 დაამარცხა. ლუქსემბურგთან გამარჯვება მოსალოდნელი იყო და ამის გამო ჩვენი კალათბურთელებისათვის ხოტბის შესხმას სულაც არ ვაპირებთ. გვინდა, რამდენიმე ნიუანსზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რაც ჩვენი გუნდის გამოსვლას ახლდა და რამაც ნათლად გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

ფინეთთან თბილისში მოგებული მატჩის რეპორტაჟს „კვირის პალიტრის“ მკითხველი უკვე გაეცნო და მასზე აღარ შევჩერდებით. დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ეს ნაკრების პირველი გამარჯვება იყო და მართალია, ის ურთულეს ბრძოლაში მოვიპოვეთ, მაგრამ მაშინ ნაკლოვანებების ძიება არ დაგვიწყია. ჩავთვალეთ, რომ ყველაფერთან ერთად ჩვენს ბიჭებს ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევამაც მოუწია, რაც ყოველთვის თან სდევს დიდი მიზნისკენ მიმავალი გზის დასაწყისს. სამწუხაროდ, ის შეცდომები, რომლის აღმოფხვრაც ჩვენმა კალათბურთელებმა საკუთარი გულშემატკივარის მხურვალე მხარდაჭერის თანხლებით მოახერხეს, სკოპიეში წაგების ფასად დაგვიჯდა. სავალალოა, რომ საქართველომ საკუთარი ხელით მიართვა მაკედონიას სრულიად დაუმსახურებელი გამარჯვება. მარცხი უპირატესად გაუმართავი ტაქტიკის წყალობით იწვნია ჩვენმა გუნდმა. საქართველოს მწვრთნელის ხელი არ ეტყობოდა. დრაჟენ ბრაიკოვიჩი ვერ გამოდგა ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც კრიტიკულ მომენტში გადადგამდა სრულიად მარტივ, მაგრამ ეფექტურ ნაბიჯს, რაც მაკედონიის დასამარცხებლად საკმარისი იქნებოდა. ისე ნუ იფიქრებთ, რომ ყველაფერი მხოლოდ მისი ბრალია. მაგრამ საქართველოს ნაკრებმა, იმ შემადგენლობით, რაც ამჟამად გააჩნია, მაკედონიისა და ფინეთის დონის გუნდებთან საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს.

სკოპიეში ბრაიკოვიჩი ძირითადად ექვსი კალათბურთელის ოსტატობას დაეყრდნო, აქედან სამმა მათგანმა ცინცაძემ, მარკოიშვილმა და და უილიამსმა შეუცვლელად ითამაშეს: „ქართველი“ ამერიკელი, უდაოდ, ძლიერი კალათბურთელია, მაგრამ ჩანდა, რომ ზედიზედ ორ შეხვედრაში შეუცვლელად მოედანზე ყოფნამ არაქათი გამოაცალა. სხვას ვერაფერს დავაბრალებთ იმ ელემენტარულ შეცდომებს, რაც უილიამსს მოსდიოდა გადამწყვეტ მომენტებში. ბრაიკოვიჩს მისი დასვენება მართებდა, ისევე, როგორც ცინცაძე-მარკოიშვილის დუეტისა, მაგრამ მან ფაჩულია დასვა სათადარიგოთა სკამზე. ეს იმ ფონზე, როდესაც მაკედონიელთა ლიდერებს ჯონსსა და გეჩევსკის 4-4 პერსონალური ჰქონდათ და ფაჩულიას არყოფნაში ორივე ფარზე ბატონობდნენ. კრიტიკულ მომენტში ჩვენი გუნდის თავკაცს წუთშესვენებების დროულად აღებაც მართებდა, მაგრამ ბრაიკოვიჩი გაუმართლებლად აყოვნებდა და ვერც გამოყენებული ტაიმ-აუტების შემდეგ იტყოდა ვინმე, რომ მწვრთნელს მნიშვნელოვანი კორექტივები შეჰქონდა სათამაშო სქემაში. ან არსებობდა კი ის სქემა, რომელსაც წარმატება უნდა მოეტანა საქართველოსთვის? ძალიან ვეჭვობთ, რადგან ისე ჩანდა, რომ კალათბურთელები და მათი მწვრთნელი სხვადასხვა პოლუსებზე იდგნენ და მოთამაშეებმა ინდივიდუალური ძალისხმევის ხარჯზე მოიმკეს ორი გამარჯვება. დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ფინელებმაც და ბალკანელებმაც 3-ქულიანი სროლებით პირდაპირ „სისხლი გაგვიშრეს“. რაიმე კონტრზომა, რითაც ჩვენი გუნდი წინააღმდეგობას გაუწევდა მეტოქეებს და მათ სნაიპერებს გაანეიტრალებდა, ვერ მოიძებნა...

რა თქმა უნდა, შეგვეძლო სამი მოგებით დაგვესრულებინა წლევანდელი ეტაპი, მაგრამ ის, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ, მაკედონიამ შეძლო, როდესაც გასულ შაბათს ჰელსინკში დაამარცხა ფინეთის ნაკრები 87:76. ყველაფერი გაისად გადაწყდება, როცა საქართველო დარჩენილ სამ თამაშს გამართავს. დრო ბევრია, იმედია სტეფანია, ნაცვლიშვილი და სანიკიძეც შეგვემატებიან და ამოცანას წარმატებით გადავჭრით. ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობას კი ალბათ მართებს წაგებული მატჩებიდან სერიოზული დასკვნების გამოტანა და ფიქრი იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციური მწვრთნელი უდგას სათავეში საქართველოს „ოცნების“ გუნდს.

ჩვენი გუნდის მიერ ჩატარებულ მატჩებზე კომენტარი ვთხოვეთ წარსულში ცნობილ კალათბურთელს, წლების მანძილზე თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს **ლევან მოსეშვილს,** რომელმაც თავიდან უხერხულად მიიჩნია ბრაიკოვიჩის, როგორც კოლეგის საქმიანობის შეფასება, მაგრამ კომენტარზე მაინც დაგვთანხმდა:

— მაკედონიასთან მატჩის საწყისი წუთების შემხედვარემ ვთქვი, — დიდი ანგარიშით უნდა გავიმარჯვოთ-მეთქი. ასეთი შთაბეჭდილება იმიტომ დამრჩა, რომ ჩვენი მეტოქე ეზოს გუნდს უფრო ჰგავდა, ვიდრე დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნის ნაკრებს. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი საერთოდ რომ არ ყოფილიყო დარბაზში და უკანასკნელ წუთებზე ფაჩულიას აელო თავის თავზე თამაში, იმას მაინც მიხვდებოდა, რომ მეტოქის ორივე ტანმაღალი მოთამაშე ოთხჯერ



ასე შორს ვერ გაფრინდებით, ბატონო დრაჟენ!..

იყო გაფრთხილებული და „მათზე“ უნდა ეთამაშა. ამ დროს კი ისე გამოვიდა, რომ იმ მომენტში, როდესაც სასწორი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გადახრილიყო, ზაზა სათადარიგოთა შორის იჯდა. მოედანზე რომ ყოფილიყო, ფაჩულია აუცილებლად დააგროვებდა ქულებს, რადგან მოედნის დატოვების შიშით, ვერც ერთი მეურვე მას ვერ მიეკარებოდა.

— **ორივე მეტოქემ, სამქულიანი ტყორცნებით ქულათა საკმაოდ სოლიდური რაოდენობა დააგროვა ჩვენს წინააღმდეგ, როგორ გგონიათ, რით უნდა გადავჭრათ ეს პრობლემა?**

— მჭიდრო დაცვა უნდა იყოს დაყენებული, მოთამაშეებს მოედანზე უნდა ჰქონდეთ ეს კომპონენტი დამუშავებული, რაც არ შეიმჩნევა. კითხვას ბადებს ის გარემოებაც, რომ ნაკრების 4-5 მოთამაშე საერთოდ არ გადის მოედანზე. თუ ხუთი წუთით მაინც არ შეიძლება მათი მოედანზე შეშვება, რათა თანაგუნდელს მცირე დასვენების საშუალება მაინც მიეცეს, რატომ არიან საერთოდ ნაკრებში?

— **შემონდ უილიამსის კვალიფიცკაციაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ 5-6 ისეთი შეცდომა დაუშვა,** NBA-**ში ნათამაშებ კაცს რომ არ ეპატიება. რას უნდა დავაბრალოთ ეს?**

— იტალიაში ჩატარებულ მატჩებში უილიამსი ძალიან მომეწონა. თუმცა, სპორტის სასახლეში ფინეთთან მგონი, ზედიზედ ხუთჯერ დაკარგა ბურთი და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააგდო ორი უაღრესად საჭირო სამქულიანი. გადამწყვეტ მომენტში მაკედონიაშიც რამდენჯერმე შეცდა და ეს იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, ფსიქოლოგიურად მთლად კარგად არ არის მზად.

— **ერთიცაა, ორივე თამაში შეუცვლელად ჩაატარა და ბუნებრივია დაიღალა კიდეც...**

— შესაძლებელია. მოთამაშეს დასვენება აუცილებლად ესაჭიროება, მაგრამ სჯობს დაისვენოს შეხვედრის დასაწყისში, ვიდრე იმ დროს, როდესაც ყველაფერი წყდება მატჩში. იგივე თბილისურ მატჩში, როცა რამდენიმე ბურთი ვერ ჩააგდო, უნდა შეეცვალათ. ასეთი რამ ყველას შეიძლება მოუვიდეს, მაგრამ საჭიროა მცირე ხნით დაისვენოს, მწვრთნელმა შეცდომაზე მიუთითოს და ისევ დააბრუნოს მოედანზე. თორემ ისე გამოდის, რომ არც იმ 12 კაცში, არც მთლიანად საქართველოში კალათბურთელი არ მოიძებნება, თუნდაც ხუთი წუთით რომ შეცვალოს უილიამსი... ამაში კი ძალიან მეპარება ეჭვი და მიმაჩნია, რომ 2-3 ისეთი კალათბურთელი უნდა იყოს ჩვენს ნაკრებში, რომლებიც რატომღაც არ გამოიძახეს...

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 3 | 3 | 0 | 6 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 5 |
| ფინეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 3 | 0 |

*გვერდი მოამზადა ზვიად სეხნაშვილმა*

## №37 (415) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 549 რესპონდენტი გამოეხმაურა. 14 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 199-მა ქალმა და 336-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე თავმდაბალი პოლიტიკოსი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, აქ ჩამოთვლილ ქართველ პოლიტიკოსთა შორის ყველაზე თავმდაბალი ჯუმბერ პატიაშვილია. საგულისხმოა, რომ „ერთობის“ ლიდერი დღეს დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა და არც რაიმე მაღალი თანამდებობა უჭირავს. ალბათ, სწორედ ეს აღმოჩნდა იმის მიზეზი, რომ მკითხველმა ყველაზე თავმდაბალი პოლიტიკოსის ტიტული მას მიაკუთვნა. რესპონდენტთა 28%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. **6,70** საშუალო ქულით პატიაშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე გიგი წერეთელია, საშუალო ქულაა 6,58.

ჩვენი მკითხველების აზრით, პარლამენტის თავმჯდომარეც საკმაოდ თავმდაბალი ადამიანია. მკითხველთა 23%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ვხედავთ, 4,85 საშუალო ქულით იგი მეხუთე ადგილზეა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილი მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილზეა — რესპონდენტთა 16%-მა შეაფასა იგი 9 ქულით. ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულების მფლობელი კი ზურაბ ჟვანიაა — სამმა მკითხველმა (0,6%) მიაკუთვნა მას 9 ქულა.

რეიტინგში შედარებით დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები — კობა დავითაშვილი, დავით ბერძენიშვილი და შალვა ნათელაშვილი. 3,01 საშუალო ქულით სულ ბოლო ადგილზე ლეიბორისტთა ლიდერია.

### თავმდაბალი პოლიტიკოსი

საპრიზო რეიტინგი




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული თბილისელი **დავით პაპაჩაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 22 სექტემბერს, 17 საათზე.

## №38 (416) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№38 (416) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 22 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 23 სექტემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №38(416) — აქტუალური პრობლემა

**თქვენი აზრით, პირველ რიგში რომელი პრობლემა უნდა მოაგვაროს საქართველოს ხელისუფლებამ** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№38(416) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პრობლემა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | უმუშევრობა | |
| 2 | კორუფციის აღმოფხვრა | |
| 3 | ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | |
| 4 | ადამიანის უფლებების დაცვა | |
| 5 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება | |
| 6 | ხელფასებისა და პენსიების მომატება | |
| 7 | ენერგოკრიზისის დაძლევა | |
| 8 | კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორება | |

**დამატებითი კითხვა**

**იმსახურებენ თუ არა თქვენს ნდობას საპატრულო პოლიციის თანამშრომლები?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### ყველაზე მდიდარი ადამიანები დღევანდელ საქართველოში

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | ბადრი პატარკაციშვილი | 911 |
| 2. | ბიძინა ივანიშვილი | 755 |
| 3. | კახა ბენდუქიძე | 256 |
| 4. | ედუარდ შევარდნაძე | 252 |
| 5. | გოგი თოფაძე | 117 |
| 6. | ვანო ჩხარტიშვილი | 62 |
| 7. | თემურ ჭყონია | 56 |
| 8. | მამუკა ხაზარაძე | 37 |
| 9. | ნიკო ლეკიშვილი | 32 |
| 10. | ნუგზარ შევარდნაძე | 31 |

მართალია, ათეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ქულების გარკვეული რაოდენობა მოიპოვეს — ასლან აბაშიძემ (25), ზურაბ ჟვანიამ (20), ეროსი კიწმარიშვილმა (14), ნინო ბურჯანაძემ (14), ვახტანგ რჩეულიშვილმა (13)...

მკითხველთა 1,3%-ს გაუჭირდა მდიდარი ადამიანების დასახელება.

**თქვენ უნდა დაგესახელებინათ მაქსიმუმ სამი ადამიანი. პირველ ადგილზე დასახელებულ პიროვნებას მიეკუთვნება სამი ქულა, მეორე ადგილზე — ორი, ხოლო მესამეზე — ერთი ქულა. ქულები შეიკრიბა და მათი ჯამის მიხედვით შედგა რეიტინგი.**

***მკითხველის რეიტინგში 449 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა***

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— „ვის უნდა“ შემოდგომის ნობათი

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული „ფოტოანტიკვარის“ ფოტოზე მინაწერი — „მხიარული და საზრიანი ბალღობიდან ვიყავი...“ ჩვენი პატარა გმირის ბიოგრაფიაზე მიგვანიშნებს — იგი, **ზურაბ გაჩეჩილაძე,** უფრო **შონზოდ** ცნობილი, ძველი „კავეენშჩიკი“ გახლავთ. როგორც ჩანს, მკითხველი ჩვენს საზოგადოებაში უამრავ პერსონას მიიჩნევს მხიარულად და საზრიანად და ალბათ ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ 32%-მა ამოიცნო ამ ბიჭუნაში შონზო. დასახელებულთა შორის კი უამრავი ნაცნობი სახეა, როგორც პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ასევე, ტელეჟურნალისტები და შოუბიზნესის წარმომადგენლები: ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ოტია იოსელიანი, ლევან თედიაშვილი, დავით კიკალიშვილი, შალვა რამიშვილი, გიორგი თარგამაძე, „უცნობი“ (გიორგი გაჩეჩილაძე), დათო გოგიჩაიშვილი, ზვიო, დუტა სხირტლაძე და სხვ.







შონზო — ზურაბ გაჩეჩილაძე, 4 წლის

*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*

## ფოტო განწყობისთვის



— იცოდე, სულელში ჭკვიანად მოიქეცი!..

## თურმე...

თურმე პოლონეთი გამოირჩევა იმით, რომ აქაურები მშობლიურ ადგილებს ხშირად არქმევენ უცხო ქვეყნებისა და ცნობილი ქალაქების სახელწოდებებს. ასე, მაგალითად, 19 ადგილს ეწოდება კორეა, 18-ს – ამერიკა, 13-ს – უნგრეთი, 9-ს – კანადა, 5-ს – ბრაზილია, 3-ს – იტალია, 2-ს – ბულგარეთი. გარდა ამისა, არის 8 ალექსანდრია, 7 ვენეცია, 4-4 პრაღა და კიევი, 2 ბაბილონი, 1 ბულგარეთი და 20-ზე მეტი ვარშავა.

21/IX

☽

**პირველი მეოთხედი**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. სენტავო; 4. მარწყვი; 6. ხრეში; 7. აგორა; 8. ულისე; 9. იმედი; 10. ირონია; 13. არქივი; 16. ხრიკი; 18. იკებანა; 19. გრაფიტი; 20. ოტიტი; 22. გრაცია; 23. ბილიკი; 25. ვისკი; 27. ნოინი; 28. კლარა; 29. რეიდი; 30. არქიელი; 31. აბატისა.

**შვეულად:** 1. სარკოფაგი; 2. ოხრახუში; 3. ველოსიპედი; 4. მინარეთი; 5. ინტერიერი; 11. ოპერა; 12. ისანი; 14. რკალი; 15. იდიში; 16. ხაო; 17. იგი; 21. ინსპირაცია; 22. გრამატიკა; 24. ინდუსტრია; 25. ვინოკური; 26. ირიგაცია.






**თარაზულად:** 1. ტროპიკული მცენარე; 4. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 6. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 7. მწერის განვითარების ერთ-ერთი სტადია; 8. რაიმეზე დამდგარი მზის შუქი; 9. სრული მოგება ძიუდოში; 10. ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლისთავი; 13. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 16. ბანქოს ერთგვარი თამაში; 18. „ჩოჩარას“ ავტორი. 19. აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 20. ბიჭი, რომელიც გემზე ემზადება მატროსად და სწავლობს ზღვაოსნობას; 22. ღარიბი, გლეხკაცი; 23. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; 25. ლუთერანული ეკლესია; 27. ქალაქი საფრანგეთში; 28. ინდური ფილოსოფიის ერთ-ერთი ორთოდოქსული სისტემა, რომელიც ცნობს ვედების ავტორიტეტს. 29. ფალიაშვილის ოპერა; 30. სახელმწიფო აზიაში; 31. მათემატიკის ნაწილი.

**შვეულად:** 1. პაპის შემდეგ უმაღლესი სასულიერო ხარისხი კათოლიკურ ეკლესიაში. 2. პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ოსმალეთში; 3. ამიდოპირინის ძველი სახელწოდება; 4. ჟანა დ'არკის როლის შემსრულებელი; 5. პირი, რომელიც კაპიტალს დიდი ხნით აბანდებს; 11. პარკოსანი მცენარე; 12. მუზეუმი პარიზში; 14. ჩოგბურთის მოედანი; 15. უეცარი რევიზია; 16. შუააზიელი მემამულე; 17. თმის საღებავი; 21. ნარკოტიკების ხმარებისადმი მიდრეკილება; 22. რუსი კინორეჟისორი; 24. ნახვრეტი რაიმე თავდაცვით ნაგებობაში; 25. სვეტების რიგი; 26. თმის მოცილება.

**შეადგინა ვანო კაჭახიძე**

## სოფიმ ვენეციის ფესტივალი დაამშვენა

ვენეციაში კინოფესტივალის საზეიმოდ დახურვის დღეს, თეატრ „ლა ფენიჩეს“ დარბაზში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე, კინოს ცოცხალმა ქალღმერთმა სოფი ლორენმა კინემატოგრაფიაში გაწეული ღვაწლისთვის ფესტივალის მთავარი ჯილდო „ოქროს ლომი“ გადასცა ამერიკელ რეჟისორს, სტენლი დონენს. 80 წლის რეჟისორმა, რომელსაც ჯილდოზე მეტად სოფის ნახვა გაუხარდა, სცენაზე ცეკვა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 20 სექტემბერს სოფი ლორენს 70 წელი შეუსრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მას დღემდე არც ერთი პლასტიკური ოპერაცია არ გაუკეთებია, მაინც არაჩვეულებრივად გამოიყურება.

ჟიურიმ „ოქროს ლომი“ მიანიჭა ბრიტანულ ფილმს „ვერა დრეკის საიდუმლოებანი“. მარჩელო მასტროიანის პრიზი საუკეთესო აქტიორული დებიუტისთვის დაიმსახურეს მაესტროს თანამემამულეებმა — მარკო ლუიზიმ და რომაზო რამენგიმ.

ვენეციის წლევანდელი ფესტივალის დამახასიათებელი ნიშანი იყო ჰოლივუდის ვარსკვლავთა სიმრავლე. კინოფორუმის სტუმართა შორის იყვნენ: ნიკოლ კიდმანი, ანჯელინა ჯოლი, რობერტ დე ნირო, ტომ კრუზი, კვენტინ ტარანტინო და სხვები.



**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### 38 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№38 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 23 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი